




**რულანდ
თოფჩიშვილი**

**ისტორიულ-ეთნოგრაფიული
სამხრეთი საქართველო და
ქართველები თურქეთში**



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგიის
სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

როლანდ თოფჩიშვილი

ისტორიულ-ეთნოგრაფიული სამხრეთი საქართველო და ქართველები თურქეთში



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2017

UDC(უაკ) 94(479.22.5)+39(479.22.5)+94(=353.1)(560)

თ - 778

მეოცე საუკუნის ბოლომდე ჩვენი ცოდნა სამხრეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების შესახებ ერთობ მწირი იყო. თურქეთთან საზღვრის გახსნამ ქართველ მეცნიერებს არა მარტო ამ ქვეყნის შემადგენლობაში მოქცეული ძირძველი ქართული მიწა-წყლის მონახულების, არამედ სამეცნიერო ინფორმაციის შეკრების საშუალებაც მისცა. წინამდებარე წიგნის ავტორიც იმ მკვლევართა შორის აღმოჩნდა, რომელმაც ეთნოგრაფიული მასალები შეკრიბა შავშეთ-იმერხევის, კლარჯეთ-ლიგანის, ტაოს პარხლისწყლის ხეობის, აგრეთვე შავი და მარმარილოს ზღვების რეგიონებში განსახლებულ ქართულ მოსახლეობაში. ამ სავლესავე-საექსპედიციო საქმიანობის შედეგია წიგნი, რომელიც სამხრეთ საქართველოს მკვიდრთა ტრადიციებსა და ყოფა-ცხოვრებას გვაცნობს.

რედაქტორები: **ტუფან შაფაკ ლომინაძე**
ერდოღან შენოლი (ერეკლე დავითაძე)
ნოდარ შოშიტაშვილი

გარეკანზე განთავსებული ოშკის ფოტოს ავტორია **გოგა ჩანადირი**

Yirminci yüzyıl sonuna kadar, Güney Gürcistan'ın tarihsel ve etnoğrafik bölgeleri hakkında bilgilerimiz oldukça kısıtlı idi. Türkiye ile sınır kapısının açılması Gürcü bilim insanlarına sadece bu ülkenin sınırları içerisinde kalmış olan kadim Gürcü topraklarını görme imkanı sağlamamış, daha da fazlasını, bilimsel bilgiler toplama imkanı vermiştir. Bu kitabın yazarı Şavşat-İmerhevi, Klarceti-Ligani, Tao'nun Parhali Vadisi ve aynı şekilde Karadeniz Bölgesi ve Marmara Bölgesinde yerleşik Gürcü halkı ile ilgili etnoğrafik araştırma yapan grubun içinde yer almıştır. Borçlu olduğumuz bilimsel gezinin sonucu olan bu kitap okuyucuya Güney Gürcistan halkının gelenek ve yaşamını tanıtıyor.

© რ. თოფჩიშვილი, 2017

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2017

თბილისი, 0179, 0. ჰავაზაძის რაზმ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge; universal505@ymail.com

ISBN 978-9941-22-974-9

შესავალი

თურქეთის სახელმწიფოში მოქცეულ ისტორიულ ტაო-კლარჯეთში ეთნიკური ქართველების ეთნოლოგიური შესწავლა ჯერ კიდევ 2005 წლიდან დაიწყო, სადაც ქუთაისელ კოლეგებთან (ხელმძღვანელი *ტარიელ ფუტყარაძე*) ერთად, საკუთარი ფინანსური შესაძლებლობებით ვახერხებდით ქართველთა განსახლების არეალიების დადგენას, მათი ყოფისა და კულტურის შესახებ არსებული მონაცემების შეკრებას. მართალია, რამდენიმე წლის საველე სამუშაოების შედეგად, ჩვენთვის უცნობი ბევრი რეალია გამოვლინდა, მაგრამ ეს მხოლოდ ზღვაში წვეთი გახლდათ. ჯერ ერთი, ორკვირიანი გასვლები მხოლოდ ზედაპირულ წარმოდგენას გვიქმნიდა შავშეთის, კლარჯეთისა და ტაოს ქართველების შესახებ, და, მეორე, საველე კვლევა-ძიების მეთოდი ითვალისწინებს რეგიონის მოსახლეობაზე ხანგრძლივ დაკვირვებას. ჩარმავებულ კვლევას ხელს უშლიდა სამეცნიერო საქმიანობის დაუგეგმაობა.

დაგეგმილი სამუშაოების წარმართვის საშუალება მხოლოდ რუსთაველის ფონდის მიერ დამტკიცებულმა პროექტმა (*„თურქეთის ქართველები: ისტორია, სულიერი და მატერიალური კულტურა, ენობრივი ვითარება“*) მოგვცა, რაც თამარ მეფის უნივერსიტეტის ბაზაზე განხორციელდა, რომლის სამეცნიერო ხელმძღვანელი არქიმანდრიტი *ადამი/ვახტანგ ახალაძე* გახლდა. ჩემთან ერთად ექსპედიციებში *ნოდარ შოშიტაშვილი*, *როზეტა გუჯეჯიანი*, *ინგა ლუტიძე*, *გიორგი აეთანდილაშვილი*, *მირიან ხოსიტაშვილი* და სხვები მონაწილეობდნენ, რომლებმაც დღეისათვის უკვე მთელი რიგი ნაშრომები გამოაქვეყნეს. ამ შემთხვევაშიც, მართალია, საქსპედიციო საქმიანობა ხანგრძლივი არ იყო, მაგრამ წინა წლებთან შედარებით, ის გეგმიურად ხორციელდებოდა და ჩვენს თვალწინ გადაიშალა სიახლეების მთელი წყება, რაზედაც ჩვენ, ქართველებს წარმოდგენაც კი არ გვქონდა. საქსპედიციო საქმიანობამ საშუალება მოგვცა ტაო-კლარჯეთის ისეთი სოფლების მონახულებისა, სადაც ადრე საველე საქმიანობა არ ხდებოდა. მხედველობაში მაქვს კლარჯეთის მონაკვეთი, კერძოდ, ლიგანისა და მურღულის ხეობები, დევსქელისა და ქლასკურის მხარე და ჭოროხის მარცხენა მხარე (ხატილისა და ქართლას მიმდებარე სოფლები).

ეთნოლოგთათვის სრულიად მოულოდნელი იყო მარმარილოს ზღვისა და შავი ზღვის რეგიონებში მუჰაჯირი ქართველების შთამომავალთა ქართულ სოფლებში მუშაობა. აქამდე საქართველოში ვერავინ წარმოიდგენდა თუ რა ფართო არეალში არიან თურქეთის სახელმწიფოში განსახლებული ეთნიკური ქართველები, რამდენად დიდი რაოდენობით ცხოვრობენ ისინი ამ ქვეყნის დიდ ქალაქებში.

ჩემი გეგმიური სამუშაო სამი ძირითადი პრობლემის დამუშავებას ითვალისწინებდა: 1. *ქართველთა განსახლების არეალები თურქეთში*, 2. *თურქეთში მცხოვრებ ქართველთა ქართული ანთროპონიმები (საკუთარი სახელები და გვარსახელები)*, 3. *თურქეთში მცხოვრებ ქართველთა ეთნიკური ცნობიერების პრობლემა*. თუმცა, უნდა ითქვას, რომ პროექტის მონაწილეებს თითქმის ყველა პრობლემაზე უხდებოდა მასალების მოპოვება, რადგან ხშირად ისინი არა ინდივიდუალურად, არამედ ჯგუფურად კრებდნენ მასალებს, რასაც გარკვეული გარემოებები აპირობებდა. სოფელში რამდენიმე ინფორმატორის არსებობის პირობებშიც იგივე ხდებოდა, რადგან პროექტის მონაწილენი ერთმანეთსაც ეხმარებოდნენ მასალების შეკრებაში.

ყველაზე მთავარი, რაც საექსპედიციო საქმიანობით გაირკვა ისაა, რომ თითქმის დადგინდა ის სოფლები, სადაც თურქეთში ეთნიკური ქართველები მკვიდრობენ. ეს სოფლები, ტაო-კლარჯეთის გამოკლებით, მინიმუმ 220-ია. მარტო ბურსის რეგიონში 70 ქართული სოფელია, სინოპში – 56. დადგინდა, რომ ეთნიკური ქართველები ისეთ ადგილებშიც კი მკვიდრობენ, სადაც დღემდე მათი კომპაქტურად მკვიდრობის არც ერთი ფაქტი არ იყო დადასტურებული. მაგალითად შეიძლება *ამასიის* მხარე და *ღიარბეჩირი* დასახელებს. სამეცნიერო კვლევებით გაირკვა ეთნიკურ ქართველებს დედაენა სად აქვთ შენარჩუნებული და სად – დაკარგული. ჩვენს მეცნიერებში მხოლოდ 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შესახებ თურქეთის შიდა პროვინციებში გადასახლებული ქართველების შესახებ საუბრობდნენ. არა და ეს მიგრაცია ქართველებისა უფრო ადრე დაიწყო, მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიამ სამცხე-ჯავახეთი შემოიერთა. დადგინდა მთელი რიგი განსახლების არეალები, სადაც ადრინდელ მუჰაჯირთა შთამომავლები ცხოვრობენ (მაგალითად, ქალაქი *შილე* სტამბოლის აღმოსავლეთით, შავი

ზღვის სანაპიროზე). ტაო-კლარჯეთიდან ქართველთა გადასახლების სხვა მიზეზებიც გამოვლინდა. ეს იყო სომეხი დაშნაკების ტერორისტული საქმიანობა, რის გამოც დაცლილა ულამაზესი *ხატილას* ხეობა.

სრულიად აღირიცხა ქართული სოფლები *ტაოში*, *კლარჯეთში*, *შავშეთ-იმერხევში*. თანამედროვე ეთნოგრაფიული მონაცემები შეუდარდა უფრო ადრინდელ, მაგალითად, 1886 და 1907 წლების მონაცემებს. დღევანდელი და XIX-XX საუკუნეების მიჯნის მონაცემები მნიშვნელოვნად განსხვავებულია. მაშინ ეთნიკური ქართველები უფრო ფართოდ იყვნენ განსახლებული და ქართულ ენაზე უფო მეტ სოფელში ლაპარაკობდნენ. დადგინდა, რომ მთლიანად ქართველები არიან წარმომავლობით შავშეთში მცხოვრები თურქები, რასაც მოწმობს მათი განსახლების არეალში ძალიან ბევრი ქართული ტოპონიმი და არა მხოლოდ სოფლის სახელები, არამედ, მიკროტოპონიმებიც. გათურქებული არიან *ხახულის*, *ოშკის*, *თორთომის*, *ოთხთას*, *პარხლის* მკვიდრნიც. ასიმილაციური პროცესები განსაკუთრებით ინტენსიურად XX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან მიმდინარეობდა. მართალია, განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, თურქეთში მცხოვრებმა ბევრმა ქართველმა სასაუბრო ქართული ენა დაკარგა, მაგრამ, კვლევებით გაირკვა, რომ ენის დაკარგვა სრულიადაც არ იწვევს ეთნიკურობის დაკარგვას. ბევრ ქართველს, რომელმაც ქართული ენა არ იცის, გამოკვეთილი ეთნიკური ცნობიერება გააჩნია. ეთნიკური ცნობიერების შენარჩუნებას კი მთელი რიგი ფაქტორები უწყობს ხელს, რომელთაგან, ერთ-ერთი მთავარი ფსიქოლოგიური ფაქტორია. თურქეთის ქართველებში მაღალი ეთნიკური ცნობიერების გამომხატველია აგრეთვე ის საზოგადოებები, რომლებიც თურქეთის ყველა დიდ ქალაქსა თუ ვილაეთშია შექმნილი.

ცნობილია, თუ რაოდენ დიდი ადგილი ეჭირა და უჭირავს ქართველთა ცხოვრებაში მემკვიდრეობით სახელს – გვარს. თურქეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველების მაღალი იდენტობის გამომხატველია ქართული გვარების შემონახულობა, თანამოგვარეობის ძებნა საქართველოს სახელმწიფოში. დადგინდა მთელი რიგი გვარები, რომლებსაც თურქეთის ქართველობა ატარებდა. ამ ქართულ გვარებს ისინი, გადმოცემებით, ზეპირი გზით ინახავდნენ.

თურქული სამყაროსათვის გვარები უცნობი იყო და ისინი ოფიციალურად არსად ფიქსირდებოდა, მაგრამ ქართველების უმრავლესობა წინაპართა მემკვიდრეობით სახელებს ინახავდა, თაობიდან თაობაზე გადასცემდა. გამოვლინდა მთელი რიგი ისეთი გვარები, რომლებიც საქართველოში საერთოდ დადასტურებული არაა და, შესაბამისად, გაიზარდა ქართული გვარების რაოდენობა. აქაური ქართველები ატარებდნენ, როგორც -ძე, ისე -შვილი სუფიქსიან გვარებს. ჰქონდათ მეორე მემკვიდრეობითი სახელიც, გვარის დანაყოფების სახელებიც. აგრეთვე ქართველები, მაჰმადიანობის მიუხედავად, არა მხოლოდ გვარს, არამედ გვარის შიგნით ეგზოგამიასაც ინარჩუნებდნენ. ვფიქრობთ, რომ ეგზოგამიურობის ტრადიცია და ეთნიკური ენდოგამია იყო მუსლიმ ქართველებში გვარისა და ეთნიკურობის შენარჩუნების მთავარი ფაქტორი.

მართალია, 2012, 2013 და 2014 წლებში მნიშვნელოვანი კვლევა-ძიება ჩატარდა თურქეთში ეთნიკური ქართველების ყოფის, ტრადიციებისა და კულტურის შესასწავლად, მაგრამ ერთი პროექტის ფარგლებში სრულყოფილი შესწავლა წარმოუდგენელი იყო. ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ქართველები მინიმუმ 220 სოფელში და ბევრ დიდ ქალაქში არიან განსახლებული. სამი წლის განმავლობაში მაქსიმალური კი მოხერხდა, მაგრამ, ბუნებრივია, ყველა სოფელში და დასახლებულ პუნქტში შეუძლებელი იყო მისვლა და მასალების შეგროვება. არადა, შეიძლება სწორედ ასეთ სოფლებშია ქართული ტრადიციული ყოფის ისეთი მოვლენები შენარჩუნებული, რაც საქართველოს ქართველებში დიდი ხანია დაიკარგა, ან ესა თუ ის კულტურული მოვლენა მხოლოდ თურქეთში მცხოვრებ ქართველებს ჰქონდათ. ერთ-ერთი ასეთი უცნობი ტრადიციული ფაქტი საქორწინო ტრადიციაში გამოვლინდა ბორჩხის მიდამოებიდან გადასახლებულ სინოპელ ქართველებში, ე. წ. *მაძობილის* ინსტიტუტი, რომელიც საქორწილო ცერემონილალის მთავარი ფიგურა, ხელოვნურად დანათესავებული პიროვნება იყო. გაირკვა, რომ ქართველ მუჰაჯირთა სამშობლოდან აყრის ძირითადი მიზეზი ყოველთვის რელიგიური ფაქტორი არ იყო. გადასახლების მიზეზს ხშირად მოსახლეობის გადამეტსახლებულობაც წარმოადგენდა..

ექსპედიციამ სტამბოლის *ბეიკოზის* რაიონიდან, სადაც კომპაქტურად ქართველები ცხოვრობენ, შავი ზღვის რეგიონის შორეულ სოფელში მობილური ტელეფონითაც ჩაიწერა მასალა ჩვენი ახალგაზრდა ინფორმატორის ბაბუასაგან, რომელიც შესანიშნავი ქართულით მეტყველებდა. რამდენი ასეთი მოხუცებული წაიღებს თან ქართულ ეთნოგრაფიულ რეალიას და შთამომავლობას დაეკარგება ისინი. თურქეთში, ისევე როგორც საქართველოში, მოდერნიზაციის პროცესების გამო, ბევრი ტრადიცია, წეს-ჩვეულება იკარგება. ამის გამო, საჭიროა მათი სასწრაფოდ დაფიქსირება. ამას ერთი 7-8-კაციანი ექსპედიციაც კი ვერ აუვა. რაც მთავარია, ჩვენი საქსპედიციო საქმიანობა იმდენად წარმატებული ვერ იქნებოდა, რომ დახმარების ხელი ადგილობრივ ქართველებს არ აღმოეჩინათ (*გიორგი ირემიძე, ტუფან ლომინაძე, ფეჰმი უზალ-უსტიაშვილი* და სხვ.). ამიტომ მომავალ პროექტებში აუცილებლად თურქეთელი ქართველები, მეგზურები უნდა იყვნენ ჩართული. საქართველოდან მოწყობილ ექსპედიციებს დიდი მნიშვნელობა ადგილობრივი ქართველებისთვის აქვს, ის მათ ეთნიკურ ცნობიერებას უღვივებს, ქართველობას ახსენებს. ამის დამადასტურებელი არაერთი ფაქტი შეიძლება იქნეს მოყვანილი. თურქეთში მცხოვრები ქართველები თავად იჩენდნენ ინტერესს ქართველი მეცნიერების მიმართ, გვთხოვდნენ მათ სოფელშიც აუცილებლად მივსულიყავით. იყვნენ რა ინფორმირებულები ქართველ მეცნიერთა მათ სოფელში სტუმრობის შესახებ, ისინი მთელი დღის განმავლობაში მოლოდინში იყვნენ. მარმარილოს ზღვის ერთ-ერთ სოფელში კი მოუთმენლად სალამოს ცხრა საათამდე ელოდნენ ექსპედიციას მეჩეთის ეზოში. ერთი სიტყვით, თურქეთის ქართველობის ყოფისა და ტრადიციების შესწავლა საჩქარო და გადაუდებელი საქმეა, ეს სჭირდება არა მხოლოდ ქართულ მეცნიერებას, არამედ თურქეთში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებს და ქართული-თურქული ურთიერთობების გაუმჯობესებას.

თურქეთში მცხოვრები ქართველების წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების შესახებ უკვე რამდენიმე ეთნოგრაფიული სამეცნიერო ნაშრომი გამოქვეყნდა (*როზეტა გუჯეჯიანი, ნოღარ შოშიტაშვილი, როლანდ თოფჩიშვილი*). აუცილებლად უნდა დავასახელოთ *ტარიელ ფუტკარძის* „იმერხევის მეტყველი მიწა-წყალი“ (ქუთაისი, 2007) და მისივე 2017 წელს დაბეჭდილი და 2015 წლით

დათარიღებული „ქართული ენა, როგორც თურქეთის რესპუბლიკის ერთ-ერთი შემაგენელი: პრობლემები, პერსპექტივები“ (ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები, IV, 2015). განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია *ინგა ლუტიძის* ვრცელი მონოგრაფია „ქართველები თურქეთში – ენობრივი ვითარება“ (თბილისი, 2016). ამ მხრივ ბათუმელი კოლეგების (*მამია ფაღავა, მალხაზ ჩოხარიძე, ზაზა შაშიკიძე, თამაზ ფუტყარაძე, ნუგზარ მეგლაძე, თინა შიოშვილი..*) აქტიურობა და შედეგიანი სამეცნიერო მოღვაწეობის აღნიშვნა აუცილებელია, რომლებმაც ორი ვრცელი გამოკვლევა შესთავაზეს ქართულ საზოგადოებას („შავშეთი“, ბათუმი, 2011; „კლარჯეთი“, ბათუმი, 2016). ტაო-კლარჯეთის ქართველების შესახებ კი პირველი სოლიდური ნაშრომი *შუშანა ფუტყარაძეს* ეკუთვნის („ჩვენებურების ქართული“, ბათუმი, 1993). შემდეგი მონოგრაფიული გამოკვლევების ავტორი გახლდათ *ნუგზარ ცეცხლაძე* („შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია“, ბათუმი, 2000, „ძიებანი ჭოროხის აუზის ტოპონიმებიდან“, ბათუმი, 2004). პირველი ეთნოგრაფიული მონოგრაფია კი ეკუთვნის *როინ მალაყმაძეს* („ლიგანის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა)“, თბილისი, 2008). არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ჩვენთვის თურქეთში მცხოვრები ქართველების ენობრივი, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული შესწავლის ერთ-ერთი ინიციატორი და ერთგვარი გზის გამკვალავი *ტარიელ ფუტყარაძე* გახლდათ, რომელმაც იმერხევის ტოპონიმებს სათანადო გამოკვლევაც მიუძღვნა. წინამდებარე წიგნის ავტორს მიაჩნია, რომ სამხრეთ საქართველოსა და მუჰაჯირ ქართველთა შესახებ ქვემოთ წარმოდგენილი ნაშრომი მხოლოდ და მხოლოდ ერთი პატარა ნამცეცია დიდი პრობლემის შესასწავლად და ის იმედოვნებს, რომ ქართველი ჰუმანიტარები მომავალშიც გააგრძელებენ ამ მიმართულებით კვლევას, რადგან ბევრი კულტურული ფაქტი, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ძალიან სწრაფად ქრება.

ეთნოგრაფიული შავშეთ-იმერხევი

დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე ქართული ეთნოგრაფიული რეალიები და ქართული ენა შავშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის ერთი ნაწილის – იმერხევის – მაცხოვრებლებმა შემოინახეს. შავშეთი სამხრეთით უშუალოდ აჭარას ესაზღვრება. ვახუშტის ცნობით, შავშეთში ორი მდინარე – შავშეთის წყალი და ჭილოვნის ხევი – მიედინება. „ხოლო ამ ორთა შავშეთის მდინარეთა ზედა არიან დაბნები შენნი დიდ-მცირენი. და მზღვრის შავშეთს: აღმოსავლეთიდანა არსიანი, და გარდავლენან მას ზედან გზანი ერუშეთს, ფოცხოვის ხეობას და ზარზმა-ყუეღს; სამხრით მზღვრის კლდე არტანუჯისა და შავშეთს შორის...“¹ ვახუშტი ბაგრატიონი შავშეთს, რომლის ფართობიც 1.218 კვ. კმ.-ს შეადგენდა, შემდეგნაირად ახასიათებს: „და არს ესე შავშეთი ტყიანი, გორამთიანი, ღელე-ღრანტოიანი, იწრო და მაგარი, ვენახ-ხილიანი. ნაყოფიერებენ ყოველნი მარცვალნი, თუნეირ ბრინჯ-ბამბისა. პირუტყვნი, ნადირნი, ფრინველნი და თევზნი მრავალნი. და ნოყოფიერებს ფრიად მიწა ამისი, რაოდენაც იჭმარების სივიწროვედ“.

შავშეთში იყო X საუკუნეში დაარსებული *ტბეთის* დიდებული მონასტერი, სადაც ტბელი ეპისკოპოსი იჯდა. 1547 წელს შავშეთი თურქებმა დაიპყრეს, ხოლო 1878 წელს შავშეთი რუსეთმა შეიერთა. შემდგომ კვლავ თურქეთმა დაიპყრო. შავშეთის ძველი სოფლები იქ მოსახლე ძირითადი გვარის სახელს ატარებდნენ. გვართა უმეტესობა -ძე სუფიქსს ირთავდა. 1886 წელს რუსეთის ხელისუფლებამ აღწერა შავშეთშიც ჩაატარა. აქ მცხოვრებთა უდიდესი ნაწილი ქართველ მაჰმადიანადაა ჩაწერილი. 1874 წელს სამხრეთ საქართველოში იმოგზაურა *დიმიტრი ბაქრაძემ*, რომელიც წერდა: „ამ საუბრის დროს ქართული მაყრული შემომესმა. და მართლაც, ზენდიდელი ბეგი თურმე შავშეთელი ბეგის ქალზე ქორწინდებოდა და შავშეთიდან მას სიმღერით მიაცილებდა კარგა

¹ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973, გვ. 679.

მოზრდილი მაყრიონი“². შავშეთში, კლარჯეთსა და სხვა ქართულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რეგიონებში ჯერ კიდევ შემორჩენილი ყოფილა არაერთი ქართული ტრადიციული ყოფითი რელია. იმავე ავტორს თუ მოვუსმენთ, ამაში უდავოდ დავრწმუნდებით: „აქაური საქორწინო წეს-ჩვეულება ბევრ რამეში ჰგავს ქართულს. მაგალითად, წინასწარი მოლაპარაკება მშობლებს შორის შუამავლის მეშვეობით, მზითვის პირობა და თვით მზითევი, დაწინდვა და მისი ცერემონია, სიძე-პატარძლის სახელები ქორწილის დროს – მეფე, დედოფალი, ასევე სიძე-პატარძლის მხლებელთა სახელები – მაყრები, სიმღერა, რომელსაც ამ დროს ასრულებენ – მაყრული, მისი სიტყვები და კილო, თვითონ ქორწინების ზეიმი სამ დღეს – ქორწილი, – ყველაფერი ეს წმინდა ქართულია და იგი შემონახულია არა მარტო აჭარაში, არამედ ყველგან ამ მხარის ქართველ მუსლიმებში“³.

შავშეთის ნაწილი იყო იმერხევი. ეს იმითაც დასტურდება, რომ იმერხევიდან აჭარაში – შუახევში გათხოვილ ქალს „შავშურას“ ეძახდნენ. ქართული მეტყველება დღეს ძირითადად აქაა შემორჩენილი. სხვათა შორის, *იმერხეველები შავშეთელებს „გადაბრუნებულ ქართველებს“ უწოდებენ.*

1886 წლისთვის რუსული მმართველობის დროს შავშეთ-იმერხევის „უჩასტოკში“ 8 სასოფლო საზოგადოება შედიოდა: *ანკლიის, გარყლობის, დაბაწვრილის, დაბის, ოქრობაგეთის, სათლელ-რაბათის, წყალსიმერის, ჩიხორის.* ანკლიის საზოგადოებაში ძირითადად თურქები იყვნენ აღრიცხული. ეთნოგრაფიული მონაცემებით ამ სოფლების და შავშეთის ყველა მკვიდრი „გადაბრუნებული ქართველი“, ე. ი. ასიმილირებული ქართველი იყო. გარყლობის საზოგადოებაში მოსახლეობის ნახევარზე მეტი ეთნიკური ქართველი იყო (321 კომლი, 2,289 სული); დანარჩენი 300 კომლი (1886 სული) – თურქი. ქართული სოფლები იყო ახალდაბა (უბნები: *გელსაძე, გოგელიძე, გოვინიძე, პოპაძე, ურუმუძე-არუშიძე*), გარყლობი (უბნები: *ქდავციძე, მიქელეთი...*), ოხეთ-მანაბა, *თურმანიძე, ცივეთი*

² დ. ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987, გვ. 50.

³ დ. ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, გვ. 50.

(უბნები: *დულაბიძე, ლასურიძე, ხილვაძე*), შერეული ქართულ-თურქული იყო ჯვინალი (უბნები: *ზაქარიეთი, ლაგუნეთი, ჩისტა...*), ჭვარები (უბანი *შალიკი*). თურქული იყო შავშეთის დაბაწვრილის, ოქრობაგეთის, სათლელ-რაბათის საზოგადოებებიც. ამ საზოგადოებათა სოფლების უბნები მათ ქართულ წარმომავლობაზე მიუთითებს. მაგალითად, სოფელ ბალვანას ერთ-ერთ უბანს ერქვა *სამხარო-ოღლი*, დაბაწვრილისას – *ავარა, კობაძე, ხილაძე, ჩუგაძე*, მერიასი – *ზიარეთი, ირემაძე, შათირ-ოღლი*, სხლობანისა – *პერანათი, ფუტკარაძე, თულაძე*, ციხიასი – *ხათორეთი, ჩიკრიკ-ოღლი, გორალი-ოღლი, ტუსი-ოღლი*. ოქრობაქეთის საზოგადოებაში 153 ოჯახი სომხური იყო, 211 – თურქული. ამ საზოგადოების ერთ-ერთი სოფელის *მამნელიის* ერთ-ერთი უბანი *კაკაბ-ოღლის* სახელს ატარებდა. სათლელ-რაბათის საზოგადოების სოფელ მორგელის უბნებს ერქვა *გოგორ-ოღლი* და *გორვინ-ოღლი*.

მთლიანად ქართული იყო იმერხევში დაბის საზოგადოების 6 სოფელი: *ბამგირეთი, დაბა, ზაქიეთი, სურევანი, უბე, ხევწვრილი* (222 კომლი, 1599 სული). აქ სოფელ ზაქიეთის უბნები იყო: *ჯარბიძე, ჩიკორიძე...* წყალსიმერის საზოგადოების სოფლები: *დიობანი, იფხრეველი, წეთილეთი, წყალსიმერი* (340 კომლი, 2460 სული). დღეს დიობანის მკვიდრები უკვე გათურქებული არიან. დიობანის უბნები იყო *აბნაძე, ზიალიძე, ზიქრიეთი, ქოქლიძე* – დღეს *ქოქლიეთს* უწოდებენ, *ქუმაშიძე*. *იფხრეველი* შედგებოდა *ივეთისა* და *იმნაძეს* უბნებისაგან. *წეთილეთის* უბნები იყო: *ავარა, მაჩხატიძე, ხოხლაური. წყალსიმერი ბზათას, ხილვაძისა და შოლტისხევისაგან* შედგებოდა.

იმერხევის *ჩიხორის* საზოგადოებაში შედიოდა სოფლები: *ძიოსი, ფხიკიური, ჩიხისხევი, ჩიხორი* და *ცეპტა*. *ფხიკიურის* მკვიდრნი (32 კომლი) სომხად იყო ჩაწერილი. დანარჩენ სოფლების მკვიდრნი კი ქართველები იყვნენ (99 კომლი, 1030 სული). *ჩიხორის* უბნები იყო: *ავარა, ადრიაწმინდა, ბრილი, გევაძე, დასაბოძი, ლიბანი, ნიოლიძე, პეტრაკეთი*.

1886 წლის საოჯახო სიებით შავშეთელები უკვე თურქებად იყვნენ აღრიცხული⁴, თუმცა ეთნოგრაფიული მონაცემებით XX საუკუნეშიც შავშეთში მოხუცებმა ქართული იცოდნენ. აღნიშნული აღწერით შავშეთში გათურქებული ქართველების რაოდენობა 9.401 სული იყო. რაც შეეხება თვით ქართველთა რაოდენობას, ის 7.556 კაცს შეადგენდა (მთლიანად ართვინის ოკრუგში ქართველების რაოდენობა 17.802 სული იყო). 1907-1908 წლების მონაცემებით იმერხევეში ქართველების რაოდენობა 6.896 კაცი იყო⁵. ოცი წლის განმავლობაში კლება აშკარაა (-562), რაც იმაზე მიუთითებს, რომ რუსეთის მიერ შემოერთებული რეგიონიდან მუსლიმი ქართველების ოსმალეთის იმპერიის შიდა პროვინციებში გადასახლება გრძელდებოდა. რუსეთის მიერ შემოერთებული ტერიტორიებიდან (და, მათ შორის, იმერხევიდან) მოსახლეობის ოსმალეთის შიდა პროვინციებში გადინებას ხელს მთელი რიგი ფაქტორები უწყობდა. ასეთ მიზეზთა შორის, სრულიად სამართლიანად, მიიჩნევენ მუსლიმი ქართველებითვის სრულიად უცხო, რუსული მმართველობის ხელაღებით შემოღებას, კოლონიურ პოლიტიკას, უსამართლობას, ტყეების, სამოვრების და სათიბების თავისუფლად სარგებლობის აკრძალვას⁶. „1906 წლის 26 დეკემბრით დათარიღებულ მოხსენებაში ართვინის ოკრუგის უფროსი ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს მოახსენებდა, რომ ადგილობრივ მკვიდრთა გადასახლება საადგილმამულო საკითხის მოუწესრიგებლობით და მიიმე საყოფაცხოვრებო პირობებით არის გამოწვეული. ამის გამო მარტო 1906 წლის მეორე ნახევარში ართვინის ოკრუგიდან ოსმალეთში წასულა 420 სული, ხოლო წასასვლელად მზად ყოფილა 1.200 ადამიანი. მშობლიური ადგილებიდან მოსახლეობის გადასახლების პროცესი შემდეგ წლებშიც გრძელდებოდა. 1912-1917 წლებში ართვინის ოკრუგის მოსახლეობის ნახევარზე მეტი უცხოეთში გადასახლებულა. თუ 1911 წელს აქ 63.379 სული ცხოვრობდა, 1917

⁴ Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченных из посемейных списков 1886. Тифл. 1893.

⁵ Кавказский календарь. 1910, ч.1.

⁶ შავშეთი, რედაქტორი მ. ფაღავა, თბ., 2011, გვ. 19.

წლის ბოლოს მხარის მოსახლეობა 30.179 სულამდე შემცირებულა⁷.

1907-1908 წლების სტატისტიკური მონაცემებით, შავშეთის ერთ-ერთ სოფელში, კერძოდ, *სოფორაში* მოსახლეებს ქართული ეთნიკური თვითშეგნება ჯერ კიდევ ჰქონდათ შემორჩენილი: სხვა სოფლის მკვიდრთაგან განსხვავებით, ეთნიკურობის გრაფაში მათ „*ქართველი-მაჰმადიანი*“ აქვთ მიწერილი [სხვათა შორის, ამავე დემოგრაფიული მასალით, ართვინის ოკრუგის, რომელშიც ართვინის, არტანუჯის და შავშეთ-იმერხევის უბნები შედიოდა, რამდენიმე სოფლის მცხოვრებთ მიწერილი აქვთ არა „*ქართველი-მაჰმადიანი*“, არამედ „*ქართველი*“, რაც პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ მათ ისლამი არ ჰქონდათ მიღებული. ასეთ სოფელთა შორის შეიძლება დავასახელოთ *მანატბა* და *ბაზვირეთი* – იმერხევში, *ანაგერტი* და *მეცავილი* – არტანუჯის მხარეს, კლარჯეთში, *ბეშული* და *კაბარჯეთი* – ართვინის მხარეს, მურღულის ხეობაში]. ველზე მუშაობისას დასტურდება, რომ შავშეთში ოიკონიმები (სოფლის სახელები) მთლიანად ქართული იყო: *ანკლია*, *ვერხნალი*, *ზენდაბა*, *მოქეთა*, *მორიხოზი*, *მოხობანი*, *სინვოთი*, *ხნთუშეთი*, *ცეცხლაური*, *ცორცელი*, *სათაფლია*, *გარყლობი*, *ახალხაბა*, *დაბაკეთილი*, *ტბეთი*, *თურმანიძე*, *ცივეთი*, *ციხისძირი*, *ჭვარები*, *დაბაწვრილი*, *მერია*, *სხლობანი*, *ციხია*, *შაქეთი*, *ქვათეთრისი*, *ოქრობაქეთი*, *მამანელი*სი, *ვანთა*, *ველი*, *გურნათელი*, *საბუდარა*, *სათლელი* და სხვა. დღეს ოფიციალურად ეს ქართული სოფლის სახელები უკვე თურქული სახელებითაა შეცვლილი. მოსახლეობამ კი ქართული ტოპონიმები კვლავ იცის. უფრო მეტიც – შავშეთის მიკროტოპონომიის (დელეების, მთების, სახვნელების, სათიბების) დიდი ნაწილი კვლავ ქართულია⁸.

შავშეთელთა „გადაბრუნება“-გათურქების მიზეზად *ზაქარია ჭიჭინაძე* იმას ასახელებს, რომ ისინი, განსხვავებით აჭარლებისა და მაჭანკელებისაგან, „იარაღის მიმყოლი“ ხალხი არ იყო, მათ მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო იარაღი გააჩნდათ⁹. სხვათა შორის,

⁷ შავშეთი, რედაქტორი მ. ფალავა, თბ., 2011, გვ. 20.

⁸ ნ. ცეცხლაძე. შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია, ბათუმი, 2000.

⁹ ზ. ჭიჭინაძე. მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფ, 1913, გვ. 270.

ამ მიზეზის უგულვებელყოფა ნამდვილად არ შეიძლება, რადგან 1946 წელს ბორჩხის მიმდებარე სოფლების აყრა-გადასახლების მსურველ მთავრობას (ჯარს) ადგილობრივებმა წინააღმდეგობა იარაღითა და ტყეში გასვლით უპასუხეს. წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ კი ხელისუფლებამ ლიგანელთა გადასახლებაზე უარი თქვა.

შავშეთშია ტბეთის შესანიშნავი ტაძარი, რომელიც 1960-იან წლებში დაუნგრევიათ. იმერხევშია ტოპონიმი „ხანცთა“ – სოფელ უბესთან. გადმოცემით აქ ეკლესია და სასწავლებელი ყოფილა. დღეს ხანცთის მონასტრად *ფორთის* გუმბათოვან ტაძარს მიიჩნევენ. მიგვაჩნია, რომ ხანცთის მონასტერი იქ იყო, სადაც ტოპონიმი „ხანცთა“¹⁰. არქიტექტურულმა ძეგლმა უბრალოდ ჩვენამდე ვერ მოაღწია – აქ ხომ სხვა არაერთი ეკლესია და ტაძარი მოიხპო. ადგილობრივი ინფორმატორის თქმით, „დიობნიდან უბეში რომ გადავიართ ძველად ავადმყოფების სახლი ყოფილა და ხანცთა იმიტომ დაურქმევიათ“. ადგილობრივები ბევრ სოფელში ნაეკლესიარებს მიუთითებენ. საეკლესიო ნაგებობებიდან სამეცნიერო ლიტერატურაში დასახელებულია *გურნათელის*, *დაბაკეთელის*, *ახალდაბის*, *ციხისძირის*, *საზვირელის* ეკლესიები, რომლებმაც ჩვენამდე ნანგრევების სახითლა მოაღწიეს.

შავშეთ-იმერხევში ბევრი საფორტიფიკაციო ნაგებობაცაა, შეიძლება დავასახელოთ: სათლელის ციხე, ხანთუშეთის ციხე, ქვათეთრისის ციხე, დაბაწვრილის ციხე, იფხრეველის ციხე, ხევწვრილის ციხე, უსტამისის (წეფეთის) ციხე... ეს უკანასკნელი მთლიანად აკონტროლებს მთელ შავშეთსა და მიმდებარე ტერიტორიებს. ამ უკანასკნელის აშენებას ადგილობრივები *თამარ მეფეს* უკავში-

¹⁰ რ. თოფჩიშვილი. ხანძთის მონასტრის ლოკალიზაციისა და შავშეთ-კლარჯეთის საეკლესიო ისტორიული გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი. – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. VII, თბ., 2013, გვ. 66-82; **R. Topchishvili. On the Issue of Khandzta Monastery Lokalization.** - Representing History: Theoretical Trends and Case Studies. International Conference Dedicated to 90th Anniversary of Academician Mariam Lordkhanidze s Birth. Proceedings, Tbilisi, 2014, pp. 138-144.

რებენ, მაგრამ, როგორც გარკვეულია ის უფრო ადრე იყო აგებული¹¹.

ცნობილია, რომ ეთნოსის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ისტორიის მახსოვრობაა. შავშელ-იმერხვეელებს *თამარ მეფე* ახსოვთ; მას უკავშირებენ ყველა ხიდის, ციხის, რუს აგებას. ისევე როგორც საქართველოს ყველა მხარეში, მიაჩნიათ, რომ თამარ მეფის საფლავი აქ არის. იმერხვეელი მთხრობელი გვარწმუნებდა, რომ „*სხლობანს წევს თამარა. ველიდან უნდა შეიარო სხლობანს. წამალი უჭამია და იქ დაწოლილა*“.

შავშეთ-იმერხვეში მრავლადაა ქრისტიანობასთან დაკავშირებული ტოპონიმები. მხოლოდ რამდენიმე მათგანის ჩამოთვლით დაეკმაყოფილდებით. სოფელ დიობანში, სადაც სასკოლო კომპლექსია ერთმანეთის გვერდზე სამი საეკლესიო ტოპონიმია; ესენია: **სამებათი**, **საყდრისყელი** და **ჯვარი**. ტოპონიმი „ქილისა“ (=ეკლესია) კი თითქმის ყველგან გვხვდება. ბევრია „ჯვარის“ შემცველი ტოპონიმები: *ყვარიან ჯვარი*, *ქათიჯვარი*, *ქეთიჯვარი*, *კინი ჯვარი*, *საბევი ჯვარი*, *ჯორყანა*, *ჯვარის-ხევი* (სოფელ სურეგანში), *ხუნდი-ჯვარი* (სოფელ აგარაში)...¹² აქვე *ინგა ლუტიძეს* დადასტურებული აქვს: *თარანგელა სერი*, *ინაწინდა*, *ნუკაწმინდურები*¹³.

შავშეთ-იმერხვეი ეთნოგრაფიულად ძალიან ჰგავს მთიან აჭარას. პირველ რიგში აღსანიშნავია ის, რომ სამეურნეო ყოფა თითქმის ანალოგიურია. მეურნეობა სიმბიოზური ხასიათის იყო. როგორც სამართლიანადაა შენიშნული, „შავშეთ-იმერხვეში მეურნეობის ორივე მთავარი დარგი, – მიწათმოქმედებაც და მესაქონლეობაც თითქმის თანაბარი მნიშვნელობითა და მასშტაბებით იყო წარმოდგენილი. ამავე დროს, აშკარაა ამ ორი დარგის სიმბიოზური ხასიათი, როდესაც ერთის განვითარება დამოკიდებულია მეორეზე

¹¹ წყფთის ციხის შესახებ დაწვრილებით იხ.: ჯ. სამუშია. წყფთის ციხე. – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება. შოთა მესხია – 100, თბ., 2016, გვ. 250-272.

¹² მ. ფაღავა. ქრისტიანობასთან დაკავშირებული ტოპონიმები შავშეთში. – ჩვენი სულიერების ბალავარი, თბ., 2011, გვ. 165-174.

¹³ ი. ლუტიძე. ქართველები თურქეთში – ენობრივი ვითარება, თბ., 2016, გვ. 37.

და მათი ჰარმონიული განვითარება იწვევდა მეურნეობის დაწინაურებას“¹⁴.

აქაურები ხნავდნენ ხის სახენელით, რომელსაც აქ „არუნას“ უწოდებდნენ. მასში უღელ ხარს აბამდნენ (კორდის ხვნის დროს – ყევარს). გ. ყაზბეგის ცნობით, შავშეთში *ხორბალი, დოლის პური, ქერი, ჭვავი, ფეტვი* მოყავდათ. შავშეთში საკმარისზე მეტი რაოდენობის ხორბალს იწვედნენ და გასაყიდად სხვაგანაც გაჰქონდათ. იმერხველებმა იცოდნენ სავარგულების დასვენება, თესლმონაცვლეობა და ნიადაგის გაპატივება. მთხრობელის სიტყვით, „კალოს გავლენადავით *სკევრით*. ხარებს შევებამდით და ვსრუსნივდით. ქვეშიდან დაკაჟულია“. შავშეთ-იმერხვეის სოფლებში (განსაკუთრებით *მანატბასა* და *უბეში*) დღესაც ბევრს შეხვედებით ეზოებსა და ლობებზე მიყუდებულ კევრს; კევრი შავშეთ-იმერხველებს კატარისაგან (ფიჭვისაგან) უკეთებიათ. მიწის ხვნისა და ხორბლის ლეწვისათვის ბევრს თავი სულ თხუთმეტიოდე წლის წინ დაუნებებია. იმერხვეში, გარდა კევრისა, შემორჩენილი აქვთ სხვადასხვა შრომის იარაღი: ხის *ნიჩაბ-ფიწლები, საფარცხი საშუალებანი, ხის სახენელი* იარაღები¹⁵. ეთნოგრაფიული ნივთების მთელი კოლექცია (მათ შორის, *ხის ძილები*) აქვს სახლში შენახული მანატბელ აჰმედ ალთუნს (*მოლიძე*), რომელიც ნენეს ანდერძს ასრულებს, რომ მოუფრთხილდეს მათ. დღეისათვის მარცვლეული კულტურები ძირითადად კარტოფილითა (იმერხვეში *მიწიხაპას* უწოდებენ) და ლობითა ჩანაცვლებული.

მაღალ დონეზე იდგა მორწყვის სისტემა. მორწყვის სისტემასთან დაკავშირებული მთელი ტერმინები ზუსტად ისეთია როგორც აქვთ საქართველოში. მაგალითად, რუზე წყლის გადასაკეტ და გასაშვებ ადგილს, რომელიც ჩვეულებრივ თოხით იხსნება და იკეტება „ნაკედალი“ ჰქვია. ამავე მნიშვნელობით ეს სიტყვა დღესაც იხმარება ქართლში – სოფელ დილომში. ისევე როგორც ქართლში,

14 ნ. შოშიტაშვილი. სამეურნეო-ყოფითი კულტურა შავშეთ-იმერხვეში. – ზაქარია ჭიჭინაძის 160 წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 27-29 ივნისი, 2014, თბ., 2015, გვ. 204.

15 ნ. შოშიტაშვილი. სამეურნეო-ყოფითი კულტურა შავშეთ-იმერხვეში. – გვ. 206.

შავშეთ-იმერხევშიც სარწყავი წყლის გამანაწილებელი ჰყოლიათ, თუმცა ამ შემთხვევაში ტერმინ „მერუვეს“ „სუჯი“ ჩანაცვლებია¹⁶.

შავშეთ-იმერხევში მეხილეობაც საკმაოდ განვითარებული იყო. ეთნოლოგებმა ვაშლის, მსხლის, ქლიავის, ტყემლისა და ბლის არაერთი ჯიში დაადასტურეს. მთელი რიგი ჯიშები მხოლოდ ამ ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარისათვის იყო დამახასიათებელი. ხილისაგან ბევრ ჩირსაც აკეთებდნენ. აქ მევენახეობა-მელვინეობაც რომ სათანადო დონეზე იყო განვითარებული, ამას „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაც“ ადასტურებს. დღესაც იმერხევის ბევრ ოჯახში საგულდაგულოდ აქვთ შენახული ჭურები, რომლებსაც ბოლო დროს ფაქტობრივად ფუნქცია ჰქონდა შეცვლილი და მას მწნილის გასაკეთებლად, ბაქმაზის (თუთის წვენიც ტკბილი მოსქელო ნახარში) შესანახად ინახავდნენ. ეს ქვევრები თუ ჭურები ადგილზე კეთდებოდა (სოფელი *სინკოთი*). შავშეთში საწნახლეებისა და მარნების არსებობა XX საუკუნის დასაწყისში *ნიკო მარძაც* დაადასტურა.

მესაქონლეობა ყიშლების და იაილების სისტემის იყო. ყოველ ოჯახს ათიდან ოცამდე მეწველი ძროხა მაინც ჰყოლია. მაისის თვეში ერთი თვით ჯერ ყიშლებში, რომელიც სოფელთან ახლოს იყო, შემდეგ კი იაილებში ადიოდნენ. *კოტორობამდე* (სიმინდის მოჭრამდე) ისევ ყიშლებში ბრუნდებოდნენ. იმერხეველებს იაილები ძირითადად *კარჩხლის მთაზე* ჰქონდათ. აქვე ამოყავდათ საქონელი მაჭანღელებსაც. გვერდიგვერდზე, ერთ სერზე იყო იმერხევის სოფელ ხევწვრილისა და მაჭანღელების იაილები (*გვერდწმინდა* და *მერთა*). იმერხევის ლანდშაფტი მეცხვარეობის განვითარების საშუალებას ნაკლებად იძლეოდა. ამიტომაც აქაურებს მატყლი ძირითადად კოლა-არტაანიდან შემოჰქონდათ, სადაც გარე სამუშაოზე დადიოდნენ. იმერხევს აჭარასთანაც ჰქონია სამეურნეო-ეკონომიკური კავშირი. ნიკო მარის ცნობით, მათ აჭარაში საძოვრები ეკუთვნოდათ, სადაც ზაფხულში საქონელს ერეკებოდნენ. XIX საუკუნეში იმერხეველებს საშოვარზე სიარული შორს სტამბოლსა და სხვა დიდ ქალაქებშიც დაუწყიათ, სადაც ისინი *მეჩისეობას* მისდევდნენ. 1881 წლის ქართული პრესის („დროება“) ცნობით, ანა-

¹⁶ შავშეთი, მ. ფაღავას რედაქციით, თბ., 2011, გვ. 89.

ლოგიური საქმიანობით იყო დაკავებული არა მხოლოდ შავშეთ-იმერხევის, არამედ ლიგანის ახალგაზრდობაც.

შავშელ-იმერხეველები მეთევზეობასაც მისდევდნენ, რის შესახებაც ეთნოგრაფიული მასალა 1904 წელს *ნიკო მარს* დაუფიქსირებია: „თევზჭერით ბევრია დაკავებული, განსაკუთრებით იმ სოფლებში, რომლებიც მდ. იმერხევეზეა განლაგებული. მდინარეში ბევრი კალმახია. „იმერხევის კალმახი, იმფხრეულელთა აზრით, მთელს მსოფლიოშია განთქმული“. იჭერენ თევზს ჯოხზე მიმაგრებული ბადით: „ბადე *კეტი*“. აქაურებმა გადასადგები (სასროლი – რედ.) ბადე იციან, მაგრამ მისი გამოყენება აქ, წყალმარჩხ იმერხევეში შეუძლებელია“¹⁷. ოსმალური ოფიციალური დოკუმენტების თანახმად, იმერხევეში მონადირეობაც განვითარებული ყოფილა, კერძოდ, XVIII საუკუნეში აქაურებს დაკისრებული ჰქონდათ გადასახადი ფოცხვერის ტყავზე¹⁸.

ძირითად სატრანსპორტო საშუალებას წარმოადგენდა *მარხილი*, რომლის ნაირსახეობას „ხიზეკი“ ეწოდებოდა. ხიზეკით თივა გადაჰქონდათ, ტყიდან შემა მოჰქონდათ. შავშეთში ზოგიერთ ადგილას მთლიან ხეში გამოჭრილი ბორბლიანი (გოგორიანი) ურემიც გვხვდება. იგი აჭარაში გავრცელებული *ჩოჩიალა* ურმის ანალოგს წარმოადგენდა. დაღმართზე „საცურავების“ საშუალებით ჩადიოდა, რომელიც ერთგვარი მუხრუჭის როლს ასრულებდა, ხოლო აღმართზე გოგორებით ადიოდა¹⁹. ასეთი ურმები დღესაცაა შემორჩენილი. ნაკელი მოწნული „ზარით“ გადაჰქონდათ, რომელიც მარხილზე იდებოდა. ცივას კი „ლეკურას“ უწოდებდნენ.

საცხოვრებელი სახლები ხისაგან იყო და დღესაც არის აშენებული. მისი პირველი სართული საქონლისათვის იყო განკუთვნი-

¹⁷ ნ. მარი. შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები, რევაზ დიასამიძის თარგმანი, ბათუმი, 2012, გვ. 163.

¹⁸ ნ. შენგელია. რამდენიმე დოკუმენტი შავშეთის, იმერხევის და მაჭახლის ლივების შესახებ. – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება. შოთა მესხია-100, თბ., 2016, გვ. 380.

¹⁹ ნ. შოშიტაშვილი. სამეურნეო-ყოფითი კულტურა შავშეთ-იმერხევეში, გვ. 207.

ლი. მას ახორი ეწოდებოდა („აქ უახროო სახლი არაა“). ორად გაყოფილ ახორში ცალ მხრეს მეწველი საქონელი ჰყავდათ, ცალში – „უწველი“. მეორე სართული საცხოვრებელი იყო, ხოლო მესამე დაბალი სართული ორი ნაწილისაგან შედგებოდა – ერთ ნაწილს ერქვა „მარანი“, მეორეს – „ბედელი“. ძველად სახლები მთლიანი ძელებისაგან უკეთებიათ, ახლა სახლის კედლების ფიცარი „დახეულია“ (დახერხილია). საცხოვრებელი სახლები, ისევე როგორც დასავლეთ საქართველოში, ყავრით იყო გადახურული. საყავრე ხე ტყიდან „ნადით“ მოჰქონდათ. ყველა სახლს აივანი ჰქონდა, რომელსაც ტანტრაბას უწოდებდნენ. დასახლება აჭარულს ჰგავს – თითოეულ სახლს ირგვლივ ეზო-კარმიდამო აკრავს. განსხვავებული დასახლების ტიპი მხოლოდ სოფელ ბაზვირეთსა და მნატბაშია. ბაზვირეთი ზღვის დონიდან 1.900 მეტრზეა და ფერდობზე საცხოვრებლები ერთმანეთის მიჯრითაა განლაგებული. საყურადღებოა, რომ სამცხე-ჯავახეთის მსგავსად, იმერხევიც ჰქონიათ სამალავი დარანები. მაგალითად, სოფელ იფხრევლში ასეთი სამი დარანი ყოფილა, თითოეულში კი დაახლოებით 60 კაცი ეტეოდა. სოფლებში აუცილებელი სამარხილე გზები ჰქონდათ. ღობეები „წენელით დაწნული“ იყო, თუმცა ქვისაგან გაკეთებული ღობეებიც იშვიათობას არ წარმოადგენდა. ჭიშკარი ყავრით ჰქონდათ გადახურული. ის „კოტა“-თი („მოკაკული შეშით“) იკეტებოდა. ხისაგან ჰქონდათ აგებული ორ-სამსართულიანი ნაგებობები – „ქორები“ („ქორი“ უძველესი ქართული ტერმინია. სვანეთში „ქორ“-ს საცხოვრებელ სახლს ეძახდნენ), რომლებშიც თივას ინახავდნენ. ქორი თითოეულ ოჯახს რამდენიმე ჰქონდა, ჭალებში ანუ სათიბ ადგილებში და სახლებთან. სათიბები, ისევე როგორც სვანეთსა და აჭარაში, ირწყვებოდა (რწყვაზე რიგი ჰქონდათ დაწესებული. ვისაც დიდი მიწის ნაკვეთი ჰქონდა, მას წყალი უფრო დიდხანს ერგებოდა). ამის გამო აქ ორჯერ თიბავდნენ. პირველ მოთიბულს „თივას“ უწოდებენ, მეორედ მოთიბულს – „მორჩვს“ („შეკონილ, მოკოჭილ თივას ღორომი ერქვა“). თიბვის დროს იცოდნენ ურთიერთდამარება. იმის გამო, რომ ბალახსა და მორჩვს ქორებში ინახავდნენ, იმერხევის ლანდშაფტისათვის თივის ბულულები დამახასიათებელი არ არის. ერთადერთი გამონაკლისი, ამ თვალსაზრისით, სოფელი მნატბაა.

იმერხევში ბოლო დრომდე აკეთებდნენ ჭურებს. მას ძირითადად მწნილის ჩასადებად იყენებდნენ. სხვათა შორის, აქ რამდენიმე ვიშის მსხალი (*კვირისთავა, კალოპირული, მერულა, თავრიჟული, მარიობა, იშილა*. . .) იყო გავრცელებული და ერთ-ერთი მათგანიდან („სართულა“) მწნილსაც აკეთებდნენ. ჭურებში ინახავდნენ თაფლსაც, *ბექმეზსაც*. ბექმეზი თუთის სქელი მოღულებული წვენია, ძალიან გემრიელი. ხილისაგან – ქლიავის, ვაშლის და მსხლისაგან ძირითადად დიდი რაოდენობით აკეთებდნენ ჩირს.

შავშეთ-იმერხევში სამი სახის ყველს ამზადებდნენ – ერთი იყო „გორჯოლო“, მეორე – „ფშენილა“ და მესამე – „ჩეჩილი“ (მაჭახლელები ფშენილას „ფუნჩხას“ უწოდებდნენ, ხოლო დაწნულ ანუ ჩეჩილ ყველს „ჭიჭიკონს“). ყველი ძირითადად ძროხის რძისაგან უკეთებიათ, თუმცა სცოდნიათ თხისა და ცხვრის რძის შერევაც. ფშენილას ხის ვედროებში – *კროჭებში* (დიდ კროჭებს *ქილაკს* უწოდებდნენ. კროჭი წყლის ჭურჭელიც იყო. მას თავსახურიც ჰქონია. ფშენილას სდებდნენ ასევე ხისაგან გაკეთებულ ოვალურ და დაბალ ჭურჭელში, რომელსაც „*კანდრას*“ უწოდებდნენ) მთელი წლის განმავლობაში ინახავდნენ. ფშენილაის ხშირად მოხრაკავდნენ ხოლმე. დიდხანს ინახავდნენ ჩეჩილ ყველსაც. იცოდნენ ყველის გუდაში შენახვაც. გუდას, ჩვეულებრივ, თხის ტყავისაგან აკეთებდნენ. შავშეთ-იმერხევში პურს, ჩვეულებრივ, კეცში აცხობდნენ, მაგრამ როგორც ირკვევა, ჭოროხის ხეობაში მცხოვრები ქართველებისათვის არც ვერტიკალური საცხობი იყო უცხო. მართალია, აქ ტერმინი „თორნე“ ვერ დავაფიქსირეთ, მაგრამ მთხრობელთა თქმით, „ჭურში აცხობდნენ პურს. აცხელებდნენ და ისე პურის ასეთი საცხობები არტაანშიც იყო. კეცები მერე გამოსულა. მე არ მოვსწრებულვარ ჭურებში პურის გამოცხობას, მაგრამ დედების დროს აცხობდნენ“ (მასალა ჩაწერილია სოფელ *მანჯატეთში*). შავშეთში კერამიკული წარმოების ცენტრი სოფელი *სინქოდი* ყოფილა – აქ, გარდა ჭურებისა, კეცები, დერგები (მაწვნის შესადელებელი), კოკები და სხვ. უკეთებიათ. იმერხევში კეცები ძირითადად ქალებს უკეთებიათ. რაც შეეხება მაწონს, ის „დერგებში“ დედლებოდა. ჭურებში კი თაფლს ინახავდნენ და მჟავეს სდებდნენ. სოფელ *დვეიეთში* უკეთებიათ ეჩო, ცული, წალდი, თოხი, „მანგალი“, ცელი... სოფელ მანატბაში წისქვილის ქვები უკეთებიათ.

შავშელ-იმერხვეელები ისევე იმოსებოდნენ როგორც სამხრეთ საქართველოს სხვა მკვიდრნი – მამაკაცებს „ჩაქურა“ ეცვათ. მაგრამ, როგორც ჩანს, ჩოხა-ახალუხი ზოგიერთ ადგილას გვიანობამდე შემორჩა. აი, ეთნოგრაფიული მასალა: „დავლათში (დასაბომის მეზობელი სოფელი/უბანი – რ. თ.) გვითხრეს: შავშები, ვინც გურჯი არ იცის, ჩვენ „ფისს“ გვიძახიან (ფიზი უშნოდ ჩამოსხმულს, უგვანს ნიშნავსო – აგვიხსნეს), ჩვენ კი მათ – გრძელჩოხიანებს ვეძახით და ამით ვაბლეზებთ“²⁰. საყურადღებოა, რომ ისინი წინდებს თხის „ბალნისაგან“ ქსოვდნენ, რაც მათი მეურნეობის ფორმით იყო გაპირობებული; მოშენებული ჰყავდათ უფრო თხა, ვიდრე ცხვარი. მამაკაცის ქუდეები კი მატყლისაგან იქსოვებოდა. როდესაც ამ ქუდს ზამთარში იხურავდნენ, მხოლოდ თვალები უჩანდათ. ზაფხულში კი ამავე ქუდს აკეცავდნენ და ის მხოლოდ თავზე ეხურათ. ყაბალახები უფრო „ძველ კაცებს“ ჰქონიათ.

იმერხვეელებისათვის ტრადიციული საჭმელი იყო ფეტვისაგან გამომცხვარი *მჭადი*. პოპულარული იყო იალში ჩაფშენილი მჭადი ან პური, რასაც *ჭიმურს* უწოდებდნენ (სხვათა შორის, სოფელ ბაზგიერთში ერთ ნათესაურ გაერთიანებას (გვარს) „ჭიმურები“ ერქვა. ეთნოგრაფიული მონაცემებით, „ჭიმურები“ იმიტომ შეერქვათ, რომ ბევრ ჭიმურს ჭამდნენ).

ისევე როგორც საქართველოს სხვა მხარეებში, იმერხვეშიც აკეთებდნენ საპონს: „საპონ დათვიქონით აკეთებდნენ. ნაცარ თენექში (ქვამში) ჩააყენებდნენ, ჩაყრიდნენ, ზედელამა წყალ დაასხებდნენ, ქვეშედან დაჭიჭნული (დახვერტილი) იქნებოდა“²¹.

იმერხვეელები გარე სამუშაოზედაც დადიოდნენ. არტაანში და კოლაში (გოლაში) ისინი სათიბად მიდიოდნენ, თან ხილი მიჰქონდათ. რაც შეეხება არტაანელებსა და კოლაელებს, თავის მხრივ, ისინი იმერხვეში შეშის მოსაჭრელად მოდიოდნენ, რადგან ისტორიული საქართველოს ამ ეთნოგრაფიულ მხარეებში ტყე არ იყო. შავშელ-იმერხვეელებს მჭიდრო კავშირი ჰქონიათ აჭარლებსა და მაჭახლელებთან. ქართველთა ამ ორ ეთნოგრაფიულ ჯგუფს ისინი ერთმანეთისაგან მიჯნავენ და სხვადასხვა მეტსახელითაც მოიხსენ-

²⁰ შავშეთი, რედაქტორი მ. ფაღავა, თბ., 2011, გვ. 39.

²¹ ი. ლუტიძე. ქართველები თურქეთში – ენობრივი ვითარება, გვ. 45.

ნიებენ – „მაჭახლელებს ვეძახით *ჩიხვს*, აჭარლებს *ბლავებს*. ისინი კი ჩვენ *შავშის* გვეძახიან“. აქვე ისიც შეიძლება აღვნიშნოთ, რომ მათთვის რუსები „ფინთები“ იყვნენ.

შავშეთ-იმერხევში დასტურდება ისტორიულად შორი ადგილებიდან საცხოვრებელ სახლამდე წყლის გამოყვანა როგორც კერამიკის, ისე *ხის მილებით*. საგულდაგულოდ შენახული ხის მილები (კატარისაგან გაკეთებულ ამ მილებს „შემის ფორენგს“ უწოდებდნენ) სოფელ უბეში *ახმედ მოლიძის* (ახლა ალთუნი) ოჯახში აღმოვაჩინეთ. 1,8 და 2,0 მეტრის სიგრძის და 20–25 სმ. დიამეტრის ხეები შუაგულში გახვრეტილი იყო და ისინი ისე იყო მჭიდროდ შეერთებული („მიჭახული“), რომ წყალს არ უშვებდნენ²². ყველა სოფელში რამდენიმე წყაროა. ჩვეულებრივ, წყაროს წყალი ავაზანში ჩაედინება, რომელიც ამოღარული დიდი ხეა.

ეთნოგრაფიული მასალებით დასტურდება დიდი ოჯახების არსებობა. „ოთხი ძმა ერთ ოჯახში ვიყავით. ყველას თავისი ოდა (ოთახი) ჰქონდა დასაწოლი. სახლის უფროსი იყო ასაკით უფროსი ძმა“. იცოდნენ უმძრახობის ჩვეულება. რძალი დედამთილ-მამამთილს არ ელაპარაკებოდა. „დედამთილს უსულოდ ელაპარაკებოდა. ბაღვი რომ ეყოლების ერთი, ორი, მერე დაელაპარაკებოდა“. ოთახში მამამთილის ყოფნის დროს რძალი არასდროს აქედან ზურგშექცევით არ გამოვიდოდა. კარებისაკენ აუცილებლად უკანასვლით უნდა წასულიყო. როგორც მუსლიმები, იმერხველები ნათესავებზეც ქორწინდებოდნენ, მაგრამ, როგორც ირკვევა, ასეთ ქორწინებებს ისინი არ მიესალმებოდნენ. ერთ-ერთი მთხრობელის თქმით, „*თუ ახლობლები დაქორწინდებიან, სახადი გამოა*“. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ძველად ქორწილი, ისევე როგორც დანარჩენ საქართველოში, სამი დღე სცოდნიათ. ხარის დაკვლა აუცილებელი იყო. საქორწილო სუფრებს მრგვალ, დაბალ ტაბლებზე აწყობდნენ. იცოდნენ სათავნო. რძალს ცხვარს დედამთილიც აძლევდა.

საქორწინო ტრადიციები დიდად არ განსხვავდებოდა საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების წეს-ჩვეულებებისაგან. მომავალი მეუღლეების ბედს მამა წყვეტდა. ერთ-ერთი

²² საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია. რ. თოფჩიშვილის საერთო რედაქციით, თბ., 2010, გვ. 145.

ჩვენი ხეწვრილელი ინფორმატორის მოწოდებული მასალით, ცოლი მას სოფელ *ჩიხორიდან* მოუყვანეს. ქორწილამდე არც უნახავს. მამამისი 25-კაციანი მყრით წასულა „დოდოფლის“ მოსაყვანად (ხან ძმა ასრულებდა ამ მისიას). ნეფე კი მოძავალ მეუღლეს სახელში ელოდებოდა. სხვა მთხრობელის თქმით, „მე რომ ცოლი მოვიყვანე, მე ერთხელ დევინახე. ქალმა ოდაში შესვლამდე ჩემი სახე არ იცოდა. როცა ოდაში შეიყვანეს, მერე მიხვდა ჩემი კაციაო“. არც მოტაცება ყოფილა უცხო (ერთ-ერთი სოფლის სახელის წარმოქმნას ლეგენდა სწორედ მოტაცებული ქალის ქორწილში ცეკვას უკავშირებს. მოტაცებულ დას ძმები გამოჰკიდებიან, მაგრამ მისთვის უკვე ქორწილის დროს მიუგვნიათ. დუნახავთ, რომ და ქორწილში სამობდა ანუ ცეკვავდა და უთქვამთ: „და სამობსო“. მას შემდეგ შერქმევია სოფელს „დასამობი“). გადამწყვეტი სიტყვა ყოველთვის მამას ეკუთვნოდა, მაგრამ, მამის მხრიდან უარის შემთხვევაში, დასტურდება ახალგაზრდების გაპარვის ფაქტებიც. მაგალითად, 1950-იან წლებში სოფელ *მანატბიდან* ერთდროულად ორი წყვილი გაპარულა. ერთ-ერთი წყვილის გაპარვის მიზეზი ის იყო, რომ ქალის მამა უარზე იყო შეყვარებულისათვის თავისი ქალიშვილი გაეტანებინა ცოლად, რადგან ვაჟის მამა ხმამაღლა ლაპარაკობდა.

იმერხევაში, ისევე როგორც დანარჩენ საქართველოში, ქორწილს წინ ნიშნობა უძღოდა წინ, რომელთა შორის პერიოდი რამდენიმე თვიდან ერთ ან ორ წელიწადამდე შეიძლება გაგრძელებულიყო. უვაჟო ოჯახში ხშირი იყო ჩასიძების შემთხვევები. ასეთ შემთხვევაში ზესიძე, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთში გვარი ოფიციალურად არ ფიქსირდებოდა, სიმამრის გვარს იღებდა. ეს მემკვიდრეობის მიღების ერთ-ერთი წინაპირობა იყო. „სიძეობად წასვლის“ შემთხვევაში სასიძო გამოსასყიდ თანხას აღარ იხდი²³. ასე რომ, შავშეთ-იმერხევისათვის სყიდვითი ქორწინება იყო დამახასიათებელი, რაც, ბუნებრივია, ქართველებისათვის უცხო მოვლენა, აქ ისლამის გავრცელების შემდეგ გაჩნდა.

ცნობილია, რომ საქართველოს ზოგიერთ მხარეში კაცს მეორე ცოლი მოყავდა იმ შემთხვევაში, თუ ვაჟი არ უჩნდებოდა. შავ-

²³ თ. ფუტკარაძე. ქორწილი იმერხევაში, ბათუმი, 2009, გვ. 11, 13.

შეთ-იმერხევშიც დავაფიქსირეთ ანალოგიური წესი. ქმრისათვის პირველ ცოლს მოუყვანია მეორე ცოლი, რადგან სულ გოგონები ჰყავდათ და იქნებ მეორეს მაინც გაეჩინა „ბლარჭი“. საქორწინო ასაკი 15-16 წელი ყოფილა. 20 წლის დაუქორწინებელზე იტყოდნენ – „დაგვიანდაო, ბაღვები მოგვეწრონ, ჩომ ვაძუებინოთო, ყანებში ვაძუშაოთო“. ოჯახში შემოსულ პირველ რძალს „დიდი-ძალს“ უწოდებდნენ, მეორედ შემოსულს – „პატარძალს“.

იმერხევში ქართველობის შენარჩუნების ერთ-ერთი ფაქტორი ისიც იყო, რომ იცავდნენ ეთნიკურ ენდოგამიას – ქართველი მხოლოდ ქართველზე ქორწინდებოდა. მიხედავად იმისა, რომ იმერხევლებმა გვარი შეინარჩუნეს, აქ გვარის ეგზოგამიურობა დაირღვა, ე. ი. ერთი გვარისანი ერთმანეთზე ქორწინდებოდნენ. ერთმანეთზე ქორწინდებოდნენ ბიძაშვილ-მამიდაშვილებიც, დეიდაშვილებიც. მაგრამ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ დღევანდელ იმერხევში ასეთი ქორწინებების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულებაა. ჩვენი იმერხევში პირველი საქესპედიციო მუშაობისას ივეთელმა ქალბატონმა აღნიშნა, რომ ძმისშვილს მისი ქალიშვილი უყვარს და ის წინააღმდეგია ასეთი შეუღლებისა („მოვკვდები და არ გავატან“).

სამწუხაროდ, დღეისათვის შავშეთ-იმერხევის ყოფიდან ძველი ქართული საქორწილო ტრადიციები თითქმის გაქრა და ის თურქულის ანალოგიურია. ხარის დაკვლა, საქორწილო სუფრის გაშლა აღარ ხდება. სუფრა მხოლოდ ნეფე-დედოფლის წინაა გამლილი, რომელზედაც ტორტი და წვენებია. ქორწილის არსი მხოლოდ მუსიკის მოსმენასა და სიმღერებში გამოიხატება. ცეკვავენ ძირითადად აღმოსავლური ტიპის – „ქოჩარის“ ცეკვას. რაც შეეხება ქართულ ცეკვებს, ისინი ჯერ კიდევ შემორჩენილია. მაგალითად, იმერხევში *სათავის* ფესტივალზე, რომელიც ადრინდელი *შუამთობის* ნაცვლად იმართება, ოფიციალურად დიდ მოედანზე მხოლოდ თურქულს ცეკვავენ, ქართული *ფერხულით* კი თავს ყველა სუფრასთან ახლოს იქცევს. იმის გამო, რომ იმერხევიდან მოსახლეობის დიდი დენადობა მოხდა და სოფლები ფაქტობრივად დაიცალა, იმერხევლები ცდილობენ ქორწილი არა ქალაქში გადაიხადონ, არამედ ზაფხულში სოფელში, სადაც მთელი ნათესაობა იყრის თავს. ხსენებული სათავის ფესტივალმა ბოლო დროის განმავ-

ლობაში ერთი დადებითი მხარე შეიძინა – დიდი ხნის უნახავი ნათესავები ერთმანეთს არ ივიწყებენ.

შავშელ-იმერხვეელები, ისევე როგორც ყველა ქართველი, სტუმართმოყვარენი არიან. ამის დამადასტურებელია შემდეგი ეთნოგრაფიული მასალა – სოფელ *მარხატეთში* მასპინძლის შემოთავაზებაზე როდესაც უარი ვთქვით, მისი უცაბედი პასუხი ასეთი იყო: „**ღმერთი იცით თქვენ? დიახ, თუ შეჭამთ ღმერთს გაუზარდება**“. ისლამმა სტუმართმოყვარეობის ტრადიციას გარკვეული კვალი მინც დაამჩნია. მართალია, სტუმრისათვის საჭმელს ქალი ამზადებს, მაგრამ ის მას სუფრაზე არ ემსახურება, სტუმრის მომსახურებით ძირითადად მამაკაცები არიან დაკავებული.

მაჰმადიანობის მიუხედავად, იმერხვევში შემორჩენილი იყო ზოგიერთი ქრისტიანული ტრადიცია. მაგალითად, სოფელ *ბაზვირეთში* აპრილის ბოლო რიცხვებში ბებიები შვილიშვილებს კვერცხებს წითლად უღებავდნენ. „ახალ წელს ვებნებით. ახალწელს მოიკრიბებოდნენ ბაღები და ერთად ჭამდნენ. ხოჯები გვიშლიდნენ: ახალ წელიწადი გიაურების არისო. ნაძვის ტოტს ახორში მივიტანდით, ახალ წელს ბევრი საქონელი წამოვიდესო“. ისევე როგორც სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში, გვალვიანობის დროს წვიმის გამოწვევის მიზნით, იმერხვევში იცოდნენ „ლაზარობის“ რიტუალი, რომელსაც აქ „ნაზარობას“ უწოდებდნენ. იმერხვეელებს სცოდნიათ „ბერობის“ დღესასწაული: „კაცს შეკაზმავდნენ ვირად, ცხენად, ყოჩად, გახდება ბერობანა, ისამებდნენ (ე. ი. იცეკვებდნენ – რ. თ.). წვერს გააბავდნენ, კუდს გააბავდნენ. ცეკვას „ხელგაშლილას“ ეუბნებიან. ხორუმი სხვაა. ხორუშში მეებმებოდნენ, ხელგაშლილაში ერთმანეთის პირდაპირ დგებოდნენ“. როგორც მიუთითებენ, ამ ცეკვების გარდა, ცეკვავენ აგრეთვე „დართულასის“, „ბაზვირულასის“²⁴. ცეკვას აქ „სამობას“ უწოდებენ. მღერიან ქართულ სიმღერებსაც („მაყრული“, „თეთრო მამალო“, „პატარა გოგო“, „ჯილველო“ და სხვ.).

იმერხვეელ ქართველებში, საქართველოს დღევანდელი ეთნოგრაფიული მხარეებისაგან განსხვავებით, სიტყვა „ლორი“ სიძლიერის, სიკარგის, ვაჟკაცობის სინონიმია (მაჰმადიანურ გარემოში პი-

²⁴ შავშეთი, რელაქტორი მ. ფაღავა, თბ., 2011, გვ. 140.

რიქით უნდა იყოს). საქართველოს მკვიდრ ქართველებს ისინი ამ ლექსიკური ერთეულით მოიხსენიებენ. მთხრობლის თქმით, „*ქართული წერა-კითხვა რომ ვიცოდეთ, ჩვენც ღორი გურჯები ვიქნებით*“.

ისევე როგორც აჭარაში, შავშეთ-იმერხევეშიც ისტორიულად ძირითადი მუსიკალური ინსტრუმენტი იყო *ჭიბონი*.

შემორჩენილია „მარიობის“ დღესასწაული, რაც, რა თქმა უნდა, იგივე *მარიამობა*. მართალია ბოლო პერიოდში „მარიობას“ აღარ აღნიშნავდნენ, მაგრამ რამდენიმე წელიწადია დაიწვეს მისი აღდგენა. პირველები ამ მხრივ ბაზგირეთელები იყვნენ. მისი ძირითადი ფუნქცია დღეს თანასოფლელთა და სოფლიდან ოდესღაც წასულთა ერთად თავშეყრითა და ღროის გატარებით ამოიწურება. დღეობის მონაწილეებმა ძველად იცოდნენ სხვადასხვა ცხოველის ნიღბებითა და ტყავებით შემოსვა. ქალის როლის შემსრულებელი მამაკაცები კი ჩაიცვამენ ქალის ტანსაცმელს, წელზე იკეთებენ სარტყელს. თამაშის მსვლელობისას ხალხში შემოვარდება ვირზე ან ცხენზე მჯდარი მხედარი (შეიძლება იყოს ერთი ან ორი კაცი), რომელიც ასახიერებს მტერს. იგი ცდილობს მოიტაცოს ცხვარი და ქალები, მაგრამ ხალხი მტერს დაიჭერს, ცემს და ნაქურდალსაც უკან იბრუნებენ, ხოლო „დაჭრილებს წყალში დაასველებენ“. ამის შემდეგ იმართება ლხინი, ცეკვა, სიმღერა²⁵.

იმერხეველთა ტრადიციული იმპროვიზებული დღესასწაული იყო *ბერიკაობა* ანუ *ბერობანა*. მონაწილენი იმოსებოდნენ თხის ტყავებითა და ნიღბებით. ქალის სამოსით მოსავდნენ უწვერულ ყმაწვილებს, რომელიც პატარძალს განასახიერებდა. სანახაობის დაწყებამდე მონაწილენი კარდაკარ ჩამოივლიდნენ და საჭმელს კრებდნენ. ბერობანას პერსონაჟები იყვნენ *არაბი*, *თათარი* და *ლეკი*. ისინი ცდობლობდნენ პატარძლის გატაცებას. საქორწინო წყვილს არაბი, თათარი ან ლეკი გაიტაცებდა. ბერიკა კვდებოდა და პატარძალს გაიტაცებდნენ. მაგრამ „მკვდარი“ რომელსაც პატარძლის გატაცებას შეატყობინებდნენ, ცოცხლდებოდა, ის დედოფალს დაიბ-

²⁵ შავშეთი, რედაქტორი მ. ფალავა, თბ., 2011, გვ. 138.

რუნებდა. ამას „ბრძოლა“ ახლდა თან. ყველაფერი ეს ჭიდაობითა და მხიარულებით მთავრდებოდა²⁶.

იმერხევის სოფელ *უბეში* ჩაწერილი მასალებით, ახალი წელი მარტში იცოდნენ. ტრადიციით ახალ წელს სახლიდან არ გადიოდნენ. მთხრობელი აღნიშნავდა: „ჩემი ანაი იტყოდა, ახალი წელი გავრებისაო (გიაურებისაო)“.

იმერხევეში სოფელ *სურევანის* ერთ ნაწილს *რაბათი* ერქვა, სადაც ერმენლებს (სომხებს) უცხოვრიათ, რომლებიც ქართულად ლაპარაკობდნენ. „მათი ენა აქაური ქართული იყო. ცოტა გაგრძელებულად ლაპარაკობდნენ“. აშკარაა, რომ სურეველი ე. წ. სომხები გავრიგორიანებული ქართველები იყვნენ.

იმერხევეში შემოდგომას „სთველს“ უწოდებენ. ეს იმ მხრივაცაა საყურადღებო, რომ შემოდგომის ნაცვლად ანალოგიური ტერმინი გამოიყენებოდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთშიც („სთველი“ – ფშავსა და ხევსურეთში, „ზღველი“ – თუშეთში). ტექნიკის განვითარებას შავშეთ-იმერხეველები მხარს უბამდნენ და შესაბამისად ახალ ქართულ ტერმინებს ქმნიდნენ. მაგალითად, ტაოელებმა თვითმფრინავს თუ „ფრინველი“ უწოდეს, იმერხეველებმა მას „საფრინელი“ შეარქვეს.

მატყლის დეფიციტის გამო (რომლისაგანაც ძირითადად სამოსს ქსოვდნენ), არცთუ იშვიათი იყო ბალიშში ფუჩქის ჩაყრა.

შავშეთ-იმერხევის გამაჰმადიანების შესახებ რამდენიმე ამონარიდი *ზაქარია ჭიჭინაძის* მოპოვებული მასალებიდან: „როცა გავმაჰმადიანდით, მერე მაჰმადიანურათ დავიწყეთ სწავლება. ბერიკაცები ქართულად ლაპარაკობდნენ და პატარები კი ეჩვეოდნენ ოსმალურს. სასამართლოებში ყოველთვის ოსმალურად გველაპარაკებოდნენ. მოლა-ხოჯებიც ოსმალურად გვლოცავდნენ და, მამ მეტი რა გზა გვქონდა, რომ არ დაგვესწავლა მაჰმადიანური. – თქვენ რომ დაისწავლეთ მაჰმადიანური და ქართული დაივიწყეთ, რატომ თქვენს სოფლებს ახლო მდებარე სოფ. *ახლდაბამ*, *ჯვარმა* და *გარყილოფმა* კი არ დაივიწყა? ეს როგორ მოხდა? – მაგაზე ასე იტყოდნენ, რომ ეგენი ერთობ გვიან გადაბრუნდნენ სჯულიდან,

²⁶ ა. სეჩქინი. ესქიყალე წარსულში და დღეს (უსტამისი) – ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები, IV, 2015, გვ. 153.

გვიან მიიღეს მაჰმადიანობაო. ოსმალნი მათ ძალით არ ამაჰმადიანებდნენ, და იგინი კიდევ არ მაჰმადიანდებოდნენ და გამაჰმადიანებულებთანაც მისვლა-მოსვლა არ ჰქონდათ; ერთმანეთში ჰქონდათ მეგობრობა, ნათესაობა, და ყოველთვის ქართულს იტყოდნენო. იმერხევზედაც მაგრე გამიგონია და ასე იტყოდნენ, რომ შავშეთის გამაჰმადიანების დროს, ნახევარზე მეტი ხალხი გაიქცა, არ გამაჰმადიანდაო; სოფლები განახევრდა, სახლები და მამულები ცარიელები იყოვო; ოსმალებმა აქ ქურთები და თურქები მოიყვანეს და დაასახლესო. ისინი აირივნენ ჩვენში და მერე იმათის ლაპარაკით და მეზობლობით ჩვენც ოსმალური ლაპარაკი შევისწავლეთ და ქართული დაგვარგეთო“²⁷.

„შავშეთში, ამ 40 წლის წინად, ყველა მოხუცმა კაცმა და ქალმა იცოდა ქართული ლაპარაკი. ამის შემდეგ აქ ხმები მოჰფინეს, რომ გურჯიჯას ენაზე ლაპარაკს თავი გაანებეთ, თორემ დღეს თუ ხვალ რუსი მოვა აქ, ტბეთს აიღებს და მაშინ ვინც კი ქართულად იტყვის რასმეს, იმას უეჭველად გააქრისტიანებენო. შავშელთ დიდად ეშინოდათ ამისი და ამიტომ ყოველი შავშელი თავის შვილს მხოლოდ მაჰმადიანურს ლაპარაკს და წერა-კითხვას ასწავლიდა. ასე და ამრიგად შავშეთში ქართული ენის ძირიანად ამოვარდნის დრო 1840 წლიდან იწყება“²⁸.

„შავშეთის ხალხი გამაჰმადიანებულა, ბევრი მათგანი აჭარაში გაქცეულა, რადგანაც გამაჰმადიანება არა სდომებიათ, შავშეთის სოფლები განახევრებულა, ისე, რომ თითო სოფელში 10-15 კომლი მოსახლე დარჩენილა, ამაზე მეტად ცარიელი სახლები. ამ ცარიელ სახლებში საცხოვრებლად ოსმალებს თურქები და ქურთები მოუყვანი-ათ და დაუსახლებიათ“.

იმერხევში დღეს არსებულ ენობრივ ვითარებას კარგად ასახავს ერთი მთხრობელის სიტყვები: „თურქული მექთებში (სკოლებში – რ. თ.) დევისწავლეთ. ძველად სხვა ენა, ლაპარაკი შესცკვებოდნენ, ეს რას ლაპარაკობსო, დევჯიქებოდნენ, ახლა ვინსკაც როგორც უნდა, ისე ილაპარაკოსო. ბავშვებმა არ იციან, მამამ უნდა ასწავლოს. ამ ხეებს, თეებს (მთებს) ჩვენი ქართული

²⁷ ზ. ჭიჭინაძე. ქართველთა გამუსლიმება, თბ., 2004, გვ. 35.

²⁸ ზ. ჭიჭინაძე. ქართველთა გამუსლიმება, თბ., 2004, გვ. 37.

ლაპარაკი გაგონილი აქვენ. მერე იტყვიან, სა წავიდენ ესენიო“²⁹. დაბოლოს, რამდენიმე სიტყვა შავშურ-იმერხეული დიალექტიდან: *მოზარული კაცი* – ზარმაცი კაცი, *ჩაი დაძველდა* – ჩაი გაცივდა, *საქმე დავლიე* – დავამთავრე, *ნაჯდომი* – გაუთხოვარი გოგო, *გაერჩივნენ* – გაიყარნენ დედ-მამა, *ახლა შევიცანი* – ახლა გავიცანი, *კიკნათი* – ასკილი, *იფხვრი* – გვიძრა, *კატარი* – ფიჭვი, *ტანტრაბა* – აივანი, *კოკოლაი* – გირჩა. ისევე როგორც დანარჩენ საქართველოში შავშურ-იმერხევეში „შვილს“ ვაჟს უწოდებენ („შვილი ვინ მომცა, ბახლები მყავს“)³⁰.

²⁹ ი. ლუტიძე. ქართველები თურქეთში – ენობრივი ვითარება, გვ. 47.

³⁰ ი. ლუტიძე. ქართველები თურქეთში – ენობრივი ვითარება, გვ. 43.

გვარები შავშეთ-იმერხევში

ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნიკურ ქართველთაგან ქართული ენა და ტრადიციები კარგად შემონახეს იმერხეველმა ქართველებმა. იმერხევში ქართული გვარსახელებიცაა შემონახული. დავიწყებთ იქიდან, რომ იმერხევში ბევრი ტოპონიმი სწორედ გვარის სახელს ატარებს. ესენი ძირითადად უბნების სახელებია, თუმცა მათ შორის რამდენინე სოფელიცაა.

შავშეთ-იმერხევში ასეთ ტოპონიმთა შორის შეიძლება დავასახელოთ შავშეთის სოფელი ახალდაბა, რომლის უბნები გახლდათ: *გელსაძე, გოგელიძე, გოგინიძე, პოპაძე, ურუმიძე-არუშიძე*. სოფელ გარყლობის უბნების ერქვა: *ქდავციძე, მიქელუთი...* თავისთავად ცხადია, აღნიშნული ტოპონიმები პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ აქ სწორედ შესაბამისი გვარების წარმომადგენლები ცხოვრობდნენ. მართალია შავშეთში ქართველებმა ეთნიკური ქართველობა ვერ შეინარჩუნეს – დღეს ისინი თურქები, ე. წ. ასიმბლირებული (იმერხეველთა გამოთქმით – გადაბრუნებული) ქართველები არიან, მაგრამ ზემოხსენებული ტოპონიმები პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ აქ *გელსაძეები, გოგელიძეები, გოგინიძეები, პოპაძეები, ურუმიძეები-არუშიძეები, ქდავციძეები, მიქელაძეები...* მკვიდრობდნენ.

საყოველთაოდ ცნობილია შავშეთ-იმერხევის ისეთი ორი სოფლის დასახელება როგორცაა *თურმანიძე* და *ლიონიძე*. ეს სოფლები ივანე ჯავახიშვილის 1923 წლის საისტორიო რუკაზეცაა დატანილი. 1886 წლის საოჯახო სიებით სოფელი *თურმანიძე* გარყლობის საზოგადოებაში შედიოდა, ხოლო *ლიონიძე* ჩიხორის ერთ-ერთ უბნად იყო გადაქცეული. ჩიხორის ერთ უბანს *გევაზულარი* ერქვა, ე. ი. ის *გევაძეების* სოფელი იყო. აქვე დაფიქსირებულია *პეტრაკეთი*. ესეც ტოპონიმად ქცეული ანთროპონიმია. შავშეთში, გარყლობის საზოგადოებაში შედიოდა სოფელი *ცივიეთიც*. სოფლის სახელწოდება პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ამ სოფელში *ცივაძეები* ცხოვრობდნენ ან, უკიდურეს შემთხვევაში, სოფელი ოდესღაც მხოლოდ ამ გვარის ხალხით იყო დასახლებული, მათი შექმნილი იყო. ცივიეთის უბნებიც 1886 წელს ასევე გვარების სახელებს ატარებდნენ: *დულაბიძე, ლასურიძე, ხილვაძე*. იქვე სოფელ ჯინალის უბნების სახელწოდებებიც – *ზაქარიეთი, ლაგუ-*

ნეთი – პირდაპირ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მათში ზაქარიადები და ლაგუნები ცხოვრობდნენ. სოფელ ჭვარების ერთ-ერთ უბანს შალიკი ერქვა. რა თქმა უნდა, შალიკში შალიკაშვილები მკვიდრობდნენ. XIX საუკუნეში უკვე თურქული იყო შავშეთის დაბაწვრილის, ოქრობაგეთის, სათლელ-რაბათის საზოგადოებებიც. ამ საზოგადოებათა სოფლების უბნები მათ ქართულ წარმომავლობაზე მიუთითებს. მაგალითად, სოფელ ბალვანას ერთ უბანს ერქვა *სამხარო-ოღლი*, ხოლო მეორეს – *კანკლო-ოღლი*, რაც თარგმანია, პირდაპირი კალკია ქართული *სამხარადისა* და *კანკლიძისა*. დაბაწვრილის უბნები იყო: *კოპაძე*, *ხილაძე*, *ჩუვაძე*. შავშეთის სოფელ მერიაში 1886 წლის აღწერაში დაფიქსირებულია უბნების სახელწოდებანი : *იბადი-ოღლი*, *კაია-ოღლი*, *შათირ-ოღლი* და *ირემაძე*. აქ უბნის სახელი *ირემაძე* თუ პირდაპირ მიუთითებს იმის შესახებ, რომ ის გამჭვირვალე ქართული ანთროპონიმია, მემკვიდრეობითი სახელია, იბადი-ოღლი, კაია-ოღლი და შათირ-ოღლი ქართული ანთროპონიმების *იბადიძის*, *კაიაძის* და *შათირიშვილის/შათირიძის* თურქული ვარიანტებია.

შავშეთის სოფლის სხლობანის ყველა მაცხოვრებელი 1886 წელს უკვე თურქად იყო ჩაწერილი და მხოლოდ ერთ ოჯახს ჰქონდა ქართველობა შენარჩუნებული. მაგრამ სხლობანის უბნების სახელწოდებანი თითქმის მთლიანად ქართული იყო და ეს სახელწოდებები გაანთროპონიმებული იყო, გვარსახელი უბნის სახელად იყო გადაქცეული, რაც აგრეთვე იმაზე მიუთითებს, რომ ისევე როგორც საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებშიც, აქაც ერთი გვარის წევრები ერთმანეთის გვერდი-გვერდ ცხოვრობდნენ: *პერანათი* (ე. ი. *პერანიძე*), *ფუტკარაძე*, *თულაძე*. სოფელ ციხიას უბნებს ერქვა: *ხათორეთი*, *ჩიკრიკ-ოღლი*, *გორალი-ოღლი*, *ტუსი-ოღლი*, ე. ი. *ხათორიძეები*, *ჩიკრიკიძეები*, *გორალიძეები*, *ტუსიძეები/ტუსიშვილები*. ოქრობაქ(გ)ეთის საზოგადოების ერთ-ერთი სოფლის მამანელისის ერთ-ერთი უბანი *კაკაბ-ოღლის* სახელს ატარებდა. ე. ი. მისი მკვიდრნი იყვნენ *კაკაბაძეები*. ამავე სოფლის სხვა უბნის სახელწოდება იყო *კარალ-ოღლი*, ე. ი. მისი მკვიდრები *კარალიძეები* იყვნენ. ოქრობაგეთის უბნები იყო აგრეთვე: *კოშლიეთი*, *საკი-ოღლი* (რაც ქართული *კოშლიძეებისა* და *საკიძეების* შესატყვისია). სოფელ კუჭენის უბნები იყო: *აბდულ-ოღლი* (ე. ი.

აბდულიძე), პაპუკ-ოღლი (ე. ი. პაპუკიძე), პისიკ-ოღლი (ე. ი. პისიკიძე). სათლელ-რაბათის საზოგადოების სოფელ მორგელის უბნებს ერქვა *გოგორ-ოღლი* და *გორგინ-ოღლი*. ბუნებრივია, პირველი *გოგორიშვილის* თურქული ვარიანტია, მეორე კი – *გორგინიძისა*. სათლელ-რაბათის ერთ-ერთ უბანს ერქვა *კარკარ-ოღლი*, რაც ქართული *კარკაძეების/კარკარიძეების* თურქიზებული ფორმაა. შეიძლება დავასახელოთ კიდევ სოფელ სოფორას უბნები *ბუნბუნ-ოღლი* და *ტუზი-ოღლი*. ისინი *ბუნბუნიძისა* და *ტუზიძის* კალკირებული ვარიანტებია.

შავშეთში, 1886 წლის საოჯახო სიებით, სოფელ ვერხუნას/ვერხნალის ერთ უბანს *რომიეთი* ერქვა, რაც იმას ნიშნავს, რომ ის თავის დროზე *რომიძეებით* იყო დასახლებული. სოფელ ცეცხლაურის ერთი უბანი კი *ტოკაძის* სახელს ატარებდა. სოფელ დაბაკეთილის ერთ-ერთი მეჰელეს (ანუ უბნის) სახელია *მარჩილ-ოღლი*, ე. ი. *მარჩილიძე*. იქვე მიუთითებენ ტოპონიმს *კოპაძე*.

1886 წელს იმერხევის დაბის საზოგადოებაში 6 სოფელი იყო: ბაძგირეთი, დაბა, ზაქიეთი, სურევანი, უბე, ხევწვრილი (222 კომლი, 1599 სული). აქ სოფელ ზაქიეთის უბნები იყო: *ჯარბიძე* (*ჯარბიძეს* ზაქიეთის მაჰალედ დღესაც მიუთითებენ), *ჩიკორიძე*... უბეში ორი უბანი იყო გამოყოფილი: *გორგაძელარ* და *ჩევიძელარ*. ეს უბნები დღეს უბეში ეთნოგრაფიული მონაცემებითაც დასტურდება. ამ სოფელში *გორგაძეები* და *ჩევიძეები/ჭევიძეები* დღესაც მკვიდრობენ. სურევანის უბნებს შორის ვხვდებით *გუდალიზელარსა* და *დავითიძელარს*, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აქ *გუდაძეები* და *დავითიძეები* ცხოვრობდნენ. სოფელ ხევწვრილში 1886 წლის საოჯახო სიებით აღნიშნულია უბნები: *აბრამიეთი*, *ბელტიეთი*, ე. ი. *აბრამიძეები* და *ბელტიძეები*.

1886 წელს წყალსიმერის საზოგადოების სოფლები იყო: დიობანი, ივზრეველი, წეთილეთი, წყალსიმერი. დღეს დიობანის მკვიდრები უკვე გათურქებული არიან. დიობანის უბნები იყო *აბნაძე*, *ზიალიძე*, *ზიქრიეთი*, *ქოქლიძე* – დღეს *ქოქლიეთის* უწოდებენ, *ქუბაშიძე*. *ზიქრიეთში* *ზიქრიძეები* ცხოვრობდნენ. XIX საუკუნეში უბნის სახელად პირდაპირ გვარის ფორმა (*ქოქლიძე*) დადასტურდა. როგორც აღინიშნა, დღეს ადგილობრივები თავიანთ სოფელს *ქოქლიეთს* უწოდებენ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ გვარებისა და

აქედან გამომდინარე ტოპონიმების სუფიქსებიც ადგილობრივთა მეტყველებაში ერთმანეთს ენაცვლებოდა, ისინი ერთმანეთის ფარდი იყო. როგორც ქოქლიეთის მიკროტოპონიმები მიუთითებს, აქ გვარები ცალკეული უბნების მიხედვით იყვნენ დასახლებული; ეს უბნებია: *ბაირახტარიენთი, იბადიეთი, მოსიენთი, ჯაფარეთი, ლოლიეთი, გოგლეთი, ოსმანიეთი, მელისკელიენთი, ჰურიენთი, ვალმაჰურიენთი/კაკავნები...*³¹ ჩამოთვლილი ტოპონიმები პირდაპირ მიუთითებს იმის შესახებ, რომ *იბადიენთ* უბანი *იბადიეებს* ეკუთვნოდა, *მოსიენთი* – *მოსიეებს*, *ჯაფარეთი* – *ჯაფარიეებს*, *ლოლიენთი* – *ლოლიეებს*...

იფხრევი შედგებოდა *ივეთისა* და *იმნაძეს* უბნებისაგან. იმნაძეთა უბანი 1886 წლის საოჯახო სიებში თურქიზებული *იმნაზელარის* ფორმითაა ჩაწერილი. წეთილეთის უბნები იყო: *მარხატიძე, ხოხლაური* (დღეს ხოხლევი). წყალსიმერის ერთ-ერთ უბანს *ხილკაძე* წარმოადგენდა.

ახლა ეთნოგრაფიულ მონაცემებს მივმართოთ. იმერხევის სოფელ ივეთში დასტურდება შემდეგი მემკვიდრეობითი სახელები: *დაბელიძე/დაბლიეთი, ზურაბიძე, ჰუსუნთი, ლაკოლიენთი, ფიღისიენთი, ვაბიენთი, ქაშაკლიენთი, ზობიენთი, ავჯიენთი, ზემოენთი, ცხიკათიენთი, მუჰამედიენთი, ჭალიპარიენთი, წიკათიენთი, იხშიენთი...* იმერხევის სოფელ ივეთს ქართული გვარების უძველესი მაწარმოებელი -ეთ სუფიქსი აქვს შემონახული. ამკარაა, რომ აღნიშნული სუფიქსი აქ -ძე სუფიქსთან მონაცვლეობდა. ინფორმატორის თქმით, ივეთის ძველი გვარები არიან: *დაბელიძე, ზურაბიძე* და *გოლიენტლები*. ეს უკანასკნელნი საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარედან – გოლადან/კოლადან მოსულებად მიიჩნევიან. აქედანვე მიგრირებულან *იშხნელიძეებიც*: „იშხნელიძეები იყვნენ, ახლა *კარამედოლეები* არიან. ესენი გოლადან მოსულან. სამი ძმა ყოფილა, ერთს ზურაბი ერქვა, მეორეს – გოლა, მესამეს არ ვიცი. ერთი დამჯდარა წყალსიმერში, მეორე – იფხრევლში, მესამე – ივეთში. *იშხნელიძეების* წინაპარი არის გოლადან მოსუ-

³¹ ტ. ფუტკარაძე. ქართული ენა, როგორც თურქეთის რესპუბლიკის კულტურის ერთ-ერთი შემადგენელი: პრობლემები, პერსპექტივები – ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები, IV, 2015 (2017), გვ. 34.

ლი. *იშხანიძეებიცა* და ჩვენც (დაბელიძე – რ. თ.) გოლიდან ვართ მოსული. *ზურაბიძეებიც* გოლადან მოსულან“. კოლადან იმერხევში მოსახლეობის მიგრაცია შემთხვევითი არ უნდა იყოს, რადგან ისტორიული საქართველოს ამ ორ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეს შორის მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები არსებობდა. ამავე სოფელში დადასტურდა გვარი *ნიკოლიენთი*. კიდევ: „ჩემი გვარი *ფილისიენთია*, ძველად *მეთაფლეს* ამბობდნენ“; „ჩვენ *სამოლიენთი* ვართ, ეს ბიძაი *მამადიენთია* – ამათი გვარი ესაა. *ზურაბეთლები* არიან, *ბუსუნთები* არიან. *ზურაბიძე* დაწერე? *ქასკაკლიენთი* – ადგილიდან აქვთ ალებული გორი“. მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ სოფელ ივეთში რამდენიმე გვარს აქვს გადმოცემა საერთო წარმომავლობისა და მიგრაციის შესახებ: „*ჰამზიენთ* ადგილზე ახლა *ზურაბიძეები* სხედან. *ჰამზიენთნი* ბათუმისაკენ წასულან. ოთხი ძმა მოსულა: *ზურაბიენთი*, *ავჯიენთი*, *კოლიენთი*, *სამოლიენთი*. სოფელი ამათ გააკეთეს.“

სოფელ წეთილეთშიც გვარებს - ეთ სუფიქსით იფორმებენ, მაგალითად, *ხოჯიენთი*, *დედუნთი*. ბაზგირეთელი მთხრობელი თავისი გვარის შესახებ აღნიშნავდა: „გვარად *ზუმბიეთი*, *ზუმბაძე* ვარ, დედა *თეთრიეთია*, *თეთრაძე*“. მეორე მთხრობელი გვარად *იმნაძეც* დედის გვარს უშარიეთს მიუთითებს. ბაზგირეთის ერთ-ერთი დიდი გვარია *ცვარიძე*. აქვე ცხოვრობენ *ყასიმოღლები*, *ყარამეჰმეღოღლები*, *ფერათოღლები*, *ბესონები*, *ავჯიოღლები*, *ხოჯიენთი*, *ენჩლიენთი* (*ენჩაროღლი*), *ხარზიენთი*. მკვიდრობენ *ბოლქვაძეებიც* (5 ოჯახი): „ჩემი მამა იტყოდა, საქართველოს მხრიდან ვართ მოსული ბოლქვაძეები. ერთი ჩიხის ხევშია ჩვენი გვარის, მეორე – შავშეთის სოფლებში და მესამეს უთქვამს მე, ცივი წყალი უნდა ვსვა და ბაზგირეთს მოსულა. ბაზგირეთის მაჰალეში – გამეშეთში ცხოვრობენ *სარიოღლები*, *დეღიჰასანოღლები*, *ბოიარჩები*. ეთნოგრაფიული მასალებით, *ცვარიძეების* ადრინდელი გვარი *ცხვარაძე* ყოფილა: „ჩვენი ძველი გვარი *ცხვარაძე* ყოფილა. იმერეთში ყოფილან. ომი ქნილა და იმაზე წამოსულან. პირველი ისინი დაჯდნენ“ (ფიქრი იაზარ-ცვარიძე, 2007 წელი, 60 წლის). იმავე მთხრობელისაგან ჩაწერილი მასალით *ყადიოღლების* ქართული/ადრინდელი გვარია *ალიძე*.

სოფელ ბზათაში ასეთი ეთნოგრაფიული მასალა დადასტურ-

და: „*ფილიპიტე* ძველი გვარია, *ფუტკარაძე* ახალი გვარია“. რაღაც მიზეზის გამო *ფილიპიტეები* *ფუტკარაძის* გვარზე გადასულან. მართალია აქ გვარი უკანასკნელი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ოფიციალურად არ ფიქსირდებოდა, მაგრამ დაფიქსირებული იყო ხალხის მეხსიერებაში, ზემოთ მოყვანილი ფაქტით კი მათ ადრინდელი გვარიც ახსოვთ. სოფელ ბზათაში დასტურდება გვარსახელები: *შარაბაძე*, *ზაქარიაძე*, *ზაქრაძე*, *ფილიპიტე*, *ბაბელიძე*, *ციცენაძე*, *კარალიძე*. „*ურბენიძეები* სოფელ წყალსიმერში არიან“. ეთნოგრაფიული მასალა: „ქართული გვარია *ომაროღლი*. უფრო სწორია *ჰასუნთი*. ჩვენი გვარის ხალხი 10 ოჯახია აქა. აქ არიან კიდევ: *ომარიენთი*, *შარაბეთი*, *ციცვიენთი*, *ლაიკიენთი/ლაიკეთი/ლაიკიძე* (ადგილი აქ *ლაიკიენთია*), *გალმა ყარსლიენთი*. აქ არიან *ზაქრიძე*, *ყარალიენთი* (*ყარალიძე*), *მზმანიენთი*, *ბაბელიენთი* (*ბაბლიძე*), *არჩიენთი*, *ბზვარიენთნი*, *შარაბიძე*, *კაკაბიძე*, *კოპიენთი* (წყალსიმერს ეკუთვნის), *ფილიპიეთი*“.

შოლტის/შორთისხევში ეთნოგრაფიული მონაცემებით ცხოვრობენ *კვირიკაძეები*. მთხრობელის *ახმედ ახვუნის* სიტყვით: „*კვირიკაძეა* ჩემი გვარი. ერთი დედე (=პაპა) გვყოლია და იმ დედეს სახელი *ღურადდედე* ყოფილა. იმაზე *ღურადოღლიც* გავხდით. *კვირიკაძე* ახლა სოფელში 6 კომლი ვართ“. ამ მასალით აშკარაა ქართული გვარის შიგნით დანაყოფის ანუ მეორე მეგვიდრეობითი სახელის – მამიშვილობის/ბაბუიშვილობის წარმოქმნა. გარდა *კვირიკაძეებისა*, შოლტისხევში ცხოვრობენ აგრეთვე შემდეგი ქართული გვარების წარმომადგენლები: *თე(ა)თვიენთი* („ბათუმიდან მოვსულვართ. იქიდან გამოვყრილვართ. ალაგზე წაკიდებიან“), *იფშიროღლები*, *ურბენიძეები*, *მიქელაძეები*, *ქურდიკიძეები*. *კვირიკაძეები* სადაც ცხოვრობენ, იმ უბანს *კვირიკეთს* უწოდებენ, ასევე ადგილისა და გვარის სახელიცაა *ციციენთი*, *ბათილეთი*, *თათუნთი*, *ქორჩიენთი*, *ქეიენთი*, *ქურდიკეთი*, *ხუჯიენთი*, *ბალიენთი...*³² ასე რომ, როდესაც იმერხევში გვარს ახსენებენ, შეიძლება ესა თუ ის ქართული გვარი -ძე სუფიქსითაც მოიხსენიონ და -ეთ სუფიქსითაც.

სოფელ იფხრევლში ცხოვრობენ *ხატიოღლები* იგივე *ხატიძეე-*

³² შლრ.: ტ. ფუტკარაძე. ქართული ენა, როგორც თურქეთის რესპუბლიკის კულტურის ერთ-ერთი შემადგენელი, გვ. 22.

ბი და იმნაძეები. იმნაძეებს იმნიეთსაც უწოდებენ და შესაბამისად მათი უბანიც ამავე სახელით მოიხსენიება. აქვეა *ჭურკვეთიც*. იმნიეთში იფხრევლიდან შემორევიათ *ბუტიძე*. ეთნოგრაფიული მასალა: „ქართული გვარი *ბუტიძე*. ამ სოფელს *იმნაძე (იმნიეთი)* ჰქვია. დაუურქმევია ძველებს გვარი, ცხოვრობდა *იმნაძე*. მთლიანად იფხრევლია. მაგრამ იფხრევლი გაღმაა, გამოღმა *იმნიეთია, ჭურკვესეთია* ზემოთ. აქაურობა გურჯებისაა. *ბუტიძე* ძველი გვარია. ჩემი დედი (=პაპა, ბაბუა) იფხრევლიდან გამოსულა. ზესიძედ იყო. *ბუტიძეები* იფხრევლში არიან. *ბუტიძეები* ვართ, მაგრამ ჩვენც *იმნაძე* გავხდით, რადგან *იმნაძის* მამულზე გაჩნდა (=დავდა, დასახლდა), იმნაძედ ვართ. აქაური ძველი გვარებია *მოსიძე, სორყაძე, სუბუქიძე, ჭურკვესიძე, იფშირეთი, იაღჯები, საღრიძე*“. მოყვანილი ეთნოგრაფიული მასალა ფრიად საყურადღებოა. აღარაფერს ვიტყვით ჩამოთვლილ გვარებზე და მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ იმერხევშიც ზესიძედ მისვლის დროს ისეთივე ჩვეულება არსებობდა როგორც დანარჩენ საქართველოში – ზესიძე, ფაქტობრივად, მისი შთამომავლები გვარს იცვლიდა, რადგან სხვის მამულზე ჯდებოდა. სხვანაირად სიმამრის ქონების მემკვიდრეობით მიღება გამორიცხული იყო.

დასაბოლოოში *მჭედლიძეები/მჭედლიენთი* ცხოვრობენ, მაგრამ ირკვევა, რომ ისინი აქ სოფელ დევეითიდან არიან გადმოსახლებულნი: „*მჭედლიენთი* ბევრი ვართ *დევაძეებში*. დევაძეები ცხოვრობენ *დევეითში*. უბეში *ჭივაძეები* არიან, კიდევ: *თურანოღლები, მოლოღლები*. სოფელ ზიოსში არიან *ბაღაძე (ბაღიეთი/ბაღთი), ბექაძე/ბექეთი (10-15 კომლი), სარვანიძე, ტალახაძე, მოლიეთნი/მოლოღლი/მოლიძე, თურანოღლი, ქომოჯიენთი, ხველიეთი, აბღიეთი. ჭიმურაძე* (ჭიმურები არის ცხელი მჭადი ჩატენილი, ერბოში ჩადებული). იყვნენ *შუთები* და აღარ არიან“. 92 წლის იუსუფაი *ჭიმურიძის* თქმით, მათ „*ჭიმურებ* ეტყვიან.“ აშკარაა, რომ ერთი გვარი ზოგჯერ სამი სუფიქსითაც კი იწარმოება, ქართული ენა ამის საშუალებას იძლეოდა, -ეთ სუფიქსის ნაცვლად ამ ფუნქციას -ებ სუფიქსიც ასრულებდა. ეთნოგრაფიული მონაცემებით, „*დევაძეები* მაჭახლიდან ვართ. ძველები *კიბორიძეები* ყოფილან. დემურჩი (ე. ი. მჭედელი) ყოფილა ჩვენი ძველი. უკეთებია თოხნი, წალდი, ეწო, დანა და მოსულა *დევაძეებში* დასახლებულა, ჩვენს მეჰელეში. მჭე-

დელს ეტყოდნენ და *მჭედელ-ოღლებს* გვეტყოდნენ“. ამ ეთნოგრაფიული მასალით აშკარაა, რომ მაჭახლიდან გადმოსახლებული მჭედელი დევაძეების უბანში სახლდება, მათ გვარს იღებს და ამავე დროს საფუძველს უყრის *დევაძეების* გვარის განაყრობას *მჭედელოღლებს*. მოყვანილი მასალა იმითაცაა საყურადღებო, რომ მიგრანტის შთამომავლებს ახსოვთ და აქვთ გადმოცემა ადრინდელი გვარის (*კობორიძე*) შესახებ.

იმერეხევის ერთ-ერთი დიდი სოფელია სურეხანი. ამ სოფელში სიმრავლით გამოირჩევიან *დავითთები*. „*დავითთ* 25 სახლი ვართ. ჩემი ძველები აქ ყოფილან. აქედან იმათ ნახევარი გურჯისტანს აქეთ-იქით დაფანტულან“. სურეხანში ცხოვრობენ კიდევ *შარმათები*, *ზაზალები*, *მურეშები*, *ქოსოღლები*, *იქი(ნ)თლები* („*იქიენტლები* აჭარიდან გადმოსულან“), *ბუტიძეები*, *შარაძეები*, *ლაზოღლები*, *ასლანოღლები*, *თანთოღლები*, *კოლოტიძეები*, *პეტროღლები*, *ქოსეთი*, *დღვაბიძე* („*დღვაბიძე* ჩვენი სოფლის მეჭელეა, *ხილვაძეც* მეჭელეა“), *გათენიძე* („ამ სოფელში *გათენიძე* წასულა და *დღვაბიძე* მოსულა“)... სურეხელი მთხრობელი აღირეზა ყარა გადმოგვცემს, რომ „*ყარანოღლი* ვიყავით პირველად. ჩემი დედე აჭარას გაზრდილა. ერთი ლომანა ყოფილა მაჭახელში და გამზრდელი იყო *ლაზოღლი* და გახდა *ლაზოღლი*. სამი კომლი ვართ აქ და გარეთ 30 კომლი იქნება *ლაზოღლი*. სურეხანში *ყარანოღლები* არიან 5 კომლი. ძველი *ყარანოღლი* ყოფილან და უკან დროს გვარი გადაუცვლიათ *შარაძედ*, *თანთოღლად*... სხვა მთხრობელის შენიშვნით, ყარანოღლებს 5 განაყრობა აქვთ: *თანთოღლი*, *ლაზოღლი*, *სურაოღლი*, *შარაძე* და *ყარალოღლი*. ძველად ამ სოფელში 3 კვამლი ყოფილა: *პეტროღლი*, *ყარანოღლი*, *იქიეთლები*. *ყარანოღლი* აქაურია“. *პეტროღლებს* გადმოცემა აქვთ, რომ მათი წინაპარი *პეტრიაშვილი* ოდესღაც „რაჭიდან ჯერ ორდუს ჩავსულვართ და მერე იქ კაცი მოუკლავთ და აქ გამოქცეულან. ასე გვაქვს გაგონილი ზემო ბარიდან მოვსულვართ. სამი კვამლი ვართ. არიან *პეტრებიც*, ამბობენ ნათესავები ვართო, მაგრამ დანმადვილებით არ ვიცი. *პეტრები* დაბაში არიან“.

ქართულ ეთნიკურ გარემოს მოწყვეტილ იმერხევეში გვარებთან დაკავშირებით ისეთივე პროცესები მიმდინარეობდა, როგორც დანარჩენ საქართველოში – ხდებოდა ახალი მემკვიდრეობითი სახე-

ლების წარმოქმნა. *ყარანოღლების* ერთი ნაწილი *ლაზოღლი* გახდა. მამის გვარი გამზრდელის გვართ შეიცვალა. მაგრამ თურქული ეთნიკური გარემო მიანიც თავის დაღს ასვამდა ქართულ ანთროპონიმებს. ზოგიერთი ქართული გვარის სუფიქსები თურქული სუფიქსითაა შეცვლილი. ამის მაგალითად ყარანოღლიც გამოდგება, რომლებიც უდავოა ადრე *ყარაძეები* იყვნენ. ამას მთხრობელის სიტყვებიც ადასტურებს: „ჩვენ *ლაზიენთი* ვართ და გავხდით *ლაზოღლი*“. სურევანში *ხაჯალიძეები* ცხოვრობენ. მთხრობელის სიტყვით, „ჩვენ (*ხაჯალიძეებს*) *ხაღლაზეებსაც* გვეტყვიან“. ასახელებენ *დაჩიძესაც*. სურევანის *დავითთ* უბანში მიუთითებენ აგრეთვე გვარს *შამათა*.

იმერხევის სოფელ უბეშიც რამდენიმე ქართული გვარი ცხოვრობს. აქ არიან *მოლოღლები* ანუ *მოლიძეები*, *კორტოხაძეები*, *ჭივაძეები/ჩივაძეები* („ჭივიეთი უბანია უბის“), *გორგვაძეები/გორგოძეები*, *კოვიძეები*, *აჭალიძეები*, *ელაძეები*. ეთნოგრაფიული მასალები: „*კორტოხაძე*, *კოვიძე*, *გორგვაძე*, *ჭივიძე* – ძველად იტყვიან ესენი ხუთი ძმა ყოფილან და ბარში სულ დაბლა მსხდარან და იქიდან რომ გაყრილან და ამ სოფელში დამსხდარან, იქიდან რომ ხუთი ძმა დასახლდა და გაბევრებულან. ერთი *კორტოხაძე* გახდა, მეორე – *კოვიძე*, მესამე – *გორგვაძე*, მეოთხე – *ჭივიძე*, მეხუთე *ფიქლობაძე* იყო. *ფიქლებმა* გვარი გამოიცვალეს და *მოლოღლებში* შეერივნენ“. უბეში სხვა გვარებიც მკვიდრობენ; ესენი: *ილიძიენთი*, *მჭედლიენთი*, *კულულიენთი*, *ხოჯიენთი*, *იბიშიენთი*. *იბიშიენთი* არტაანიდან მოსულან. ამ გვარს წარმოთქვამენ როგორც მრავლობით რიცხვში, ისე მხოლობითში – *იბიში*. „გვარია კიდევ *ზობები*“.

ქოქლიეთის გვრებია *იმაღოღლი*, *ბაირახტაროღლი*, *მოსიძე*, *გურიენთი*, *კაკაუნები*, *ჯაფარიძე*, *ლოლაძე*, *დურაღოღლები*, *გოგეღიძე*, *ქარსიოღლები* (იგივე *ქარსიძე*). ჩიხისხევში *დუმბაძის* გვარი დასტურდება.

იმერხევში ერთ-ერთი ლამაზი სოფელია მანატბა. ამ სოფლის გვარებია: *კოსოღა(ა)ძე*, *ჯიჯანიძე*, *ღარბაზიენთი*, *შაქო(ე)თლიენთი*. გადმოცემით ეს უკანასკნელნი „არიან არტაანისა და შავშეთის შუადან. იმ სოფელს შავქეთი ერქვა და გვარს ეს სახელი იმიტომ დერქვა“. *ღარბაზიეთ* გვარი იმერხევისავე სოფელ აგარადან გადმოსახლებულა, *ჯიჯინაძეები* – რაბათიდან. *კოსოღიძეები* იმერხევისავე სოფელ უხეთიდან გადმოსახლებულან. მანატბელების გადმოცე-

მით, მათი წინაპრები აქ 400 წლის წინ დასახლებულან. „ნასახლავს ვეტყვით, ზედა ნასახლევი, ქვედა ნასახლევი, ძველად ყოფილან, იმათ არ მოვესწარი. ჩვენები რომ მოსულან, უკვე აღარავინ დახვედრიათ“.

მანატბის მეზობელი სოფელია მანხატეთი. ასახელებენ მანხატეთის შემდეგ გვარებს: *სარაჯი, ქია, ჩახმაჩები, მელმაძები. დარბაზიეთნი* მანხატეთშიც ცხოვრობენ. დარბაზიეთი იერლად მიიჩნევა, ისინი და *მელმაძები* შედარებით გვიან მოსულან ახლო-მახლო ადგილებიდან.

სოფელ ხოხლევიში ცხოვრობენ *მესხაზეები (მესხაძეები), გორგაძეები, ლომაძეები, ქომაძეები, ხევრაძეები (ხვერიენთი)*. „*გორგით* ერთ კვამლს ვეტყვით, *გორგოდებს* ბევრს“. „ვეტყვით *ხვერიენთ, ქომიენთ, ლომიენთ, მესხიეთ, გორგიეთ*“. „ხოხლევიში ყველაზე მეტი *ჯენიგელებია*“.

სოფელი ფარნუხიც უბნებისაგან შედგება; ეს უბნებია: *კახიძეები, გორგაძეები, აიშიენთი, შარმათები, ჭალაძეები, ბეშოვრიენთი, ჭივიძეები* (უბედან არიან გადმოსული), *მელქიენთი*. „დედები იტყოდნენ: ერთი ჯარი ყოფილა და მოსულა. აქ სხვები ყოფილან, ისინი დამთავრებულან. პირველად მოსულან *ჭივიძე, კახიძე, ჭალიძე, მელიქიენთი*. ესენი აქ მეზობლები გამხდარან. *აიშიენთი ჭივიძეები* არიან, გაიზარდნენ. *ჭივიძეებს ქერიძოლებსაც* ეტყოდნენ, *ჭივიძეებს დელიძოლებსაც* ეტყვიან. ერთ მეჰელეში არიან. უბეს *გორგოეთიც* არიან“. *ჭივიძეების* გვარის გამრავლების შედეგად აშკარად ჩანს, რომ გვარი რამდენიმე განაყოფად გაიყო: *აიშიენთი, ქერიძოლი, დელიძოლი*. პირველი მამიშვილობის სახელი თუ ქართული სუფიქსით გაფორმებულა, მეორე და მესამე – თურქულით. ეთნოგრაფიული მასალებით, *კახიძეების* წინაპარი „სამი ძმა გამოქცეულა, ორი შავშეთში დამრჩალა, ერთიც ფარნუხში ჩამოსულა. ჭალათაში დასახლებულან – შავშეთის სოფელია, ერთიც აქ *ჭალიეთს (ჭალაძეები)* მოვიდა. ჩვენ *კახიეთი* ვკვიან, *კახიეთკარებს* იტყვიან, *ჭივიძეები* სადაც ცხოვრობენ, *ჭივიეთკარსაც* ეტყვიან“.

ხევწვირლში არიან *ფანჯიკიძეები, ფანჩიძე, დავლაზე, ქაცახანთი/ქარცახნები, ქარცივაძე, ფათაჯუენთი, ქურდოი/ქურდუები/ქურდიკიძე, ფუქშები, მერგლები, მიხელყმიენთი, ჯიშუხები, თოდნაძე,*

გოჩოლეები/გოჩინთი, ზაზალები, გამრეკლიძეები, კუდიენთი/კუდე-
ბი, თექინები, ქოროლეები, ფატყუნთი, ნუნიანთლები, ჩახლები,
ფალაზები, თუთიენთი, რევაზანები/რევაზოლეები/რევაზები. ხევ-
წვრილის ეს გვარები სოფლის 7 უბანში (მაჰალეში) არიან გადა-
ნაწილებული. ეს მაჰალეებია: აბრამიენთი, მიხელყმიენთი, მეგრე-
ლები, ჯიძუხები, ჯამის გაღმა, ბელტიეთი, გოჩოლეები/გოჩინთი.
აბრამიენთში მხოლოდ ფუქშები ცხოვრობენ. ფუქშები მაჭახლიდან
ყოფილან მოსული. ადრე სხვა გვარებსაც უცხოვრიათ, მაგრამ
ისინი აქედან წასულან. მიხელყმიენთში მხოლოდ მიხელყმიენთები
მკვიდრობენ. „ჯიძუხები მაჰალეს სახელიცაა და ხალხის სახელიც,
ერთიდაიგივეა“. ეთნოგრაფიული მასალა ქარცახების შესახებ:
„ჩვენ ქართულად ქარცახებს გვეტყვიან. ქარცივაძე გალიფი და
ჩვენ განაყრებს ვეტყვით, სისხლი ერთია, ძველი განაყრები ვართ.
მეგრელები ადრე ერთი კვამლი ყოფილან, შემდეგ გაბევრდნენ მე-
გრელები.“ „ჩვენ ბელტიური ვართ. ბელტიები დაიწვა. მთელი დავ-
ლაძეები აქ არიან. ბელტიეთში გამრეკლიძეები, რუშენები, ქარცა-
ხები არიან, ზაზალები მუჰაჯირად წასულები არიან. იზმითს, ბურ-
სას არიან ზაზალები წასულები. ადგილი აქვთ აქ, აღარ მოდიან,
გაგდებული აქვთ ადგილები. საქმობაზე წასულან აქედან ზაზალები“.
„გოჩინთში ცხოვრობენ კუდეები (კუდიენთი), თექინები, ქო-
როლეები, ფატყუნთი (იქიდან გადმოსული ფუქშები არიან და აქ
ფატყუნთი დაურქმევიათ). ფატყუნთი მოსული არიან. ჩვენიც მო-
სული არიან. გამსახურდია რომ იყო, იქიდან არიან მოსული. დავ-
ლაძეა ბელტიეთს. იქიდან მოსული არიან. ჯიძუხებში მარტო ჯი-
ძუხები არიან. ჯამიმაჰალეში ცხოვრობენ: ნუნიანთლები, ქურდუე-
ბი, ფანჩიძე, ჩახლები, ქაცალები (ბელტიეთსაც არიან), თათუჯუნ-
თი. ფალაზები აღარავინ არიან. ისინიც წაბარგული არიან. თუთი-
ენთი დაგაკვიწყდა, მაჰალე. ოდიენთიც ორი კვამლია. ზამთარში აქ
არ რჩებიან. მეგრელებში მარტო მეგრელები ვართ. სამი განაყარი
ვართ. ის ორი კვამლი სხვები არიან; მაჭახლიდან მოვიდნენ და
მეგრელები გახდნენ. იქიდან მაჭახლიდან ბერი მოვიდა და ნენე
უთხოვია. ნენე მეგრელი იყო. მიხელყმიანთაც ქირთუები არიან, სა-
მი კვამლი. მიხელყმიანთა ჭენჭებიც (ჭენჭათი) არიან. რევაზიენ-
თში მთელი რევაზანები არიან. აბრამიენთში სულ ფუქშები არიან.
აბრამიანთ მაჰალეს უძახიან და აქ ცხოვრობენ ფუქშები. ერთი

ფუქსა შერთულზე არის“.

შვიდი უბნისაგან შედგება იმერხევის სოფელი ზაქიეთიც, რომელთაგან გვარის სახელს ატარებს *ჩაქერიძეები, მიქაძეები, ფოქრენგეები* („მიქაძეები გამრავლებულან და ესენი ცალკე გამოყოფიან“), *ყაფჩინები, შობლები*. მიწრუათის მაჰალეში ცხოვრობენ *უნიალები*. ხევმაჰალეში არიან *ნაფენგვრიეთი, საკიენტლები, ზოჯიენთი*. „*ჩაქერიძეების* გვარიზობებია: *ყალაიჯები...* „*შობლების* გვარიზობებს რას ეტყოდნენ, ენის წვერზე მიგორავს, ერთი *ბაჯუენთი...*“

ჩიხორშიც დასტურდება ქართული გვარები. ერთ-ერთი აქაური მთხრობელის თქმით, „*თამაზას* გვეტყვიან გვარს, *წითელას, ფალაზები (ფალაზები* ხევწვრილადან ჩამოსულან). ისევე როგორც იმერხევის სხვა სოფლები, ჩიხორიც მაჰალეებისაგან/უბნებისაგან შედგება. არდიაწმინდაში ცხოვრობენ *მურადოღლები, წითელოღლები, ებინოღლები, ლიბანში – წვიტები (წვიტოღლები), თეთრაქეთში – იშიოღლები, ლაზოღლები, ფურჩები, ვარდიყანაში – (ექვსი თვე ზაფხულში ვარდიყანაში არიან, ექვსი თვე თეთრაქეთში ზამთარში“), ბერიეთში – ბათუმოღლი, ცვარიძე, წურღიეთში/წურღიეთში – ჩოლახები, ომბაშოღლი, ჯამიკარში – კეზიოღლი, ომბაშოღლი, მახრეთში – წითელოღლი, ველოღლი, ჭედრულში (შარბოლში) – კვაგვები, მახარები. ჩიხორის ყველაზე დიდ სოფელში (უბანში) ცხოვრობენ *მახარები, კვირტები, ჩორტანები*. „*თამაზოღლები* და რაც ჩამოვთვალე ყველა იერლები ყოფილან. *ველიოღლები* ველიდან მოსული ყოფილან. სხვისთვის *თამაზებს* ადგილები მიუციათ“. უსტამისის მკვიდრნი ყოფილან *ბოკერები, წიწვინთი* და *ბელინაძე*.*

საყურადღებოა, რომ აჭარაში (შუახევში) იმერხევიდან ქალი ყოფილა გათხოვილი, რომლისთვისაც ადგილობრივებს *შავშურა* შეურქმევიათ. ასეთი მეტსახელების შეურქმევა კი საქართველოში ერთ---გვარი ტრადიცია იყო.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ შავშეთ-იმერხევიში, მიუხედავად იმისა, რომ ის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მოწყვეტილი იყო საქართველოს და შედიოდა სხვა სახელმწიფოს – ოსმალეთის იმპერიის – შემადგენლობაში, ქართული მემკვიდრეობითი სახელის (გვარსახელის) ტრადიცია არასდროს შეწყვეტილა. ხალხის მანსოვრობამ მემკვიდრეობითი სახელები (გვარები)

დღემდე შემონახა – ტრადიცია არ გაწყვეტილა. მართალია, უშუალოდ შავშეთში ეთნიკური ქართველები ასიმილირდნენ („გადაბრუნდნენ“), მაგრამ გვარი რომ აქაც ტრადიციული იყო, ამას XIX საუკუნის რუსული დოკუმენტები მოწმობენ – სოფლები და სოფლის უბნები ხშირ შემთხვევაში გვარის სახელს ატარებდნენ.

შავშეთის იმერხევის მხარეში გვარის გარეშე არცერთი ქართველი არ ყოფილა. ბევრ გვარს ჰქონდა გვარის დანაყოფიც. გვარის დანაყოფები იყო როგორც ძველი, ისე შედარებით ახალი, თურქთა მმართველობის დროს, ისლამის მიღების შემდეგ წარმოქმნილი. მაგალითად, *იმხნელიძეები კარამამდლოლებად* იქცნენ, *კვირიკაძეები დურალოლად*, *ალიძეები – ყადიოლად*, თუმცა თავდაპირველი ქართული გვარი არ დაუკარგავთ. იმერხეველები თავიანთ გვარებს აწარმოებენ ძირითადად რამდენიმე ქართული სუფიქსით: -ძე, -ეთ, -ენტ, -ებ. იმერხეველთა მეტყველებაში გვარების წარმოთქმის დროს ზოგჯერ ქართულ სუფიქსებს თურქული -ოღლი სუფიქსიც ენაცვლება, მაგალითად, *კაკაბოღლი*, ე. ი. *კაკაბაძე*.

იმერხევი ბევრი ისეთი გვარი დასტურდება, რომლებსაც აქეთ საქართველოში პარალელი არ დაეძებნება (მაგალითად, *ფილიპიძე*). საქართველოში ბევრი გადმოცემაა შემონახული გვარების წარმომავლობის, ადრინდელი გვარებს შესახებ. ანალოგიური გადმოცემები იმერხევიც არა ერთი და ორია დაცული. მიუთითებენ ადრინდელ გვარებსაც. *ბუტბუტეები* იმის გამო, რომ *იმნადის* მამულზე დაესახლნენ, *იმნადის* გვარში ზესიძედ შევიდნენ, *იმნაძეებად* იქცნენ. გვარის ასეთი შეცვლა კი საერთო ქართული ტრადიცია გახლდათ. იმერხევიც ხდებოდა ერთი საერთო გვარიდან რამდენიმე გვარის გამოყოფა. მაგალითად, *ზურაბიენთი*, *ავჯიენთი*, *ვოლიენთი*, *სამოლიენთი* საერთო სისხლისანი არიან. ხშირად გვარი და ადგილის სახელი (უბანი) ერთი სახელითაა გადმოცემული: *ციციენთი*, *ბათილეთი*, *თათუენთი*...

იმერხევი უსუფიქსო გვარებიც დასტურდება: *შამთა*, *ზობები*, *ჩახმახჩები*, *ფუქჩები*... მაგრამ ჭირს იმის გარკვევა, ეს ანთროპონიმები გვარსახელებია, გვარის დანაყოფები, თუ გვარის მეტსახელები (ანუ „საგინებელი გვარები“ – მისაგინებელი გვარები, როგორც ეს გურიასა და ზემო იმერეთშია. მაგალითად გურიის სოფელ ხიდისთავში კალანდაძეები რამდენიმე ასეთ „საგინებელ გვა-

რად“ იყოფიან: *ნაჯახე, ირემე, ტურიე, ღინჭიაურე...* ხოლო მამათელ *გოგელიებს* მხოლოდ ერთ „საგინებელი“/გვარის მეტსახელი – *ინგრეხა* გააჩნიათ). ეთნოისტორიული თვალსაზრისით ამას არსებითი მნიშვნელობა არცა აქვს. მთავარია, რომ ისინი მემკვიდრეობითი სახელებია, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა, ე. ი. უცხო ეთნიკურ გარემოში ტრადიცია გრძელდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ტრადიციას საფუძველი გამოცლილი ჰქონდა.

შავშეთ-იმერხევეში მემკვიდრეობითი სახელის აღმნიშვნელი ქართული ტერმინი – „გვარი“ – ფაქტობრივად არ შემონახულა. მხოლოდ ერთხელ იქნა ის დადასტურებული „გორის“ ფორმით. სამაგიეროდ, გვარის დანაყოფის აღსანიშნავად რამდენიმეჯერ დადასტურდა ტერმინი „გვარიზობა“ (*„ჩაქვრიძეების გვარიზობებია: ყალაიჯები... „შობელების გვარიზობებს რას ეტყოდნენ, ენის წვერზე მიგორავს, ერთი ბაჯუენთი...“*).

იმერხევეში გვარების შესახებ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალებით დასტურდება მიგრაციული პროცესებიც. შეინიშნება მიგრაცია კოლისა და არტაანის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებიდან, აჭარიდან, მაჭახლიდან და რაჭიდანაც კი.

ეთნოგრაფიული კლარჯეთი

შავშეთის დასავლეთით *კლარჯეთის* ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეა. კლარჯეთს გასასვლელი ჰქონდა შავ ზღვაზე. მდ. ჭოროხის დინების აუზში მდებარე კლარჯეთის „ქვეყანა“ მოიცავდა *მურღულის, ეგრის, არტანუჯის, ნიგალის* და სხვა ხეობებს. კლარჯეთი ძველი ქართლის (იბერიის) სამეფოში საერისთავოს სახით შედიოდა. ერისთავის რეზიდენცია *არტანუჯში* იყო. ადრე შუა საუკუნეებიდან არტანუჯი ბიზანტიას, აღმოსავლეთსა და საქართველოს შორის აღებმცემობის ცენტრად გადაიქცა. დღეს აქ შემორჩენილია დიდი ციხე-ნაქალაქარი, რომელიც ქართული წყაროების მიხედვით *ვახტანგ გორგასალმა* ააშენა. *კონსტანტინე პორფიროგენეტი* აღნიშნავდა იმასაც, რომ მთელი ქვეყანა (კლარჯეთი ტაოსთან ერთად) მოცულია კარგად გაკეთებული გზებით; განვითარებულია სარწყავი სისტემა; ფერდობები და მთების ხეობები საუცხოოდაა დამუშავებული და წარმოადგენენ წალკოტებს. *ვახტანგ გორგასალს* აქ ეკლესია-მონასტრები (*ოპიზა, შინდობა, ახიზა, მერე*) აუშენებია. VIII საუკუნეში აქ დამკვიდრდა ბაგრატიონთა სამეფო დინასტია, რომელთა მეფობა საქართველოში XIX საუკუნემდე გაგრძელდა. VIII საუკუნეში არაბებმა კლარჯეთი გააპარტახეს. გადარჩენილი მოსახლეობის ნაწილი ეპიდემიამ მოსპო. IX საუკუნის დასაწყისში მეფე *აშოტ I-მა* მხარე აღადგინა და აქ დიდი სამონასტრო მშენებლობა გაიშალა *გრიგოლ ხანძთელის* თაოსნობით. კლარჯეთში არაერთი ქართული ეკლესია-მონასტერი („კლარჯეთის დიდებული უდაბნონი“) იყო აშენებული: *პარეხი, ბერთა, მიჯნადორი, წყაროსთავი, დოლისყანა, ჯმერკი, დაბა, შატბერდი...* *კლარჯეთში იჯდა ანჩელი ეპისკოპოსი.* XVI საუკუნეში კლარჯეთი, სხვა ქართულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებთან ერთად, ოსმალებმა დაიპყრეს.

XIX საუკუნეში კლარჯეთის შესახებ *გიორგი ყაზბეგი* წერდა: „ჭოროხის სანაპიროს მცხოვრებლები სუფთა ქართულს ლაპარაკობენ. ისინი ლამაზი ტიპით და კარგი გონებრივი თვისებებით გამოირჩევიან. ეს ქვეყანა ოდითგანვე სუფთა ქართული რასის აკ-

ვანს წარმოადგენდა და ახლა, ბედის უკუღმართობის მიუხედავად, შეინარჩუნა თავისი ძველი ღირსება“³³.

XX საუკუნის დასაწყისში კლარჯეთში იმოგზაურა *ნიკო მარმა*, რომელმაც ქართულად მოლაპარაკე კლარჯელები საკმაოდ ნახა. 1886 წლის საოჯახო სიებით კლარჯეთში ქართველების რაოდენობა 9.246-ით განისაზღვრებოდა (ართვინის უბანში – 6.913 კაცი, არტანუჯის უბანში – 2.333)³⁴. („*არდანუჯის უჩასტკაში ათი სოფელია, რომლებსაც „გურჯიქოვს“ უძახიან. ამ ათ სოფელში ლაპარაკობენ წმიდა ქართულს. ისინიც არდანუჯიდან შორს არიან. იმ ათ სოფელში შესანიშნავია „გვევრადა“ სოფელი, საცა მოჰყავთ მშვენიერი ყურძენი და ღვინო*“³⁵). ხოლო 1907-1908 წლების მონაცემებით მთლიანად კლარჯეთის ქართული მოსახლეობა 16.425 კაცით განისაზღვრებოდა, შესაბამისად ართვინის უბანში 7.741 სული და არტანუჯის უბანში – 8 684 სული³⁶.

კლარჯეთის მოსახლეობის შესახებ ძალიან მნიშვნელოვანია ზაზა *შაშიკაძის* მიერ თურქეთის არქივებში გამოვლენილი 1835 წლის აღწერის მასალები, რომლის მიხედვითაც *არტანუჯის ლივაში* 48 სოფელი შედიოდა, ხოლო *ლივანის ლივის ართვინისა* და *მურღულის კაზებში* – 32, *ლივანის ლივის ბერთისა* და *სინკოთის* ნაპიებში – 23. ამას ემატება *ბათუმის ლივის რეესტრში* შეყვანილი 7 სოფელი (*ბორჩხა, წითურეთი, არჩვეთი, ჭვარები, კატაფხია, ბაზნაული, მურკვეთი*) და *ბათუმის სანჯაყის ვონიოს ნაპიეს* 3 სოფელი (*ქემო მარადიდი, ზემო მარადიდი, მირვეთი*). კლარჯეთის რვა სოფელი იმავე პერიოდში შეყვანილი იყო ისტორიული ტაოს *კავკასეთისა* და *ბელაზორის* ნაპიებში; ეს სოფლებია: *ცრია, ორჯოხი, მელი, ვარდისხევი, ხეზორი, ხოდი, ხუხმალი* და *ბინათი*. თითქმის მთლიანად ქართულია სოფლის სახელები. ზემოთ დასახელებულ *არტანუჯისა* და *ლივანის ართვინისა* და *მურღულის*

³³ გ. ყაზბეგი. სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი, 1995, გვ. 116.

³⁴ Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченных из посемейных списков 1886. Тифл. 1893

³⁵ ს. ასლანიშვილი-ბავრელი. წერილები „ოსმალის საქართველოზე“, თბ., 2008, გვ. 118.

³⁶ Кавказский календарь. 1910, ч.1.

კაზებში, აგრეთვე ბერთისა და სინკოთის ნაპიეებში. მხოლოდ ყველაზე დიდ რამდენიმე სოფელს ჩამოვთვლით: ტანძოთი (106 კომლი), ზენსკარა (100 კომლი), კლარჯეთი (71 კომლი). სახრე (77 კომლი), სამწყარი (87 კომლი), უნისხევი (88 კომლი), ხატილა (104 კომლი), არხვა (77 კომლი), ბერთა (117 კომლი), დოლისყანა (132 კომლი), შუახევი (106 კომლი), ქლასქური (116 კომლი), დევსქელი (60 კომლი), ადაგული (73 კომლი)... დაანგარიშებულია, რომ აღნიშნული დროისათვის ისტორიული კლარჯეთის ტერიტორიაზე დაახლოებით 6.300 მუსლიმი კომლი და აგრეთვე 571 ქრისტიანული კომლი (სომეხურ-გრიგორიანული და სომხურ-კათოლიკური სარწმუნოებისანი, რომელაც უმეტესობა ასევე წარმომავლობით ქართველი იყო). მოსახლეობის საერთო რაოდენობა 38.000 იყო. შეუძლებელია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტიც არ აღვნიშნოთ – ართვინის მაჰალეებს (უბნებს) შორის ორი ქართული ტოპონიმიცაა დასახელებული: „ხამარადის მაჰალე“ და „გორძულის მაჰალე“³⁷.

კლარჯეთს, და საერთოდ სამხრეთ საქართველოს ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეს დემოგრაფიული თვალსაზრისით დიდი დარტყმა მიაყენა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომმა. გარდა იმისა, რომ საომარ ასპარეზზე ქართველმა მაჰმადიანებმა დიდი მატერიალური ზარალი განიცადეს, ომის დამთავრებასა და ისტორიული საქართველოს რუსეთის იმპერიაში გადასვლას მოჰყვა მათი ოსმალეთში – მარმარილოს ზღვის რეგიონსა და შავი ზღვის სამხრეთით გადასახლება. ზოგიერთი ხეობა (მაგალითად, მურღულის ხეობა) მთლიანად დაიცალა მოსახლეობისაგან. საერთო ჯამში, მაშინდელი ოფიციალური რუსული მონაცემებით, ჭოროხის აუზიდან ქართველი მაჰმადიანების ერთი მესამედი გადასახლდა (დაახლოებით 38.000 კაცი). აღნიშნულ რეგიონებში ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალებით (არაპირდაპირი მონაცემებით), მუჰაჯირობის მიზეზი იყო არა მხოლოდ რელიგია, არამედ ეკონომიკური და დემოგრაფიული ფაქტორები. რეგიონი იყო გადამეტსახლებული. სახნავ-სათესი მიწის ნაკლებობამ და იმ ფაქტმა, რომ თურქეთის ხელისუფ-

³⁷ კლარჯეთი. მ. ფალავას რედაქციით, ბათუმი, 2016, გვ. 38-42.

ლება მათ დიდი რაოდენობით მიწას ურიგებდა, მიგრაციას მასობრივი ხასიათი მისცა. მაშინდელ ერთ-ერთ რუს ავტორს აღნიშნული აქვს, რომ მუჰაჯირობა ნაკლებად მოხდა სახნავი მიწებით შედარებით მდიდარი მხარეებიდან³⁸. მუჰაჯირობის შემდეგაც განიცდიდნენ მიწის დეფიციტს ადგილობრივი ქართველები. იგივე ავტორი წერდა, რომ „მუშახელი პროპორციულად დიდია, ვიდრე დასამუშავებელი მიწის ფართობი“³⁹. „მართალია, მიწათმოქმედება ქვეყნის მოსახლეობის ძირითადი დარგია, მაგრამ იგი მის მოთხოვნებს მთლიანად ვერ აკმაყოფილებს, რადგანაც თვით მიწის სავარგულები ცოტაა. მდელოები თითქმის არ გვხვდება, ჭოროხის დელტის და ამ მდინარის ჩრდილოეთით ზღვისპირა ზოლის გამოკლებით, მთელი მხარე შესდგება ხეობების და ტყით დაფარული დამრეცი ფერდობებისაგან. ახალი მიწის ნაკვეთის დამუშავება დიდ შრომასთანაა დაკავშირებული. აუცილებელია, პირველ რიგში, მონახო მიწის ისეთი სივრცე, რომლის ზედაპირი არ იქნება ძალზე დახრილი, რათა მისი დამუშავების დროს არ გაგიჭირდეს ფეხზე დგომა“⁴⁰. კიდევ ერთი ამონარიდი: „მიწის ნაკლებობა ქვეყანაში იმდენად დიდია, რომ გასაგები ხდება პურის მოსავლის ის სიმცირე, რომელსაც ყოველწლიურად იღებენ, განსაკუთრებით ზოგიერთ უბანში. ამ თვალსაზრისით ყველაზე არაკეთილსაიმედო პირობებშია ართვინის უბანი, რომელიც წარმოდგენილია კლდოვანი და ველური ხეობით“⁴¹. რუსი ავტორის სიტყვით, პურზე დანაკლისს ადგილობრივი მოსახლეობა მეზობელ მხარეებში ძირითადად ახალციხისა და არტაანის მხარეებში ხილზე გაცვლით ივსებს, ე. ი. ამ შემთხვევაშიც გამოსავალი მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკრი კავშირები იყო.

არტანუჯის მიდამოებში დღეს ფაქტობრივად ეთნიკური ქართველები აღარ მოსახლეობენ. როგორც ირკვევა, ისინი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბურსაში გადაასახლეს. გადასახლების მიზეზი კი გახდა გაზეთ „პრავდაში“ სტალინის შეკვეთით *სიმონ კჟანაშიასი* და *ნიკო ბერძენიშვილის* სტატიის გამოქვეყნება, რო-

³⁸ ვ. ლისოვსკი. ჭოროხის მხარე, ბათუმი, 2015, გვ. 52.

³⁹ ვ. ლისოვსკი. ჭოროხის მხარე, ბათუმი, 2015, გვ. 102.

⁴⁰ ვ. ლისოვსკი. ჭოროხის მხარე, ბათუმი, 2015, გვ. 103.

⁴¹ ვ. ლისოვსკი. ჭოროხის მხარე, ბათუმი, 2015, გვ. 105.

მელშიც დასაბუთებული იყო, რომ თურქეთში შემაგალი ტაო-კლარჯეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო. ფაქტია, რომ არტანუჯელები დაისაჯნენ როგორც ქართველები. მაგრამ დღეს, სამი თაობის შემდეგ საკუთარი მიწა-წყლიდან აყრილ-გადასახლებულ არტანუჯელთა შთამომავლებმა აღარც ქართული იციან და აღარც „გურჯობას“ აღიარებენ. არც თურქებად გაიაზრებენ თავს და კითხვაზე თუ რომელ ეთნოსს მიეკუთვნებიან, პასუხობენ, რომ „არდანუჯელები“ არიან. ფაქტია, რომ ისინი დაისაჯნენ როგორც ეთნიკური ქართველები და ფსიქოლოგიური ფაქტორიდან გამომდინარე (რომ მომავალში კვლავ არ დასჯილიყვნენ როგორც ქართველები), მალევე უარი თქვეს თავიანთ ქართველობაზე. სხვათა შორის, იმავე პერიოდში თურქეთის ხელისუფლებას კლარჯეთის სხვა მხარეებში მცხოვრები ქართველების აყრა-გადასახლებაც სურდა. მაგრამ, ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, რომ ამ მიზანს ხელისუფლებამ ვერ მიაღწია, რადგან ქართველებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს. *დევსქელისა* და *ქლასკურის* ხეობებში მცხოვრები ქართველები ტყეში გაიხიზნენ და ჯარს იქიდან უწყედნენ წინააღმდეგობას. სამი თვის ბრძოლის შემდეგ ეთნიკურმა ქართველებმა თურქეთის ხელისუფლება აიძულა გადაწყვეტილებაზე ხელი აეღო, რადგან ტყიდან ისინი ჯარს უფრო მეტ ზიანს აყენებდნენ.

არტანუჯის მიდამოების სოფელთა სახელწოდებები იყო: *ბიჯა, ვარტყელია, ვართხელი, გელაშენი, გორაშეთი, ანაგერტი, ანჭკორა, ახარშია, ახიზა, ბაცა, გულიჯა, გულიკა, ენირაბათი, ყუგო, იშკინარი, კაპტახორი, კარენია, კაშუხტი, ქვამჭირეთი, კლარჯეთი, ქორენია, ლონგოთხევი, მაცალახეთი, მეცავილი, მუქერი, ნორგიელი, ოფისჭალა, ორთოხი, ფეტობანი* (ამ სახელწოდებით სოფელი ფოცხოვშიც იყო), *სალარა, სამსხარი, სახრე, სუაგორა, სხლობანი, ხარაული, ხევა, ხემოლრეთი, ხერთვისი* და სხვა. ბორჩხის სიახლოვეს კატაფხიის საზოგადოების სოფლები იყო: *არჩუეთი* (არჩვეთი), *ბელღევანი, მურკივეთი, ნემცია, ოხორდია, სკურჩა, სუჯუნა, ცოცხება, ჭკადუეთი, ენიმაღლა...* იქვე დევსქელისა და ქლასკურის ხეობების სოფლებიდან შეიძლება დავასახელოთ: *ბავინი, დევსქელი, ქვინტაური, ზედუბანი, კინცხურეთი, ქლასკური, ჭინკური, შუბანა, ადაგული, ნავია, ებრიკა, პეტრული...*

მუჰაჯირობამდე მთლიანად ქართული იყო *ხატილას ხეობა*⁴². ხატილელების გადასახლების მიზეზი სომეხთა ტერორისტული საქმიანობა ყოფილა. ხატილელების ნაწილი მარმარილოს ზღვის რეგიონში ცხოვრობს. სოფელ რემადიეში მცხოვრები ხატილადან მიგრირებულის შთამომავალი აღნიშნავს: „ჩვენ ხატილადან მოსულები ვართ. მაშინ ხატილაში სამასი ოჯახი ყოფილა. იქ სომხები მისულან, ჩვენი ბერიკაცები ღუუკლიან, ღამით დადიოდნენ. ძროხები თელი წუუყვანიან. ამდგარან და წამოსულან“⁴³.

XIX საუკუნეში კლარჯეთს ტაოსთან ერთად, უფრო სწორად, მთელ ჭოროხის ხეობას „*ლივანად*“ მოიხსენიებდნენ, რომლის შესახებ XIX საუკუნის 70-იან წლებში წერდნენ: „საერთოდ ლივანაში ძალიან ბევრია ძველი ეკლესია. ზოგი მთელია და დღემდე შემორჩენილა კედლის მხატვრობა *ბერთაში*, არტანუჯის ახლოს, ართვინიდან რვა საათის სავალზე, არის თამარ მეფის დროინდელი ციხე ეკლესიითურთ... ბერთაში რამდენიმე სხვა ეკლესიაც არის, ერთ მათგანს ახლა მეჩეთად ხმარობენ“. „ლივანელ მუსლიმებს შემორჩენიათ წასული ქრისტიანული დროის მოგონება. 30-ოდე წლის წინათ მათში ქრისტეს ფარულ აღმსარებელსაც შეხვდებოდით; ახლა ასეთები აღარ არიან. ქართულად მთელ ლივანაში ლაპარაკობენ, თუმცა არც ისე წმინდად. ქართული ყველაზე მეტად გავრცელებულია სოფლის მოსახლეობაში“⁴⁴. იგივე ავტორი კლარჯელთა და ტაოელთა ეთნოგრაფიული ყოფის ზოგიერთ რეალიაზეც წერდა: „რაც შეეხება ლივანას, იგი ყველაზე უფრო ნაყოფიერად ითვლება ლაზისტანის საფაშოს უბნებს შორის. აქ აწარმოებენ ცვილს, რომელიც ადგილზე 18 მან. ღირს ფუთი, აბრეშუმს, მოყავთ ზეთისხილი, ჩინებული მსხალი და ვაშლი; აქ ყველა ჯიშის ყურძენი მოდის. ლივანაში ვაზი ხეებზეა გაშენებული. მუსლიმები მას მეტწილად ფოთსა და ახალციხეში ყიდიან. ქრისტიანები კი ღვინოს აყენებენ, წურავენ ქართულად – შიშველი ფეხებით საწნახელში და ინახავენ ქვევრებში, რომლებიც ბლომა-

⁴² ხატილას ხეობა ეთნოლოგიურად შეისწავლა *როზეტა გუჯეჯიანმა*. მან ამ თემაზე მოხსენება წაიკითხა ტაო-კლარჯეთისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე.

⁴³ ი. ლუტიძე. ქართველები თურქეთში – ენობრივი ვითარება, გვ. 251.

⁴⁴ დ. ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, გვ. 42.

დაა შემორჩენილი“. ძეღვინეობის განვითარებას ეთნოგრაფიული მასალაც ადასტურებს: „დიდვანი დერგები იყო, დერგში ღვინოს ვასხამდით“⁴⁵. კლარჯეთში მევენახეობა-ძეღვინეობის განვითარებაზე მიუთითებდა ნიკო მარიც: „კოშკიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, პორტის ხევის ზემოთ, ფერდობზე, შემორჩენილია საწნახელი. აქ, უშუალოდ საწნახელის ქვემოთ, მიედინება წყაროს წყალიც. საწნახელი აშენებულია ქვებით ამოყვანილ ტერასაზე. თვით საწნახელი სიგრძით 1 საუენი და 11 1/4 გოჯია, სიგანე – 1 არშინი და 9 3/4 გოჯი. ... საწნახელი მოთავსებულია კამაროვან ჩაღრმავებაში. ... მეზობლად მოსახლე სომხები, მაგალითად არტანუჯელები, ამჟამად ერკვევიან მხოლოდ ერთი ჩაღრმავების დანიშნულებაში, რომელიც ჩრდილოეთ კიდესთან მდებარეობს: როდესაც პირველი ღვინო ჩამოედინება (ამისათვის ორი ადამიანი ფეხით ჭყლეტენ მტევნებად ჩაყრილ ყურძენს) და შემდეგ ღვინო უკვე არ ჩადის საწნახელიდან როფში, მტევნებს აგროვებენ ერთ, ჩრდილოეთ კუთხეში, მათზე ფიცრებს დებენ, ფიცრებზე – ხის ტუმბებს, ამ ტუმბებს კი აწვებიან მორით: მორის ერთი მხარე ჩარჭობილია იმ ჩრდილოეთ ჩაღრმავებაში; მეორე, გარე ბოლოზე კი ჩამოაცვამენ მძიმე, გაბურღულ ქვას, რომელსაც **საწნებს** უწოდებენ. შემდეგ ეს „საწნენი“ მოძრაობაში მოყავთ „წნელით“ (შდრ. ქართ. **წენელი**), ბაწრით, რომელიც დამზადებულია მუხის წნელებისგან და მოედინება ყველაზე საუკეთესო, მაგარი ღვინო, რომელსაც „**ნაქანი**“ ეწოდება: ... ქვაბი ადგილზე არ ჩანს, მაგრამ საწნახელის წინა, კედელში სამხრეთ კუთხესთან გამოჭრილია ტოლფერდა სამკუთხედის ფორმის ხვრელი (სიმაღლე 4 გოჯი, ფუძე – 2-3 გოჯი): ხვრელიდან ღარით უშვებდნენ წვენს. ის ღარი ახლაც არის. ზუსტად ასევე წურავენ ყურძნიდან წვენს თურქები (ქართველი მუსულმანები). ასე მაგალითად, ჯმერკსა და გვერდამში, სადაც ბევრია ასეთი ძველი საწნახელები. წვენს ყიდულობენ სომხები ბათმანის მოცულობის დოქებით (6 ოყა=18 ფუნტს) და არტანუჯში აგზავნიან. უმთავრესად აქ მზადდება კიდეც ღვინო“⁴⁶.

⁴⁵ ი. ლუტიძე. ქართველები თურქეთში – ენობრივი ვითარება, გვ. 71.

⁴⁶ ნ. მარი. შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები, რევაზ დიასამიძის თარგმანი, ბათუმი, 2012, გვ. 349-350.

„მისთვის ცნობილი ლივანის დასახლებული პუნქტებიდან *ნე-გაშეკმა* (დომიტრი ბაქრაძის მოხრობელი - რ.თ.) დასახელა ისეთები, რომელთაგან ზოგი აღნიშნულია ახლანდელ რუკებზე, ზოგიც არა და თითქმის ყველა მათი სახელწოდება ქართულია. ასეთები: *მარადიდი, კათაფხია, ბორჩხა, მამაწმინდა, ბარი, სვეტი, ლომაშენი, სინკოთი, წყალოქრო, არტანუჯი, ბერთა, გვერდა, ორჯახი, ანჩა, ანაკერტი, ხლითი, პარხალი და უთავი*. მათგან *ართვინი* ლივანის მთავარი ქალაქია“. 1886 წლის საოჯახო სიებით ართვინის უბნის სოფლები იყო: *ბერთა* (მისი უბანი იყო *ოპიზა*), *დაბაჯიძერკი, დოლისყანა, ფორთა, წყალთეთრა* (მისი უბანი იყო *გორდა*), *ავარა, ბოსელთა, ვიასყანა, გურჯანი, ხეძორი, სვეტი, სვეტიბარი* (მისი უბნები იყო: *ლომაშენი, მანლუქე, ჭარბიეთი*), *წრია* – ყველა ამ სოფელში ამ დროს თურქები იყვნენ აღრიცხულნი. ქართველები იყვნენ განსახლებულნი: *ბეშაულში, ირსახალდაბაში, ქვაცხანაში, სინკოთში* (უბნები – *ბალათი, ვაკე, სავაილი*), *ადურჩაში, ძანსულში, დურჩაში, კაბარჯეთში, კორიდეთში, ავანოში, არხოაში, ვიავილში, დამპალაში, ქართლაში, ორჯაში, ტრაპენში, თხილაზურში* (მისი უბანი იყო *ლომაშენი*), *ნაჭკვიამი, ურძუმამში, ხატილაში* (ამ სოფლის უბანთა სახელწოდებები იყო – *დეპანიძე, იმედიძე, მუხნარა, ნაყევარი*), *ხოდში, ბაგაში, გოგლიეთში, ჯოლაულში, ჯუვანში, ყვამჭირეთში, ზემო ყურაში, ქვემო ყურაში, პიროსეთში, ჩხალეთში, ერელუნში* და სხვა. ვახუშტის დახასიათებით „და არს ეს ლივანის ჳეობა, თჳნიერ სივიწროვისა, ფრიად ნაყოფიერი ნარინჯით, თურინჯით, ლიმონით, ზეთისხილით, ბროწეულით, ლეღვთ, ვენახით, ხილით შემეკობილი, და ქებულნი მუნებურნი ყოველნივე. მარცვალნი ყოველნი ნაყოფიერებს, გარნა სივიწროვით ვერ სთესვენ ბრინჯ-ბამბას“.

1901 წელს აქ იმოგზაურა *ვეკენი კეიდენბაუმმა*, რომელიც აღნიშნავდა, რომ „აქამდე ზოგიერთ ადგილის მკვიდრთ ბრწყინვალე დღესასწაულის წინ ჩვეულებად აქვთ უძველესი ეკლესიების ნანგრევების მონახულება და ანთებული სანთლების დადგმა“⁴⁷.

⁴⁷ ე. ვეინდებაუმი. ბათუმიდან ართვინამდე (მგზავრის ჩანაწერები), თბ., 2005, გვ. 54.

კლარჯეთი რუსეთის ხელისუფლების დროს ორი უბნისაგან შედგებოდა, ესენი იყო არტანუჯისა და ართვინის უბნები (ბორჩხის 11 სოფელი ბათუმის უბანში იყო შეყვანილი). ორივე ზემო აღნიშნული უბნის – არტანუჯისა და ართვინის – საერთო ფართობი 2.053 კვ. კმ.-ს აჭარბებდა.

კლარჯეთის მეურნეობას მანამ შევეხებით შეუძლებელია არ გავიხსენოთ *ლეონტი მროველის* სიტყვები მისი რელიეფის შესახებ, რაც, ბუნებრივია მისი მეურნეობის ფორმებსაც განაპირობებდა: „...და ვერავინ შევიდოდა მავნე კლარჯეთს, რამეთუ შეუვალი და მაგარი იყო ტყითა, კლდითა, და მკვიდრნი კლარჯეთისანი იყვნეს კაცნი მკვირცხნი და მხედარნიცა“.

კლარჯეთში მეურნეობა სიმბიოზური ფორმის იყო, მიწათმოქმედება და მესაქონლეობა ერთმანეთს ავსებდა. იცოდნენ ახოს ალება – აქ ეს პროცესი ისეთივე იყო, როგორც დანარჩენ საქართველოში. სახნავ-სათეს მიწებს ყანებს უწოდებდნენ. ყანების არეალის გაფართოვება კორდი მიწების დამუშავებითაც ხდებოდა. ყანები დასტურდება სოფლის ტერიტორიაზეც და სოფლიდან დაშორებითაც. დაშორებულ ყანებს გარეყანებს უწოდებენ. გარეყანები რადგან სოფლებიდან საკმაოდ დაშორებული იყო, ამიტომ მოსახლეობას აქ აგებული ჰქონდა დამხმარე სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები. მოყავდათ *ფეტვი, ჭვავი, ქერი, ხორბალი*. ხორბლის ჯიშებიდან კლარჯეთში მოყავდათ „დიკა“, „ლოლი“ (ამ უკანასკნელი სახეობის სიძველის შესახებ მიუთითებს კლარჯეთის სოფლის „ლოლის-ყანის“ სახელწოდებაც, რომელიც „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაშია“ მოხსენიებული). მარცვლეული კულტურებიდან, ისევე როგორც დასავლეთ საქართველოში, აქაც XIX საუკუნიდან სიმინდის კულტურა გაბატონდა. კლარჯეთში მარცვალს კალოზე ლეწავდნენ. აღებულ პურს გაცხრილავდნენ, შემდეგ „ჩვალში“ (ტომარა) ჩაყრიდნენ და ღელეზე წაიღებდნენ და წყალში გარეცხავდნენ. შემდეგ სამი ღლის განმავლობაში „მზითვალში“ ამრობდნენ. ბოლოს კი წისქვილში მიჰქონდათ დასაფქვავად. ცომს გობებში ზელავდნენ, რასაც „ცომის ღელით“ ამჟავებდნენ. „მურღულის ხეობაში დაფიქსირდა კალოობის მეტად თავისებური წესი, რომელიც ჩვეულებრივი ლეწვის პროცესისაგან განსხვავდებოდა. კერძოდ, კალოს შუაში ხის მაგარ ბოძს ჩაასობდნენ, ისე რომ მას

ღირევის ირგვლივ თავისუფლად ემოძრავა. *ონჭვივარს* ერთ მხარეს რკინის ჯაჭვით ან თოკით დამაგრებული ჰქონდა კეკრი, ხოლო ძელის წინ, მეორე მხარეს ორი კაცი იდგა, რომლებიც ღირევის ირგვლივ კევრს ატრიალებდნენ. ონჭვივარში ზოგჯერ ამ მიზნით ხარ-მარხილსაც უბამდნენ“⁴⁸.

კლარჯებმა იცოდნენ ურთიერთდახმარება. თოხნის დროს ასეთ დახმარებას *ნადი* ეწოდებოდა და, რაც მთავარია, ამ დროს მამაკაცები „ელესას“ მღეროდნენ.

კლარჯეთში მოჰყავდათ სელი და გავრცელებული იყო მებრე-შუმეობა, რის შესახებ ინფორმაცია *დიმიტრი ბაქრაძეს* მოეპოვება: „ლივანური სელი ფუთი მანეთად გადის. ბათუმური, ჩურუქსუული და განსაკუთრებით ართვინული აბრეშუმი ფუთი 100 მანეთამდე ფასობს“⁴⁹.

იცოდნენ მიწის საქონლის ნაკელით განოციერება. მიწის ნაკვეთზე ნაკელი შეჰქონდათ როგორც მარხილებითა და ხეზეკი-ციგებით, ისე ცხენზე აკიდებული გოდრებით (ასეთ გოდრებს ფსკერი ეხსნებოდა და ნაკელიც ცხენის ზურგიდან გოდრის მოუხსნელად ნიადგზე იცლებოდა). ამისათვის მდინარის შლამსაც გამოიყენებდნენ. კლარჯეთის ლანდშაფტი (დიდი რაოდენობით ფერდობები) მიწისმომქმედს ტერასების კეთებისაკენ უბიძგებდა. გარდა ტრადიციული ტერასებისა ნიგალის ხეობაში სცოდნიათ ხით შემოსილი ტერასებიც, რასაც უწოდებდნენ *სანკალას*, *ონკალაშას* და *კადონს*. ტერასების კედლებს კლარჯელი ქართველები ძირითადად ქვიშანარევი მიწით ავსებდნენ. როგორც ეთნოლოგმა *როინ მალაყმაძემ* დაადასტურა ლივანის ხეობის ქვემო წელის სოფლებში ფერდობი ადგილის დასაფეხურებული ზედაპირის აღსანიშნავად გამოიყენებდნენ ძველ ქართულ ტერმინს – „*ოროკი*“. კლარჯეთში მიწათმოქმედება სარწყავი იყო. როგორც ნიკო მარი მიუთითებდა, ბაღების მორწყვა სოფელ *დოლისყანაში* ეკლესიაზე გამოსახული საათის მიხედვით ხდებოდა. მიუთითებენ, რომ ეკლესიებზე გამოსახულ მზის საათებს მარტო ორნამენტისა და დროის აღრიცხვის ფუნ-

⁴⁸ რ. მალაყმაძე. ლივანის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა), თბ., 2008, გვ. 85.

⁴⁹ დ. ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, გვ. 25.

ქცია კი არ ჰქონდა, არამედ წმინდა პრაქტიკულიც – რწყვისათვის განკუთვნილ დროს აღრიცხავდნენ. კლარჯელები მისდევდნენ თესლმონაცვლეობას. მიწის განოციერების შემდეგ პირველად თესავდნენ ქერს, მეორე წელს სიმინდს, შემდეგ პურს ან ქერდიკას და, ბოლოს, თამბაქოს რგავდნენ.

ეთნოგრაფიული მასალებით ხერხდება სახვნელი იარაღების დადგენა; ესენია: საკუთრივ *სახვნელი, კაკური, არუნა, ჯილღა*. ლეწავდნენ *კევრით* და ცეხვავდნენ *საცეხველით*. მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მევენახეობას. თავის დროზე მეღვინეობის მაღალი კულტურის მაჩვენებელია შემორჩენილი ჭურები და საწნახლები. ეთნოლოგმა როინ მალაყმაძემ ლიგანის ხეობაში ვაზის 20-მდე ჯიში გამოავლინა: *ჩხავერი, კოლოშა, მეკრენჩხი, ლივანური, შავშური, მელისკუდა, ორჯობული, სინვითური, ისტამბულია, ხარითვალა, ჭიჭიძერი, ჩიტაყურძენა, ჯინეში, ბუტკო, ცხენის-ძიძუ, თეთრაი, საფერავი, დედაბერაი, უსახელო*.⁵⁰ აქ XIX საუკუნის 70-იან წლებშიც კი უმზადებიათ ღვინო და არაყი. ამ ფაქტის რეალურობის დამადასტურებელია, ის, რომ აქედან (კონკრეტულად, ხება-მარადიდის მხრიდან) სინოპში წასულ მუჰაჯირთა შთამომავლებს დღესაც არ შეუწყვეტიათ აღნიშნული ტრადიცია – ღვინის დაყენება. XIX საუკუნეში ლიგანში ყურძენს ძველი ქართული ტრადიციით საწნახელში წურავდნენ და ჩვეულებრივ ღვინოს ქვევრებში ინახავდნენ. განვითარებული იყო მებაღეობაც; დიმიტრი ბაქრაძის თანახმად, ყველა ჯიშის ყურძენი მოდიოდა. ვენახი მაღლარი ჰქონიათ. მუსლიმები ყურძენს ფოთსა და ახალციხეში ყიდდნენ. აქ ყოველნაირი ხილი ხარობდა. გამოყვანილი ჰქონდათ ვაშლის, მსხლის, ქლიავის უამრავი ჯიში, რომელთა სახელწოდებები ბოტანიკურ ლექსიკონში უთუოდ დასაფიქსირებელია. ზეთისხილი გასაყიდადაც გაჰქონებიათ. მარტო ლიგანის ხეობაში XIX საუკუნეში ოცდაათ ტონაზე მეტ ზეთისხილს კრეფდნენ. ზეთისხილს ალბობდნენ, ამარილებდნენ და ტიკებში ინახავდნენ. ლივანური ზეთისხილი შემოდიოდა ახალციხესა და თბილისში. სახნავი მიწის ნაკლებობა კლარჯელებს აიძულებდა აქცენტი მებაღეობაზე გადაეტანათ. ამას სხვა ფაქტორიც უწყობდა ხელს – ჭოროხის სიანლოვის

⁵⁰ რ. მალაყმაძე. ლიგანის ხეობა, გვ. 92.

წყალობით ხილს ძირითადად ბათუმში ყიდდნენ (აგრეთვე გასაცვლელად მიჰქონდათ არტაანსა და ჯავახეთში). ხილისაგან ამზადებდნენ ჩირს, ტყლაკს, ბაქმას, ბოსტნეულისაგან – მწნილს. დღესაც კლარჯელთა ეზოებს ამშვენებს „საძიგველები“ – მარცვლეულის გასაცეხვი და ხილის დასანაყი. ასეთი დიდი ზომის *საძიგველები* სოფლებში ქართლასა და დამფალაში დაადასტურა ეთნოლოგმა *ნოდარ შოშიტაშვილმა*, პირველის დიამეტრი 75 სანტიმეტრი იყო, მეორისა – 90. სამეგველში მოთავსებულ მარცვლეულს *კაკუტით* – ხის საბეგვით ცეხავდნენ⁵¹.

1574 წლის „გურჯისტანის ვილაიეთის დავთრით“ ირკვევა, რომ კლარჯეთში ბამბაც მოყავდათ. ბამბაზე შეწერილი ჰქონდა გადასახადი არტანუჯის თითქმის ყველა სოფელს⁵².

მეფუტკრეობა სათანადო დონეზე იყო განვითარებული. მას დღესაც მისდევენ. სკებთან ერთად კვლავ არის შემორჩენილი ერთიან ხეში გამოყვანილი – „ყავრანი“. XIX საუკუნეში აქაური ცვილი, რომელიც ფუთი 18 მანეთი ღირდა, ოდესასა და კონსტანტინეპოლში გაჰქონდათ.

კლარჯეთში ხელოსნობის მრავალი დარგი იყო დაწინაურებული: ქვისა და ხის დამუშავება, მჭედლობა, მეთუნეობა, ფეიქრობა, კირის გამოწვა, ცივი და ცეცხლსასროლი იარაღის დამზადება. ნაოსნობას მისდევდნენ *მარაღიდში*, *ხებასა* და *ბორჩხაში*.⁵³ კლარჯეთის ლივანის ხეობაში მკვიდრთა მეურნეობა მოკლედ და კარგადა აქვს დახასიათებული *ვევენი ვეიდენბაუმს*: „ბორჩხელების მთავარი საქმიანობაა აგურის მოჭრა, კრამიტისა და თიხის ღოჭების კეთება: ისინი ამ ნაკეთობებით ამარაგებდნენ ჭოროხისა და ბათუმის სანაპიროებს. ხვნა-თესვას ნაკლებად ეტანებიან. ეს გასაგებიცაა: ჭოროხის მთელ სანაპიროზე ამისათვის ხელსაყრელი ადგილი არც არის. ხნულები პატარაა, ერთმანეთისაგან გამოყოფილი ქვის კედლებით და მდებარეობს ციცაბო მაღლობზე. ბორჩხაში მოდის კარგი ყურძენი, რომელიც მხოლოდ თხევად მდგომარეობაში გაესინ-

⁵¹ ნ. შოშიტაშვილი. სამეურნეო-ყოფითი კულტურა შავშეთ-იმერხეში, გვ. 209.

⁵² 1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. ნოდარ შენგელიას გამოცემა, თბ., 2016, გვ. 389-417.

⁵³ რ. მალაყმაძე. ლივანის ხეობა, თბ., 2008.

ჯეთ“: ამრიგად, XX საუკუნის დასაწყისში ჯორჯის ხეობაში კვლავ მისდევდნენ მევენახეობას; მიწათმოქმედება ტერასული იყო; ერთ-ერთ ძირითად საქმიანობას კი მეთუნეობა წარმოადგენდა. იგივე ავტორი იმაზედაც საუბრობს და გაკვირვებულია, რომ ბორჩხის ღუქნებში ქართველები ვაჭრობენ და არა სომხებით. რაც შეეხება მურღულის ხეობას, ვეიდენბაუმი ხაზს უსვამს, რომ მურღულელებს მოჰყავდათ ხორბალი და ფართოდ მისდევდნენ ვაშლის მოყვანას.

კლარჯეთის ლიგანის ხეობაში გავრცელებული ყოფილა პატარა ტანის ადგილობრივი ჯიშის მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი. საქონლისათვის ბალახს სოფლიდან მოშორებით მდებარე სათიბებზე თიბავდნენ. თივას კი იქვე არსებულ ხის ნაგებობაში – *ქორში* ინახავდნენ (ანალოგიური ქორები ჰქონდათ შავშეთ-იმერხევში. აქ ისინი სახლების სიახლოვეს ედგათ). მაისის თვეში საქონელი საზაფხულო იალაღებზე გადაჰყავდათ. დევსქელის ხეობის მოსახლეობას იაილები კარჩხლის მთაზე ჰქონდათ (ისევე როგორც მაჭახლელებსა და იმერხევლებს). XIX საუკუნის 80-იან წლებში ყველაზე მეტი საქონელი არტანუჯის უბანში ყოლიათ (ამ მხრივ სამხრეთ საქართველოში შავშეთიც გამოირჩეოდა). ამის შესაძლებლობას კი მათ ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო აძლევდა. „კლარჯი მესაქონლეები საუკეთესო ყველს ამზადებდნენ. ქლასკურისა და მაჭახლის მხარეს ცნობილი იყო ე. წ. *ლორი ყველი*, *ჩოქელელი*, რომელსაც *მაჭახლურაიც* ერქვა. ეს იყო ე. წ. „გატენილი ყველი“. ჩვეულებრივ ყველს ამჟავებდნენ და წნავდნენ. ასეთი ყველი ჩლეჩილს გავდა“. „ცნობილი იყო *დაფშენილი ყველის* (შდრ. შავშური *ფშენილიაი*) დამზადების კულტურაც, ასეთ ყველს, მთხრობლის სიტყვით, „მოვხრაკავდით და მერე შევჭამდით“⁵⁴.

კლარჯეთის ლიგანის/ნიგალის ხეობაში შემორჩენილია ხალხური დღესასწაულებიც, კერძოდ, *შუამთობა*, *კაკკასორი* და *მემხლიანობა*. შუამთობა, როგორც ცნობილია, ჯორჯის აუზში მდებარე სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების დღესასწაულიც იყო. შუამთობა ძირითადად მესაქონლეობასთან იყო დაკავშირებული

⁵⁴ ნ. მგელაძე. კლარჯეთის ეთნოლოგია – კლარჯეთი, ბათუმი, 2016, გვ. 317, 318.

ლი და საქონლის საზაფხულო საძოვრებზე ალპურ ზონაში, ე. წ. იაილებზე ტარდებოდა. კავკასორის დღესასწაულზე კი შემორჩენილია ხარების შეჯახების ტრადიცია⁵⁵.

საყურადღებოა, რომ ჭოროხის ხეობაში დღემდეა შემორჩენილი „ზიარეთი“. მაგალითად, სოფელ *ქართლას* თავზე – *კოტახის მთაზე* არის ზიარეთი, სადაც ავადმყოფები მოდიან და ორი-სამი დღის შემდეგ აქედან გამოჯანმრთელებულები ბრუნდებიან სახლში: „ზიარეთ მოდიან, წვებიან, სიზმარს ნახულობენ, რაცხა დარდი თუ გაქვს. იქ მიდი-მოდიან, კაი ხდებიან. ორი ძმა და ერთი და ყოფილან. ერთი კოტახზე იღვა, მეორე – ოპიზაში და მესამე – ტრიალაზე. ერთი ქართლას თავზე, კოტახში დაუმარხიათ, მეორე – ოპიზას და მესამე – ტრიალას. კოტახის, ოპიზას და ტრიალას ზიარეთები ერთმანეთს უყურებენ. თხილაზურიდან (ქართლას მეზობელი სოფელია – რ. თ.) ოპიზას წავიდა და სიზმარში უთხრა: აქა არა, კოტახს წადიო. ცხენით გამოიყვანეს, მოდრეკილი იყო, ვერ გაივლიდა. ორი-სამი დღის შემდეგ თავისი ფეხით გამოსულა“. ქართველთა ძველ ქრისტიანობამდელ სალოცავებს, რომელსაც „ზიარეთს“ უწოდებენ (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში სხვაგანაცაა ზიარეთი) მხოლოდ ერთი ფუნქციაღა შერჩა – ავადმყოფების განკურნება. ზიარეთი ჰქონდათ მურღულის ხეობის სოფელ *ისკების* იაილებზე, რომელსაც „კურტუმელას“ უწოდებენ: „კურტუმელას ზედან არის ზიარეთი. ზიარეთში ჩვენი დედები დადიოდნენ. იყო ნანგრევები და არ დარჩა. ზიარეთის მთის ზემოთ საფლავია. იქ ხალხი მიდიოდა და ორ-სამ ღამეს ხალხი გაათენებდნენ. იქ რომ ახვიდოდი, დეიძინებდი და საცოლეს დეინახავდი. აქ თუ გულში ჩაიდებ რამეს, წახვალ, დეიძინებ, დაინახავ, მაგრამ ზორ სიცივეა, ტაროსმა ხელი უნდა შეგიწყოს“. ზიარეთის შესახებ საყურადღებო ეთნოგრაფიული მონაცემებია აქვს 1904 წელს დაფიქსირებული *ნიკო მარს*, რომლის მიხედვითაც სოფელ თეთრაკეთის მკვიდრნი სალოცავად *ფორთის* (ახლა ქართველი მეცნიერები ხანძთას რომ უწოდებენ) ზემოთ ზიარეთში (ეს იგივე სოფელ *ქართლას* მკვიდრების მიერ მითითებული ოპიზის ზიარეთია – რ. თ.) დადიოდნენ, სადაც ქრისტიანული ეკლესიის ნანგრევები იყო.

⁵⁵ რ. მალაყმაძე. ლივანის ხეობა, თბ., 2008.

ზიარეთში სალოცავად წასულები სანთლებს თვითონ ჩამოქნიდნენ: „ფორთის ზემოთ არის ჩვენი ზიარეთი, ერთ საათ გოუწევს. ზიარეთზე მარტოდ მოშენებული სახლი არი ქვიდან. ... ზიარეთში დაწვებიან, სიზმარში ნახავენ. ეტყვის სიზმარში, ეს დაკალიო, და ფული აჩუქეო, შინ დაკალიო, და აქ დაკალიო. რაცხასაც რომ ეტყვის, დაკლავს. ყოჩ (მამალი ცხვარი), ცხვარ ეტყვის, არ ეტყვის, ზროხას ეტყვის. ქათამი გაგვივინია, სხვა ჩიტი არ გაგვივინია. ... ზიარეთში მიდიან ფორტის, ჭკუა რომენ დაკარგული ექნება, შვილი არ ეყოლის. ... მომ ანთებს, სამ, შვიდ, ხუთ, ცხრას. ჩემი დარდი რაცხა არიო, ვნახო სიზმარიო. და დაწვება. ... სანთლებს ქვაზე დგამენ. რჩებიან ერთ-ორ ღამეს, სამს და მეტ ღღეს. უფრო შორიდან მოსულები, უფრო დიდხანს რჩებიან. მულები აქ არ ერევიან“⁵⁶. „რძალს შვილი არ უჩნდებოდა, ავიღე მისი მანდილი და ზიარეთს წავედი, ფორთას. მანდილი თავქვეშ ამოვიდე და დავიძინე. ძილში ერთი თეთრწვერა მოხუცი გამომეცხადა. ხის ნაფოტი მომცა, ეს ნაფოტი ჩემ რძალს მივეცი. იმავე წელს შეეძინა შვილი“ (მერიემ გული, სოფ. ფორთა, 2013)⁵⁷. ფორთის ზიარეთანაა დაკავშირებული ერთი საინტერესო ფაქტი, რასაც პირველად ყურადღება მალხაზ ჩოხარიძემ მიაქცია: „ადგილს (მთას), სადაც ზიარეთი და შესაბამისად, ეკლესიაა, ჰქვია ძეგლი“⁵⁸. მეცნიერი სრულიად სამართლიანად ამ „ძეგლს“ ჟამთააღმწერლის მიერ მოხსენიებულ ძეგლის წმიდა გიორგის ეკლესიასთან აიგივებს, რომელმაც მონღოლთა თევჯდარის ლაშქარს ნიაღვარი მოუვლინა და მთელი ლაშქარიც გაანადგურა: „და მოუვლინა ნისლი და სიბნელე, და ვერღარა ვიდოდეს ფერხითა საძაგელითა ... და დადგეს მთის მის ძირსა, რომელსა ეწოდების ძეგლი, რომელსა შენ არს ეკლესია წმიდისა გიორგისი, რომელ არს [შორის] ოპიზას და მიძნადორსა“⁵⁹. ნიშანდობლივია, რომ ძეგლის წმიდა გიორგის ეკლესიის ნანგრევები დღემდეა შემორჩენილი.

ქრისტიანობის ნაკვალევი ტოპონიმებშიც შემორჩა: საჯვარეთი, მამაწმინდა, ელიაწმინდა, გიორგიწმინდა... ნახშირით ჯვარის

⁵⁶ ნ. მარი. შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები, გვ. 224.

⁵⁷ კლარჯეთი. მ. ფალავას რედაქციით, ბათუმი, 2016, გვ. 218.

⁵⁸ კლარჯეთი. მ. ფალავას რედაქციით, ბათუმი, 2016, გვ. 219.

⁵⁹ კლარჯეთი. მ. ფალავას რედაქციით, ბათუმი, 2016, გვ. 219.

გამოსახვა იცოდნენ პატარძლის მოყვანის დროს კარის თავზე. სახლში შესვლის დროს დედამთილი „დედოფალს“ თავლს მიართმევდა და თან ნახშირს აძლევდა, რითაც ახალშემოსული აკეთებდა ჯვარს.

გაირკვა, რომ სამხრეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებისათვის, მათ შორის კლარჯეთისათვის დამახასიათებელი იყო ხარების/ბულების ჭედობა (როზეტა გუჯეჯიანი). აქ ხარების/ბულების ჭედობა შერწყმული იყო მესაქონლეობის ტრადიციებთან და ის ზოგჯერ დაკავშირებულია შუამთობის დღეობასთან. „მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან კი ბევრგან დამოუკიდებელი სახით სრულდება და „ფესტივალადაა“ ქცეული. ცხადია, ტრადიცია ტრანსფორმირებულია, თვალსაჩინოა, რომ ნოვაციური ელემენტები თანდათან ტრადიციად მკვიდრდება, ხოლო იქ, სადაც ხარების ჭედობა, კვლავ საზაფხულო საძოვრებზე იმართება (შუამთობის დღეობა), მას ძველებური სახე აქვს. ხარების შერკინებასთან ერთად შუამთობას იშლებოდა საერთო სადღესასწაულო სუფრები, იმართებოდა ფერხულები. „ართვინის რეგიონში ყველაზე მასშტაბური ხარების ფესტივალი **„კაკასორის“** სახელითაა ცნობილი, **კაკასორი** მთის (გეოგრაფიული მთა) სახელია და იგი ქალაქ ართვინიდან რამდენიმე კილომეტრითაა დაშორებული. ეს ადგილი ძველად აგარა ყოფილა და იქ იმართებოდა „შუამთობა“, რომლის ნაწილიც იყო ხარების ჭედობა. ამჟამად კი იქაურობა საფესტივალო არენადაა ქცეული: მაყურებლისათვის მოწყობილია დასასვენებელი და გასართობი ინფრასტრუქტურა. **„კაკასორშიც იყო ხარების ჭედობა ძუელად, ახლაც არის, სულ მთლად აქეთ მოყავან ხარები ყველას. იქ ახლა ფესტივალ აკეთებენ“** ფესტივალი, დაახლოებით, 30 წელია იმართება“⁶⁰.

XIX საუკუნის მონაცემებით კლარჯეთში, ისევე როგორც დასავლეთ საქართველოში, საცხოვრებელი სახლები ხისა ჰქონდათ

⁶⁰ რ. გუჯეჯიანი. ხარების ჭედობა ტრადიციულ ქართულ ყოფაში. – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები, ტ. VI, თბ., 2016. გვ. 26-36.

ყავართ გადახურული⁶¹. ბორჩხაში აკეთებდნენ დოქებსა და ქვევრებს. აქ ბაზრობა სცოდნიათ: „პარასკევობით გროვდებიან ჭოროხს გამოღმა, მინდორ ალაგას სოფლის ხალხი და დიდი ალებმცემობა იმართება – სიმინდისა, ქალაშნისა და ქოთან-ქვევრებისა...“ სოფელ ხების მკვიდრებს გარდა იმისა, რომ სიმინდი მოჰყავდათ, მენავობასაც მისდევდნენ. მარადილი, რომელიც ოცდაათი სოფლის ერთობლიობას წარმოადგენდა, მაღლობ ადგილზე მდებარეობდა. მისი მკვიდრნი მისდევდნენ სიმინდისა და ლობიოს მოყვანას. გამოცდილი მენავებებიც მარადიდელები იყვნენ („ეს ნიჩბითი შრომა იმათში ზდის ღონიერ ვაჟკაცებს“⁶²). ქვემო მარადიდელები იყვნენ სწორედ ჭოროხზე „სასიარულო ნავების“ მკეთებელნი. ნავი ბრტყელძირიანი და გრძელი კეთდებოდა, რომელსაც წინა და უკანა ნაწილი აწეული – წამახვილებული ჰქონდა. მას „ჭოროხულ ნავსაც“ უწოდებდნენ. ასეთი ნავის სიგრძე ათი-თხუთმეტი მეტრი იყო, სიგანე ორნახევარი. განთქმული მენავები (ნავის წინამძღოლები) ყოფილან კირნათელი *ცინცაძეები* და *ჯიხაძეები*, ქვემო მარადიდელი – *დიდმანიძეები*. *დიმიტრი ბაქრაძე* გადმოგვცემს, რომ მდინარე ჭოროხზე ართვინსა და შესართავს შორის ორასამდე ბრტყელძირიანი ნავი ანუ კაიუკი დაცურავდა. ნაოსნობდნენ მთელი წლის განმავლობაში, გარდა გაზაფხულისა. თოვლის დნობისა და ჭოროხის ადიდების დროს ნავები მოძრაობას წყვეტდნენ. ნავები ახლომახლო სოფლების მცხოვრებლებს ეკუთვნოდათ. ნავებს ნაძვის ან ფიჭვის ხისაგან აკეთებდნენ⁶³. ლეზავდნენ კვერცხისა და ნახშირის ნახარშით. ლიგანელები ნავებით ეზიდებოდნენ ერბოს, ხილს, ტყავს, დახერხილ ფიცარს, თიხის ჭურჭელსა და კრამიტს. ბორჩხაში დამზადებული სამეთუნეო ნაწარმი, აგრეთვე კრამიტი და აგური ბათუმიდან შემდეგ *ხოფასა* და *ტრაპიზონშიც* გაჰქონდათ. ეთნოლოგებს დადასტურებული აქვთ ჭოროხული ნავის საქორწილო რიტუალში გამოყენების ფაქტებიც – თუ ნეფე და დედოფალი

61 ს. ასლანიშვილი-ბაერელი. წერილები „ოსმალის საქართველოზე“, თბ., 2008, გვ. 87.

62ს. ასლანიშვილი-ბაერელი. წერილები „ოსმალის საქართველოზე“, გვ. 91.

63დ. ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, გვ. 36.

ჭოროხთან ახლოს მდებარე სოფლებში ცხოვრობდნენ, დედოფლის მამის სახლიდან გადაყვანა ნავით ხდებოდა⁶⁴.

კლარჯეთში ბევრია საფორტიფიკაციო ნაგებობა. არტანუჯის ციხე-ქალაქს რომ თავი დავანებოთ, შეიძლება დავასახელოთ: *კლარჯეთის, ტანძოთის, მელოს, კუარცხანის...* ციხეები. ბევრია შუა საუკუნეებში აგებული ქვის თაღოვანი ხიდიც, მათ შორის, *ბელეკანის, ქლასკურის, მურულელის...* ხეობებში. ადგილებზე ბევრი „ბეწვის ხიდიც“ ჰქონდათ; ასეთ ხიდს აქ „წანწალაი ხიდს“ უწოდებდნენ⁶⁵.

კლარჯეთში ოდესღაც მალალ დონეზე იდგა ქვითხურობა, რასაც ჩვენამდე შემორჩეული საცეხველები და საწნახელებიც მოწმობს. ბოლო დრომდე მხოლოდ წისქვილის ქვებს აკეთებდნენ. მისი დამზადებით სოფლები *ქართლა* და *ტანზოთი* გამოირჩეოდნენ⁶⁶. ფართოდ იყო გავრცელებული ხის დამუშავება, აკეთებდნენ ჯამ-ჭურჭელს, კოვზებს, წნულ ნაკეთობებს (*გიდელო, ორხაპო, გოდორი*).

თურქეთის შავიზღვისპირეთში კლარჯეთიდან მიგრირებულ მუჰაჯირთა შთამომავლებს შენარჩუნებული აქვთ მთელი რიგი ტრადიციები, განსაკუთრებით კვებითი კულტურის სფეროში – ისინი დღესაც აყენებენ ღვინოს და ქორწილს ღვინის სმის გარეშე იშვიათად იხდიან. ტრადიციულად ქართული საწებლებით ამზადებენ კერძებს და აკეთებენ ისეთ შესანიშნავ კერძს, როგორცაა საცივი, რომელიც ჩვეულებრივ ხუთი ქათმისაგან იხარშებოდა და რასაც ისინი დღეს, ოდნავ განსხვავებული სახელით, „მაცივრით“ მოიხსენიებენ.

ქლასკურის ხეობაში მთხრობელები თავიანთ თავსაც ახასიათებდნენ. მათ ამ მხრივ გარკვეული სტერეოტიპი ჰქონდათ შემუშავებული; აი, ეთნოგრაფიული მასალა: „ჩვენ აქაური მამალი ვართ. მამალი იმას ნიშნავს, რომ კულზე თავს არავის დავუდებთ. კულზე თუ დამადგა, მორჩა საქმე“.

⁶⁴ მგელაძე. კლარჯეთის ეთნოლოგია – კლარჯეთი, ბათუმი, 2016, გვ. 368.

⁶⁵ მგელაძე. კლარჯეთის ეთნოლოგია – კლარჯეთი, გვ. 291.

⁶⁶ მალაყმაძე. ლივანის ხეობა, გვ. 107-108.

ბოლო დრომდე კლარჯეთში შენარჩუნებული იყო უმძრახობა. ოჯახის წევრი მამაკაცების მიმართ ქალებს მოკრძალებული დამოკიდებულება ჰქონდათ, სახლში შესვლისას ოჯახის უფროსს ყველა ფეხზე წამოუდგებოდა. „უფროსების წინაშე სახლეულის წევრებს პატარა ბავშვების ხელში აყვანა ეკრძალებოდათ, გათხოვილი ქალი ხანდაზმულებთან ღარჯს, ჩვილს ხელში ვერ დაიჭერდა. ... წინ მჯდომი ფეხს ფეხზე ვერ გადაიდებდა“⁶⁷, რაც საერთო ქართული ტრადიცია იყო.

ძალიან მოკლედ ლიგანის ხეობის ერთი სოფლის *ბაგინის* ეთნოგრაფიულ დახასიათებას შემოგთავაზებთ. ბაგინი ექვს უბნად იყოფა; ესენია: *შაქრეთი*, *ბულარეთი*, *ნაზვნარა*, *კვინტავლი*, *ნაბელლავი* და *ვანი*. ყოველ უბანში სამი-ოთხი გვარისანი ცხოვრობენ, რომლებიც ახლა თავიანთ მემკვიდრეობით სახელებს -ოლლი სუფიქსით აბოლოვებენ. ჩამოთვლის დროს მთხრობელმა მხოლოდ სამ მათგანს მისცა განმარტება: *შაქიროლლი* – *შაქირიძე*, *გედუგოლლი* – *გედუგი* და *კუნტოლლი* – *კუნტოები*. სოფლის მკვიდრებმა იციან, რომ სოფელში თავიდანვე „გურჯები“ ცხოვრობდნენ. სოფლიდან ოთხ კილომეტრში არის ტოპონიმი, რომელსაც „ქილისას“ უწოდებენ. დღეს აქ ვენახს უწოდებენ იმ მიწის ნაკვეთებს, სადაც სიმინდი, ლობიო, აყირო/ხაპი... მოჰყავთ. ხენისას სახენელში უღელ ხარს აბამდნენ. სოფელში, კვინტეულ მაჰალეში, კრამიტს აკეთებდნენ. შემორჩენილია ბევრი ქვევრი. იციან, რომ ძველი გურჯები შარაფს ღერგებში/ქვევრებში ასხამდნენ. სოფლის თავზე ჰქონდათ მთაც (იაილები), სადაც ბოლო დრომდე *შუამთობის* დღესასწაულს აწყობდნენ. ბაგინში საქონელთან ერთად დიდი რაოდენობით ჰყოლიათ თხაც. ინფორმატორის ოჯახს ძროხა თუ თხუთმეტი სული ჰყავდა, თხების რაოდენობა ორასზე მეტი ყოფილა. სცოდნიათ ძროხისა და თხის რძის გადარევა. ყველს ხის კასრებში ინახავდნენ. „ფშკერის“ ფურცლის დაფარების შემდეგ ყველი აღარ უობდებოდათ. სოფელს ძირითად შემოსავალს სიმინდი და პური აძლევდა. ხორბალს, რომელსაც „წითელ პურს“ უწოდებდნენ, კევრით ღეწავდნენ. მარცვალს ჩვეულებრივ წისქვილში ფქვავდნენ. განვითარებული იყო მეხილეობაც; ხილს ყიდდნენ ტრაპი-

⁶⁷ ნ. მგელაძე. კლარჯეთის ეთნოლოგია – კლარჯეთი, გვ. 315.

ზონსა და ერზერუმში. ლელვს ჩირავდნენ. კაკალი დიდი რაოდენობით ჰქონდათ და გარდა ზემოთ დასახელებული ქალაქებისა, ის გასაყიდად ბორჩხასა და ართვინშიც გაჰქონდათ. ისევე როგორც შავშეთ-იმერხევეში, აქაც წყალი გამოყვანილი ჰქონდათ ხის მილებით. სუთი მეტრის გახვერტილი მილები ერთმანეთში მჭიდროდ იყო ჩასმული. ცხოვრობდნენ ხის სახლებში დიდ ოჯახებად (ინფორმატორის მამის ოჯახში ოთხი ცოლშვილიანი ძმა ცხოვრობდა ერთად და ოჯახის წევრთა საერთო რაოდენობა ოცდაათს აჭარბებდა). ზედა სართული დასაძინებელი იყო, ქვედაზე კი საჭმელს აკეთებდნენ. რაც შეეხება ახორს, ის არა სახლის პირველ სართულზე, არამედ ეზოში ცალკე ჰქონდათ აშენებული. ფრიად საყურადღებოა ბაგინში დაფიქსირებული ერთი ნიუანსი – ბავშვები ბებიას თუ გააბრაზებდნენ, ბებია დაუცაცხანებდა და შესძახებდა: „აი, თქვე ყიზილბაშებო, თქვენა“. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება – „დიღვანების“ (=პაპების) სახლები ბაგინში ერმენლებს (= სომხებს) დაუწვავთ (მათ ბორჩხის მიდამოებში კიდევ ოთხი სოფელი გადაუწვავთ).

კლარჯეთის მურღულის ხეობაში ჩაწერილი რამდენიმე სიტყვის მნიშვნელობა: *სამქსო* – საქსოვი დაზგა, *ხელები არ გაარყიოთ* – გაანძრიოთ, *ცინტალი* – კატის კნუტი, *ბურვაკი* – დათვის შვილი, *ლოჭო* – ღორის პატინაი.

1890-იან წლებში კლარჯელთა გამაჰმადიანების შესახებ ბევრი გადმოცემა ჩაუწერია *ზაქარია ჭიჭინაძეს*. ხალხს, გადმოცემით, შენარჩუნებული ჰქონდა წინაპართაგან გადმოცემული ამბები აღნიშნული მოვლენის შესახებ. გადმოცემები ადასტურებენ, რომ მაჰმადანობამიღებულები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფარულ ქრისტიანებად რჩებოდნენ. მაჰმადიანობის მოწინააღმდეგენი კი ართვინის ხიდიდან ოსმალებს დაუსჯიათ, მათთვის თავები მოუკვეთავთ. „მოხუცებულთა ფიქრით ეს უნდა მომხდარიყო 1740 წელს“. მურღულელების გამაჰმადიანება ოსმალებს ჯარით უცდიათ, მაგრამ დიდ წინააღმდეგობას წასწყდომიან. ეს ბრძოლა 1790 წლამდე გაგრძელებულა. ბოლოს „მურღულის ერი მოდრკეს“. მაგრამ „1840 წ. ოსმალთა დიდის მეცადინეობით შეიტყვეს, რომ მურღულში თურმე გათათრებული ქართველები ჩუმად ქრისტიანობდნენ. ... ქრისტიანობის რიცხვი აღმოსწრდა სოფელს გეველში,

თხილაზორში, დანცულას, თასმალოს და რამდენიმეც სხვა სოფლებში. ... საიდუმლო ქრისტიან-ქართველები საიდუმლო ლოცვას გარდა მცირედ ქრისტიანობდნენ. მაგალითებრ, შობა ღამეს ამათ იცოდნენ „ალილოს“ თქმა: პატარა ბიჭები ერთად შეიკრიბებოდნენ და აქა-იქ ქართველებთან „ალილოს“ ძახილით წავიდოდნენ; ოსმალთა მოლა-ხოჯები კი ასე ჰფიქრობდნენ, რომ ვითომც ბავშვები მღერიათ. ქართველნი ყველა ქრისტიანთ დღესასწაულებსაც იცოდნენ ხოლმე და ნამეტურ უქმობდნენ შობას, აღდგომას, წყალკურთხევას, ახალ წელიწადს და ელიობას, ქრისტიანულ მარხვასაც ინახავდნენ“⁶⁸. „როგორც ერთმა ბერძენმა (ლაზარევმა) მარწმუნა, „ალილოს“ თქმა მურღულში გათათრებულ ქართველთა შვილებს 1870 წლებამდის სცოდნიათ. ... ჩვეულებრივ შერჩათ კიდევ საღვთოს დაკვლა და წითელი კვერცხების შეღებვა. ... უკანასკნელ ომის წინად ყველა ესენი სასტიკის ბრძანებით იქმნა მათში აღკრძალული და მოსპობილი“⁶⁹.

კლარჯეთში დადასტურებულია ხალხური პოეზიის შესანიშნავი ნიმუშები, რაც გარკვეული ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა, რადგან ეთნოსის დეენიზაციისას პირველ რიგში დავიწყებას ფოლკლორი ექმდებარება. კლარჯული ფოლკლორის მრავალი ნიმუში აქვს ჩაწერილი ფოლკლორისტ თინა შიოშვილს მრავალრიცხოვანი ნიმუშებიდან ერთზე შეეჩერდები: „ღმერთმა თათრებ რა მუეჩინა//უდრო-უდრო რამაზანი! —//ხან წინ მოვა, ხან — უკანა//არ იციან, როდის არი//შიმშილისგან ფაშვი ტკივა//კვერდზე მიდის ქალამანი//ქალამანი ქალანჩხუთეს//თირირირი, ჰორინანა...“. ამ ლექსით თურქეთში მცხოვრები ქართველის ღრმა ეთნიკურ ცნობიერებაზე შეიძლება ვისაუბროთ (დაპირისპირება „ჩვენ-ისინი“ აშკარაა). ეს სააკვნო ლექს-სიმღერა კი იმ დროს უნდა იყოს შექმნილი, როდესაც ქართველები ჯერ კიდევ ქრისტიანები იყვნენ: „ნანი, ნანი, ნანაი//ღეიძინოს ჩემმა ვიარამა//ნანი, ნანი, ნანაი//ღეიძინოს, გეიზდესა//ნანი, ნანი, ნანაი// გეიზდეს და კაცი გახდესა//ნანი, ნანი, ნანაი...“⁷⁰

⁶⁸ ზ. ჭიჭინაძე. ქართველთა გამუსლიმება, თბ., 2004, გვ. 26.

⁶⁹ ზ. ჭიჭინაძე. ქართველთა გამუსლიმება, თბ., 2004, გვ. 27.

⁷⁰ თ. შიოშვილი. კლარჯული ფოლკლორი. — კლარჯეთი, გვ. 427, 517.

ეთნიკური ქართველების განსახლების არეალი კლარჯეთში

ეთნიკური ქართველები კლარჯეთში დღეს ძირითადად ჭოროხის აუზის იმ მონაკვეთში ცხოვრობენ, რომელიც წყაროებში ლიგანის/ლიბანის სახელით არის ცნობილი. გარდა ჭოროხის ხეობისა, ესაა აგრეთვე მისი შენაკადი არტანუჯის, მურღულის, დევსქელის, ქლასკურის ხეობები... არტანუჯის მხარეში ქართველები აღარ ბინადრობენ, რადგან თურქეთის ხელისუფლებამ 1946 წელს ისინი აქედან აყარა და ბურსის ვილაიეთში გადაასახლა.

კლარჯეთს აღმოსავლეთით შავშეთ-იმერხევი ესაზღვრება, სამხრეთ-დასავლეთით – ტაო. საინტერესოა სად გადიოდა დასახელებულ მხარეებს შორის საზღვარი? ეს საზღვარი ემთხვეოდა თუ არა საეკლესიო საზღვრებს. ამ კითხვაზე შეიძლება პასუხი აქვე იქნეს გაცემული. შავშეთი ერთი ეპარქიის მომცველი იყო და ის მტბევარის ეპარქიაში შედიოდა. მაგრამ ტბეთის ეპარქიის საზღვრები ამით არ შემოიფარგლებოდა. ამ საეპისკოპოსოში შედიოდა მთლიანად მაჭახლის ხეობაც. ანჩელის საეპისკოპოსო კლარჯეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეს მოიცავდა. ტაოში კი ორი ეპარქია იყო – ბანელისა და იშხნელის საეპისკოპოსოები.

სამხრეთ საქართველოს/სამცხე-საათაბაგოს სამწყსოთა საზღვრები მოცემულია XVI საუკუნის დასაწყისით დათარიღებულ დოკუმენტში. საბუთში ვკითხულობთ: „**ანჩელის** სამწყსო: **სამსწყალს** აქეთი (აქ მძიმე უნდა იყოს – რ. თ.) **ხანძთასა** და **ოპიზას** შუა **დახატულა**. იმას ქვემოთ **ნიგალისხევი**, გაღმა და გამოღმართი, **გონიის** სამზღრამდი. **მტბევარის** სამწყსო: **დახატულას** ზედათი, **ანაკერტს** აქეთი, სულა **შავშეთი მიჭინიანთ** ბატონის უწმინდესის კათალიკოზის ყოფილა; იმ ქვეყნის ეპისკოპოზის იასაულიც ის ყოფილა; **აჭარა დანდალოს** ზეითი მას ჰქონია, დანდალოს ქვემოთი აჭარა ქუთათელის სამწყსო ყოფილა“⁷¹.

სამწყალი არტანუჯის მხარეში არტანუჯის-წყლის აღმოსავლეთით ერთ-ერთი ხეობის სახელია. მასზე მდებარეობდა ამავე სა-

⁷¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტომი III, ი. დოლიძის გამოცემა, თბ., 1970, გვ. 245.

ხელწოდების სოფელი. 1886 წლის საოჯახო სიებში სოფელი *სამსხარ-წყალის* ფორმითაა შეტანილი. ამ დროს სოფელში 114 კომლი ეთნიკური ქართველი მკვიდრობდა. *სამსხარის-წყლის/სამსხარის* საზოგადოებაში შედიოდა აგრეთვე სოფლები: *ნორვიელი*, *ფეტობანი* და *ჭიდილი* (*ჭიდილის* ერთ-ერთი უბანი იყო *გულათა*. ნ. მარის დღიურის მიხედვით, *ჭიდალში* 1904 წელს ქართულად მხოლოდ ხანში შესულები ლაპარაკობდნენ), რომლებშიც ასევე ქართველები ცხოვრობდნენ. ამ სოფლების მკვიდრნი თურქეთის ხელისუფლებამ, როგორც აღვნიშნეთ, ბურსის მხარეში გადაასახლა. სხვათა შორის, სოფელ *ფეტობანში* მცხოვრები 100 სული 1910 წლის „კავკასკი კალენდარში“ მხოლოდ ქართველებად არიან აღრიცხულნი და მათ მაჰმადიანი არა აქვთ მიწერილი) (1886 წლის საოჯახო სიებით *ანაგერტი არტანუჯის* უჩასტკის *ანჩის* სასოფლო საზოგადოებაში შედიოდა (ორივე სოფელი *სამწყალის* მარცხენა მხარეს იყო). სოფელში 52 კომლი ეთნიკური ქართველი ცხოვრობდა. *ანჩის* საზოგადოებაში შედიოდა კიდევ ორი სოფელი: *ანჩორა* და *ოფისჩალა*. 1910 წლის „კავკასკი კალენდარში“ *ოფისჭალის* მკვიდრ 109 სულს მიწერილი აქვს არა «Грузини», როგორც ჩვეულებრივ ქართველ მაჰმადიანებს აღნიშნავდნენ, არამედ «Грузины». 1946 წელს ქართველები აქედან გადაასახლეს *ბურსის* მხარეს და ორი-სამი თაობის მანძილზე ეთნიკური ცნობიერებაც დაკარგეს⁷². *მიჭიხიანი* იგივე *მაჭახლის* ხეობაა. *მაჭახელს იმერხევისა და კლარჯეთის* იმ მონაკვეთისაგან, სადაც *ფორთა*, *ობიზა*, *პარხთა*, *ბერთა*, *დაბა* და *ჯებერკი* მდებარეობდა, *კარჩხლის* ქედი მიჯნავდა. თუმცა დასახელებულ ტერიტორიებს ერთმანეთთან მჭიდრო სამეურნეო-კულტურული კავშირები ჰქონდა. *კარჩხალზე* ჰქონდათ აქაურ ქართველებს საზაფხულო/სამთო საძოვრებიც – ე. წ. „იაილები“. *კარჩხლის* ქელიდან იღებს სათავეს *დეგსქელის* ხეობაც, რომელიც *ჭოროხს ბორჩხასთან* ერთვის. ზემოხსენებული საბუთის საფუძველზე *ივანე ჯავახიშვილი* *მაჭახელს შავშეთის* შემადგენელ ნაწილად მიიჩნევდა; „დასავლეთით შავშეთი შავ ზღვას აღწევდა თუ არა, არა ჩანს: ვიცით მხოლოდ „მიჭიხიანი“, ანუ მა-

⁷²ი. *ლუტიძე*. არტანუჯის ტოპონიმები – ისტორიული რეალიების მოწმენი. – კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, XIII, თბ., 2011, გვ. 107-126

ჭახელი შავშეთის საზღვრებში⁷³“. ვფიქრობთ, მაჭახლის ტბეთის ეპარქიის შემადგენლობაში არსებობა არაა იმის არგუმენტი, რომ ის შავშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის შემადგენელ ნაწილად მივიჩნიოთ. მიჭიხიანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დამოუკიდებელი პატარა ტერიტორიული ერთეული იყო.

ამრიგად, საბუთი მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია. ანხელის სამწყსო მთლიანად ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კლარჯეთს მოიცავდა. მისი აღმოსავლეთი საზღვრის ერთი მონაკვეთი არტანუჯიდან აღმოსავლეთით სამწყალის ხევზე გადიოდა (თანამედროვე სამსხარი. ანჩის მონასტერი სამწყალის ხეობაში მდებარეობდა). აღმოსავლეთის საზღვრის მეორე მონაკვეთი ოპიზასა და ხანძთას შორისი გეოგრაფიული პუნქტი – დახატულა (მთა ან ღელე) ყოფილა. დახატულას დასავლეთით და სამწყალს ქვემოთ მთლიანად კლარჯეთში არსებული ჭოროხის აუზი მდინარის ორივე მხარეზე შავ ზღვამდე ანხელის საეპისკოპოსოში შედიოდა. დახატულას აღმოსავლეთი მხარე ტბეთის ეპარქიაში შედიოდა, რომლის (ტბეთის) დასავლეთით მდებარე მნიშვნელოვანი საეკლესიო ნაგებობა ხანძთა გახლდათ, ე. ი. ტბეთის ეპარქია მთლიანად მოიცავდა შავშეთ-იმერხევს. იმერხევის დასავლეთით უკვე ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე – კლარჯეთი (კლარჯეთში არტანუჯიდან სამხრეთ-დასავლეთით სოფელი კლარჯეთიც არსებობდა. სოფელი კლარჯეთი სამჯერაა მოხსენიებული 1705-1706 წლების თურქულ წყაროში⁷⁴. მის სიახლოვეს იყო სოფლები: ვართხელი, ორტიზი და სახრე. სოფლის ასეთი სახელწოდება იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ თავდაპირველად კლარჯეთი მხოლოდ და მხოლოდ ოიკონიმი იყო და შემდეგ იქცა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის სახელწოდებად. ანალოგიური შემთხვევები არაერთია მსოფლიოს მასშტაბით, როდესაც ერთი დასახლებული პუნქტის სახელწოდება არა მარტო მთელ მხარეს, არამედ ქვეყანასაც გადაეცემოდა ხოლმე. სოფლის სახელწოდება მთელ მხარეზე განსაკუთრებით იმ შემთხვევებში ვრცელდებოდა, როდესაც ეს დასახლებუ-

⁷³ ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, თბილისი, 1965, გვ. 62.

⁷⁴ ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი. 1694-1732 წწ. ც. აბულაძის გამოცემა, თბ., 1979, გვ. 116-117.

ლი პუნქტი ამ მხარის განაპირას იყო. კლარჯეთის შემთხვევაშიც ანალოგიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე. მეორე გზა დასახლებული პუნქტის მთელ მხარეზე/ქვეყანაზე გადატანისა იყო იმ შემთხვევაში, თუ მასში მხარის ხელისუფალი იჯდა. სოფელ *კლარჯეთსა* და მის სასოფლო საზოგადოებაში შემავალ სოფლებში 1886 წლის საოჯახო სიებით თურქები ცხოვრობდნენ, თუმცა 1910 წლის „კაკაკაზსკი კალენდარი“ გვიდასტურებს, რომ ამ სოფლების მკვიდრნი ქართველები იყვნენ. ამ დროს სოფელ *კლარჯეთში* 658 სული ეთნიკური ქართველი ცხოვრობდა, *კართხელში* 159 სული, *ორტიხში* – 95 სული.) იყო. *ოპიზა* და *ფორთის* მონასტერი *კლარჯეთში* შედიოდა.

შავშეთის გარდა, მტბევარის სამწყსო *მაჭახელსა* და *აჭარის* ნაწილსაც (დანდალოს ზემოთი) მოიცავდა. ხოლო აღმოსავლეთი საზღვარი *არსიანის* ქედი გახლდათ (*არტაანის* ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარიდან *არსიანის* ქედით გადასასვლელია *არტანუჯისწყლის* ხეობის სათავეში მდებარე სოფლებში *ხეგასა* და *ლონგოთხევი*). აქედან მგზავრი სოფელ *ხერთვისში* შედიოდა, შემდეგ – *ახაშენში*, *შავგულარში* და *შვათა-ხევი*ში, ბოლოს კი უკვე – *არტანუჯში*. 1879 წელს ეს გზა გაიარა *სოლომონ ბაერელმა*, რომლის წერილებიდან ირკვევა, რომ აღნიშნული სოფლების მკვიდრნი გათურქებული ქართველები ყოფილან⁷⁵. *ლონგოთხევიდან* *არტანუჯისაკენ* მიმავალ გზაზე, *არტანუჯისწყლის* მარჯვენა მხარეზე მდებარეობს *ენირაბათი*, რომელშიც 1886 წლის მონაცემებით 18 ოჯახი ეთნიკური სომეხი ცხოვრობდა. 1907 წელს კი *ენირაბათში* მხოლოდ ქართველი მაჰმადიანები იყვნენ აღრიცხულნი. *არტანუჯიდან* *ახიზისაკენ* მიმავალ გზაზე კი სამი სოფელი იყო: *მაცალახევი*, *ბოცა* და *ბიჭა*. *ახიზიდან* ახლოს *არტანუჯისწყალი* მდინარე *შავშეთისწყალს* მარცხენა მხრიდან უერთდება.

საძიებელია ტოპონიმი/მაკროტოპონიმი **დახატულა**, რომელიც *შავშეთ-იმერხევს* *შავშეთისწყლის* მარჯვენა მხარეს *კლარჯეთისაგან* მიჯნავდა, შესაბამისად, მტბევარის სამწყსოს – ანჩელის სამწყსოსაგან. *ოპიზას* და დღეს *ხანძთად* მიჩნეულ *ფორთის* მონას-

⁷⁵ ს. ასლანიშვილი-ბაერელი. წერილები „ოსმალის საქართველოზე“, გვ. 133-134.

ტერს შორის საზღვარი/მანძილი ფაქტობრივად მინიმალურია და დახატულა არ შეიძლება მათ შორის ყოფილიყო. ერთადერთი ავტორი, რომელსაც ტოპონიმი „დახატულა“ აქვს დაფიქსირებული, ნ. მარია. მართალია, ავტორი მთლად ნათლად ვერ მიუთითებს მიკროტოპონიმ დახატულას ადგილმდებარეობას, მაგრამ ეს ახლად გატყვევებული ველური ადგილია ფორთიდან აღმოსავლეთით, უფრო სწორედ შავშეთის წყლის მარჯვენა შენაკადის მარჯვენა მხარეს, რომელიც კარჩხლის მთიდან ჩამოედინება და რომელზედაც ნუკი საყდარი მდებარეობს. შავშეთის წყლის (რომელსაც ნ. მარი, პ. ინგოროყვა და ვ. კობახე შეცდომით მდინარე იბერხევს უწოდებენ. იბერხევი შავშეთისწყალს შერთულთან ერთვის) სიახლოვეს დახატულას დაბლა „სამაჭრეთი“ (მიკროტოპონიმი) იყო, ხოლო დახატულას ზემოთ – „სარკინეთი“ (ასევე მიკროტოპონიმი), „სარკინეთს ზემოთ – „ქორნი-ბუდა“ (ესეც მიკროტოპონიმია). ადგილმდებარეობის აღწერილობიდან, თუნდაც ფართობის მოცულობით, არ ჩანს, რომ დახატულა გამძიჯვნელ ადგილად გამომდგარიყო ანჩელისა და მტბევარის საეპისკოპოსოებს შორის. პატარა ადგილს დახატულას (მიკროტოპონიმის) ქვემოთ სამაჭრეთი ერქვა, ზემოთ კი სარკინეთი და ქორნი-ბუდა. ვფიქრობთ, რომ დახატულა თავის დროზე უფრო დიდი ფართობის მომცველი უნდა ყოფილიყო და ის მიკროტოპონიმს არ წარმოადგენდა (შეუძლებელია, მიკროტოპონიმით ორი დიდი სამწყსო ერთმანეთისაგან გაემიჯნათ), რომელიც კარჩხლის მთებიდან ჩამომავალ კარჩხლის-წყალს გასდევდა და ეს ხევი უნდა ყოფილიყო საზღვარი ანჩელისა და მტბევარის სამწყსოებს შორის (არც ისაა გამორიცხული, რომ კარჩხლის-წყლის ადრინდელი სახელწოდება სწორედ დახატულა ყოფილიყო, რადგან ნ. მარი ამავე ჰიდრონიმით სხვა ხევისაც მოიხსენიებს, რომელიც ასევე კარჩხლის ქედს გამოედინება და რომელზედაც დაბა, ბერთა და პარეხთა მდებარეობენ; ნ. მარი მას მეორე კარჩხლის-წყალს („კარჩხალკას“) უწოდებს. რეალურად ეს მდინარე (ან ამ მდინარეზე არსებული სოფელი დახატულა) მართლაც იყო საზღვარი შავშეთ-იბერხევსა და კლარჯეთს შორის. ახლა, რაც მთავარია, ნათელია, რომ ფორთაც (რომელსაც ხანძთად მიიჩნევენ, ნ. მარი კი მას შატბერდად მიიჩნევდა) და ნუკის საყდარიც (რომელსაც ნ. მარი ხანძთად მიიჩნევდა) დახატულას დასავლეთით იყო (ნ. მარმა

ნუკიდან ფორთამდე მისვლას ფეხით ერთი საათი მოანდომა), ე. ი. ანჩელის სამწყსოში შედიოდა, ხოლო დასახელებული გეოგრაფიული ადგილებიდან აღმოსავლეთით მტბევიარის საეპისკოპოსო იყო.

ამრიგად, კარჩხლის წყლის მარცხენა მხარე მტბევიარის სამწყსოში შედიოდა, მარჯვენა – ანჩელის სამწყსოში (შესაბამისად, აქ გადიოდა საზღვარი შავშეთისა და კლარჯეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებს შორის). ეს იყო ორ ეპარქიას შორის საზღვარი მდინარე შავშეთის წყლის მარჯვენა მხარეს. შავშეთის წყლის მარცხენა მხარის საზღვარი თითქმის მარჯვენა მხარის საზღვრის მოპირდაპირე მხარეს იყო. როგორც ზემოთ მოხმობილი XVI საუკუნის დასაწყისის დოკუმენტით ირკვევა, ეს საზღვარი შავშეთის წყლის მარცხენა შენაკადზე – სამწყალზე – გადიოდა. სამწყალის მარჯვენა მხარე მტბევიარის ეპარქიაში შედიოდა, მარცხენა მხარე – ანჩელის ეპარქიაში (შესაბამისად აქ გადიოდა საზღვარი შავშეთისა და კლარჯეთის არტანუჯის მხარეს შორის). ანჩის ტაძარი სწორედ ორი ეპარქიისა და ორი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის საზღვარზე იყო, ოღონდ, რა თქმა უნდა, დასახელებული სამწყალის მარცხენა მხარეს.

მხარის შესასწავლად მნიშვნელოვანია 1886 წლის საოჯახო სიები. ამ სიების მიხედვით შეიძლება გარკვევა თუ რა ადმინისტრაციული პრინციპით იყო ის მოწყობილი. აგრეთვე თითოეული ადმინისტრაციული ერთეულის ეთნიკური და რელიგიურ-კონფესიური შემადგენლობა. მხარის ადმინისტრაციული ცენტრი იყო ართვინი. ართვინის ოლქის ართვინის უჩასტკაში ეთნიკური ქართველები ცხოვრობდნენ ბეშაულის, ძანსულის, ქართლას, ხატილას, ხოდის, ჩხალთის სასოფლო საზოგადოებებში. არტანუჯის უჩასტოკში ქართველები მკვიდრობდნენ ანჩის სასოფლო-საზოგადოებაში, აგრეთვე ქარსნიის, სამწყალის საზოგადოებებში. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ რუსეთის მიერ შედგენილი საოჯახო სიები სრულყოფილად არ ასახვს 1878 წლამდე არსებულ დემოგრაფიულ ვითარებას, რადგან რუსეთის მიერ ისტორიული საქართველოს ტერიტორიების შეერთებას ადგილობრივი ქართული მოსახლეობის აყრა-გადასახლება მოყვა – მაჰმადიანი ქართველები მუხაჯირად წავიდნენ.

კლარჯეთში შემავალ მურღულის ხეობის სათავედან გადასასვლელია ტაოს პარხლის ხეობაში და ამ ორ მხარეს შორის ისტორიულად მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკური ურთიერთობები არსებობდა. მურღულის ხეობა 1878 წლამდე მჭიდროდ იყო დასახლებული და რუსეთის იმპერიის შემოსვლის შემდეგ ხეობა ფაქტობრივად დაიცალა, ადგილობრივი მაჰმადიანი ქართველები თურქეთის სხვა მხარეებში მუჰაჯირად წავიდნენ. მაგრამ დროთა განმავლობაში ისინი დარწმუნდნენ რა იმაში, რომ რუსები არავის არ ერჩოდნენ, მათი ნაწილი უკან დაბრუნდა.

1886 წელს რუსული ადმინისტრაციული დაყოფით, მურღულის ხეობაში ორი სასოფლო საზოგადოება არსებობდა. ესენია ძანსულისა და ჩხალეთის სასოფლო-საზოგადოებები. პირველში 7 სოფელი შედიოდა: აღურჩა, ბუჯური, ძანსული, დურჩა, კაბარჯეთი, კორიდეთი, ოსმალღი. მთლიანად ამ საზოგადოებაში 151 კომლი (929 სული) ქართველი იყო აღრიცხული. ჩხალეთის სასოფლო-საზოგადოებაში 12 სოფელი შედიოდა: ბაგა, ბაშკიოვი, გოგლიეთი, გურბინი, ვილაული, ვუვანი, ქამელეთი, ქვამჭირეთი, ზემო ქურა, ქვემო ქურა, ფოროსეთი, ჩხალეთი, ერეგუნი (239 კომლი, 1397 სული).

მურღულის ხეობაში 20-მდე სოფელია. ზოგიერთ სოფელში ძირძველი მოსახლეობა თითქმის აღარ შემორჩა და აქ დღეს ამავე ხეობის სხვა სოფლებიდან გადმოსახლებულნი მკვიდრობენ. ხეობის მარცხენა მხარეს ზემო წელში მდებარე უკიდურესი სოფელია გურბინი. გურბინი სამი უბნისაგან შედგება; ესენია: *გურბინი*, *გამეკარი* და *ქვემოთან ბაგა*, კუზიეთი. მოხრობელის ნადი ჩაუშოდლის თქმით, „ექვსი თვე აქა ვარ, ექვსი თვე იზმითში“. ინფორმატორის აღნიშვნით, რუსების შემოსვლის დროს რუსი რომ მოსულა სამი დედე სამსუნში წასულა. სამი დედედან ერთი იქ დამრჩალა მუჰაჯირად, ორი უკან მოსულა. საყურადღებოა, რომ სამსუნში და სხვაგან მუჰაჯირად წასულთა შთამომავლებთან მურღულის ხეობის მკვიდრებს ურთიერთობა და მისვლა-მოსვლა აქვთ. სოფელ გურბინში მიუთითებენ ნაეკლესიარს. ამ ნაეკლესიარიდან ლაზეთში – ხოფასა და არხავში – აქურები ფეხით 6 საათში გადადიან.

სოფელი *ბაშქოი* დღეს 5 სხვადასხვა სოფელს აერთიანებს: *ჩხალეთს*, *ჭილვარს*, *ლომიკეთს*, *გოგლიეთს*, *ბაშქოის* და *ფორო-*

სეთს. გოგლიეთში ქართველი მხოლოდ სამი-ოთხი კომლი ცხოვრობს, დანარჩენნი ჰემშილები არიან. გოგლიეთელებს ადგილები გაუყვიათ და ბურსისაკენ წასულან საცხოვრებლად. ქართველები ცხოვრობენ *ქვამჭირეთშიც*, ეს სოფელი პატარაა და მასში სულ რამდენიმე ოჯახი მკვიდრობს. ამ სოფლის მოსახლენი ახლა რაიონულ ცენტრში მურღულში არიან თავმოყრილი. ქართველები ცხოვრობენ სოფლებში: *ზემო ქურა* და *ქვემო ქურაშიც*. შეიძლება დავასახელოთ კიდევ *ჯანგანეთი*, *ერეგუნი*. მურღულის გაღმა, მარჯვენა მხარეს არის *ადურჩა*. სოფლის მკვიდრნი მხოლოდ ქართველები არიან. ხეობის მარჯვენა მხარესაა აგრეთვე *ბუჯგური* და *ძანსული*. მურღულის ხეობაში, ოღონდ მდინარის მარცხენა მხარეს (ადურჩის მოპირდაპირე მხარეს) არის სოფელი *დურჩა*. ზემო წელში მარჯვენა მხარეს მდებარეობს აგრეთვე სოფელი *კაბარგეთი*. „მურღულის ქალაქიდან რომ გადაიართ სოფელი *კორიღეთია*“. მიყოლებით არის სოფლები *ოსმალი*, *გველი*.

ეთნოგრაფიული მონაცემებით, სოფელ *ისკებში* 120 სახლი დგას. ზამთარში მხოლოდ ამის ნახევარში ცხოვრობენ: „მე მივალ ზამთარში ბურსას, ზაფხულში აქ მოვალ. ოთხი გოგო მყავს, სამი ბურსას არიან. ჩვენი სოფელი აქ არ ყოფილა. დანსულიდან ამოვსულვართ. ორასი წელია აქ ვართ. მადნის კვამლი იყო, დაწვა იქაურობა და აქეთ გადმოვედით. დანსულიდან ვართ მოსული: *აგარა*, *ყავრეთი*, *ისკები* (რუსის დროს არც ერთი არ იყო)“. დანსულის „მაჰალებია“: *ჯიმშერეთი*, *საწობლიეთი*, *მეკველეთი*, *საკმეღეთი*, *ხახვილეთი*, *მერე*, *ჭუბუნა*. დანსულის მოსახლეობაა დამკვიდრებული *ბუღიეთში* და *წყალყაში*. მურღულის ჭოროხის ხეობის შესართავთან ახლოს მდებარეობს სოფელი *ტრაპენი*. ისკებში ჩამოდის ხევი, რომლის სახელწოდებაც *ბარდნალხევი*ა. ის „კურტუმელას ქვეშიდან გამოდის“. ამ სოფლის მთა კურტუმელაა. კურტუმელაზეა სოფლის იაილები. გარდა ისკელებისა, კურტუმელას მთაზე აქვთ იაილები ადურჩელებსაც. „კურტუმელას ზედან არის *ზიარეთი*. ზიარეთში ჩვენი დედები დადიოდნენ. იყო ნანგრევები და არ დარჩა. ზიარეთის მთას საფლავია. იქ ხალხი მიდიოდა და 2-3 ღამეს ხალხი იქ გაათენებდნენ. იქ რომ ახვიდოდი დაიძინებდი, საცოლეს ნახავდი. აქ თუ გულში ჩაიდებ რამეს, წახვალ, დეიძინებ და ნახავ, მაგრამ ზორ სიცივეა, ტაროსმა ხელი უნდა

შეგიწყოს.“ სოფელ ისკეპში მოპოვებული მასალებით, მურღულის ხეობაში სამუშაოდ ხშირად გადმოდიოდა პარხლის ხეობის ქართული მოსახლეობა, ლაზები. მიწათმოქმედებასთან ერთად მურღულის ხეობაში ფართოდ ყოფილა განვითარებული მეცხოველეობაც, განსაკუთრებით მეცხვარეობა: „ჩემს დედეს 500 ცხვარი ჰყოლია. საძოვარი ადგილზე იყო; ზამთარში ძანსულს ჰყავდა, ზაფხულში – ისკეპში. თუ ძანსულის საძოვარი არ ჰყოფნიდათ, ხეობაში ქვევით ბორჩხისაკენ წაიყვანდნენ; იმათ მატყლს მიეცემდით. ისინი სამაგიეროდ ზაფხულში აქ გამოიყვანდნენ ცხვარს. მატყლს ერძენლებში ართვენს, ჭანებში და ბათუმში ვყიდით. მუჰაჯირობის შემდეგ რომ დაბრუნებულან, მეცხვარეობა აღარ უქნიათ. ცხვრის რძისაგან ყველას აკეთებდნენ“.

მუჰაჯირობის დროს მთლიანად აყრილა ძანსულისა და კაბარჯეთის მოსახლეობა, სოფელ ოხმლიდან კი მხოლოდ ნახევარი წასულა. მუჰაჯირებს არჩევანი დიდი ჰქონიათ; ისინი მიემართებოდნენ სამსუნისაკენ, ბურსისაკენ, ისტამბულისაკენ, ბალიქესირისაკენ, გუნენისაკენ, ბალდინისაკენ... როგორც ირკვევა, ზოგი მუჰაჯირი უკან 10 წლის შემდეგ, 7 წლის შემდეგ და 3 წლის შემდეგაც მობრუნებულა.

მურღულის ხეობის ცენტრია ქალაქი მურღული. ამ სახელწოდებით სოფელი ხეობაში არცერთ წყაროში დაფიქსირებული არაა. ეთნოგრაფიული მასალებით, ქალაქ მურღულის ადგილას ყოფილა სოფელი *ჭინკათხევი*.

სოფელ *ბუჯურშიც* ქართველები ცხოვრობენ, თუმცა აქ ძირძველი მოსახლეობა არაა. მუჰაჯირად წასულები ბუჯურში უკან აღარ დაბრუნებულან. სამაგიეროდ სოფელი მურღულის ხეობის სხვადასხვა სოფლებიდან მიგრირებულებს აუღორძინებიათ. ბუჯურს სამი „მაჰალე“ აქვს: *ზემბადეთი*, *ჰოსროლი*, *ღობერკეთი*. სოფელში ლაზები და ჰემშილებიც ცხოვრობენ. ბუჯურში ასზე მეტი სახლი დგას, მაგრამ ზამთარში ნახევარი თუ რჩება. სხვადასხვა სოფლებიდანაა (*დურჩა*, *ქვამჭირეთი*, *ფოროსეთი*, *გურბინი*) თავმოყრილი სოფელ ოხმალის მოსახლეობაც.

40 კომლი ცხოვრობს სოფელ *კორიდეთში*. ზამთარში სოფელში მხოლოდ 5-6 კომლი რჩება. ქართველებთან ერთად სო-

ფელში ლაზებიც ცხოვრობენ. ლაზები თუთუნის „გასაკეთებლად“ მოსულან და დარჩენილან.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსული ადმინისტრაციული დაყოფით, კლარჯეთის *ბერთის* სასოფლო საზოგადოების სოფლები იყო *ბერთა* (მისი უბანი იყო *ოპიზა*), *დაბა-ჯიძერკი*, *დოლისყანა*, *ფორთა* და *წყალთეთრა*. ამ სოფლების მკვიდრთ ქართველობა უკვე დაკარგული ჰქონდა. 340 კომლი (2486 სული) თურქადაა ჩაწერილი. თურქებად არიან ჩაწერილი *გურჯანის* სასოფლო საზოგადოებაში შემავალი სოფლების (*აგარა*, *ბოსელთა*, *გიასხანა*, *გურჯანი*, *ხეძორი*) მკვიდრნიც (127 კომლი, 1106 სული).

1886 წელს ერთ-ერთი საზოგადოების ცენტრი იყო *ქართლა*. ქართლას სასოფლო საზოგადოებაში (126 კომლი, 895 სული) იყო შეყვანილი სოფლები: *ავანა*, *არხთა*, *გიავილი*, *დამპალა*, *ქართლა*, *ორჯა*, *ოსმანა*, *ტრაპენი*, *თხილაზური*. ქართლას საზოგადოების საოჯახო სიებიდან ირკვევა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა, მუჭაჯირობის გამო, ფრიად შემცირებული იყო. მხოლოდ ორი კომლი იყო დარჩენილი ორჯაში, 6 – თხილაზურში, 7 – ავანაში, 8 – დამპალაში...

ხატილას სასოფლო საზოგადოების სამ სოფელში (*ნაჯვია*, *ურძუმბა*, *ხატილა*) 156 კომლი ქართველი (1185 სული) ცხოვრობდა. იგივე ეთნიკური ვითარება არსებობდა *ხოდის* სასოფლო საზოგადოების ორ სოფელში (*ხოდ-სუფლა* და *ხოდ-ულია*) (82 კომლი, 756 სული).

ართვინის ოკრუგის *არტანუჯის* უჩასტკაში 11 სასოფლო-საზოგადოება შედიოდა: *ანჩის*, *არტანუჯის*, *ბიჯინის*, *გიუმიშხანის*, *დიაკურმიჩის*, *ქარსნიის*, *ლონვოთხევის*, *სამსხარის* (*სამწყალის*), *სახრის*, *ტანხოთის*, *უნუსხევის*. 1886 წლის საოჯახო სიებით კლარჯეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის არტანუჯის უჩასტკაში ქართველები ცხოვრობდნენ *ანჩის* საზოგადოებაში (215 კომლი, 1187 სული), *ქარსნიის* საზოგადოებაში (121 კომლი, 753 სული), *სამწყალის* საზოგადოებაში (218 კომლი, 1480 სული). დღეს არტანუჯის მხარეში აღარც ერთი ქართველი აღარ ცხოვრობს.

ჭოროხის მარცხნივ მაღლა მთაზე მდებარეობს სოფელი *ქართლა*. 30 წლის წინ ქართლას სახელი შუცვალეს და თუთუნჯი-

ლარი დაარქვეს. ქართლა დიდი სოფელია, მასში 170 სახლს ითვლიან. მთხრობელის სიტყვით, „მთლიანად გურჯები ვართ“. ქართლა რამდენიმე უბნისაგან შედგება: *დოლაბიძე, ვასაძე, ქვემო ჯამიკარი, გუგუცური, ჯვანჯე, თრიძლები*. ქართლაში შეკრებილი მასალებით, ჭოროხს იქით გაღმაც გურჯები არიან, მაგრამ ქართული ბევრმა არ იცის. *ახალდაბაში* ქართული იციან, *აღაგულია*, კიდევ *ირსა, ბერშაული*... ართვინს აქეთ სოფლებია: *ნაჯვია* (ქართული არაა), *ურძუმა* (ქართველები არიან), *ომანა* (ქართველები), *თხილაძე/თხილაძუარი* (ქართველები), *ავანა* (ნახევარმა იცის ქართული), *ტრაპენი* (ქართული იციან). ქართლადან მოსახლეობა რუსების შემოსვლის დროს დიდი რაოდენობით წასულა: „რუსი რომ მოვიდა, ჩემი დედე წავიდა და უკან მოსულა. დედეს ძმა ხენდეკში (საქარიას მხარე) დარჩენილა“. ქართლაში საინტერესო მასალა დაფიქსირდა ზიარეთის შესახებ: „სოფლის თავზე მთაზე ზიარეთია. მოდიან, წვებიან, სიზმარს ნახულობენ. რაცხა დერდი თუ გაქვს, იქ მიდი-მოდიან, კაი ხდებიან. *თონიჯეთსაა* ქილისე დანგრეული. იქ ბევრი ჩოჩნჩხი იყო. *ოპიზაში* რომ ზიარეთია, ის ორი ძმა და ერთი და ყოფილა. *ოპიზა* და *კოტახი* და *ტრიალა* სამი ყოფილა: ერთი აქ დაუმარხიათ, ერთი *ოპიზას*, ერთი *ტრიალზე*. ესენი ერთმანეთს უყურებენ. თხილაზურიდან კაცი *ოპიზას* წავიდა და *სიზმარში* უთხრა, აქ არა, *კოტახს* წადიო. ცხენით გამოიყვანეს, მოდრეკილი იყო, ვერ გაივლიდა და ორი-სამი დღეს თავისი ფეხით გამოიარა“.

ქართლას მოსახლეობას სრული წარმოდგენა გააჩნია ახლო-მახლო მდებარე ქართული სოფლების შესახებ; ეს სოფლებია: *ბერთა, ოპიზა, დაბა-ჯიძერკი, წყალთეთრა, გურჯაანი, ჯიბითი, ხატიალა*.

ქართლასთან ახლოს მდებარეობს სოფელი *თხილაზური* (ჭოროხის მარცხენა მხარეს). თხილაზური ხუთი უბნის ერთობლიობას წარმოადგენს: *კონტახევი, ნაქერავი, ზეთ მაჰალე, ქვეით მაჰალე, შალიკაშვილების მაჰალე*. თხილაზურის მოსახლეობის დიდი ნაწილი 1914 წელს გადასახლებულა, მთხრობელის სიტყვით, „რუსს გაექცნენ“. გადასახლებულთა ადგილები კი ქართლადან მოსულებს დაუკავებიათ. თხილაზურელი ქართველები მუჰაჯირად წასულან ადაფაზარში. მიგრირებულებს თან თავისი სოფლის სახე-

ლი წაუღიათ. ასევე გადაუტანიათ თავიანთი სოფლის სახელები ქართლადან და ავანადან მიგრირებულებს. სოფელში რამდენიმე ოჯახი ჭანიც ცხოვრობს. ისინი აქ არდაშენიდან 50 წლის წინ მოსულან.

ქართველები მკვიდრობენ სოფელ *ავანაშიც*. ავანელების დიდი ნაწილი მუჰაჯირად წასულა. მთხრბელის დედეც მუჰაჯირად ყოფილა წასული, მაგრამ ის 8 წლის შემდეგ უკან დაბრუნებულა. დღეს სოფელში 50 კომლი ცხოვრობს. ზამთარში მათი დიდი ნაწილი საცხოვრებლად *ბორჩხაში* გადადის. სოფელი ორი უბნისაგან შედგება: *ჭილვანი* და *ზელიეთი*. სოფელი *ორჯას* (ორჯის) ძველი მკვიდრებიც აყრილან. **„აქაური კულტურა გარდაიცვალა. აქ შერეულია მოსახლეობა. გადათურქებული ქართველები არიან, ართვინიდან და შავშეთიდან ჩამოსულნი. აქაურობა დაცლილა და სხვები მოსულან. ართვინის სოფელია *ვაზრია* – იქიდან ჩამოსული არიან“**. დღეს სოფელში 90 სახლი დგას. ამ სოფელის ერთ-ერთი „მაჰალეა“ *დამფ(კ)ალი*. დამფალელი ქართველები მუჰაჯირად არ წასულან. დამფალაში 30 სახლი დგას და ზამთარში სოფელში მხოლოდ 10 კომლი რჩება. სოფლის სახელი მისი ჭაობიანობით არის განპირობებული.

ქართულია სოფელი *ტრაპენიც*. სოფელში 150 კომლი ცხოვრობს და ისინი ხუთ უბანში არიან გადანაწილებულნი: *კამორჯიკა*, *შუა მაჰალე*, *ჩამახეთი*, *კალავათი* და *აბანო*. ჩამახეთში რიზედან მოსული ლაზები ცხოვრობენ. ისინი სოფელში სამუშაოდ მოსულან, შემდეგ კი საცხოვრებლად დარჩენილან. ქართული სოფელია *არხვა*, რომლის „მაჰალებია“: *ვაშლოვანა*, *ყანწალიე*, *შულღიეთი*, *შუა სოფელი*. *კასიმეთი* იბრიკას უბანია. ადრე ებრიკა რქმევია. „კასიმეთში სულ გურჯები არიან“. კასიმეთის ქვემო ნაწილი რამდენიმე წლის წინ წყალმა (წყალსაცავმა) დაფარა. მისი მკვიდრი ქართველები აქეთ-იქით წასულან. კასიმეთელებს იაილა (*თეთრიწყალი*) კარჩხლის მთაზე აქვთ. ქართველები ცხოვრობენ *პეტრულსა* და *ნივიაშიც*. პეტრული ჭოროხისა და დევსქელის წყალგამყოფ ქედზე მდებარეობს. „მუჰაჯირობა გამოსულა, წასულან აქედან სამსუნისაკენ. იქ დამდგარან 6 თვეს. ჩხუბი დადგა და მოვიდნენ. ვიანურიები გადმოვიდნენ, დაბეჩდნენ და წავიდნენ. მის ადგილში მოვიდნენ. ნაწილი დარჩა იქ. არიან სამსონ-ფაბრას (სოფელია). **რუსს**

უზოცია ქართველები. ნიკორას მოუყრია ხალხი დევსქელს, დამეში მოყარა და დაწვა რუსის დიდმა, ნიკორა ერქვა. მერე ჩვენი ასკერები რომ მოვიდნენ, გააჩერეს“. პეტრულთან ახლოსაა მარმაწმინდა დევსქელის ხეობაში. მარმაწმინდაში მოსახლეობა მხოლოდ ზაფხულშია. ზამთარს ქალაქ ბორჩხაში ატარებენ. მარმაწმინდაში დგას გუმბათოვანი ტაძარი, რომლისთვისაც პერანგი 40 წლის წინ მოუცლიათ.

ქართველები მკვიდრობენ დევსქელის ხეობის სოფელ დევსქელში. სოფელი შვიდი მაჰალის, ფაქტობრივად, დამოუკიდებელი სოფლის ერთობლიობას შეადგენს: *გალმოუბანი, ქომოუბანი, უკან-მერე, ტყემლათი, ხაბაზოლოი, ჩიტაური, ოხვათი*. ისევე როგორც სხვა ქართული სოფლებიდან, დევსქელიდანაც რუსების შემოსვლის დროს ხალხი მუჰაჯირად წასულა. დევსქელიდანაც ძალიან ბევრი ქალაქებშია გადასახლებული. ამ სოფელში ქართულად ყველა გამართულად მეტყველებს. სოფელში ნატურალური მეურნეობის წარმოება 15 წლის წინ შეწყვეტილა. მთხრობელის ინფორმაციით, ადრე ოჯახს ყავდა საშუალოდ 40 ცხვარი, 100 თხა, 15 ძროხა და 1 ცხენი. ძირითადად ახლა თხილის მოყვანაზე არიან ორიენტირებულნი.

ქართველები ცხოვრობენ სოფელ ბაგინშიც. ბაგინი 5 „მაჰალეს“ მოიცავს: *შაქარეთი, ბულარეთი, ნაზვნარა, კვინტავლი, ვანი*. მიუთითებენ მე-ნ უბანსაც – *ნაბელლავს*. სოფლის მკვიდრი ყველა ძირძველად მიიჩნევს თავს. ბაგინიდან ოთხ კილომეტრში ფიქსირდება ტოპონიმი „ქილისა“. „სხვა ქილისა, სადაც არის პეტრულის ქილისა, იმ ადგილს ვეძახით *ებრივას*. სადაც ჩვენ ვართ ეხლა ჯამესთან, აქ პირველად ქილისა ყოფილა.“ აქაურების ძირითადი სამეურნეო საქმიანობა იყო მიწათმოქმედება. მოყავდათ ხორბალი, ქერი, სიმინდი, ჭვავი. სოფელში ბევრი აქვთ ხილი: ლეღვი, მსხალი, ვაშლი, თუთა. მოჰყავთ თუთუნი. ვაჭრობდნენ ხე-ტყით. შემა (ხე) გასაყიდად გაჰქონდათ ტრაპიზონში, ერზერუმში. კაკალს ყიდდნენ ბორჩხაში, ართვინში, ერზერუმში. არ შეიძლება გვერდი ავუაროთ სოფელ ბაგინში დადასტურებულ ერთ ეთნოგრაფიულ ფაქტს. მთხრობელმა კითხვა დაგვისვა: „რას ნიშნავს ყიზილბაში“? და თან დააყოლა: „ბავშვები დიდ ნენეს თუ გავაბრაზებდით, დიდი ნენე ყიზილბაშს გვეძახდა, რას ნიშნავს ნეტა, ყიზილბაშები გონ-

ჯები ყოფილან?” ბუნებრივია, ყიზილბაშებისადმი ნეგატიური დამოკიდებულება ლიგანის ხეობაში ქართველებმა იმ დროს შეიქმნეს, როდესაც ისინი ქრისტიანები და მათი მტრები იყვნენ. არ შეიძლება ერთი ეთნოგრაფიული ფაქტის შესახებაც არ აღვნიშნოთ. ბაგინში ცუდად იხსენიებენ ერმენლებს (სომხებს). **„ჩვენი დიდვანების სახლები ერმენლებს დაუწვავთ“**. ასეთი ფაქტები სხვა სოფლებშიც დასტურდება.

ქართველები ცხოვრობენ ქლასკურის ხეობაშიც. სოფელი *ქლასკური* ორადაა გაყოფილი – ზედა ქლასკური და ქვედა ქლასკური. „რუსის ომი რომ იყო აქედან ბევრი წასულა სინაპში. წაუკიდია რუსებს, ცეცხლი გაუჩენიათ და წასულა აქედან ხალხი“. ქლასკურიდან როდესაც ხალხი მიდიოდა, ისინი, თურმე ადგილებს ყიდდნენ. მთხრობელის ისმედ *დელიკიძის* (ქესკინ) თქმით, „როცა ქართველები წავიდნენ აქედან, ჩემს დედეს უყვია 18 მოსახლის ადგილი“. საყურადღებოა, რომ დევსქელისა და მისი მიმდებარე სოფლების მკვიდრ ქართველებს თურქები „ლაზებს“ უწოდებენ, „რადგან შავ ზღვასთან ვცხოვრობთ“. ქლასკურის ხეობიდანაც ძალიან დიდი მოსახლეობის მიგრაცია. ფაქტობრივად, აქაც და დანარჩენი სოფლების ქართულ მოსახლეობასაც ცხოვრების ორგან მოსახლეობის წესი ჩამოუყალიბდათ – ზამთარში დიდ ქალაქებში და ზაფხულში – სოფლებში ცხოვრებისა.

ქართული გვარები კლარჯეთში

ორიგინალური იყო ქართული ანთროპონიმები; ისინი მნიშვნელოვანი ეთნიკური ნიშნების გამომხატველნი არიან. მართალია, ქართულ ანთროპონიმებს საერთო ნიშნები ჰქონდა, მაგრამ სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეში პიროვნულ სახელებსა და გვარსახელებს (მემკვიდრეობით სახელებს) გარკვეული თავისებურებებიც ახასიათებდა. დღემდე მეცნიერთათვის ცნობილი არ იყო ისტორიული საქართველოს ანთროპონიმთა თავისებურებები, თუ არ ჩავთვლით „ტბეთის სულთა მატინის“ ტექსტს, რომელშიც მხოლოდ მაჭახელში არსებული გვარები და სახელებია წარმოდგენილი. კლარჯული გვარების შესახებ წარმოდგენა მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება შევიქმნათ, რადგან ამ თემაზე არსებული ეთნოგრაფიული მასალა ერთობ არასრულყოფილია.

მურღულის ხეობის სოფელ გურბანანში ცხოვრობენ: *ჩაუშოლ-ლები, ბახრისანი, იბიშისანი, ყოჩოღლისანი, ეხზიარისანი, გულაძედისანი, ემინისანი, ბეგოღლისანი, ეფენდისანი, შეიხისანი (შეიხოღლეები)*. ამას გარდა, სოფელში გამოყოფენ აგრეთვე *ლაღაბებს* ანუ შერქმეულ სახელებს. ასეთ ლაღაბებად გურბანის *ბაკას* მაკალეში ასახელებენ: *ფიროღლები, ყალინჯისანი, რიზეთისანი, უსეინაღისანი, ბაღიშისანი, სახისანი...* აშკარაა, რომ ჩვენ საქმე გვაქვს მემკვიდრეობით სახელებთან, მაგრამ ისინი ძველი ქართული გვარები არაა, რადგან უმეტეს მათგანს ფუძე ქართული არა აქვს. აღნიშნული სანათესაო წრის სახელწოდებების სუფიქსები კი ქართულია, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ისინი ქართულ ენობრივ და ეთნიკურ სამყაროშია წარმოქმნილი. რატომ უნდა გამქრალიყო თავდაპირველი ქართული გვარები? მიგვაჩნია, რომ ეს არასტაბილური პოლიტიკური ვითარების შედეგი უნდა იყოს და, რაც მთავარია, მოსახლეობის ერთი ადგილიდან მეორეზე გადასახლების. აგრეთვე თურქულ ენობრივ-ეთნიკურ გარემოში უფრო ადვილი იყო თავდაპირველი გვარის დაკარგვა, რადგან ოსმალეთის სახელმწიფოში მემკვიდრეობითი სახელის ტრადიცია საერთოდ არ არსებობდა. სხვადასხვა ვითარებიდან გამომდინარე, მართალია, ქართველები კარგავენ თავდაპირველ გვარებს, მაგრამ მათ მის გარეშე არსებობა მაინც არ შეეძლოთ და ახალ მემკვიდრეობით სახელს

იფორმებდნენ -სანი და -ებ სუფიქსებით. ახლა რაც შეეხება ლა-
ლაბს ანუ შერქმეულ სახელს. ისინი აღნიშნული გვარების შემდეგ
არის წარმოქმნილი და გვარში უბრალოდ დანაყოფების სახელებს
წარმოადგენენ.

სოფელ *ქვამჭირეთის* მკვიდრნი არიან *ბეჟირორლები, აიდინე-
ბი, ხოჯოლლები, სალეოლლები და ოზმენები*. *ბეჟირორლებს* მეორე
სახელიც გააჩნიათ – *ალჯიესანი*, ხოჯოლლებს – *დინენესანი*, სა-
ლეოლლებს – *არიფისანი*. „ამას ჩვენ ლალაფს ვეუწყით. დიდი უფ-
როსი დინენი ყოფილა და *დინენოსანი* დაარქვეს“. *კაპარჯეთში*
ცხოვრობენ *თოფჩიოლლები*. ადგილობრივები ქართულ ენაზე რო-
დესაც საუბრობენ გვარს გამოთქვამენ ასე: „*თოფჩები*“. ეს გარემო-
ება (მრავლობითი ფორმა) მიუთითებს ერთი კაცის, წინაპრის, რო-
მლის პროფესიაც იყო „თოფჩი“, მიკუთვნებულობას. როგორც
მთხრობელი გადმოგვცემს, აღნიშნულ გვარს სხვა სუფიქსითაც (-
სანი) გამოთქვამენ: *თოფჩისანი*.

მურღულის ხეობის სოფელ *კაპარჯეთში* -ძე სუფიქსიანი ქარ-
თული გვარიც დადასტურდა – *კუტუნაძე*. აქვე ნუგზარ მგელაძეს
დაუდასტურებია აგრეთვე *კენჭაძეებისა და კამკამიძეების* გვარე-
ბი⁷⁶.

მურღულის ხეობის სოფელ *ისკებში* ცხოვრობენ: *ჭირიზოლ-
ლები* (მთხრობელის სიტყვით, *ჭირიზოლლი* ლალაბია. ათათაურქი
რომ მოსულა ალთუნერი დაურქმევიათ. ქართულად ვიტყვით *ჭი-
როსანები* ან *ჭიროზები*), *თრამფაჯები, შაბანები, გენჯოლლები,
არიფოლლები, ფელევენოლლები, თოფჩები*. სოფელში ყველაზე
მეტნი *ჭიროსანები/ჭიროზები* არიან. ამკარაა, რომ ამ შემთხვევაში
-ოლლი სუფიქსი მემკვიდრეობით სახელში შედარებით გვიან არის
გაჩენილი, ის, უბრალოდ, ჩაენაცვლა ქართულ -სან და -ებ სუფიქ-
სებს. *გენჯოლლების* ქართული შესატყვისია *გენჯოსანი, არიფოლ-
ლებისა – არიფოსანი და ფელევენოლლებისა – ფელევენისანი*. ნუგ-
ზარ მგელაძის მასალებით ისკებში მკვიდრობენ აგრეთვე *ფუტკარა-
ძეები და ირემაძეები*.⁷⁷

⁷⁶ კლარჯეთი. მ. ფალავას რედაქციით, ბათუმი, 2016, გვ. 290.

⁷⁷ კლარჯეთი. მ. ფალავას რედაქციით, ბათუმი, 2016, გვ. 290.

სოფელ *ბუჯურში* დადასტურდა გვარი *ჩხაიძე*. გადმოცემით მათი წინაპარი თანამედროვე საქართველოდან გადმოსახლებულა, თუმცა ადგილობრივი ტრადიციიდან გამომდინარე ლაღაბიც გასჩენიათ; ისინი იწოდებიან ასე: *იზეთისანი*. მურღულის სოფელ *ოზმალში* ძირითადად სხვადასხვა სოფლებიდან გადმოსული ქართველები ცხოვრობენ. ადგილობრივი მკვიდრები „მუჰაჯირად წასულან, რუსი აქ მოსულა, დაბეჩავებულან და იმიტომ წასულან“. ამ სოფელში დადასტურდა ძველი ქართული გვარი *თათქირიძე*. ცნობილია, რომ *თათქირიძეები* თავადები იყვნენ და მათი შთამომავალნი არიან *თაქთაქიშვილები* და *თავდვირიძეები*.

სოფელ *დურჩაში* რამდენიმე „მაჰალა“ და ყველა მათგანი გვარის სახელს ატარებს: *აჯოღლების მაჰალა*, *ბაირახტარ მაჰალა* (*ბაირახტარები*), *სუბაშები მაჰალა* (*იგივე ალიაღასანი*), *ხოჯისანი მაჰალა*. მთხრობელები *აჯოღლების* ნაცვლად *აჯიაშვილსაც* ამბობენ და *ჰაჯისანსაც*. ამ გვარის ხალხი „ჰაჯები ბევრნი ყოფილან და დაურქმევით ჰაჯისანი“. *ხოჯისანთა* წინაპარი კი ხოჯა ყოფილა, *ბაირახტარისა* კი – მედროშე. *დურჩაშივე* ცხოვრობენ: *მელეგოსანი*, *ჩიტოსანი*, *ფაშლისანი*, *გედუგისანი*. როგორც ვხედავთ ერთი ანთროპომიმი სუფთა ქართულია როგორც ძირით, ისე სუფიქსით – *ჩიტოსანი*.

სოფელ *კორიდეთში* *მემიშოლლები* მკვიდობენ. ასახელებენ *ლამაზიშვილსაც*. *ბაშქოიში* ასახელებენ *ჩოლოყაშვილების* გვარს. ისინი *ჩოლაქოლადაც* მოიხსენიებოდნენ. გადმოცემით კახეთიდან არიან გადმოსახლებული.

ჭოროხის ხეობაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი სოფელია *ქართლა*. სოფლის ერთი უბნის სახელი *დოლაბიძეა*, რაც პირდაპირ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ის *დოლაბიძეებით* იყო დასახლებული. სოფლის მკვიდრები თავიანთ ქართულ გვარებს ჩვეულებრივ ოლლი სუფიქსით მოიხსენიებენ. ისინი, ბუნებრივია, თავის დროზე ქართულ სუფიქსებს -ძე და -შვილი ჩაენაცვლებნენ. თუმცა რამდენიმე გამონაკლისი აქაცაა, მაგალითად, *დურები*, *თეთროები*, *არნოტები*, *ჯინოები*.

ქართლას მეზობელი სოფელია *თხილაზური*. სოფლის თავდაპირველი სახელწოდება იყო *თხილაძე*, ე. ი. ის თხილაძეების სოფელი იყო, თუმცა ამ გვარისანი დღეს აქ აღარავინ მოსახლეობს.

სოფელის მკვიდრთა დიდი ნაწილი მუჰაჯირად წასულა. დღეს სოფელ *თხილაძის/თხილაზურის* ნახევარს *თაფლიძეები* შეადგენენ. კონტახევის უბანი მთლიანად *თაფლიძეებს* აქვთ დაკავებული. ცალკე უბანი ჰქონიათ *შალიკაშვილებს/შალიკებს*. უბნის სახელი შემორჩენილია, მაგრამ აღნიშნული გვარისანი აქ აღარ ცხოვრობენ, ისინი 1914 წელს წასულან, „რუსს გაექცნენ. *შალიკების* სახელი დარჩა“. ქართული წყაროებით, ცნობილია, რომ შალიკაშვილები სამხრეთ საქართველოდან წარმომავლობენ. მათი თავდაპირველი განსახლების ადგილის დადგენის საშუალებას ეთნოგრაფიული მასალა გვაძლევს. ესაა კლარჯეთის სოფელი *თხილაძე* (ჭოროხის მარჯვენა მხარეს). რაც შეეხება *თაფლიძეებს*, ეთნოგრაფიული მონაცემებით, ამ სოფელში ისინი ქართლადან გადმოსახლებულან: „კონტახევი ყველა თაფლიძეა. თაფლიძეებში სამი ძმა იყო. ორი თანე ქართლას დარჩა, მესამე აქ მოვიდა. ერთ ძმას თავი თეთრი ჰქონდა და მის შთამომავლებს გვარი დარჩა *თეთრო*. ქართლას არიან ამისი, მესამე ძმა ხესისი იყო (ძუნწი) და იმისი სახელი დარჩა *ხესეკო*. მესამეს ბევრი ფუტკარი ჰყავდა, იმისი სახელი დარჩა *თაფლიძე*. *ხესეკოები* ცხოვრობენ ქართლას, ავანას და ართვინს“. მთხრობელის სიტყვით, „ამ სოფელში ორი თანე გვარი ჭანები არიან: *თოფალოღლი*, *დელიბაში*. 50 წლის წინ მოსულან არდაშნიდან. აქ ბევრი ყანები იყო და ლაზები ყანაში საქმობდნენ“.

სოფელი *დამფალი/დამპალი* ჭოროხის ნაპირთან ახლოს მდებარეობს. სოფლის ნახევარი *ბოლქვაძის* გვართაა დასახლებული. ტრაპენში *ზაქარაძეები* არიან ბევრნი. *დამფალაში* ჭოროხის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე სოფელ *კასიმეთიდან* გადმოსახლებულან. კასიმეთში *ზაქარაძეები* 15 კომლის რაოდენობით არიან, დამფალაში – 5. აქედან წასული *ზაქარაძეების* 10 ოჯახი კი სამსუნში ცხოვრობს. „ზაქარაძეები უწინ ტრაპიზონიდან მოსულან. გარეული ქართველია.“ ტრაპენში *ფუტკარაძეები* („ფუტკარაძეები არიან, მაგრამ ბაირამოღლის უძახიან“) და *ბოლქვაძეებიც* ცხოვრობენ.

სოფელ *არხვაში მიქელაძეები* მკვიდრობენ. მათ სხვანაირად „ყავაზიშვილს ეტყვიან.“ სოფელ *იბრიკის* ერთ-ერთი უბანი *კასიმეთის* სახელს ატარებს. აქ *თონიანოღლები/თონიანები* ცხოვრობენ. მოსული არიან ტრაპიზონიდან. „ებრიკაში ბევრი ვართ *ჩაუშოღლე-*

ბი – 10-12 სახლი. *ტალღიჯოლოები, ფერუზოლოები.*“ ათათურქის დროს მათთვის *ათამანის* გვარი მიუკუთვნებიათ. *პეტრულში* ცხოვრობენ: *ფაცაცოლოი, ედიბელოლოი*, ნიგიაში – *ყაროსმანოლოი, ყარები, იაშროლოი*. პეტრულში „სამი ოჯახი *შინდაძეა*. ამათი გვარისანი სინოპს არიან. რუსებთან და ერმენლებთან ჩხუბის დროს წასულან“.

სოფელ *ქლასკურში* დელიკიძეები მკვიდრობენ. დღეს ისინი 20 კომლის რაოდენობით არიან. ამ გვარისანი დიდი რაოდენობით არიან წასული სინოპში. ცხოვრობენ აგრეთვე *თეთრადეები, წიკვიძეები* (ბევრნი არიან) და *გვარამიძეები*. „ზემო ქლასკურის უბან წკირმუნეთში ზოგიერთი სახლეულის წევრებმა დღესაც იციან, რომ ისინი გუმანიძეები, ... ბერიკაძეები, ბერიძეები იყვნენ“⁷⁸. *დევსქელში* მცხოვრები *სალიოლოების* ადრინდელი ქართული გვარი *თავდგირიძე* ყოფილა. თავდგირიძეები 90 ოჯახს ითვლიან. გადმოცემით, თავდგირიძეები ბეგები იყვნენ. სოფელ *ბაგინში* მკვიდრობენ: *ხალოლოი, სარისლოლოი (სარიშვილი), ჩილილოლოი, ყარასლოლოი, ზენგოლოლოი, მეხროლოი, ბოტოლოლოი, ღვედოლოი, კუნტოლოი (კუნტოები)*.

სოფელ ხეხას ქართული გვარებიდან შეიძლება დავასახელოთ *თიკანაძეები* და *ბარათაშვილები, ლაზოლოები* (იგივე *ლაზიშვილები*), *სოფიოლოები* (იგივე სოფიძეები), *ბენდელიძეები* (იგივე ბენდელიძეები), *ტარიელიძეები* (იგივე ტარიელიძეები), *ლომინოლოები* (იგივე ლომინაძეები). „ზედა მარადიდში ცხოვრობენ დოლოლების სახლეულები, რომელთა ძველი გვარი *დოდიშვილი* ყოფილა. ამავე სოფლის უბან *პაპუნავეთში* ასახელებენ *მუთიძეს*. ... აქვე, მარადიდში *კოჟამთა* გვარის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ძველად *თავდიძეები* იყვნენ. მარადიდშივე გვხვდება *დიდმანიძეთა* საგვარეულო“⁷⁹. აქაურები არიან *ასპანიძეები*, რომლებიც ასპანიძიდან გადმოსახლებულა. სხვათა შორის, ქვემო ქართლში მცხოვრები ასპანიძეების გადმოცემითაც ისინი ჯავახეთიდან წარმომავლობენ. ქვემო მარადიდში დადასტურებულია *ჩერქეზიშვილების, ლომიძეების, კარაკიძეების* გვარები.

⁷⁸ კლარჯეთი. მ. ფალავას რედაქციით, ბათუმი, 2016, გვ. 290.

⁷⁹ კლარჯეთი. მ. ფალავას რედაქციით, ბათუმი, 2016, გვ. 290.

საგულისყურო გადმოცემა აქვთ დაცული ბელგეანის ხევში მოსახლე ქოქოლაძეებს, იგივე ბაირამალიშვილემს – მიიჩნევენ, რომ მათი ადრინდელი გვარი იყო *ტალახაძე*, რომელიც ოსმალეთში გადმოსულ *გიორგი სააკაძეს* თან ზღებია⁸⁰. თუმცა ამ გადმოცემის სანდობას ეჭვსკვეშ აყენებს „ტბეთის სულთა მატიანე“, რომელშიც ქოქოლაძის/ქოქოლიძის გვარია მოხსენიებული: „სულსა ქოქოლაურის მარიაძის შეუნდვენ ღმერთმან“, „სულსა ქოქოლისძისა გიორგისა და დედასა შეუნდვენ ღმერთმან“⁸¹. შესაძლოა ეს გადმოცემა სინამდვილის ამსახველიც იყოს, თუ იმ ქართულ ტრადიციას გავითვალისწინებთ, როდესაც ზღებოდა სოფელში მოსული ადამიანის მიერ დამხვდურის გვარის მიღება (გვარში შეყრა; ზესიძედ შესვლის გამო, სიმამრის გვარის მიღება).

ზემოთ წარმოდგენილი კლარჯული გვარები, რა თქმა უნდა, უმნიშვნელო ნაწილია იმ გვარებისა, რომლებიც აქ სხვადასხვა სოფელში ბინადრობდნენ. შედარებით სრულყოფილი სურათის წარმოსაჩენად ხანგრძლივი საველე კვლევა-ძიებაა საჭირო. მთელი რიგი გვარსახელები კი ოსმალთა მმართველობის დროს დაივიწყებას მიეცა. კლარჯელი ქართველი ტრადიციიდან გამომდინარე მაინც ვერ ელეოდა მემკვიდრეობით სახელს, სანათესაო წრის გამაერთიანებელ სახელწოდებას. ამის გამო იყო, რომ ასეთი სანათესაო ერთეულები ფორმდებოდა ძირითადად მუსლიმურ სახელზე თურქული -ოლი სუფიქსის დართვით, რაც მხოლოდ და მხოლოდ ქართული გვარების მაწარმოებელი სუფიქსების (-ძე და -შვილი) თარგმანს წარმოადგენდა. უმეტეს შემთხვევაში ესენი იყო გვარის დანაყოფის (ბაბუიშვილობის) სახელწოდებები. გვხვდება -ოლით დაბოლოვებული ქართულძირიანი მემკვიდრეობითი სახელებიც. საამისოდ *ტარიელოლი* დასახელებაც საკმარისია. მძიმე ისტორიული წარსულის მიუხედავად კლარჯეთში მაინც საკმაოდ რაოდენობით შემორჩა ძირძველი ქართული გვარსახელები და ამა თუ იმ გვარების წარმომადგენლებს გადმოცემაც დაუცავთ თავისი გვარის სადაურობა-წარმომავლობის შესახებ. გავრცელებული იყო

⁸⁰ კლარჯეთი. მ. ფაღავას რედაქციით, ბათუმი, 2016, გვ. 291.

⁸¹ ტბეთის სულთა მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თინა ენუქიძემ, თბ., 1977, გვ. . 106, 138

აგრეთვე -სან-ი სუფიქსიანი გვარები. ასეთი სუფიქსები ჩვეულებრივ მამაკაცის სახელს ერთვის და ეს სახელებიც უფრო მეტად თურქულ-მუსლიმურია. ადგილობრივი მკვიდრნი ხშირად გვარებს - ებ სუფიქსითაც მოიხსენიებენ, მაგალითად შეიძლება *შალიკები* დავასახელოთ. ამავე დროს, ზოგიერთ გვარსახელს რამდენიმე სუფიქსითაც ასახელებენ: *თოფჩები, თოფჩისანი, თოფჩიოღლი*.

ეთნიკური იდენტობის საკითხები კლარჯეთის თანამედროვე ქართულ მოსახლეობაში

თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკაში ეთნიკურ ქართველთა იდენტობის პრობლემა ერთ-ერთი მწვავე და მტკივნეული საკითხია. დროთა განმავლობაში აქ ბევრმა ქართველმა ეთნიკური იდენტობა შეიცვალა – ისინი თურქებად იქცნენ. ბევრი მათგანის ეთნიკური ცნობიერება გაორებულია, რადგან ეს პრობლემა მჭიდროდაა დაკავშირებული ენის ცოდნასთან. ქართული ენა კი ბოლო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში სწრაფად იკარგება. ქართული ენის დაკარგვის მიზეზი რამდენიმეა. პირველ რიგში ამ ფაქტორთაგან შეიძლება დასახელდეს დიდ ქალაქებში მიგრაცია, რომელიც უკვე თითქმის ყველა ოჯახს შეეხო. მეორე მიზეზად კი საყოველთაო სასკოლო განათლება უნდა დასახელდეს. მივმართოთ კონკრეტულ ეთნოგრაფიულ მონაცემებს.

მურღულელი მთხრობელის აღნიშვნით, „ექვსი თვე აქა ვარ ექვსი თვე – იზმითში. ძმაც ზამთარში მიდის. ქართული დღეს ბევრს ესმის, მაგრამ ვერ ლაპარაკობს, ქალაქებში ქართულად ვის უნდა ელაპარაკო? ამათ უძახი დეისწავლეთ მეთქი. მაგრამ... ჩვენი ენა და გურჯობა მაინც იკარგება“.

ქართველთა ეთნიკურ იდენტობას ჯერჯერობით ბევრად განსაზღვრავს თამარ მეფის ხსოვნა. შემორჩენილია გადმოცემები, რომ „გურჯების მეთავე“ „თამარ დედოფალი“ არტანუჯს იდგა. საყურადღებოა, რომ ყველა ციხის მშენებლობას თამარ მეფეს მიაწერენ. ქართული ცნობიერების პრობლემასთან ნეგატიურადაა დაკავშირებული აგრეთვე მითები, რომლებიც, როგორც ჩანს, მიზანმიმართულებით ვრცელდებოდა. მაგალითად, ზოგიერთი დარწმუნებულია, რომ სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე გურჯები აქედან (საქართველოდან) არიან გადასახლებულნი, მაგალითად, მურღულში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალით, ხეობის თავდაპირველი მკვიდრნი „ჯინოვიზიები“ ყოფილან: „აქ ყოფილან ჯინოვიზიები. რა ენაზე ლაპარაკობდნენ, არ ვიცი. აქაურები სულ ბათუმიდან არიან მოსულნი“.

ქართული ცნობიერებისა და ქართული ენის შენარჩუნებაში გარკვეული როლი თურქეთთან საზღვრის გახსნამაც შეასრულა.

ერთ-ერთი მთხრობელის თქმით, „ჩემმა ბლარჭებმა ქართული არ იცოდნენ, კარი გაიხსნა, იმის მემრე დეისწავლეს“. მეორე მთხრობელი სოფელ ქლასკურიდან ასევე აღნიშნავს, რომ „ჩვენც დავიწყებული გვქონდა ქართული, საზღვარი რომ არ გახსნილიყო“.

ქართველთა იდენტობის შენარჩუნებაში მნიშვნელოვანი იყო ტრადიციები, ის ტრადიციები, რაც მხოლოდ მათ ჰქონდათ და რითაც ისინი სხვებისაგან განსხვავდებოდნენ. მაგალითად, ცეკვა „ფერხული“ შეიძლება დასახელდეს. განსაკუთრებული ჰქონდათ ქართველებს ახალი წლის ტრადიციაც: „ახალწელიწადს გოგოს გავაკეთებდით, ბიჭია განა. მე გამაკეთეს გოგოდ და გოგობმა თქვეს: ეს რა ლამაზი გოგოაო. ყველა კარ-კარ მოუქცევდით. ახალი წელი მოვიდა, გამოიხედეთ კარჩიაო. ვისამებდით, დაუტამებდით ხელებსა, მომიპარებდით, დევიჭყვივლებდი. გამტაცებული ამბობდა – ზურგი მომძვრაო. მისცემდნენ სიმინდს, ფქვილს, ერბოს. მაშინ წვერი არ მქონდა, გატლიკული ვიყავი. ახალი რძლების კაბა ჩამაცვეს“.

სოფელ ბუჯჯურში ქართველებთან ერთად რ კომლი ლაზიც ცხოვრობს. „ჭანური არავინ არ იცის. უფროსები ქართულად ლაპარაკობენ“. მთხრობელი აღნიშნავს, რომ ქმრის დედამ კი იცოდა ჭანური, მაგრამ შევილებმა არ იცოდნენ. „ჩემმა ერთმა ბავშვმა იცის ქართული, მეორემ – არა, იგნებენ, მაგრამ ვერ ლაპარაკობენ“. სხვათა შორის, ამ სოფელში შეკრებილი მონაცემებით, ქართული ენისა და ქართული ცნობიერების შენარჩუნებაში განსაკუთრებული როლი გააჩნიათ აქ საქართველოდან მოსულ სეზონურ მუშებს. აჭარიდან მოსულნი აქ ძირითადად თხილის კრეფაზე მუშაობენ: „ბათუმელებმა ჩემი თხილი ოთხ დღეში ოთხმა კაცმა მოკრიფა. ჩვენც დევეშველენით. ჩემი ბიჭიც აქ იყო. ერთი თვე აქ არიან. მერე სხვასთან კრეფენ“.

სოფელ თხილაზურში მცხოვრები აჰმედ თაფლიძის (46 წლის) ინფორმაციით, „სკოლაში რომ წავედი, მარტო ქართული ვიცოდი. გურჯებმა არავინ იცოდა თურქული. ბლარჯებმა თურქული რომ არ იცოდნენ, მასწავლებელი ბლავდა (=უყვიროდა). ზარი რომ დაირეკებოდა ოქულში, მაშინ ბავშვები ქართულად ვლაპარაკობდით. ახლა ქალთან გურჯულად ვლაპარაკობ, ბავშვებთან – თურქულად“. ბუნებრივია, ეს მასალა პირდაპირ მიუთითებს თურ-

ქეთის ამ რეგიონში ქართული ენის სავალალო მდგომარეობაზე. ენის დაკარგვიდან ეთნიკური ცნობიერების დაკარგვამდე არც თუ ისე დიდი მანძილია.

ილენტობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ისტორიის თავისებური ცოდნა. მაგალითად, სოფელ ტრაპუნში ერთ-ერთმა მთხრობელმა აღნიშნა, რომ „არდანუჯი 500 წელი იყო საქართველოს დედაქალაქი. არდანუჯის ადგილის ყველა სახელები ქართულია“.

ქართველობის სიმბოლოა ქალისადმი დამოკიდებულებაც. ტრაპუნელი მთხრობელის თქმით, **„ქართველი ქალი ოჯახში იქნება, ყანაში არ გავა“**. ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება. ქართველობას ქართული ტრადიციებშიც ხედავენ: „ქართველი კაცი სად ნადი იქნება, იქ წავა. ნადი დახმარებაა. ნადის დროს სიმღერას იტყოდნენ – „ჯივლელო ნანაი“. ნადი სიმინდის მოტეხვის დროს, პურის ჭრაში იცოდნენ, სახლის მშენებლობის დროს“.

საყურადღებოა, ეთნიკურობაშენარჩუნებული ქართველების დამოკიდებულება გათურქებული ქართველების მიმართ. გათურქებულ ქართველებს ისინი „გადატრიალებულ ქართველებს“ უწოდებენ. მთხრობელები აღნიშნავენ, რომ „ათათურქობის დროს გადატრიალდნენ. მე მოვესწარი ბერებმა იცოდნენ გურჯიჯა“.

ამ მონაკვეთში არ შეიძლება არ შევეხოთ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ისტორიულად არსებულ ქართულ-სომხურ ურთიერთობებს. ირკვევა, რომ აქა-იქ განსახლებული სომხები ქართულად ლაპარაკობდნენ და მათ სომხური საერთოდ არ იცოდნენ: „ერმენლები რაბათში ქართულად ლაპარაკობდნენ, ცოტა გაგრძელებულად. გადიკრიფნენ. მათი ენა აქაური ქართული იყო“.

ქართველობის თურქობით შეცვლას ზოგიერთი მთხრობელი თურქეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში გადასვლას უკავშირებს: **„ათათურქის დროს გავხდით თურქი. ადრე ქართველი ვიყავით, ბათუმზე მიბმული ვყოფილვართ“**.

ქართველები იმითაც განასხვავებენ თავს სხვებისაგან, რომ ისინი თავს უბრალოდ არავის დააჩაგვრინებენ: **„ჩვენ აქაური მამალი ვართ. მამალი იმას ნიშნავს, რომ თავს არავის დაუდებთ. კუდზე თუ დამადგა, მორჩა საქმე!“** ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთი მასალა უნდა გავიხსენოთ. დევსქელისა და ქლასკურის ხეობებში ადგილობრივებს როდესაც ვკითხეთ: 1946 წელს თურქეთის ხელი-

სუფლებამ არტანუჯელი ქართველები ბურსაში გადაასახლა, იმის გამო, რომ საზღვართან ახლოს ცხოვრობდნენ. თქვენ უფრო ახლოს ცხოვრობთ საზღვართან. როგორ გადარჩით? პასუხი ასეთი იყო: „ჩვენ, ქართველები ყველანი შეიარაღებულ ვიყავით. თითოეულს ხუთი იარაღი მაინც გვქონდა. ახლაც ასეა. ჩვენ გასახლება-საც აპირებდნენ, მაგრამ ყველანი ტყეში გავედით. ჯარი გვესროდა და ჩვენც ტყიდან ვესროდით. სამი თვე ვერაფერს გახდნენ და თავი დაგვანებეს“.

ეთნიკური ქართველები კიდევ ერთი რამით გამოაცალკეებენ თავიანთ თავს თურქებისაგან. ამ უკანასკნელთ ისინი კუდიანების სახელით მოიხსენიებენ. რას უნდა ნიშნავდეს კუდიანი? კუდი ადამიანებს არ ჰქონდათ; კუდი ცხოველებს ჰქონდათ. ქართულ ენაში „კუდიანი“ არაქრისტიანის, ავი სულის, ეშმაკის აღმნიშვნელია.

ეთნოგრაფიული ტაო

ტაოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე ყველაზე დიდი ერთეულია სამხრეთ საქართველოში. კლარჯეთი ტაოსთან ერთად ხშირად ერთ რეგიონად გაიზარებოდა: „**ტაო-კლარჯეთი**“ (რომელშიც შავშეთიც იგულისხმებოდა), მაგრამ მაინც დამოუკიდებელი ეთნოგრაფიული ერთეულები იყო. ტაო მდ. ჭოროხის შუა დინების აუზშია. ძვ. წ. 401 წ. ბერძენი ქსენოფონტი ამ კუთხის მოსახლეობას **ტაოხებად** მოიხსენიებს. ძვ. წ. I ათასწლეულში ტაო კოლხეთის სამეფოში შედიოდა. ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნისთანავე (ძვ. წ. IV–III საუკუნეები) ტაო მისი ორგანული ნაწილი გახდა. ტაოს ძვ. წ. II საუკუნეში სომხეთი დაეუფლა. ახ. წ. I–II საუკუნეებში კვლავ ქართლის სამეფოში შედიოდა. შემდგომ კვლავ სომხეთმა დაიპყრო და მამიკონიანთა ფეოდალური სამფლობელო იყო. ამიტომ ტაოში ქართულ მოსახლეობასთან ერთად, განსაკუთრებით იმიერ-ტაოში, სომხურიც გაჩნდა. ქართველებსა და სომხებს შორის საეკლესიო დაპირისპირების დროს, ტაოში დიოფიზიტობამ გაიმარჯვა და ის დიოფიზიტობის ძლიერ ცენტრს წარმოადგენდა. VIII–IX საუკუნეებში ტაოში ფართო სამონასტრო მშენებლობა იყო გაჩაღებული. აქ აიგო ქართული საეკლესიო არქიტექტურის შესანიშნავი ნიმუშები (ტაძრები – *ბანა, ხახული, ოშკი, იშხანი, ოთხთა ეკლესია, პარხალი, კაკკასიძეების ეკლესია, ექექი...*). დღესაც კი გამაოგნებელ შთაბეჭდილებას ტოვებს *თორთუმისა* და *სოლომონისის/კალმახის* ციხე-სიმაგრის ნანგრევები.

ტაოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე სამი მიკრორეგიონის ერთობლიობას წარმოადგენს; ესენია: *ოლთისი*, *თორთუმი* და *პარხალი*. ამავე დროს, ქართული წყაროებით ტაო ორ ნაწილად – *იმიერ-ტაოდ* და *ამიერ-ტაოდ* – იყოფოდა. *ექვთიმე თაყაიშვილი* მიიჩნევდა, რომ იმიერ-ტაო ოლთისის წყლის მარცხნივ მდებარე ადგილები იყო, ხოლო მარჯვენა მხარე – ამიერ-ტაო მდინარის მარჯვნივ მდებარეობდა. დღევანდელი სამეცნიერო მონაცემებით ამიერ-ტაო მთლიანად მოიცავდა ოლთისს, ხოლო თორთუმი და პარხალი იმიერ-ტაოს მიეკუთვნებოდა. ცარიზმმა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მხარეებიდან ტაოს მხოლოდ ამიერნაწილის – ოლთისის

– დაპყრობა მოახერხა. იმიერ-ტაო (პარხალი და თორთუმი) კი არ შესულა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში.

კლარჯეთთან ერთად, ტაოში მიეცა დასაბამი *ბავრატონების* სამეფო დინასტიას. ტაოში მოღვაწეობდნენ ქართული საეკლესიო კულტურის მოღვაწეები – *იოანე და ექვთიმე მთაწმინდელები*. XII-XIII საუკუნეებში ტაო საქართველოს ფეოდალური მონარქიის სანაპირო ქვეყანა იყო. ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგ, ტაო სამცხე-საათაბაგოს სამთავროში შედიოდა. XVI საუკუნის 50-იან წლებში სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ეთნოგრაფიული ერთეულები და, მათ შორის, ტაოც ოსმალეთმა დაიპყრო.

ტაოში, მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, პარხლის ხეობაში სამ ქართულ სოფელში (რომელიც 20-ზე მეტი უბნისაგან შედგება) შემორჩენილია ქართული ენა. ბევრ ტაოელს თავიანთი ქართული გვარი ახსოვს. ადგილობრივთა თქმით, აქ „ორი ასი“ ქართველის სახლია. ტაოელ ქართველებში უკვე ოცი წელია მესაქონლეობის ტრადიციული ფორმა – იაილები მოიშალა, რადგან „გენჯები“ ქალაქებში წავიდნენ. ძველ ტაოელებს აგებული ჰქონდათ უნიკალური ტერასები, რომლებიც 40 საფეხურზე მეტს მოიცავს. უძველეს ტერასებზე დღესაც ხილის ბაღები და ვენახებია გაშენებული.

ტაოში განვითარებული იყო მიწათმოქმედება. მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ფეტვი, ჭვავი... მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მევენახე-ობა-მებაღეობას. ბევრი ბაღი და ვენახი ტერასებზე ჰქონდათ გაშენებული. 1574 წლის ოსმალური დავითით მევენახეობა და მეხილეობა განსაკურებით განვითარებული იყო თორთუმის მხარეში⁸². ჭოროხის ხეობაში მიტოვებული ტერასები დღესაც კი გასაოცარ შთაბეჭდილებას სტოვებს. ტერასული მეურნეობა ტაოში, ისევე როგორც მთელ სამხრეთ საქართველოში, საირიგაციო სისტემას ეყრდნობოდა. *დიმიტრი ბაქრაძე* ტაოს ოლთისის მხარის შესახებ წერდა: „ოლთისის ოლქში მოგზაურის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს არხების შესანიშნავი სისტემა, რომელიც უეჭველად შემონახულია შორეული წარსულიდან. არხები აქ დიდ მანძილზეა გაყვანილი. ისინი ჰკვეთენ ყველაზე უფრო მაღალ კედ-

⁸²1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, გვ. 98-100.

ლებსა და მთების ფერდობებს, იყოფიან მეორეხარისხოვანი არხების მრავალ შტოებად, მიედინებიან ხეების გრძელ ღარებში, მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე, წყლის ამწევი მანქანებით ხელახლა ადიან სიმაღლეებზე და ქმნიან ახალ არხებს. ამგვარი არხები და ბალები 1879 წელს ვნახე ბათუმის ოლქის ართვინის ოკრუგში, განსაკუთრებით კი იმერხევში, რომელიც ბათუმს საუცხოო ყურძნით და ხილით ამარაგებს“⁸³.

ტაოში დასტურდება ვაზის ისეთი ჯიშები, რომლებიც აქამდე ცნობილი არ იყო, მაგალითად, *კვირტაი*, *ჩაჩხაი*, *თურვანდა*, *კარული*, *თხისძუბუ*. ძველ ტაოელებს მოჰყავდათ *ქერი*, *ჭვავი*, *ცერცვი*, *ფეტვი*, *ლომი*, *დიკა*. ხის ვედრო ტაოელებმაც იცოდნენ. იმერხევში თუ მას *კროჭი* ერქვა, ტაოში ის, აღმოსავლეთ საქართველოს ანალოგიურად, „კოდის“ სახელით იყო ცნობილი. ტაოში მესაქონლეობა იაილების სისტემის იყო.

1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დავთრით, ოლთისის ლივის მკვიდრთ გადასახადი ჰქონდათ შეწერილი იალალებსა და ყიშლალებზე⁸⁴, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მესაქონლეობა ისეთივე ფორმის იყო, როგორც სამხრეთ საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში, მანამ, სანამ საქონელს მთაში/იაილაზე აიყვანდნენ, გარკვეული ხნის განმავლობაში (სამი-ოთხი კვირა) გარდამავალ ზოლში – ყიშლებზე აბალახებდნენ. ისლამის მიღებამდე მისდევდნენ აგრეთვე მელორეობას. დიდი რაოდენობით ჰყავდათ ცხვარი. თითქმის ყველა სოფელს შეწერილი ჰქონდა გადასახადი თაფლზე, რაც მეფუტკრეობის ფართოდ განვითარებაზე მიუთითებს⁸⁵. დიდი რაოდენობით მოყავდათ კაკალი, რაც გვაკარაუდებინებს, რომ მისგან ზეთს ხდიდნენ. ოლთისელებისათვის არც მებაძებობა იყო უცხო. აქვე 1574 წლის დავთრით, ბევრი სამღებრო ყოფილა. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ოსმალეთის ხელისუფლებას ფოცხვერის ტყავზე დიდი გადასახადი ჰქონდა დაწესებული, რაც ტაოში მონადირეობის ფართოდ განვითარების დამადასტურებელია.

⁸³ Д. З. Бакрадзе. Историко-археологический очерк Карской области. - ИКОИРГО, VII, №1, Тф., 1881, с. 196.

⁸⁴ 1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. 2016.

⁸⁵ 1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. 2016.

პარხლის ხეობაში ბევრი დიდი ოჯახი ყოფილა. ეთნოგრაფიული მონაცემებით, ტაოელები ერიდებიან ახლო ნათესავებზე დაქორწინებას. მართალია, ტაოელები პატარა ოჯახებად ცხოვრობდნენ, მაგრამ აქ იშვიათი არ იყო დიდი ოჯახებიც.

XX საუკუნის სამოციანი წლების დასაწყისში ტაოში იმოგზაურა ინგლისელმა *დენის სესილ ჰილზმა*. იმ დროს საქართველოს ეს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე თურქეთის ხელისუფალთა მიერ კვლავ ჩაკეტილი იყო. ტაოელი ქართველების შესახებ ის წერდა: „შავგვრემანმა ლამაზმა ქართველებმა, მსხვილძვლიანი ნაკვებით და მათმა წელში გამართულმა ქალებმა, რომელთა წითელი კაბები ყაყაჩოსავით გამოკრთოდა ყვითელ ხორბალში, შეცვალეს ქერა ლაზები, მათი გამგმირავი მზერით და ტანსაცმელ-შემოგლეჯილი, შრომაში ქანცგაწყვეტილი ქალებით“. ინგლისელი დაწვრილებით აღწერს ტაოს ქართულ ტაძრებს და დასძენს, რომ მათი გადარჩენა ძირითადად მეჩეთებად გადაკეთებამ განაპირობაო. პარხლის აღწერისას წერს: „ხეობაში გაფანტულია ბევრი სხვა ქართული ეკლესია, (მოჰყავს მთხრობლის სიტყვები) „მაღალი კოშკებით და სურათებით ქვებზე, ისინი ქართველების ძველმა მეფემ ააგო თავისი ასულებისათვის“. „ამბობენ, აღმოსავლეთ თურქეთის დღევანდელი ქართული მოსახლეობა გამუსლიმანებული შთამომავლობაა წარმოშობით ქრისტიანი ხალხისა, რომელთა ქვეყანა ერთ დროს კავკასიონიდან ჭოროხის მდინარემდე და შენაკადამდე იყო გადაჭიმული. მე არ დაუწყვე გამოკითხვა ამ აგენტს (მხედველობაში ჰყავს ტაოს ადმინისტრაციული ცენტრის – იუსუფელელი ფინანსური აგენტი, რომელიც ასევე ქართველი იყო – რ. თ.), რადგან ის აუცილებლად უარყოფდა ყოველგვარ კავშირს ქრისტიანობასთან. მაგრამ ის წუხდა, რომ განათლებისა და ემიგრაციის წყალობით ქართული ენა იკარგებოდა“.

პარხალში ქართველთა საცხოვრებელი სახლები ხისა იყო. იმერხევეში „ქორი“ თუ თივის შესანახი ხის ნაგებობა იყო, აქ „ქორი“ ჰქვია სახლის პირველ სართულზე ცხვრის დასაყენებელ შემოღობილ ადგილს. მეორე სართული თუ საცხოვრებელი იყო, მესამე სართულზე თივას ინახავდნენ. ქობაის ხევში ერთ სოფელს ორი დასახლება ჰქონდა – ზამთრისა და ზაფხულის. ექვსი თვე „ქვემო სოფელში“ იყვნენ, ექვსი თვე – „ზემო სოფელში“.

ტაოში მარცვლეული კულტურებიდან მოჰყავდათ: *ქერი, დი-
კა, ჭვავი, გირგილი...*

განვითარებული იყო მეთევზეობა და ხშირად იკვებებოდნენ კალმახით. ზემოხსენებულ *დ. ს. ჰილზს* ტაოში ცნობილ ეკლესიამონასტრებთან ერთად სხვა დანგრეული ტაძრებიც მოუნახულებია. მაგალითად, სოფელ *ნიკომში* მას უნახავს დანგრეული ეკლესია: „პატარ-პატარა ქოხებს ზემოთ აღმართულიყო მაღალი, ყვითელი ეკლესიის ჩონჩხი შესანიშნავი მოხატული სვეტებითა და ძალიან დაზიანებული გუმბათის ყელით. ახლომდებარე სამლოცველოში, რომელიც ძროხების სადგომს უერთდებოდა, რამდენიმე კარგად შენახული წმინდანთა ფრესკა ვიპოვნე, ქართული წარწერებითა და მინაწერებით“. თორთუმის ახლოს კი სულ ახლად, სამი წლის წინ აფეთქებულ *გეგეის ეკლესიას* აღწერს.

გეგეთიძე თაყაიშვილმა ტაოში დაადასტურა, რომ გამუსლიმებული ქართველები ასრულებდნენ ზოგიერთ ქრისტიანულ წესებსა და ჩვეულებებს. მაგალითად, ყურბან-ბაირამის დროს (მუსლიმთა აღდგომა) ღებავდნენ კვერცხებს და მიჰქონდათ ეკლესიის ნანგრევებში. ამასვე აღნიშნავდა *ე. ვეიდენბაუმი* ბანის ტაძრის შესახებ, რომელიც მას 1879 წელს მოუნახულებია. „ხახულში, მონასტრის კარიბჭეში, აღმოსავლეთის კედელში, ღვთისმშობლის სურათია გამოქანდაკებული, რომელსაც მკვიდრნი მარიამს უწოდებენ. თუმცა მუსლიმთა ქალები მეჩეთში არ დადიან, მაგრამ ამ ქანდაკებასთან მოდიან თამამად, აღიპყრობენ ხელებს და სთხოვენ შვილიერებას: ვისაც რძე აკლია, რძის მომატებას, ვისაც ავადმყოფი ჰყავს, მის მორჩენას. მარიამი დიდად სწამთ არათუ ღედაკაცებს, არამედ მამაკაცებსაც“⁸⁶. როგორც *ე. თაყაიშვილი* აღნიშნავს, „*სამუსლიმანო საქართველოში ჩვეულებადია ზიარეთში წასვლა. ეს უდრის ჩვენებურ ხატობას. ზიარეთი სამლოცველო ადგილს ჰქვია და ასეთი ადგილებია, სადაც ძველი ეკლესიის ნანგრევებია, ან ყოფილი საჯვარეა. აქ მოდიან სხვადასხვა ადგილებიდან, ნამუშნავად ქალები; მოაქვთ ჩამოქნილი თაფლის სანთლები, აანთებენ სანთლებს და ლოცულობენ. აქ რჩებიან ერთ-ორ ღამეს; თუ შორიდან მოსული*

⁸⁶ ე. თაყაიშვილი. სამუსლიმანო საქართველო. – „დაბრუნება“, თბ., 1991, გვ. 217-218.

არიან, უფრო მეტსაც. და ამით უნდა დაესიზმროთ ღამე, თუ რა ცხოველი დაკლან სამსხვერპლოდ, ცხვარი, თხა, ხბო, ძროხა თუ ხარი, და რაც დაესიზმრებათ, იმას დაკლავენ ხოლმე. ასეთ ჩვეულებას ასრულებენ პორტას (ძველი შატბერდის) მონასტრის ნანგრევებში და ბევრ სხვა ადგილას. ... ასეთი ზიარეთი აქვთ ხახულის მცხოვრებთაც მათი ხევის სათავეში, მთაზე, სადაც ეკლესიის ნანგრევებია დაცული⁸⁷.

ექვთიმე თაყაიშვილმა 1907 წელს ტაოს ოლთისის მხარეში, იმოგზაურა და როგორც ადგილზე შეკრებილი ეთნოგრაფიული მონაცემებით გაარკვია, რუსების აქ შესვლამდე მოსახლეობის უმრავლესობას გამაჰმადიანებული ქართველები შეადგენდნენ. „ბეგები ამ მხარისა ეკუთვნოდნენ *ხიმშიაშვილების* გვარეულობას“. ექსპედიციის დროს მეცნიერმა ისიც გაარკვია, რომ ოლთისის ზოგიერთ სოფელში (*ფანასკერტი, აზნავი, ნიაკობი*) ზოგიერთ მოხუცებულს ქართული ესმოდა და ყველას ჰქონდა იმის ცნობიერება, რომ ისინი წინათ ქართველები იყვნენ. ოლთისის სოფელ *კალკოსის* ეკლესიაში დაცული ყოფილა ქართული სახარება, რომელსაც სომხები და ბერძნები ეთაყვანებოდნენ. ე. თაყაიშვილს ადგილობრივმა თურქულენოვანმა სომხებმა ჩააწერინეს, რომ ამ სოფლის მცხოვრებნი ორთულიდან ვართ მოსული, წინათ ქართველები ვიყავით, ხოლო შემდეგ გრიგორიანელობა მივიღეთ⁸⁸.

ჭოროხის ხეობაში, ტაოსა და კლარჯეთის საზღვარზე, სამწუნარო ფაქტი დაფიქსირდა. 2007 წელს დავადასტურეთ, რომ სოფელ *ჭიმჭიმი*ში ქართულად მხოლოდ ხუთი მოხუცილა მეტყველებდა, არადა ერთი საუკუნის წინ, როდესაც ამ სოფელში *ექვთიმე თაყაიშვილი* იმყოფებოდა, ქართულად ყველა შესანიშნავად საუბრობდა: „ამ სოფელში არის კიდევ ერთი დიდი სოფელი მაღალზეკარზე (უღელტეხილზე), იშხნის მახლობლად (სოფელი იშხანის სამუხტაროში შედის), სოფელში 208 სული მცხოვრებია და ყველა ქართულად ლაპარაკობს. ამ სოფლის სახელი რუკაზე არის *ჩილჩიმი*, მაგრამ მისი სახელია *ჭიმჭიმი* და მცხოვრებნიც ასე გამოთქამენ მის სახელს. ამ სოფლის სახელი გვამცნევს, თუ საით-

87 ე. თაყაიშვილი. სამუსლიმანო საქართველო, გვ. 220.

88 ე. თაყაიშვილი. სამუსლიმანო საქართველო, გვ. 333.

გან წარმოსდგა სახელწოდება ცნობილის ქართველის მეცნიერის და ფილოსოფოსის *იოანე ჭიმჭიმელი*სა. ... ესლა ცხადია, იოანე ყოფილა სოფელ ჭიმჭიმედან და აქედან წარმოსდგა ჭიმჭიმელი, როგორც რუსთავიდან რუსთაველი, ხონიდან ხონელი და სხვა⁸⁹. საერთოდ, თურქეთის სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებულ ქართულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში სერიოზულად დგას ქართული ენის შენარჩუნების საკითხი. ბუნებრივია, რეალურად საფრთხის წინაშეა ის მრავალი ტრადიცია, რომლებიც აქაურ ქართველებს სულ ცოტა ხნის წინ კარგად ჰქონდათ შემონახული. აღნიშნულს თავისი მიზეზები აქვს, რომელთაგან უმთავარესი ქართველთა კომპაქტური განსახლებების არეალიდან დიდ ქალაქებში მოსახლეობის მიგრაციაა.

ტაოში, *პარხლის-წყლის* შენაკად *ქობაის ხევზე ექვთიმე თაყაიშვილმა* აღწერა „ძველი გრძელი სარწყავი არხი, რომელიც იწყება სოფელ *უთაიდან*, კობაის მაზლობლად, გაჭრილია კლდეში რამოდენიმე ვერსის სიგრძეზე და მიდის სოფელ *ზავრიეთში*; ამას მიაწერენ *თამარ მეფეს* და ამბობენ, ყველაზე დიდი ღვაწლი, რომელიც მან დასდო ამ მხარეს, ეს არისო“⁹⁰. ორთულში მთლიანად გამუხლიმებული ქართველები ყოფილან. ამ სოფლის სასაფლაოზე ბევრი ყოფილა საფლავის ქვები – ცხენისა და ცხვრის ქანდაკებები.

1878 წელს ტაოს *ოლთისის* ნაწილი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა. ეს მხარე ცარიზმმა ყარსის ოლქში შეიყვანა (ისევე როგორც კოლა, არტანის და ერუშეთი). მიუხედავად იმისა, რომ აქ ქართველთა კვალი წარხოცილი იყო, იმდროინდელი რუსული დოკუმენტებით მაინც შეიძლება ქართულ ტოპონიმებზე თვალყურის გადევნება: *ავჭალა, მუხრელი, აზრისი, ორთული, ფანჯურეთი, პეტრევანი, ფანასკერთი, ურეკი, სალაჯური* (ამ სახელწოდებით სოფელი მთიულეთშიც არის), *შუა ჯულაკარი, ოლორი...* რაც მთავარია, აქ დადასტურებულია ტოპონიმი **ტაუსკერი, რაც ქართული ტაოსკარის ფონეტიკური ვარიანტია**. პარხლის ხეობაში *ექვთიმე თაყაიშვილს* რამდენიმე სხვა ქართული ტოპონიმი დაუ-

⁸⁹ე. თაყაიშვილი. სამუსლიმანო საქართველო, გვ. 222.

⁹⁰ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და სოფელ ჩანგალში 1907 წელს – „დაბრუნება“, თბ., 1991, გვ. 221.

დასტურებია, მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ სოფელ პარხლის უბანი „გოჭვათი“ (საგოჭე ადგილი), *კელენხევი*, *ქოლოთეთი* (მღრ.: შიდა ქართლის მთიანეთში, ლეხურასა და მეჯუდას ხეობათა სათავეში, მდებარე სოფლის სახელს – „ქოლოთი“), საძოვრები: *ცას-ხევი*, *ბოგათკეთი*.

ექვთიმე თაყაიშვილი პარხლის ხეობის შესახებ აღნიშნავდა: პარხალში გამაჰმადიანებული ქართველები ცხოვრობენ. ქართული მოხუცებს-ღა ესმით (ამას აღნიშნავს იშხანის მცხოვრებთა შესახებაც). იმავე დროს მეზობელ სოფელ *კობაკში* დიდი და პატარა ყველა ლაპარაკობს ქართულად, ისევე როგორც *ხვეკში*, რომლის მოსახლეობაც სანახევროდ მალულად ქრისტიანობას აღიარებს. *გიორგი ყაზბეგის* მოგზაურობის დროს მათ ჯერ კიდევ ჰყოლიათ მართლმადიდებელი მღვდელი⁹¹. იქვე მეცნიერი იმასაც აღნიშნავს, რომ პარხელების ძირითადი სამეურნეო საქმიანობა მეხილეობა და მესაქონლეობა იყო. ეს სოფელი განთქმული ყოფილა შალეულობის წარმოებით, რაც, ბუნებრივია, მეცხვარეობის ფართოდ გავრცელებას ეფუძნებოდა. სხვათა შორის, *ხახულის* მოსახლეობაც ძირითადად ხილეულით ირჩენდა თავს, რომლებსაც მოჭარბებული პროდუქტი არზრუშში გაჰქონდათ გასაყიდად. მაგრამ, რაც მთავარია ხახულები დიდი რაოდენობით ხილს ჩირავდნენ და ზამთარშიც მათი კვების ერთ-ერთ პროდუქტს ისიც შეადგენდა⁹².

ექვთიმე თაყაიშვილი ტაოელთა გარეგნობაზეც ახდენდა დაკვირვებას: „მუსლიმი ქართველები ყოველგან თვალსაჩინოდ განირჩევიან სხვა სამუსლიმანო საქართველოს მცხოვრებთაგან, თურქებისაგან, თარაქამებისაგან და სხვებისაგან, განირჩევიან სახით, ჩაცმა-დახურვით, ზნე-ჩვეულებით, დარბაისლობით (პირველ თქმულია ძველთაგან სიდარბაისლე მესხისა), სიღინჯით და პატიოსნებით. ტანისამოსი მამაკაცისა ისეთივეა როგორც გურულებისა, აჭარლებისა და ლაზებისა, ესე იგი ჩაქურა“⁹³. მეცნიერს იქვე მოჰყავს *ნ.*

⁹¹ ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ., 1960, გვ. 83.

⁹² ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, გვ. 59.

⁹³ ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და სოფელ ჩანგალში 1907 წელს, გვ. 224.

შუგუროვის წიგნაკიდან ამონაწერი: „სამი წლის განმავლობაში ჩემი ფრონტზე ყოფნისა მე კარგად დავეუკვირდი ნამდვილ თურქებს, მაგრამ ხახულის თურქების სახეებში, ნამეტნავად ახალგაზრდებისა, აშკარად შევნიშნე ნამდვილად ქართული სახეები. მეტად თავისებურია დიდრონი შავი თვალები და ანაგები ტუჩისა... განსაკუთრებით ხახულის „თურქთა“ (ე. ი. გამაჰმადიანებული ქართველების) შესახებ უნდა ვთქვა, ეს ხალხი რაინდულად პატიოსანია, სიმართლით გამსჭვალულია და ფრიად სტუმართმოყვარე“⁹⁴.

პარხალთან სამეურნეო-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონიათ *ჭანებს/ლაზებს*. პარხალში პარასკევობით გამართულ ბაზრობაზე მთებიდან მრავლად მოდიოდნენ ლაზები, რომლებსაც გასაყიდად ხის ნაწარმი და იაფასიანი კონსტანტინეპოლური ფართალი მოჰქონებიათ.

ექვთიმე თაყაიშვილს პარხალში ფრიად საინტერესო ეთნოლოგიური ფაქტი დაუდასტურებია; ის წერს: „ძველი წარმართული კულტის გადმონაშთს წარმოადგენს რთველის დღესასწაული: ტანგახდილი ჭაბუკები ფერხულს ცეკვავენ და ყურძნის მტევნებს იკიდებენ ტანზე. ეს წესი პარხალს ქვემოთ მდებარე სოფლებში-და შემორჩენილა, თვით პარხალში კი მოლები უკრძალავენ ახალგაზრდებს ტანთ გახდას. ეს გაშიშვლებული ვაჟები ჩვენებური აგუნას და კლასიკური ბახუსის თანამგზავრებს მოგვაგონებენ“⁹⁵. ეთნოლოგებს მიაჩნიათ, რომ აღნიშნული რიტუალის მიზანი ბარაქიანი წელიწადის დაბეჭება იყო. მაგრამ რიტუალი ხომ არა გაზაფხულზე, არამედ მოსავლის აღებისას, რთველის დროს ტარდებოდა. უფრო საფიქრებელია, რომ გაშიშვლებული და შიშველ ტანზე ყურძნის მტევნებასხმული ჭაბუკების როკვა მიღებული მოსავლის გამო ღვთაებისადმი მადლიერების გამოხატულებაა. დაბეჭვითებით ისიც უნდა ვთქვათ, რომ რიტუალი ფერხულის შემადგენელი ნაწილი იყო. ჩვენი ეთნოგრაფიული მასალებით, „ტიკით ვფერხულობდით, ქალები ცალკე ვფერხულობდით, კაცები – ცალკე“.

⁹⁴ ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და სოფელ ჩანგალში 1907 წელს, გვ. 225.

⁹⁵ ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, გვ. 83.

ტაოს პარხლის მხარეში დღეს კვლავა შემორჩენილი *ხარების ჭედობა*. ყველა თემს თავისი ხარების ჭედობა ჰქონდა. „პარხლისწყლის ხეობის იმ სოფლებში, სადაც ამჟამადაც იმართება შუამთობა, ხარების ჭედობა კვლავ სადღეობო რიტუალის ნაწილად გვევლინება. შუამთობას ახლაც სრულდება ფერხულები, იმართება ჭიდაობა, ხარების შერკინება... ტრადიციულად, ამ დღეობაზე ჭანები/ლაზები და მურღულელები გადმოდიან მეზობელი ხეობებიდან. განსაკუთრებით ხალხმრავალია **წალიკვანის შუამთობა**. „ცხენებ ვახტუნებდით წალიკვანში. წალიკვანი მარტო ქობაისი არის“. „წალიკვანში კაცის ჭედობა, თოფის სროლა, ხარების ჭედობა ვიცოდით. იყო მამლის ჭედობა. მამლები ბევრი იყვნენ და ვაჭედებდით. მემრე ფეხბურთი დევწყეთ“⁹⁶.

ზაქარია ჭიჭინაძის მიერ 1890-იან წლებში მოპოვებული მასალებით, 1860 წლამდე „პარხლის ერთ სოფელში ქართველ მაჰმადიანებს ქრისტიანობაც ეკავათ, და საიღუმლოდ ქართველობდნენო, მღვდლად მათ *მღებრაძე* ჰყავდათო“.

საყურადღებოა პარხალში დადასტურებული მთელი რიგი ლექსიკური ერთეულები. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ – *ვიტალღუჯოთ* (ვიცურავოდ). *ინგა ლუტიძეს* კიდევ სხვა ისეთი ლექსიკური ერთეულები დაუდასტურებია, რომლებიც სალიტერატურო ქართულისათვის (და სხვა დიალექტებისათვის) უცნობა: *გზაბწარი* – ბილიკი, *ქვაბუქი* – ქარბუქი, *პაწაპუწა* – გირჩები, *კალი* – ეკალი, *რთველი* – შემოდგომა, *ღარღალობს* – მწარედ ტირის, *თვალწყალი მოუვიდა* – ტირის, *გულიდამ ტირის* – გულამოსკენილი ტირის, *ყავარზე გასლაძდინ გათოვლდება* – ძალიან ძალე მოვა თოვლი, *მუცელი ენთება* – მუცელი სტკივა...⁹⁷

ტაოურ დიალექტში მეტსახელის გამომხატველი სიტყვაა „ლალაბი“.

პარხლის ხეობაში ადრეული ქორწინების ფაქტებიც დასტურდება. ერთ-ერთი მთხრობელის თქმით. „ათ და ექსი წლის ვიყავი რომ დავქორწინდი, ქალიც ათ და ხუთი წლის იყო“.

⁹⁶ რ. გუჯეჯიანი. ხარების ჭედობა ტრადიციულ ქართულ ყოფაში. გვ. 26-36.

⁹⁷ ი. ლუტიძე. ქართველები თურქეთში – ენობრივი ვითარება, გვ. 183.

ქართველების განსახლების არეალი ისტორიულ ტაოში (პარხლისწყლის ხეობა)

ტაოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში გამოიყოფა: *პარხალი* (პარხლისწყლის ხეობა), *ოლთისი* და *თორთუმი*. 1878 წლიდან ტაოს მხოლოდ ოლთისის მხარე შედიოდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, სადაც ქართული მოსახლეობა, ფაქტობრივად, აღარ იყო შემორჩენილი. სხვადასხვა მონაცემებით, XX საუკუნის დასაწყისში ქართული მოსახლეობა მნიშვნელოვანი რაოდენობით იყო თორთომის მხარეში. თუმცა დღეს უკვე აქ ეთნიკური ქართველები აღარ არიან. ტაოში ეთნიკურობა მხოლოდ პარხლის ხეობაში, უფრო სწორედ პარხლისწყლის შენაკად ქობაისხევში მცხოვრებმა ქართველებმა შეინარჩუნეს.

პარხლისწყლის ხეობა დანარჩენი ტაოსაგან ბუნებრივ-გეოგრაფიული თვალსაზრისით განსხვავებულია და ამ განსხვავებულობას მისი შავ ზღვასთან შედარებითი სიახლოვე განაპირობებს. პარხლისწყლის ხეობიდან პირდაპირ ლაზეთში და კლარჯეთის მურღულის ხეობაშია გადასასვლელი. ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, რომ პარხლის ხეობაში მცხოვრებ ტაოელ ქართველებს მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები ჰქონდათ როგორც მურღულელ ქართველებთან, ისე ლაზეთის მოსახლეობასთან.

პარხლისწყლის მარცხენა შენაკად *ქობაისხევზე* მდებარე სოფლები გეოგრაფიული თვალსაზრისით მთას წარმოადგენს. ხეობის სათავეში მდებარეობს ორი სოფელი *გაღმა ქობაი* და *გაძოღმა ქობაი*. ისინი ზღვის დონიდან საშუალოდ 1500 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობენ. *გაღმა ქობაი* კი ზღვის დონიდან 2030 მეტრზეა, *ხევაი* – 1630 მეტრზე, *ბაღჩი* – 1870-1880 მეტრზე. მაგრამ თავიდანვე უნდა ითქვას, რომ აქ დასახლების თავისებურ ფორმასთან გვაქვს საქმე. ქობაიში ზამთარში არავინ არ რჩება, ზამთარში ხეობის დაბლობ ნაწილში გადადიან. ზამთრისა და ზაფხულის სადგომები ექვს-ექვს თვიანია. ასეთი დასახლების ფორმა ისტორიულია თუ შედარებით გვიანდელი წარმონაქმნი, გაურკვეველია. ეთნოგრაფიული მასალა უფრო იმ დასკვნის საშუალებას იძლევა, რომ დასახლების ამ ფორმის ტრადიციულობაზე ვისაუბროთ.

ერთი შეხედვით, ქობაისხევზე თითქოს სამი ქართული სოფელი – *ქობაი*, *ხევია* და *ბალხი* მდებარეობს, მაგრამ, სინამდვილეში, სოფლების რაოდენობა გაცილებით მეტია და თითოეული ეს დასახელებული სოფელი რამდენიმე სოფელს მოიცავს, რომლებსაც აქ უბნებს უწოდებენ. ქობაელების მხოლოდ საზაფხულო სოფელს ჰქვია ქობაი, საზამთრო სოფლები, რომლებიც საკმაოდ დაშორებულია საზაფხულო სოფელს საკმაოდ დაბლაა და მათი სახელწოდებებია *მახათეთი* და *ჭილათი*.

ხევია სოფლებისაგან/უბნებისაგან შედგება; ესენია: *ბასლე* (*ბასლიკარი*), *კრაეკარი* (*კრეკარი*), *ჭვილენკარი*, *დუალეკარი/დოლლეკარი*, *ვაჩეკარი*, *ხანფეკარი*, *ფიშნარხევი*, *ქელაზორი* (*მჭედლიანთკარი*), *ხოწითები*, *გოდლიეკარი* (ტ. ფუტკარაძის მიხედვით – *გოდდეკარი*). ერთი მთხრობელი ხევას თემის სოფლების/უბნების შესახებ თუ ამ ჩამონათვალს გვთავაზობს, სხვა ინფორმატორთა ინფორმაცია ამ რაოდენობას უფრო ზრდის ანდა სოფლის სახელს სხვა ფონეტიკური ვარიანტით გვთავაზობენ: *ქონობანი*, *დოლონჯოკარი*, *დოლენკარი*, *ჰამფიანკარი*, *ფიშნარხევი...* ხევას თემს აგარებიც ჰქონდა, რომელთა ნაწილი ადრე სოფლები ყოფილა (ყოველ შემთხვევაში - კარით დაბოლოებული ტოპონიმების მიმართ ეს დაბეჯითებით შეიძლება ითქვას): *დევსეკარი*, *ველითავი*, *ჭირხლაქეთი*, *ზემოჭვილენკარი*, *ყულედაბი*, *ცერეკარი*, *ახლენკარი*, *მაღალბასილკარი*, *შაბლინკარი*, *კუარეთი*, *ბოწმინდა...*⁹⁸ თითოეულ ეს დასახელებული სოფელი ცალკე უბნებისაგან/მაჰალეებისაგან შედგება, მაგალითად, ელიასხევის უბნები ყოფილა: *არტაანი*, *ბრეექქიანი*, *ფუნჩაანი*⁹⁹.

ქობაის უბნები/სოფლებია ალიანკარი და ომერიანკარი.

ბალხის თემის უბნები/სოფლებია: ბალხი, წითელკარი, ყარამანლები, ხუცეკარი, ონოხეთკარი, ლიტრევი, სავრიათი, გაღმა ფევზიანები, აბაზიანები. მთხრობელის სიტყვით, „ამ ბალხში ათი სახლია. ზამთარში არავენ რჩება, ბალხიბარში ჩავდივართ ყველა.

⁹⁸ ტ. ფუტკარაძე. ქართული ენა, როგორც თურქეთის რესპუბლიკის კულტურის ერთ-ერთი შემადგენელი: პრობლემები, პერსპექტივები – ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები, IV, 2015, გვ. 18.

⁹⁹ ტ. ფუტკარაძე. ქართული ენა, როგორც თურქეთის რესპუბლიკის კულტურის ერთ-ერთი შემადგენელი, გვ. 18.

აქ ბევრი თოვს და ვერ დამდგარვართ“. ამრიგად, ბალხსაც თავისი საზამთრო სოფელი აქვს; ესაა ბალხიბარი. სახელწოდება კი პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ბალხიბარი დაბლობის, ბარის ბალხია. „აქ ზამთარ არავინ რჩება, ქვემოთკენ მიდიან, ბალხიბარში. ზაფხულში აქ ვართ, ზამთარში ქვემოთ მივდივართ. უწინ სამ თვე ვრჩებოდით. ქობაის ხევის ყველა საზაფხულო სოფელს თავისი აგარებიც გააჩნია. ეს იგივე მთის სადგომებია, რომლებსაც კლარჯეთსა და შავშეთ-იმერხევეში ქართველები „იაილებს“ უწოდებენ. ხევაის აგარებია: *ყვევრეთი, ქელიყანა, ნაფარეხევი*. ქობაის აგარები ყოფილა: *ქეთქეთი, ლეკნარი, ძველაგარა* და სხვ.

ეთნოგრაფიული მონაცემებით, პარხლისწყლის ხეობის სხვა სოფლების მკვიდრნიც ადრე ქართველები ყოფილან, რომლებიც დროთა განმავლობაში გათურქებულან, რასაც სოფელთა ადგილის სახელებიც ადასტურებს, ადგილობრივთა ანთროპოლოგიური ტიპიც. ერთ-ერთი ასეთი სოფლის სახელწოდებაა *ზეძო ვანი*, აგრეთვე *ზღაფორი*. სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ პარხლისწყლის ხეობაში გათურქებული ქართველები ცხოვრობენ: *ღვეთისაში, უტავში* (აქაა მიკროტოპონიმი *საფიჩხეთი*), *კანჭალოშში, ახალთში, კერველათში, დუტთერეთში*. ოთხთას მთელი რიგი ქართული მიკროტოპონიმებიც ამ სოფლის მკვიდრთა ქართულ წარმომავლობაზე მიუთითებენ¹⁰⁰. ერთ-ერთი ინფორმატორი შენიშნავდა: „მთელი ალაგები ქართულია, ხალხები ქართველები არ არიან“. „სულ ბოლოში, პარხლის ბოლოს, სოფელია *ერმენლი ხევაი*. ამ სოფელში ერმენლებს (სომხებს) უცხოვრიათ. სოფლის ქართული სახელწოდება მიუთითებს იმაზე, რომ აქ სომხები მოსული იყვნენ, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ *ერმენლი ხევაის* მცხოვრები „ერმენლები“ გაგრიგორიანებულ-გასამომხებული ქართველები იყვნენ. ასეთი პროცესები ისტორიულ სამხრეთ საქართველოშიც მიმდინარეობდა. ამის მაგალითად შეიძლება გერმანელი *კ. კონის* ცნობა გავიხსენოთ, რომელიც ქალაქ *ართვინის* მოსახლეობას გაგრიგორიანებულ-გასომხებულ ქართველებად მოიხსენიებს. აგრეთვე ჩვენს მიერ ადრე ჩაწერილი ეთნოგრაფიული მონა-

¹⁰⁰ტ. ფუტყარაძე. ქართული ენა, როგორც თურქეთის რესპუბლიკის კულტურის ერთ-ერთი შემადგენელი, გვ. 20.

ცემებით, იმერხევში მცხოვრები „ერმენლები“ სომხურ ენაზე არ ლაპარაკობდნენ. მათი მშობლიური ენა ქართული იყო.

დღევანდელი ეთნოგრაფიული მონაცემებით, ქობაისხევში „ორი ასი“ სახლი დგას, ე. ი. ორასი კომლი ქართველი ცხოვრობს, თუმცა, როგორც ირკვევა, ძველად ეს მხარე უფრო მჭიდროდ ყოფილა დასახლებული და ადგილობრივი ქართველები თურქეთის სხვადასხვა ქალაქში გაფანტულან. აქედან ქართველები გადასახლებულნი არიან აგრეთვე რაიონულ ცენტში, პატარა ქალაქში *იუსუფელში*. 50 წლის წინ ადგილობრივი ქართული მოსახლეობა 9 ათასი ოჯახი ყოფილა. დიდი რაოდენობით გადასახლებულან *ბურსაში*, *ანთალიაში*. „ბურსაში ერთმანეთი წაიყვანეს“. გადასახლების მიზეზად იმას ასახელებენ, რომ „აქ საქმიანობა არ არის“. ისიც საინტერესოა, რომ აქედან მიგრირებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი ზაფხულში ქობაის ხევში მოდის. ადრე პარხლისწყლის ხეობაში მცხოვრებ ქართველთა ძირითად საქმიანობას მესაქონლეობა წარმოადგენდა.

ხევაიში მცხოვრები მთხრობელის თქმით, „10 წლის ვიყავი სტამბოლს რომ წავედი, დამ წამიყვანა. 1985 წელს საქარიაში მივედი ისტამბულიდან. ათ და ექვსი (ე. ი. 16) წლის ვიყავი რომ დავქორწინდი, ქალიც ათ ხუთი წლის იყო. ანამ გაზარდა. ცოლიც აქაური იყო, *თათარაშვილის* ქალი. ხუთი ბიჭი მყავს. ახლა 78 წლის ვარ. როცა წავედი ჩემს სოფელში 661 სახლი იყო, ახლა 155 დავრჩით. აქ ვერ გვიმუშავია და იმიტომ წავედი“.

მთხრობელის სიტყვები, ბუნებრივია, კითხვას გააჩენს: თუ 60 წლის წინ 661 ოჯახს ადგილზე დასქამების საშუალება ჰქონდა, შემდეგ რა მოხდა, რატომ ვეღარ დასაქმდნენ ადგილობრივი ქართველები? რა იყო და არის ქართველთა მასობრივი გადასახლების მიზეზი წინაპართა საცხოვრებელიდან. ცნობილია, რომ ეს მხარე 1980-იან წლებამდე ფაქტობრივად ჩაკეტილი იყო. ადგილობრივი ქართველები ტრადიციული მეურნეობის – მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტებით იკმაყოფილებდნენ თავს. აქ არსებობდა მთელი საქართველოსათვის დამახასიათებელი სამეურნეო-ეკონომიკური კავშირების სისტემა. პარხლისწყლის ხეობაში მცხოვრებ ქართველებს ასეთი სამეურნეო-ეკონომიკურ კავშირები გააჩნდათ როგორც ლაზეთის, ისე მურღულის ხეობის მოსახლეო-

ბასთან. 1980-იანი წლებიდან თურქეთის ხელისუფლებამ ადგილობრივ ქართველებს მიმოსვლის შეზღუდვა მოუხსნა და მათი დიდი ნაწილი ქალაქებისაკენ გაემართა. თუმცა ქართულ მოსახლეობას ჯერჯერობით ერთი ტენდენცია ახასიათებს – ისინი ზაფხულს წინაპართა სოფლებში ატარებენ და ცდილობენ კერის შენარჩუნებასაც. „ჩემი ძმა აქ დარჩა და მე წავედი. ჩემი დები გათხოვდნენ სტამბოლში. **აქ ლაზები მოდიოდნენ. აქ საჭმელები იყო. ყველაზე ღარიბი რიზე იყო. ზოფაც ასე იყო. ყველი მოჰქონდათ, ყველა ლაზს აქ მეგობარი ჰყავდა. ლაზუტს მოიტანდნენ საჩუქრად.** ამან მომალა“. ბოლო ორი სიტყვიდან ჩანს, რომ სოფლურმა ცხოვრებამ ადამიანი „მოლალა“ და ამიტომ მიგრირდა სოფლიდან; მან ქალაქში ცხოვრება და კომფორტი ირჩია. „აქედან იმიტომ მიდიან, რომ რაი იმუშაონ“. ადგილობრივი მეურნეობის მოშლის დამადასტურებელია აგარების სისტემის მოშლაც. ბალხის ზემოთ, მთაში ალპურ ზონაში ჩანს აგარები (მთური დასახლებები), სადაც სამი თვის განმავლობაში საქონელი ჰყავდათ და სადაც ოჯახის წევრთა ნახევარი საცხოვრებლად და საშრომად იქ აღიოდა. „ათი წელიწადია აგარები: *ყვეერთი, ქედიყანა* და *ნაფარეხევი* დავაგდეთ. ახლა ისინი გავერანდა“. ბალხის ერთ-ერთ მაჰალეში – *საერიათში* მთხრობელის ბავშვობის დროს „ორი ოცი და ათი სახლი“ (ე. ი. 50) ყოფილა. ახლა რვაშიდაა ხალხი, დანარჩენი ცარიელია“.

ტაოელ ქართველთა ეთნიკური იდენტობის საკითხი

„გურჯისტანის ვილაეთის დავთრში“ თუ ჩავიხედავთ, დავინახავთ, რომ მხარე ძირითადად ეთნიკური ქართველებით იყო დასახლებული. XVI საუკუნის ბოლოს ეთნიკურ ქართველებთან ერთად შიგადაშიგ სომხური და თურქული მოსახლეობაც იყო გაჩენილი. დღეს ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს თურქები წარმოადგენენ, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში გათურქებული ქართველები არიან. ბევრს უკვე მახსოვრობაც კი აღარა აქვს შემორჩენილი, რაც უდავოდ ქართული ენობრივ-ეთნიკური სამყაროდან თურქულ ენობრივ-ეთნიკურ სამყაროში გადანაცვლების ანუ იდენტობის სრული დაკარგვის მიმანიშნებელია. თურქეთში მცხოვრებ ქართველებში იდენტობის საკითხი შეიძლება ითქვას ძალიან მწვავედ დგას. ამ თვალსაზრისით აქ გამოიყოფა რამდენიმე ჯგუფი: 1. იდენტობადაკარგულები, რომლებსაც აღრინდელი ქართველობის შესახებ მხოლოდ მახსოვრობადა აქვს შენარჩუნებული, 2. იდენტობაშენარჩუნებულნი და ენადაკარგულნი, 3. ეთნიკური ქართველები, რომლებსაც ენაც შენარჩუნებული აქვთ.

იდენტობის თვალსაზრისით რა მდგომარეობა გვაქვს პარხლისწყლის ხეობის ქართველებში? ეთნოგრაფიული მონაცემებით აქ სამივე აღნიშნული კატეგორიის ხალხი ცხოვრობს. ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება, ალბათ, ბოლო ორზე უნდა შევაჩეროთ. პარხლისწყლის ხეობაში, კონკრეტულად კი ქობაის ხევში ქართველობისა და ქართული ენის შენარჩუნების ყველაზე ძირითადი ფაქტორი გეოგრაფიული გარემოა. ცნობილია, რომ მთის პირობებში ნოვაციები შედარებით ძნელად და ნელა ინერგება; ასეთი საზოგადოებები უფრო ტრადიციულია. ეს ეხება იდენტობის საკითხსაც. საყურადღებოა, რომ იდენტობისა და ენის პრობლემა, ფაქტობრივად, ერთმანეთთანაა გადაჯაჭვული. ირკვევა, რომ ენის დაკარგვა ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, რაც ძირითადად ორი ფაქტორითაა გამოწვეული: ქობაისწყლის ხეობის მოსახლეობისაგან სწრაფი დაცლა და მიგრაცია დიდ ქალაქებში და სასკოლო განათლება. არცთუ ისე დიდი ხნის წინ, ორი-სამი თაობის წინ ქართულ ენას ადგილზე თავისი ფუნ-

ქციები გააჩნდა. მასზე ადგილობრივთა დიდი ნაწილი საუბრობდა და ისინი „ჩვენებურად“ და „გურჯებადაც“ გაიაზრებდნენ თავს. ახლა სწრაფი ტემპით ხდება ენისა და იდენტობის დაკარგვა, თუმცა ენის დაკარგვა იდენტობის დაკარგვას მაინც არ ნიშნავს – ის ორი-სამი თაობის განმავლობაში კვლავ განაგრძობს არსებობას. ქობაისხევში იდენტობის შენარჩუნების ერთ-ერთი გარეგანი გამოხატულება გახლავთ ჯგუფის სახელი, რაც გამოიხატება სიტყვაში „ჩვენებური“. მართალია, დღეს ეთნონიმი ქართველი მათთვის ცნობილია, მაგრამ ცოტა ხნის წინ ის უცნობი იყო და მხოლოდ ბოლო ხანებში ქართველ ტურისტებთან ურთიერთობამ ეს ეთნონიმი მათთვის შინაგანი გახადა. საქართველოდან ჩასულ ადამიანებს ისინი „ჩვენებურს“ უწოდებენ. ამ ფაქტორს იდენტობის შენარჩუნებაში დღეს, შეიძლება ითქვას, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია. ქართველებთან ურთიერთობა მათი მინავლებული ეთნიკური ცნობიერების აღდგენისა თუ შენარჩუნების ერთ-ერთი ფაქტორთაგანია და ეს იმ დროს, როდესაც თურქეთში ყველა ფაქტორი ქართული ეთნიკური ცნობიერების გაქრობას აჩქარებს, რომელთაგანაც ყველაზე მთავარი მაინც დიდ ქალაქებში გადასახლება და სხვებთან საქორწინო ურთიერთობაში შესვლაა.

ქართველთა ეთნიკურობის შენარჩუნების მნიშვნელოვან ფაქტორთაგან უნდა დასახელდეს აგრეთვე ის ტრადიციული დღესასწაულები, რომლებიც აქ დღემდე იმართება, თუმცა ხელისუფლება ცდილობს ამ დღესასწაულებში ერთგვარად ჩაერიოს და მას ოფიციალური სახე მისცეს. ამ დღესასწაულებს სახელიც უცვალეს და ფესტივალი დაარქვეს. თუმცა, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ე. წ. ფესტივალები ქალაქებში გადასახლებულთა იდენტობის შენარჩუნების ერთ-ერთი საშუალებაა, რადგან სოფლებიდან წასულთა დიდი ნაწილი ცდილობს მისი მონაწილე იყოს და წელიწადში ერთხელ მაინც შეხვდეს ნათესავებსა და სხვა დანარჩენ ქართველებს. სამ-ოთხდღიანი კონტაქტი კი ამ თვლსაზრისით მნიშვნელოვანი ფაქტორია. ტრადიციულად ასეთ „ფესტივალებზე“ ხდება სასურველი წყვილის შეთვალეიერებაც.

„ფესტივალები“ გახლავთ ქართული იდენტობის შენარჩუნების ერთ-ერთი წინაპირობა იმ თვალსაზრისითაც, რომ აქ გრძელდება ისეთი ქართული ტრადიციები როგორებიცაა *ჭიდაობა*, *ხარების*

ჭიდილი და ფერხობა. ფერხობა ადგილობრივი ქართული ცეკვაა, რომელსაც მამაკაცები ასრულებენ. ყველამ იცის, რომ ეს მათი, გურჯების ცეკვაა. მთხრობელის სიტყვით, „ტიკით ვფერხულობდით. კაცები ცალკე ფერხულობდნენ, ქალები – ცალკე“. სხვათა შორის, ისტორიულად და ცოტა ხნის წინაც აქ დღესასწაულებზე მხოლოდ პარხლისწყელის მოსახლეობა არ იყრიდა თავს. აქ ლაზები და მურღულელი ქართველებიც მოდიოდნენ. „ღარჭები ღარჭებთან ჭიდაობდნენ, დიდები – დიდებთან“. აქ მოსულ ლაზებს ლაზეთში უკან დაბრუნებულებს, თურმე, თან ბექმეზიც მიჰქონდათ.

ერთი ტენდენციის შესახებ: დღეს *ქობაის* ხეობის მკვიდრნი ერთმანეთში ძირითადად თურქულად ლაპარაკობენ, რაც, ბუნებრივია, მომავალში მათ ეთნიკურ ცნობიერებას და იდენტობაზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს. მთხრობელი თვითონ აკეთებს შეფასებას და, ვფიქრობთ, ამ შეფასებას კომენტატიც კი აღარ სჭირდება: „ორივე ენაზე ვლაპარაკობთ სახლში. აქ თუ დეიბადა ქართველია, თუ არა და სხვაგან თუ დეიბადა, იმას ქართული არ ეცოდინება, ის თურქიაა უკვე“.

ქობაისხევიდან წასულ ქართველებს, რომლებიც საპენსიო ასაკისანი არიან, პარხლის ხეობაში ყოფნა, ახალგაზრდებთან შედარებით, დიდხანს უხდებათ. ისინი ხუთი თვის განმავლობაში თავის სოფლებში არიან. გაგრძელება თუ არა ეს ტრადიცია, ამის თქმა ძალიან ძნელია.

ქართული იდენტობის შენარჩუნების საქმეში განუსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს საქორწინო ტრადიციების შენარჩუნებას. ხევეგელი ინფორმატორის თქმით, „ძირითადად გურჯები მოგვყავს ცოლად. თურქები – ცოტა. ახლო ნათესავი არ მოიყვანს ახლო ნათესავს ცოლად. ისე *ხოჯიანი ხოჯიანზე* ქორწინდება. ღარჭებმა აღარ იციან გურჯიჯა“. თურქეთის სხვადასხვა ქალაქებში წასული ახალგაზრდები ქორწილს ძირითადად აქ იხდიან, იმ დროს, როდესაც მათი დიდი ნაწილი თავმოყრილია პარხლის ხეობაში. ამის მიზეზი ქორწილში ურთიერთვალდებულების ტრადიციაცაა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ტრადიციული ქორწილი უკვე დავიწყებასაა მიცემული. მხოლოდ უფროსი თაობა მოესწრო ჩვეულებრივ ქართულ ქორწილს, როდესაც ხარის დაკვლა აუცილებელი იყო. ის ადრე სამი დღე გრძელდებოდა.

ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, რომ ქართული ენისა და ქართული ცნობიერების წინააღმდეგ განსაკუთრებით ზოგები (მასწავლებლები) გამოირჩეოდნენ. ყველა ინფორმატორი ერთხმად აღნიშნავს, რომ მასწავლებლები მოსწავლეებს „გურჯიჯა ლაპარაკს“ უკრძალავდნენ და ასეთი ბავშვების მიმართ სადამსჯელო ღონისძიებებსაც მიმართავდნენ. ამის გამოა, რომ ასეთი რეპრესირებულები თავიანთ შვილებს სახლში „გურჯიჯა“ აღარ ელაპარაკებოდნენ და აღარც იმას ასწავლიდნენ, რომ ისინი „თურქია“ არ არიან. „ახალგაზრდებმაც იციან გურჯული. ზოგნი სახლში გურჯულად ლაპარაკობენ. ჩვენ თავს გურჯს ვეძახით“.

ამრიგად, ერთი სიტყვით უნდა დავასკვნათ, რომ ქართველობის გაქრობის პროცესი ძირითადად XX საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო. ერთ-ერთი იმერხეველის ნათქვამი, რომ „ათათურქის დროს გავხდით თურქები“, პარხლისწყლის ხეობის ქართველებზე დაც ვრცელდება. მიუხედავად ქართველთა გარკვეული ნაწილის დეეთნიზაციისა, მათ მნიშვნელოვან ნაწილს ეთნიკურობა შენარჩუნებული აქვს, რის დასადასტურებლად ორი ფაქტი შეიძლება მოვიყვანოთ. ერთ-ერთი საექსპედიციო საქმიანობისას, როდესაც იუსუფელში იქაური ახალგაზრდობის ჯგუფმა ქართველები შეგნიშნეს, გახარებულებმა თითქმის შეჰკივილეს: „ჩვენებურები“! ქართული ეთნიკური ცნობიერების დამასატურებელია შემდეგიც: „2010 წელს ერთმა იქაურმა მეგობარმა – რეჯებ იაზიჯმა – მითხრა: საქართველოს, თბილისის უნახავად რომ მოგვკვდენ, თვალები ღია დამჩება“¹⁰¹!

¹⁰¹ტ. ფუტყარაძე. ქართული ენა, როგორც თურქეთის რესპუბლიკის კულტურის ერთ-ერთი შემადგენელი, გვ. 22.

ტაოელთა ქართული გვარები

ცნობილია, რომ თურქეთში ათათურქამდე მემკვიდრეობითი სახელები/გვარები საერთოდ არ არსებობდა. ადამიანებს ოფიციალურ დოკუმენტებში მხოლოდ სახელითა და მამის სახელით მოიხსენიებდნენ. დღეს თურქეთში მოქალაქე ქართველები თურქულ გვარებს ატარებენ, მაგრამ ბევრს კარგად ახსოვს თავისი გვარი. რა ვითარება გვაქვს ტაოს პარხლისწყლის ხეობაში მცხოვრებ ქართველებში? პიროვნულ სახელებს რაც შეეხება, აქ ქართულის კვალი უკვე დიდიხანია წაშლილია. უცხო ენობრივ-ეთნიკურმა და რელიგიურმა გარემომ პიროვნული სახელები ძალიან მალე განდევნა. 1595 წელს შედგენილი „გურჯისტანის ვილაიეთის დავთრის“ მიხედვით, სამხრეთ საქართველოში ქართულ-ქრისტიანული სახელები იყო გაბატონებული. თუმცა ამ სახელების ნაკვალევი დღეს საერთოდ აღარ შეიმჩნევა, რასაც ვერ ვიტყვით მემკვიდრეობით სახელებზე/გვარებზე. ქობაის ხევში, მართალია, ტერმინი „გვარი“ არსად არაა შემორჩენილი, მაგრამ ნათესაური წრის აღმნიშვნელი სახელები თითქმის ხელუხლებლადაა ჩვენამდე მოღწეული. ვერ ვიტყვით, რომ პარხლისწყლის ხეობაში გვარები თავისი კლასიკური, თავდაპირველი ფორმითაა შემორჩენილი, განსაკუთრებით მხედველობაში მაქვს ქართული გვარების მაწარმოებელი სუფიქსები, მაგრამ ქართული გვარები აქ შემორჩენილია და მათზე თვალყურის გადევნება და საქართველოს სხვა მხარეებთან ანალოგიების გავლება გარკვეული დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა.

ქობაიში იტყვიან: „ქაჩუებში მივალთ“, „ტურსანებში მივალთ“. აქვე არიან კიდევ *ველვიანნი*, *ბექერიანნი*, *ყემბერიანი*, *ყემბერიანი* და *ქაჩუები* საერთო წარმომავლობისანი არიან. ქობაიში ყოფილან *კაკაბები* (ახლა აქ აღარ ცხოვრობენ), *სულოდლები*, *ლაღაბები* (მთხრობელის სიტყვით, „ლაღაბი მეტსახელია“ და გვარი აქედან მომდინარეობს). აქვე ფიქსირდება გვარები: *ფაფულიანი* (დღეს ბურსაში არიან მთლიანად გადასახლებულნი), *ტურცხიანი*, *ბოცები*, *ზეინოვნი* (ახლა ბურსაში არიან).

გალმა ქობაიში ფიქსირდებიან *ჩახირისები*, *მელეკოლლი*, *ჰაჯა-მელოლლი*, *დევრიშოლლი*, *კაკაბები*, *იუნუზოლლი*, *ჩიტოსანი*...

მოყვანილი მონაცემებით აშკარაა, რომ პარხლისწყლის ხეობის ეთნიკურ ქართველებში მემკვიდრეობითი სახელი ანუ გვარი შენარჩუნებულია. ის გარკვეული სანათესაო წრის აღმნიშვნელია. ერთი სანათესაო წრის წარმომადგენლები თავიანთ წარმომავლობას ერთი წინაპრისაგან ანგარიშობენ. საყურადრებოა, რომ ზოგიერთი აქაური გვარი თავისი ძირითა და სუფიქსით სუფთა ქართულია, რაც გვაფიქრებინებს იმას, რომ ისინი საკმაოდ დიდი ხნის, აქ თურქთა მოსვლამდეა წარმოქმნილი. ასეთ გვარებს შორის შეიძლება დავასახელოთ, მაგალითად, *ქაცუები*, *ტურსანები*, *კაკაბები*, *ღაღაბები*, *ტურცხიანი*, *ბოცები*, *ჩიტოსანი*... ცნობილია, რომ თანამედროვე ქართული გვარსახელების სუფიქსები მრავლობითობისა და მიკუთვნებულობის გამომხატველია. ამ შემთხვევაში ზუსტად ასეთი შინაარსი და დატვირთვა გააჩნია ტაოს აღნიშნულ ხეობაში მრავლობითობის გამომხატველ -ებ სუფიქსს. *კაკაბები* ნიშნავს ვინმე *კაკაბას* შთამომავლებს, მოდემას, შესაბამისად – *ჩიტოსანი* – *ჩიტოს* შთამომავლებს, მოდემას. ანალოგიურად -ებ სუფიქსი დასავლეთ საქართველოშიც გამოიყენება, ოღონდ აქ ის არა გვარსახელებს დაერთვის, არამედ გვარის დანაყოფებს – ბაბუიშვილობებს. იგივე შეიძლება ითქვას -სანი სუფიქსის შესახებ. დასავლეთ საქართველოში რამდენიმე გვარის ფუძეში გვაქვს ის დაცული (მაგალითად, ვარდო-სანი-ძის, ალა-სან-იას გვარებში).

მოყვანილი მასალებით ჩანს, რომ ტაოში გვარსახელების საწარმოებლად გამოიყენებოდა აგრეთვე -ან სუფიქსიც (მაგალითად, *ტურცხიანი*, *ყემბერიანი*). საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეს სუფიქსი თავის დროზე გვარებს მთელ საქართველოში აწარმოებდა, ბოლოს კი მხოლოდ ძირითადად სვანეთსა და ლეჩხუმს შემორჩა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში -ან სუფიქსით გვარის დანაყოფების სახელები იწარმოებოდა. ასე რომ, ტაოურ გვარების ფუძეებსა და სუფიქსებს თუ ჩავუკვირდებით, დავასკვნით, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს საერთო ქართულ მოვლენასთან.

ქობაში რამდენიმე გვარი თურქულძირიანი და თურქულსუფიქსიანია; ესენია: *მელეკოლლი*, *ჰაჯაბელოლლი*, *დევერიშოლლი*, *იუნუზოლლი*... დასკვნა შეიძლება ერთმნიშვნელოვანი გამოვიტანოთ, რომ ოსმალეთის იმპერიის დაქვემდებარებულ ქართველებში გვარსახელების წარმოქმნის პროცესი არ შეწყვეტილა, ის შემდეგაც

გრძელდებოდა, თუმცა სანათესაო წრის სახელს ისინი უკვე თურქული სუფიქსით იფორმებენ და ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც თურქებს მეძველდროებითი სახელი არ ჰქონდათ და ამიტომ არც -ოლლი სუფიქსს ჰქონდა თურქეთში აღნიშნული დატვირთვა. ეს გარემოება კი დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს, რომ ამ შემთხვევაში ისინი სწორედ ქართული ენის გავლენითაა შექმნილი და -ძე და -შვილი სუფიქსების კალკირებული ფორმებია. აღნიშნულის დამადასტურებელი კი, ვფიქრობთ, შემდეგი ეთნოგრაფიული მასალაა, რომელსაც ქვემოთ მოვიყვანთ.

ხევაში ჩაწერილი მასალა: „ნო წელია სტამბულს ვარ. აქ ხუთი თვით მოვდივარ. იქ **სანათისის ფაბრიკა** მაქვს. ჩვენი გურჯული გვარია *დოლონჯიშვილი*“. ამავე დროს ისიც ირკვევა, რომ *დოლონჯიშვილები* ცხოვრობენ უბანში/სოფელში, რომელსაც *დოლონჯოკარი* ჰქვია. ე. ი. ერთი სანათესაო წრე ერთ დასახლებულ პუნქტში ცხოვრობდა. ანალოგიურად ასეთივე დასახლების ფორმა იყო ქობაიშიც. საამისოდ ზემოთ მოყვანილი მასალის გახსენებაც საკმარისია: „ქაჩუბში მივალთ“, „ტურსანებში მივალთ“. *ქაჩუბი*, *ტურსანები* სოციალურ ერთეულსაც – სანათესაო წრესაც აღნიშნავს და იმ დასახლებასაც, რომელშიც ამ სანათესაო წრის წარმომადგენლები ცხოვრობენ.

ხევაში სუფიქსით -კარი კიდევ რამდენიმე მაჰალა (უბანია); ესენია: *ბასლეკარი*, *ვოდეკარი*, *კრაეკარი*, *ჭველიანთკარი/ჭვილენკარი*, *დოლენკარი*, *ვაჩეკარი*, *ჰმფიანთკარი*. აქ კიდევ ერთი უბნის სახელწოდებაა *ხოწიეთები* და მეორესი – *ფიშნარხევი*. ეს უკანასკნელი შესაძლოა ანთროპონიმთან დაკავშირებული არ იყოს, მაგრავ ტოპონიმი „ხოწიეთები“ რომ ანთროპონიმიული წარმოშობისაა, ეს საკამათო არაა. „კარით“ ნაწარმოები ტოპონიმები თანამდეროვე საქართველოში ბევრი გვაქვს და მათ ფუძეს, ჩვეულებრივ, ანთროპონიმი წარმოადგენს (მაგალითად, *ნავდარაანთკარი*, *ბერაკაანთკარი*, რომლებშიც, შესაბამისად *ნავდარაშვილები* და *ბერეკაშვილები* ცხოვრობდნენ). შეიძლება დავასკვნათ, რომ ტაოშიც გვარსახელები ძალიან ძველი მოვლენა იყო. ამის უტყუარი დადასტურებაა ზემოთ ჩამოთვლილი ტოპონიმები. თუმცა ერთი რამ უნდა აღვნიშნოთ, პარზლისწყლის ხეობაში -კარი სუფიქსით ადგილთა სახელები კი შემორჩა, მაგრამ, გარდა ერთისა (*დოლონჯოკარი* –

დოლენჯოშვილები) შესაბამისი მემკვიდრეობითი სახელების მატარებელნი აღარ ცხოვრობდნენ, ან თითოეულ უბანში/სოფელში მაცხოვრებლებმა ის დაკარგეს.

საინტერესოა - კარით დაბოლოვებულ უბნებში/სოფლებში რომელი მემკვიდრეობითი სახელის მატარებელნი მკვიდრობდნენ: ქონობანში – *ალთუნები*, ბასლეკარში – *ქვეკვეანი*, გოდ(ლ)ეკარში – *ქაუტები*, თათარაშვილი, კრაეკარში – *ჩაროხჩები* (ქალამნის მკეთებელს ნიშნავს), ჭველიანკარში (ჭვლიანკარში) – *პალიოღლები*, დოლენკარში – *ბორეჩები*, ვაჩეკარში – *პითოღლები*, ჰამფიანკარში (ხანფენკარში) – *ალთუნები*, ფიშნარხევში – *კულოღლები*... აშკარაა, რომ ჩამოთვლილი მემკვიდრეობითი სახელები ხევას თემის დასახელებულ სოფლებში ოსმალთა მფლობელობის დროსაა შექმნილი. აშკარაა, რომ ტაოელი ქართველი მემკვიდრეობითი სახელის ტრადიციას ვერ ელეოდა და, სხვადასხვა გარემოების გამო, ის კვლავ ქმნიდა ერთი კაცის, წინაპრის მემკვიდრეთა აღმშენებელ სახელს, ოღონდ უკვე სხვა ენის საფუძველზე (ბუნებრივია, ქრისტიანობის დაკარგვისა და ისლამის მიღების შემდეგ). თუმცა ამ წრეში ნამდვილად *ქვეკვეანი*, *ქაუტები*, *თათარაშვილები* ვერ მოექცევიან.

ახლა ბალხის თემის გვარები უნდა ჩამოვთვალოთ: *ომერიანნი*, *შირიანები*, *ფესტილები*, *ყორლები*, *ყოლატიანნი*, *ჰუსეინიანი*, *ევენდიანი*... ბალხიბარი ცხრა უბნის/სოფლის ერთობლიობას წარმოადგენს; ესენია 1. *გაღმა ფევზიანი* (ცხოვრობენ *ქემალიანი* და *თოზიანი*), 2. *აბაზიანები* (ცხოვრობენ *ჰელიმიანები* და *დაირიანი*), 3. *ყარამანლები* (ცხოვრობენ *ხოჯიანი* და *თოფლიანი*), 4. *ხუცეკარი* (ცხოვრობენ *ფოხლები*, *პაჩელიანი* და *ზულაღლიანი*), 5. *ონახეთკარი* (ცხოვრობენ *რემეზანი*, *ჰაჯიანი*, *ქერემიანი*), 6. *ლიტრევი* (ცხოვრობენ *ლიტრიანი* და *უზუნიანი*), 7. *წითელკარი* (ცხოვრობენ *ჭარაბიანი*, *დეღიანი* და *აუშიანი*), 8. *ბალხიბარი* (ცხოვრობენ *ქოლათიანი*), 9. *სავრიათი* (ცხოვრობენ *ტაოღიანი* და *თაჰირი*). როგორც ჩანს, მხოლოდ ერთ „მაჰალისა“ და გვარის სახელი ემთხვევა ერთმანეთს – ლიტრევში *ლიტრიანები* ცხოვრობდნენ. კიდევ ერთი ფაქტი: სავრიათის მკვიდრნი იყვნენ „ტაოღიანი“. ამ გვარსახელში უდავოდ ჩანს საქართველოს სამხრეთის ყველაზე დიდი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის – „ტაოს“ სახელწოდე-

ბა. იმ დროს, როდესაც ხალხში ამ მხარის სახელი, ფაქტობრივად, აღარ შემორჩა, გვარში ის შემოინახა.

1595 წელს შედგენილ „გურჯისტანის ვილაეთის დიდ დავთარში“ ტაოს ოლთისის მხარეა შეტანილი. აქ მცხოვრები ქართველები ქართულ-ქრისტიანულ პიროვნულ სახელებს ატარებდნენ: *აბესალომ, ავალი, ალექსა, ანდრია, აღდგომელი, ბაღუკა, ბერი/ბერიკა, ბერძენა, ბესელ, ბექა, გაბა, გიგოლ, გიორგი, გოგელა, გოგინა, გოძია, გულაბი, გულაბერი, დავით, დემეტრე, ელია, ელიოზ, ელისა, ვარსიმ, ვახტანგ, ვიგრია, ზაზა, ზანდარ, ზართელ, ზაქარია, თაბუკა, თევდორე, იასონ, ივანე, ილარიონ, იორამ, კალანდარ, კვირიკა, კობია, ლიპარტი, მაისურა, მაზარა, მაზარებელ, მოკელ, ნოდარ, ნოშრევან, ოქროპირ, პავლე, საბა, სარალი, სიმონ, ფარცვან, ცირაკ, წამალა, ხარება, ჭავჭავი, ჯოჯიკ...*

ერუშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე

სამცხის სამხრეთით, ჯავახეთის დასავლეთით და არტაანის ჩრდილოეთით *ერუშეთი* მდებარეობდა. **იგი მოიცავდა ტერიტორიას არსიანის ქელსა და ნიალის ველს შორის.** ერუშეთი, არტაანთან ერთად, წუნდის საერისთავოში შედიოდა. საქართველოში ერთ-ერთი პირველი ქრისტიანული ტაძარი ერუშეთში ააგეს (IV საუკუნე). ერუშეთში იჯდა ერუშნელი ეპისკოპოსი. XVI საუკუნის ბოლოს ერუშეთი, საქართველოს სხვა სამხრეთ პროვინციებთან ერთად, ოსმალთა მფლობელობაში გადავიდა. 1878 წელს ერუშეთი რუსეთის იმპერიამ შეიერთა, მაგრამ მას შემდგომ ისევ თურქეთი დაეუფლა. ვახუშტის დახასიათებით „არს ეს ერუშეთი უკენახო, უხილო, ვითარცა ჯავახეთი, ეგრეთვე მოსავლითაცა, პირუტყვით, ნადირითა და მდინარე-თევზითა, არამედ მთანი არიან ტყიანნი გარემოს მისსა და ყუავილოვან-ბალახოვან-წყაროიანი“.

გვიან პერიოდში ერუშეთში ქართული მოსახლეობა ფაქტობრივად არ შემორჩა. XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის რუსულ დოკუმენტებში ერუშეთის მოსახლეობა თურქებადაა აღრიცხული, თუმცა მათი ძირითადი ნაწილი მაჰმადიანი ქართველი იყო, რომლებმაც თავის დროზე დეეთნიზაცია განიცადეს. ერუშეთის ყველა სოფლის სახელი ქართული იყო, შეიძლება დავასახელოთ: *გიორგის-უბანი, ლამიანი, ფალა, ფელტობანი, სათლელო, ხერთვისი, შუაწყალი/შუარწყალი, შულალაური, ერემა, ბანარხევი, ვარძნა, ღვინა, ზედაწმინდა, კაპანი, კილის-ციხე, მარცვალათი, მერე, მონასტერი, საკაბოლო, სამხლია, ტამალა, წინსათიბი, ჭაბორი, ჩორჩოვანი, ალი, არილა, ენიხევი, ზეინდარა, საკირე, სატყეაქელი, სტეფან-წმინდა, ჭანჭანი, ჭიღვანა, ჩიღდირეთი, ავარა, ვარხანა, ყველი, ობოლა, საიხე, ხეოთი, დიდვირი, წურწყაბი, წითელსათიბი...*

1886 წლის მონაცემებით ერუშეთში 1313 კომლი (10 ათასზე მეტი სული) მოსახლეობდა. არაერთი ნაეკლესიარი დაუდასტურებია ერუშეთში *დიმიტრი ბაქრაძეს*: „ფოცხოვში საკმაოდ ბევრი ეკლესიაა, რომელთა უმრავლესობა დანგრეულია. აი ის ადგილები, სადაც ეკლესიებია: ხეოთი, მერე, ოხთელი, არილა, საღირი, ხეოსმანი, ინჯიგოლა, დიდჭარალი, ცეკა, ვარხანი, მარცვალეთუბანი, გინია, პეთობანი, სათლელო და დიდჯვარი... ყველაზე დიდი ეკლე-

სიებია წურწყაბსა და აღში. ეს უკანასკნელი გუმბათიანია, სრულად მთელი“¹⁰².

1595 წელს ოსმალთა მიერ ერუშეთში მცხოვრებ ქართველებს გადასახადი შეწერილი ჰქონდათ *ხორბალზე, ქერზე, ჭვავზე, ფეტვზე, სელზე*. მისდევდნენ მელორეობას, მესაქონლეობას, მეცხვარეობას, მოჰყავდათ ხილი და ბოსტნეული და ყურძენი. ინტენსიურად იყო განვითარებული მეფუტკრეობაც. ზოგიერთ სოფელში უფრო მეტი რაოდენობით ხორბალი მოჰყავდათ, ზოგიერთში კი – ქერი, ზოგან კი თანაბარი რაოდენობით.

„გურჯისტანის ვილაიეთის დავთრის“ მიხედვით, ერუშეთი მთლიანად ქართველებით იყო დასახლებული, რასაც აქ აღრიცხული ანთროპონიმები ადასტურებს. ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ სახელებთან ერთად გავრცელებული იყო ძველი ქართული სახელებიც: *ვოვიჩა, იმედა, მახარა, წამალა, მხარებელი, ახალკაცი, ცხადია, ხარება, ვარძელ, ბადრი, ლაშქარა, ბერუნა, ღვინია, კვირიკა, კაპანა, ფოფხა, შოთა, ვოგორა, ლომინა, კაკალა, სიხარულა, ნიორა, ხახუტა, ოქროპირ, ლასურა, ია, ზედგინა, ვეფხა...*¹⁰³

XIX საუკუნის 90-იან წლებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მოწყობილ ექსპედიციებში ზ. ჭიჭინაძეს ერუშეთის შესახებაც მოუპოვებია ეთნოგრაფიული მასალები. შავშეთელ ბერიკაცებს მისთვის უთქვამთ: „ჩვენს ბერ კაცებს მოვესწარ და ისინი ამბობდნენ, რომ თორთომ ხეობის გამაჰმადიანების შემდეგ ტაო გამაჰმადიანდა და ამის შემდეგ ზარუშეთიო; ზარუშეთის შემდეგ შავშეთი და შავშეთს შემდეგ იმერხევი“¹⁰⁴. ზ. ჭიჭინაძის კითხვაზე: „ზარუშეთს, – თქვენ რომელ მხარეს უწოდებთ? – ჩვენს ქითაბში (წიგნი) ზარუშეთი არსად მოიხსენიება, ჩვენში ერუშეთს იტყვიან. საით სძევს ზარუშეთი?“ შავშელებს უპასუხიათ: „შავშეთის გადაღმა, აღმოსავლეთით, არდაჰანის მხარეს, სადაც თვით არდაჰანი სძევს; აგერ, შეხედე არსიანს, შავშეთის და არდაჰანის ტიტვლიკანა მთებს, აი იმ მთებს იქითა მდებარე ადგილებს ზარუშეთი ჰქვიან“¹⁰⁵.

¹⁰²დ. ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, გვ. 65.

¹⁰³გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი II, თბ., 1941, გვ. 294-330.

¹⁰⁴ზ. ჭიჭინაძე. ქართველთა გამუსლიმება, თბ., 2004, გვ. 28.

¹⁰⁵ზ. ჭიჭინაძე. ქართველთა გამუსლიმება, თბ., 2004, გვ. 29.

არტაანისა და პალაკაციოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები

კოლას ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის ჩრდილოეთით, მტკვრის ზემო დინების ორივე მხარეს, არტაანი მდებარეობს. „ხოლო არს არტანი ვაკე და უტყეო, ბალახყუავილიანი, მოსავლით, ვითარცა ჯავახეთი, და მთანიცა უტყეონი, მცირე არყნალთაგან კიდე“¹⁰⁶. არტაანი ერუშეთის სამხრეთით მდებარე მხარე იყო მტკვრის ხეობაში. დასავლეთით კი არტაანს შავშეთი და ტაო ესაზღვრება. არტაანი წუნდის საერისთავოში შედიოდა ჯავახეთთან და კოლასთან ერთად.

ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგ (XV საუკუნის მეორე ნახევარი) არტაანი სამცხე-საათაბაგოს სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა. არტაანის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეული თურქებმა, ამ მხარის დაპყრობის შემდეგ, ორად გაყვეს: „დიდი არტაანი“ გურჯისტანის ვილაიეთში შედიოდა, „პატარა არტაანი“ – ყარსის ვილაიეთში. ისტორიულად არტაანელებს მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები ჰქონიათ შავშელებთან. შავშელები გარე სამუშაოზე (ძირითადად სათიბად) არტაანსა და კოლაში დადიოდნენ; თან გასაყიდად ხილიც მიჰქონდათ. თავის მხრივ არტაანის მოსახლეობა, იმის გამო, რომ არტაანი უტყეო იყო, ხე-ტყეს შავშეთიდან ეზიდებოდა. აქედანვე შეჰქონდათ კვერები.

არტაანი ლანდშაფტური და ბუნებრივ-გეოგრაფიული თვალსაზრისით ძალიან მსგავსია ჯავახეთისა. აქ ისეთივე სასოფლო-სამეურნეო კულტურები იყო განვითარებული, როგორც ჯავახეთში. მოყავდათ ხორბალი, ქერი (ეს ორი მარცვლეული თანაბარი რაოდენობით ითესებოდა), ჭვავი, ბოსტნეული კულტურები, მოშენებული ჰყავდათ საქონელი, ცხვარი, ღორი, მისდევდნენ მეფუტკრეობას¹⁰⁷. „არტაანის კაზაში მოსახლეობის მეთაუდი თუ ლაპარაკობს ქართულად. მოსახლეობას მოჰყავს კანაფი, ხორბალი და ქერი,

¹⁰⁶ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა. თბ., 1973, გვ. 674.

¹⁰⁷1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, გვ. 316-320.

ჰყავთ დიდძალი შინაური ფრინველი და ძროხა. აქედან ძალზე ძნელი გზით ოლთისში, არსიანის მთაზე გადავლით ახალციხესა და სხვა მეზობელ ადგილებში გასაყიდად გააქვთ პური, ქერი, ერბო, მიერეკებიან ცხვარს, ძროხასა და კამენს¹⁰⁸. „გურჯისტანის ვილაიეთის დავთრის“ მიხედვით სოფელ *წისქვილის-ხევში*, რომელშიც 36 კომლი ცხოვრობდა, ექვსი წისქვილი მუშაობდა. არტაანის ზოგიერთ სოფელში (მაგალითად, ქარქლუჯში) მოჰყავდათ ბამბა.

1595 წლის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ დიდი არტაანის ლივაში დადასტურებულია ქართული სოფლები: *წმინდაელია, წისქვილის-ხევი, ორი-ეკლესია, მალარკარა, ზემო-ტებათი, ფაზრელი, ზანაზგომი, ფიჩხაზგომი, ადაგული, გურა, პატარა ტყვისთავი, განარდიდი, დადაგული, შუა-ეკლესია, ხევა, დიდი-ტყვისთავი, ტყემლობი, ახალშენი, მინდაშენი, ზემო საბულარი, ზემო ჭინჭრობი, გოგაშენი, ნადარბაზი, სეფისხევი, დუღუნა, გულაბერეთი, ველი, დიდი-ვარდოსანი, გუგუბა, ური, ფიკლობი, ორუმეთი, დიდი ქვემო-ფუნჩლულითი, ხოშურეთი, ქვემო-ჯვარისხევი, სამთხე, სასხარა, კარგსოფელი, ოქროქოთანნი, ოკამი* (ამ სახელწოდებით სოფელი არსებობს შიდა ქართლსა და ჯავახეთშიც), *შავციხე, ტყემლობი...*

ფრიად საყურადღებოა 1595 წლის „გურჯისტანის ვილაიეთის დავთარში“ სოფელ *ყურათ-მელიქის* (სოფლის მკვიდრები ატარებდნენ შემდეგ სახელებს: *სამსონ, მახარებელ, გაგუნა, გული-სადებ, იოსებ, მამისა, ელიაზარ, გოვიჩა, ზაქარა, ლაშქარა, გრიგოლ, გიორგი, მამუკა, დავით, თევდორე...*) შესახებ მინაწერი: „ვინაიდან ზემოხსენებული სოფელი არზრუმის, არტაანისა და ახალციხის გზებზე მდებარეობს მას გამგლელ-გამომგლელთა განუწყვეტელი მგზავრობისა და დაბანაკებისაგან მოსვენება არა აქვს, მისმა მცხოვრებლებმა ამის გამო დაფანტვა იწყეს და სოფელი ლამის გააპარტახეს. რადგანაც ამჟამად ზემოხსენებულ სოფელსა და არტაანის ციხეს შუა მდებარე ხიდების შეკეთება ამ სოფელმა თავის-თავზე მიიღო და, რადგანაც ამ სამსახურის სანაცვლოდ მათი საგანგებო გამოსაღებისაგან განთავისუფლება აუცილებელი, მნიშ-

¹⁰⁸დ. ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, გვ. 41.

ენელოვანი და ფადიშაჰის ქვეყნისათვის სასარგებლოა, ამიტომ ახალ სამეფო დავთარში ხსენებული სოფლის მცხოვრებნი ჩაწერილ იქნენ განთავისუფლებულად, იმ პირობით, რომ ისინი დაბრუნდნენ და თავთავიანთ ადგილზე დასახლდნენ, რომ ეს სოფელი გამგელელ-გამომგელელისათვის დასაბანაკებელი ადგილი იყოს და რომ სოფელ კომკის-წყაროდან ვიდრე ქვემო-ჭინჭრობამდე წოდებულ სოფლამდე ხიდეები შეაკეთონ“¹⁰⁹.

არტაანის სოფელ *ურში*, *სოლომონ ასლანიშვილ-ბავრელის* მოწმობით, 1878 წლისათვის 1829 წელს ახალციხიდან გადმოსახლებული მაჰმადიანი ქართველები ცხოვრობდნენ. ასეთი სოფლები კი არა ერთი და ორი იყო. იქვე ახლოს ვერანა სოფელ *ხარისმანში* მას დარბაზული ნაგებობა უნახავს. იქვე სოფელ *ველშიც* უნახავს სამცხიდან მოსული მაჰმადიანი ქართველები, რომელთაგანაც მხოლოდ სამი მოხუციღა ლაპარაკობდა ქართულად. საინტერესოა ის ფაქტი, რომ 1828-1829 წლების ომის დროს რუსების სამცხე-ჯავახეთში შესვლისას მაჰმადიანი ქართველები სამცხე-ჯავახეთიდან არტაანის მხარეში სახლდებიან და არტაანისაკენ სოფელ ველიდან თურქულენოვანი კათოლიკე ქართველები ჯავახეთში გადმოდიან საცხოვრებლად. ასე რომ, მოსახლეობის ერთგვარ გაცვლას ჰქონდა ადგილი. *სოლომონ ასლანიშვილ-ბავრელს სოფელ ველშიც* უნახავს ოთხი ძველებური დარბაზი („ფიცრების სიძველე ამტკიცებს, რომ დიდი ხნისა უნდა იყვნენ ისინი“).

არტაანში მესაქონლეობას ისეთივე მასშტაბები ჰქონდა, როგორც ჯავახეთში. მაგალითად, 1574 წლის ოსმალური დოკუმენტის თანახმად, დიდი არტაანის ლივის ქიამხის ნაჰიეს თორმეტი სოფლის მიწა საძოვრებად იყო გაცემული¹¹⁰. დიდი იყო გადასახადი ღირებულება. ეს ფაქტი კი ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ მუსლიმური ოსმალეთი ეკონომიკური ბერკეტებით აიძულებდა ადგილობრივ ქართულ მოსახლეობას, რომ უარი ეთქვათ მათთვის მიუღებელ მეღორეობაზე. არტაანში მოხსენიებულია ე. წ. *ბეზირხანები/ზეთსახდელები*, რაც მიუთითებს იმის შესახებ, რომ აქ დიდი

¹⁰⁹ გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი II, თბ., 1941, გვ. 442-443.

¹¹⁰ 1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, გვ. 7.

რაოდენობით ხდიდნენ ზეთს. ჯავახეთის ანალოგიურად ზეთს აქაც სელისაგან ხდიდნენ.

არტაანის შესახებ *ე. ვეიდენბაუმი* წერდა: „XVI საუკუნეში არდაჰანი ოსმალებმა დაიპყრეს, რის შემდეგაც ქრისტიანობა და ქართული ენა აქ უკვალოდ გაქრა; დარჩა მხოლოდ უამრავი ეკლესიის ნანგრევი ქალაქის შემოგარენში“¹¹¹.

ქართულ წყაროებსა და საისტორიო საბუთებზე დაკვირვება იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს, რომ არტაანს ორგვარი გაგება ჰქონდა. ფართო გაგებით მასში გულისხმობდნენ აგრეთვე ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეს, რომელიც ჩრდილის (თურქულად: „ჩილდირი“) ტბის ირგვლივაა და რომელსაც **პალაკაციო** ეწოდებოდა. ეს მხარე ჯავახეთს სამხრეთიდან ესაზღვრებოდა; ის კარწახის ტბისა და ნიალის ყურის მთის სამხრეთით იწყებოდა. *ვახუშტი ბაგრატიონი* პალაკაციოს არ ახსენებს, მაგრამ აშკარად არტაანის აღმოსავლეთ საზღვრად ფოსოს მთას ასახელებს („ხოლო მზღვრის არტანს: აღმოსავლით მთა, ამას და ფოსოს შორისი“). ფოსოს მთის აღმოსავლეთით კი ჩრდილის ტბაა, რომლის ირგვლივ და მის ჩრდილოეთით ვიდრე ჯავახეთამდე **პალაკაციო** მდებარეობდა, რომელიც ასევე ქართული ქვეყანა იყო. არტაანსა და პალაკაციოს ერთმანეთისაგან მიჯნავს XVI საუკუნის დასაწყისის სამცხე-საათაბაგოს საეკლესიო დოკუმენტი, რომელშიც ზემო ქართლის საეპისკოპოსოების საზღვრებია მოცემული. პალაკაციო არტაანის პატარა ნაწილთან ანუ არტაანის მტკვრის მარჯვენა მხარესთან ერთად, წყაროსთაულის საეპისკოპოსოში შედიოდა, არტაანის დიდი ნაწილი – ერუშნელისაში: **„წყაროსთუელის სამწყსო: ზავეთი და იმის ზეთ პალაკაციო კოლას სამზღურამდინ, მტკვარს აქეთ არტაანი. ერუშნელის სამწყსო: ტლაოშს ზეთით, სულ არტაანი კოლის სამზღურამდინ“**¹¹².

ცალკე მოიხსენიებს პალაკაციოს ქვეყანას „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანის“ ავტორი: „ამისაგან უწინ მოვიდეს ლაშქარნი არანისა და გელაქუნისა თურქთანი ქვეყანასა პალაკაციოს და ძაღლის-ხევად წოდებულსა“; „...ქვეყანა არტაანისა, ძაღლის-

¹¹¹ე. ვეიდენბაუმი. ბათუმიდან ართვინამდე, თბ., 2005, გვ. 85.

¹¹²ქართული სამართლის ძეგლები, ტომი III, თბ., 1970, გვ. 245.

ხევისა და პალაკაციო წაელო თურქთა“¹¹³. პალაკაციო, ფოსოსთან ერთად, „ახალი ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტშიცაა მოხსენიებული.

ზაქარია ჭიჭინაძის მიერ XIX საუკუნის 90-იან წლებში ზემო საქართველოში (სამხრეთ საქართველოში) მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ჯავახეთის სამხრეთითა და ჩრდილის ტბის მიმდებარე ტერიტორიას *ზეგანს* და აქ მცხოვრებ ქართველებს *ზეგნელებს* უწოდებდა. ქედის ხოჯას *ახმედ ხალიფაშვილს* მისთვის უამბოია: „ზეგანი ნებით არის გამაჰმადიანებული, აქ ოსმალებს სისხლი არ დაუღვრიათ. – ამიტომ ზეგანი ნებით გაქრისტიანდებო. ამის ნიშანი ჩვენ უკვე ვნახეთ, *შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი*, ზეგნელი, თავის ნებით გაქრისტიანდა. ძველად *ხოჯა ხერხეულიძე* ასე იტყოდა: რომ ნებით არც ერთი მხარეა გამაჰმადიანებული, სადაც კი გამაჰმადიანებულან, ყველგან ძალით მომხდარა. ზეგნელებს აჭარლებზედ არა ნაკლები უტანჯიათ, ნახევარი ზეგანი ფოცხოვისა და ქვაბლიანისაკენ გაწყდა ბრძოლაში, რადგან არ თათრდებოდნენო, **დანდალომ ზეგანს მიბაძა და მიტომ გაწყდნენ ესენიც ბრძოლაში**“¹¹⁴.

ზაქარია ჭიჭინაძე ზეგანშიც ყოფილა და ზეგნელი მოხუცისაგან, რომელთა წინაპარი აქ ახალციხის მხრიდან ყოფილა რუსების შესვლისას გადმოსახლებული, ასეთი რამ ჩაუწერია: „ჩვენ ახალციხელები გახლავართ. ახალციხე და ახალქალაქი რომ რუსმა აიღო, მის შემდეგ იქ არ დავდექით და მთლიანად ახმედ ფაშას გამოვეყვით, იმან აქ ზეგანში მოგვიყვანა და სხვა და სხვა სოფლებში დაგვასახლა, მაშინ, ჩვენს აქ მოსვლამდის, ზეგნელებს შეშინებოდათ, ვაი თუ რუსები მოვიდნენო და ამიტომაც ისინი ოსმალლოში გაქცეულიყვნენ. ჩვენ რომ მოვედით აქ, ზეგანში 40 სოფლამდის იყო აყრილი და წასული“¹¹⁵.

„საოცარია, რომ ახალციხის გასწვრივ ქვაბლიანსა და ფოცხოვს ქართველ მაჰმადიანებში ქართული ენა აღარავინ იცის და იმათ იქით კი ზეგანს, სადაც 120 სოფელია, აჭარას და სხვაგან

¹¹³ქართლის ცხოვრება, ტომი II, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1959, გვ. 38, 78.

¹¹⁴ზ. ჭიჭინაძე. ქართველთა გამუსლიმება, თბ., 2004, გვ. 21.

¹¹⁵ზ. ჭიჭინაძე. ქართველთა გამუსლიმება, თბ., 2004, გვ. 104.

კი მთლათ ქართულად ლაპარაკობენ ქართველი მაჰმადიანები“¹¹⁶. შავშეთელ ღრმად მოხუცს ზაქარია ჭიჭინაძისათვის ჩაუწერინებია: „ყველაზე უფრო კარგა ჩილდირში დარჩა ქართული ენა. მე კარგად მახსოვს, რომ იქიდან ჩვენსა ბერი კაცები რომ მოვიდოდნენ, მაშინ ისინი მამაჩემს ქართულად ელაპარაკებოდნენ. მე კი თათრულს ვლაპარაკობდი, მათი ენის არაფერი მესმოდა“¹¹⁷.

ერთ ადგილას ზაქარია ჭიჭინაძე ჩამოთვლის სამხრეთ საქართველოს გამაჰმადიანებულ მხარეებს და მათთან ერთად ზეგანსა და ზეგნელებსაც მოიხსენიებს: აჭარა, ქობულეთი, **ზეგანი**, მაჭახელი, დევსქელი, ლივანა, მურღული, იმერხევი, შავშეთი, არტაანი, „ოლთელნი“, „არდანიუჯელნი“¹¹⁸. ამ ჩამონათვალშიც მნიშვნელოვანია ის, რომ ზეგანი არტაანში არ იგულისხმება. ზეგანი არცერთ რუსულ წყაროში არ იხსენიება. ამ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში სოფელი ზეგანიც ყოფილა, რომელსაც მეორე სახელი „ზაქი“-ც რქმევია. თუმცა, უფრო მართალი ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ „ზაქი“ იყო თავდაპირველი სახელწოდება და „ზეგანი“ შემდგომ შერქმეული, რადგან „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ *ჩილდირის ლივის ძეგლციხის რაიონში* შეტანილია სოფელი „ზაქი“¹¹⁹, რომელშიც თორმეტი კომლი ქართველი ცხოვრობდა. *ზაქის* მეორე სახელწოდება რომ *ზეგანი* იყო, ეს დასტურდება *ექვთიმე თაყაიშვილის* 1902 წლის მოგზაურობის ანგარიშიდან. მას დაწვრილებით აქვს აღწერილი ზეგანის/ზაქის დიდი გუმბათოვანი ეკლესია, რომელზედაც ქართული ნუსხახუცურით შესრულებული წარწერებიც დაუდასტურებია (ქვეთავი ასე აქვს დასათაურებული: «Зегани или Заки». ტექსტში – «Зеганская церковь или Заки»). ამკარაა, რომ სოფელ *ზაქში* მდებარე ეკლესიას ადგილობრივები ზეგანის ეკლესიადაც მიიჩნევდნენ და *ექვთიმე თაყაიშვილმა* ამიტომაც მოიხსენია ის ორი სახელით. მის დროს *ზეგნის/ზაქის* ეკლესიის მახლობლად მოსახლეობა არ ყოფილა (მისგან 5 ვერსით ყოფილა დაშორებული სოფელი ზარაბი-

¹¹⁶ფ. ჭიჭინაძე. ქართველთა გამუსლიმება, თბ., 2004, გვ. 106.

¹¹⁷ფ. ჭიჭინაძე. ქართველთა გამუსლიმება, თბ., 2004, გვ. 100.

¹¹⁸ფ. ჭიჭინაძე. ქართველთა გამუსლიმება, თბ., 2004, გვ. 106-107.

¹¹⁹გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი II, თბ., 1941, გვ. 291.

უკი). სხვათა შორის, ქართველ მეცნიერს აღნიშნული აქვს, რომ ზეგნის/ზაქის ეკლესია საუკეთესოა არა მხოლოდ ჩილდირის უჩასტოკში, არამედ მთელ არდაგანის/არტაანის ოკრუგშიო. *ექვთიმე თაყაიშვილს* ეკლესია X-XI საუკუნეებით აქვს დათარიღებული¹²⁰.

1595 წლის „გურჯისტანის ვილაიეთის დავთარში პალაკაციოს მხარეში აღრიცხულია მამაკაცის შემდეგი ქართული სახელები: აღდგომელ, ახალა, აბულა, ბერო/ბერა, ბეროზ, ბერუჩა, გვეენა, გიორგი, გოგინა, გოგოტა, გოდორა, გოჩა, გუბელა, გულაბა, ელია, ერდგულა, ვარსიმა, დავით, ვარძელ, ზესელა, ზურაბ, თორნიკ, თულა, იმედა, კაკალა, კობეშა, ლასურ, ლომისვულ, ლომშერ, მამისა, მახარებელ, მინდოდა, ნარინდავით, ორლობა, პატავულ, პოპია, საბა, სერაფიონ, სინარულა, სულა, ტარიელ, ფისხალა, ფოფხა, ფოცხვერა, ქიქია, ღვინია, შერვილ, ჩიტა, ცისკარა, ცხადა, ძულა, წამალა, ხატი, ხახუტა, ჯავახა... არტაანშიც იგივე სახელები იყო გავრცელებული. კიდევ შეიძლება დავასახელოთ: ანანა, ახალბედა, ბადრი, ბატატა, ბერეკა, გვარა, გოგა, გოგინა, გოგორ, გომპარ, დათუნა, ვარძელ, ზაქარა, იასონ, იმარინდო, იონა, კაკაბა, კუპატა, კუპრა, კუტალა, მამუჩა, მალაღდა, მაცაცა, მერება, მინდორა, მოლოდინა, ნათენა, ნანიკა, პაპუნა, როსთომ, ფარცვან, ქიტესა, ღონენა, შალიკა, შოთა, ძამანა, ჭანი, ხმალა, ჯალია, ჯანულა, ჯარჯი, ჯვარისა...

¹²⁰ Материалы по археологии Кавказа... Выпуск XII, М., 1909, с. 64-68.

კოლას ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე

„პატარა არტაანი“ ანუ იგივე *კოლა* მდინარე მტკვრის სათავეების ქვაბულში მდებარეობდა. როგორც *ე. თაყაიშვილი* აღნიშნავდა, „ტერიტორია ამისი (კოლასი – რ. თ.) უდრის 1.898 კვადრატულ კილომეტრს. ეს არის უზარმაზარი ჩაღრმავება ანუ ქვაბური, სახე აქვს ტოლფერდი სამკუთხედისა, რომლის განიერი ფუძე ჩრდილოეთისაკენ მდებარეობს, ხოლო მწვერვალი სამხრეთისაკენ. ზედაპირი მისი წარმოადგენს ვაკეს, რომელიც ამაღლებულია ზღვაზე 1898 ფუტით. შუაში პატარა მაღლობი ახლავს, რომელზედაც გაშენებულია სოფელი *ოკაძი*, ადმინისტრაციული ცენტრი გელის უჩასტოკისა. ... მთებიდან, რომლებითაც შემოზღუდულია კოლას ქვაბური, აუარებელი წყარო გამოდის, რომელნიც სხვადასხვა ადგილას ერთდებიან და ბოლოს შეადგენენ მდინარე მტკვარს... მომადლო ადგილებსა და მთის კალთებზე არის სახნავი მიწები, მაგრამ პური და ქერი ყოველთვის არ მწიფდება. მთელი დანარჩენი ნაწილი ვაკისი წარმოადგენს მორწყულ მინდვრებს, ამიტომ აქ საუკეთესო საძოვრები და სათიბებია და მცხოვრებნი უმეტეს შემთხვევაში მისდევენ საქონლის მოშენებას, თუმცა ხვნა-თესვასაც არ აკლებენ ხელს“¹²¹.

კოლას მკვიდრი მაჰმადიანი ქართველობა 1877-1878 რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ მამა-პაპათა მიწა-წყლიდან აყრილა და თურქეთის შიდა ვილაიეთებში გადასახლებულა. მათ ადგილზე კი ცარიზმს ბერძნები და სომხები დაუსახლბია. არდაგანის ოკრუგიდან სულ 1.407 კომლი და 22.843 სული გადასახლებულა, მაგრამ აქედან რამდენი იყო კოლადან და რამდენი არტაანიდან ჩვენთვის უცნობია. *ექვთიმე თაყაიშვილს* კოლაში ბევრი სოფელი და ნასოფლარი უნახავს, სადაც ეკლესიების, კოშკების და ციხეების ნაშთები ბევრი დაუფიქსირებია, მათ შორის, დადემის საეპისკოპოსოს კათედრისა, რომელიც გუმბათოვანი ტაძარი ყოფილა. ვახუშტის ცნობით, „მტკვრის კიდეზედ, დადემს არს ეკლესია, დიდშენიერ-გუმბათიან-შენი, ... იჯდა ეპისკოპოზი, სრულიად კოლისა, და

¹²¹ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და სოფელ ჩანგალში 1907 წელს. – „დაბრუნება“, თბ., 1991, გვ. 303.

აწ უქმი არს“. ტაძრის ირგვლივ ეზოში კი ბევრი საფლავის ქვა ყოფილა მიმოფანტული, რომლებიც ჯერ კიდევ 1843 წელს გერმანელ კარლ კოხსაც უნახავს. საფლავის ქვებს შორის კი ბევრი ყოფილა შეკაზმული ცხენისა და ცხვრის ქანდაკებები, რაც საერთოდ ტრადიციული იყო სამხრეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებისათვის.

მიიჩნევენ, რომ ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონის სახელწოდება – კოლა, მომდინარეობს კოლხას ტომის სახელისაგან (თუშცა, პირიქით კი უნდა ყოფილიყო – კოლასაგან უნდა მიგვედლო კოლხა). იბერიის (ქართლის) სამეფოს წარმოქმნისთანავე, კოლა მის შემადგენლობაში შედიოდა. კოლაში შეიქმნა ქართული აგიოგრაფიის ერთ-ერთი ძველი „კოლაელ ყრმათა წამება“, რომელშიც ქრისტიანობის გავრცელების გარიჟრაჟზე ქრისტიანებსა და წარმართებს შორის ბრძოლაა ასახული. ექვთიმე თაყაიშვილს კოლაელი ყრმების მონათვლის ადგილად მიაჩნდა დიდი წყაროს მიმდებარე ტერიტორია, „რომელიც ნაკადულივით გამოჰქუხს მთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილში ქვაბურისა და რომელსაც ეხლა მაჰმადიანები ეძახიან *კურიუხ-ბაჩაის*, ხოლო ქრისტიანები *აიაზმას* უწოდებენ, ესე იგი ნაკურთხს ანუ წმიდა წყალს. ეს სახელი ძველთაგანვე უნდა მომდინარეობდეს, ქართველებს ამ სახელით მოუნათლავთ თავისი საყვარელი მდინარე. ამ წყაროზე აშენებული ყოფილა ძველი ქვის ეკლესია ჩვეულებრივი რიგისა, რომლის ნანგრევები დღესაც ჩანს; ალბათ ეს ის ადგილია, სადაც ჯერ მონათლნენ წყალში ღამე, ფარულად თავიანთი წარმართი მშობლებისაგან და შემდეგ ამისათვის ეწამნენ მათგან ამავე ადგილას „ცხრა ყრმა, სულიერი ძმანი, კოლაელნი“¹²². კოლა დადაშენის საეპისკოპოსოში შედიოდა. ექვთიმე თაყაიშვილმა კოლაში მოგზაურობისას 1907 წელს არაერთი ეკლესიის ნანგრევი და ციხე დააფიქსირა. ერთ-ერთ ქვაზე კი სოფელ მუზარეთში ქართულ ასომთავრულ წარწერასაც მიაგნო – „წ-ო გ-ი“.

ვახუშტი კოლას შესახებ შემდეგს მოგვითხრობს: „და არს ადგილნი კოლისანი მოსავლით, პირუტყვით და ჰავით, ვა ჯავახე-

¹²²ე. თაყაიშვილი. სამუსლიმანო საქართველო. – „დაბრუნება“, თბ., 1991, გვ. 304.

თი, და კაცნიცა ჰგონე ეგრეთვე, არამედ აწ უმეტესნი მოჰმადიანნი“. XIX საუკუნის მეორე ნახევარში კოლას მოსახლეობა უკლებლივ გამუსლიმანებული იყო. „ქართულად ძნელად ვინმე ლაპარაკობს“ (დ. ბაქრაძე). რაც შეეხება არტაანის მხარეს, დ. ბაქრაძე წერდა: „არტაანის კაზაში მოსახლეობის მეთაედი თუ ლაპარაკობს ქართულად. მოსახლეობას მოჰყავს კანაფი, ხორბალი და ქერი; ჰყავთ დიდძალი შინაური ფრინველი და ძროხა. აქედან ძალზე ძნელი გზით ოლთისში, არსიანის მთაზე გადავლით ახალციხესა და სხვა მეზობელ ადგილებში გასაყიდად გააქვთ პური, ქერი, ერბო, მიერეკებიან ცხვარს და კამეჩს“. კოლა დღეს ძირითადად ქურთული ეთნიკური ელემენტითაა დასახლებული.

ქართველთა განსახლების არეალი შავი ზღვის სამხრეთში

თურქეთში ეთნიკური ქართველები შავი ზღვის სამხრეთითაც ცხოვრობენ. შავი ზღვის რეგიონებში, ისინი აქ რამდენიმე ვილათში კომპაქტურად მკვიდრობენ და წარმოადგენენ მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლებს, გადასახლებულებს სამხრეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებიდან (აჭარა, მაჭახელი, შავშეთ-იმერხევი, კლარჯეთი). ქართველ მაჰმადიანთა შავი ზღვისპირეთის სამხრეთში (აგრეთვე მარმარილოს ზღვის რეგიონში) გადასახლება მოხდა 1877-1878 რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, როდესაც ისტორიული სამხრეთ საქართველოს ეთნოგრაფიული მხარეები რუსეთის იმპერიამ შეიერთა. მართალია, ომის დამთავრების შემდეგ, მუჰაჯირობა ოფიციალურად სამი წლის განმავლობაში გრძელდებოდა, მაგრამ, როგორც ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, ქართველთა ინდივიდუალური გადინება შემდეგაც გრძელდებოდა. ხდებოდა მუჰაჯირთა უკან დაბრუნებაც. ისევე როგორც სხვა გეოგრაფიულ არეალებში, აქაც ეთნიკურ ქართველთა განსახლების არეალების დადგენას ხანგრძლივი დრო და სავსე კვლევა-ძიება სჭირდება. წინამდებარე მონაკვეთი ეყრდნობა 2014 წელს თურქეთის შავი ზღვისპირეთში მოპოვებულ სავსე ეთნოგრაფიულ მასალებს. საქსპედიციო საქმიანობამ დასახელებული საკითხის კვლევაში გარკვეული სიცხადე შეიტანა. ბუნებრივია, ექსპედიცია ქართველთა ყველა სოფელში ვერ მოახერხებდა მისვლას, მაგრამ, ადგილობრივთა მხარდაჭერით (*ტუფან შაფაკ ლომინაძე, ფეჰმი უზალ-უსტიაშვილი...*), მეტ-ნაკლებად ეს საკითხი გარკვეული იქნა.

ეთნიკური ქართველები შავი ზღვის სამხრეთით ცხოვრობენ *გირესუნის, ორდუს, სამსუნის, სინოპის, კასთამონუს* პროვინციებში¹²³. ამ პროვინციებში ადგილობრივი ქართველები 200 ქართულ სოფელს მიუთითებენ.

¹²³ქართველთა განსახლების არეალს შავი ზღვისპირა რეგიონში შეეხო *ინვა ლუტიძე* ახლახან დაბეჭდილ საინტერესო მონოგრაფიაში. მუჰაჯირ ქართველთა შესახებ მასალების შეკრება გვიხდებოდა მასთან ერთად. აქვე ქართველთა მატერიალურ კულტურასა და სამეურნეო ყოფაზე მნიშვნე-

შავი ზღვის სამხრეთით ეთნიკური ქართველები მკვიდრობენ *გირესუნის ვილაიეთის* რამდენიმე სოფელში. შეიძლება დავასახელოთ *ფირაზისის* ილჩეს სოფელი *თეფექიო*. სოფელში 200 სახლი დგას და ყველა მათგანი ქართველებს ეკუთვნით. ეთნოგრაფიული მონაცემებით, სოფლის მკვიდრნი აჭარიდან, ქედადან არიან გადმოსახლებული. მთხრობელის წინაპრები, რომლის გვარიცაა *მიდილი-ოღლუ (მიდელაშვილი)*, *ქედადას* ერთ-ერთი სოფლიდან 37 კომლის რაოდენობით აყრილან: „ოსმალები რომ გაყარეს, რუსებს გამოექცნენ. 5 ძმანი იყვნენ ჩემი დიდვანები; ორი აჭარაში დარჩენილა. სამი ძმიდან ერთი გირესუნისავე სოფელ *ტრაპოლს* დარჩენილა და ორი ამ სოფელში (*თეფექიოში*) დასახლებულა“. თავდაპირველად მუჰაჯირები ზღვისპირას დასახლებულან. მაგრამ მთიანი აჭარიდან წამოსულებს ადაპტაციისა და აკლიმატიზაციის პრობლემა („ზღვის პირზე ავად გახდნენ, ცხელოდა, ბუზი კბენდა“) შეექმნათ და მიგრანტები ზღვიდან არცთუ მოშორებით მთა-გორაკიან და ტყიან ადგილას დასახლებულან. თეფექიოდან ქართველები სოფელ *იუნუს ემრეში* წასულან. *ფირაზისის* რაიონში სხვა ქართული სოფელიცაა. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ სოფელში, მართალია 200 სახლია, მაგრამ მისი მკვიდრნი, ძირითადი ნაწილი, განსაკუთრებით ახალგაზრდები, ძირითადად ქალაქებში ცხოვრობენ. დასახლებული მთხრობელის თქმით (76 წლის), მისი ბაღიშები ქალაქ *ბულანჯაკში* ცხოვრობენ.

თეფექიოდან ორი სათის სავალზე სხვა ქართული სოფელიცაა. ამ სოფელში – *ყარაღაჯში* – *ჩურუქსუდან (ქობულეთიდან)* მოსულთა შთამომავლები ცხოვრობენ. მიგრანტ *მეგრელიძეებს* თავდაპირველად სოფლისათვის *ზეგნელი* დაურქმევიათ, შემდეგ კი „სახელი გადაბრუნებულა“. გირესუნის ვილაიეთში სულ 19 ქართული სოფელია, აქედან *გორელეს* და *ბულანჯაკის* ილჩეებში – შვიდ-შვიდი, *თირებოლუს* ილჩეში – ორი, *ესპერის* ილჩეში – სამი, ზოლო *ფირაზისის* ილჩეში, როგორც აღინიშნა, – ორი¹²⁴. სო-

ლოვანი მასალები მოიპოვა ეთნოლოგმა *ნოდარ შოშიტაშვილმა*. საინტერესო მასალები აქვთ მოპოვებული აგრეთვე ახალგაზრდა ეთნოლოგებს *მირიან ხოსიტაშვილსა* და *გიორგი ავთანდილაშვილს*.

¹²⁴ შდრ.: ი. ლუტიძე. ქართველები თურქეთში – ენობრივი ვითარება, გვ. 96.

ფელ დაბუდარესა და ყარაყადში ძირითადად მთიანი აჭარადან (ჭვანა, წყაროთა) გადმოსახლებულები ცხოვრობენ¹²⁵.

ეთნიკური ქართველები მნიშვნელოვანი რაოდენობით მკვიდრობენ *ორდუს პროვინციაში*; აქ საერთო ჯამში 33 ქართულ სოფელს ითვლიან: *გოლქოის ილჩეში – ოთხს, ფაცაში – თორმეტს და უნიეში – ჩვიდმეტს*. უნიის ქართველთა კულტურის ცენტრის ხელმძღვანელის მონაცემებით, უნიის რაიონში მოსახლეობის საერთო რაოდენობა 120 ათასია. 120 ათასიდან კი 35-40 ათასი ეთნიკური ქართველია. სხვათა შორის, უნიის ქართველთა საზოგადოების თავმჯდომარე უნიაში ამასიდანაა მოსული. მისი ინფორმაციით, ამასიაში **ზუთი ქართული სოფელია: აქააზი, ბელდალი, ჩივი, ჩათალჩამი, და იუვა**. სამხრეთ შავი ზღვისპირეთში კი ქართველი მუჰაჯირები ძირითადად აჭარის სოფლებიდან, *ქედისა და ხულოს* რაიონებიდან არიან მოსული; ეს სოფლებია: *ვაიო, ზენდილი, ზესოფელი, მზვარე, კახაბერი, მახუნცეთი, კახაბერი...*

უნიეს ილჩეს ქართული სოფლებია: *გუზელიალი, ჯევიზდერე, ბაშქოი, თეფექოი, იაილარი, ელმალიქი, ჰიზარბაში ქუძარლი, იუჯელერი, ალუდერე, ჩათალფინარი, ჰიზარბაში ქუძარლი, გუნდუქი, ინქურ ფატიჰ მაჰალე, თექქირაზი, ექინჯიქი, აიდინთეფე, ჩათალთეფე, სოილეშეზი* (სულ 20 სოფელი). „უნიეში ცალკე გამოყოფენ *ჩაიბაშის*, რომელიც 6 სოფელს მოიცავს: *ქოქლეუკი, აქაბა, სარიჯარიკი, თექე, ეირიბუჯაკი, ქუშედერე*“¹²⁶.

ისევე როგორც სხვაგან, უნიეს რაიონშიც ზამთარში სოფლებში მოსახლეობა ნახევრდება, ზაფხულში იზრდება. ეთნოგრაფიული მონაცემებით, უნიეში მოსულმა ქართველებმა (მამა-პაპამ) „დიდი ბრძოლა გაწია ამ მიწას, რომ მოჭიდებოდა“. ოსმალებს 10 კაცის მისაცემი მიწა, 50-70 კაცისათვის მიუციათ. დღეს უნიაში მხოლოდ თურქები და ქართველები ცხოვრობენ. ქართველთა მუჰაჯირობის დროს აქ თურქები საერთოდ არ ყოფილან – მხოლოდ „ერმენლებსა“ (ე. ი. სომხებს) და ბერძნებს უცხოვრიათ. ეთნოგრაფიული მასალით, „ჩვენ გავასუფთავეთ. ჩვენ სოფელში სომხებმა

¹²⁵ მუჰაჯირთა შთამომავლების უმეტესობამ იცის თავისი ქართული გვარი. აქაური ქართული გვარების შესახებ საუბარი ქვემოთ გვაქვს.

¹²⁶ ი. ლუტიძე. ქართველები თურქეთში – ენობრივი ვითარება, გვ. 103.

1900-1908 წლებში 15 კაცი მოგვიკლეს. როცა თურქებსა და ერმენლებს შორის დაიწყო დაპირისპირება, მაშინ გურჯებსა და ერმენლებს შორისაც დაიწყო. თავდაპირველად ერმენლებთან მშვიდობიანად ვცხოვრობდით. უნიაში გადმოსახლებული ამასიელი ქართველის ინფორმაციით, მათი დედები ამასიაში სომხების ადგილებში არიან დასახლებული. ისიც ირკვევა, რომ უნიეში ძირითადად აჭარლები არიან დადასახლებული, ფაცაში კი ქობულეთელები“.

უნიეს რაიონის სოფელ *ჩათალფინარში* მცხოვრები *ოსმან ოს-თურქის (ხოხოტაიშვილი, ხახუტაიშვილი?)* ინფორმაციით, სოფელში ძირითადად *ქობულეთის* მხარიდან გადმოსახლებული მუჰაჯირები ცხოვრობენ: „ქობულეთიდან გადმოსულა ჩემი დედე. მე მესამე ვარ“. ხოხოტაიშვილები კი ძირითადად არა ჩათალფინარში, არამედ მთაში, ზღვიდან 40 კილომეტრით დაშორებულ სოფელ *ექინჯიკში* ცხოვრობენ. ჩათალფინარელები ძირითადად ქობულეთის სოფლებიდან – *ციხისძირიდან* და *ხუცუბნიდან* – არიან მიგრირებულნი. აქვე *ქედადან* მიგრირებულთა შთამომავლებიც მრავლად მკვიდრობენ. შესაბამისად მუჰაჯირთა შთამომავლები უბან-უბან არიან განსახლებულნი.

„რუსი და ოსმანლი რომ ჩხუბობდნენ, იმ დროს წამოსულან“. ირკვევა, რომ ქართველ მუსლიმთა უნიეს მხარეში მიგრაცია მაინცდამაინც მხოლოდ 1878 წელს არ მომხდარა. 1878 წელს დაწყებული პროცესი აქ 1893 წლამდე გაგრძელებულა.

სოფელ *ექინჯიკში* თავდაპირველად 12 მოსახლე მოსულა. ისინი ერთმანეთის ნათესავეები – ბიძაშვილები, დეიდაშვილები – ყოფილან. საიდანაც წამოსულან, ის სოფელი მალლა (მთაში) ყოფილა და ახალ საცხოვრისშიც ისეთივე ადგილი მოუძებნიათ, ზღვიდან 35 კილომეტრის დაშორებით (უნიესთან ახლოს). *ექინჯიკში* 400 ქართველის სახლია („12-დან ამდენი გამრავლდნენ“). მარტო ხოხოტაიშვილი 100 კომლზე მეტია. ზამთარში სახლების დიდი ნაწილი დაკეტილია, მათი მფლობელები ძირითადად ქალაქ *უნიესა* და სხვა ქალაქებში მკვიდრობენ: „ზოგი სახლი დაკლექილია. თხილობაში მოდიან. თხილობის მეძრე მიდიან. ზამთარში 100 სახლში ცხოვრობენ. ბერები ვართ ნამეტანი. ჩვენს სოფელში მთლად ქართველია“. ირკვევა, რომ მუჰაჯირების ნაწილს, გარკვეული ხნის განმავლობაში, საქართველოსთან გარკვეული ურთიერთობა,

მისვლა-მოსვლა ჰქონდათ. მისვლა-მოსვლის დროს, მათ წინაპრებს ხილისა და ვაზის ნერგები წამოუღიათ უნიეს რაიონის სოფლებში. იმის გამო, რომ მიგრანტები ახალ გარემოში ისეთივე მთიან, დელიან და ტყიან ადგილებში დასახლდნენ, როგორც სამშობლოში, მათ დიდხანს შეინარჩუნეს ქართული სამეურნეო ყოფა, მატერიალური კულტურა (შრომის იარაღები, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, სამოსი).

ეთნოგრაფიული მასალების შეგროვება უნიას რაიონის სოფელ *იუჯელერშიც* (ძველი სახელი – *მიტარბოლი*) მოხერხდა. 87 წლის მთხრობელის *ოსმან დურანის* (ქართული გვარი *ნაგერვაძე*) მოწოდებული მონაცემებით, მისი წინაპრები ამ სოფელში ქედის რაიონის სოფელ *ჭარახმელიდან* მოსულან. სოფელში დღეს 400 კომლი ცხოვრობს. რამდენიმე თურქული ოჯახი მოგვიანებით მოსულა, მათ სახლები ქართველებისაგან შეუძენიათ. სოფელში რუსებს გამოქცეული 12 ოჯახი დასახლებულა. მთხრობელი გადმოგვცემს: „ბათუმიდან მოსულან, რუსმა გამოაქცია და აქ დამჯდარან. 12 ოჯახი მოსულა. მოსულა დედე; ისინი ოთხი ძმა ყოფილან. მამაჩემი აქ დეიბადა. პირველად *ორდუ* ქალაქში გაჩერებულან, შემდეგ – *ორდუს შიხლარსოფელში*. ბაბა შიხლარსოფელში დაიბადა. ის სოფელი მთაშია. ეხლაც არის ჩვენი ხალხი იქა. აქ ტყეებში დამჯდარან, ტყე გაუკაფიათ. ბებო რომ წამოსულა, სკივრითა და ერთი ძროხით წამოსულა. მაშინ ის 15 წლის ყოფილა“.

ეთნიკური ქართველები მკვიდრობენ უნიის რაიონის სოფელ *ქუსჩაში*. ქუსჩაში მხოვრები *აჰმედ ქუინჯუს* (ქართული გვარი *დევაძე*, 82 წლის) ცნობით, სოფელში ქართველების 78 სახლია. მათი წინაპრები აჭარის სოფელ *ვაიოდან* მოსულან: „მუსულმანობა რომ ადგა. იმიტომ მოვიდნენ“. არიან გვიან მოსულებიც. დანაშაულისათვის თავის არიდების მიზნით, აჭარიდან 1945 წელსაც კი გადმოსახლებულა: „მოკითხვა-მოკითხვით ჩამოვიდა. იქაური სახელი *დედულაი* ერქვა, აქ ჩვენ დავარქვით ჰასანა. ცოლი არ მოუყვანია აქ“. ქუსჩას მკვიდრნიც თავდაპირველად ზღვის პირზე, ქალაქ უნიეს მახლობლად დაუსახლებიათ: „პირდაპირ აქ არ მოსულან. კოლო იყო ბევრი უნიეს ქალაქის გვერდზე, ცხრო იყო მაშინ ავადმყოფობა. იმ ავადმყოფობას გამოექცნენ და აქ ამოვიდნენ. პირველად 16 მოსახლე მოსულა. დღეს ამ სოფელში 100-მდე ოჯახი

ცხოვრობს. ისევე როგორც სხვა სოფლებში, ქუსჩაშიც ზამთარში მხოლოდ მოსახლეობის ნაწილი რჩება: „ზამთარში 20-30 ოჯახი რჩება; ქალაქში მიდიან“.

მნიშვნელოვანი რაოდენობით არიან ეთნიკური ქართველები **ფაცას** რაიონში, სადაც 12 ქართულ სოფელს ითვლიან (სხვა მონაცემებით – 14); ეს სოფლებია: **ქაბაქდალი, დუაიერი, მეჰმედაქიფი, ქარათაში, ოლუქლუ, სალიპლი, ჰოილუ, თოქლუბაში, ჩეიერდადი, ქონაქბაში, დუგუნლოქი, ჰამლოქი, იუსუფლუ, ჯაბრანი**. აჭარადან და უმეტეს წილად ქობულეთიდან მუჰაჯირად მოსულებს აქ ძირითადად დაუსახლებელი ადგილები დახვედრიათ. აქა-იქ მხოლოდ *ერმენლებსა* (ე. ი. სომხებსა) და *რუმეებს* (ბერძენებს) უცხოვრიათ. აჭარლები უფრო მეტი რაოდენობით **ქორღანის რაიონში** მკვიდრობენ. სხვა მთხრობელის სიტყვით, ქორღანის რაიონში (ორდუს ვილაეთი) უფრო მეტი ჩაქველები არიან. „მთაშია ქორღანის რაიონი; იმის ჩათვლით ფაცელები და ქორღანელები ერთად 25 სოფელი ვართ“. მიგრირებული მუჰაჯირებისათვის სახელმწიფოს ერთ კაცზე 12 ჰექტარი მიწა მიუცია. მიგრირებულებს ძირითადად მთიანი და ტყიანი ადგილები დაუჭერიათ. **ქაბაქდალში** 250 გურჯის სახლია. ქართველების 12 სოფელი ორ დღეს შორისაა მოთავსებული. დასახლებულ სოფელთაგან ეს სოფელი ყველაზე დიდია, დანარჩენი სოფლები 50-70-100 კომლიანებია. სულ ფაცას აღნიშნულ ხეობაში ქართველთა 1.500 კომლი ცხოვრობს. თუმცა ისინი ამ რაოდენობით მხოლოდ ზაფხულში არიან: „ზამთარში სუყველა ქალაქში დარჩება. ბერები არიან მხოლოდ სოფლებში“. ერთ-ერთი მთხრობელის თქმით, მისი მამა გადმოსახლებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ ობლად დარჩენილა. *ჩურუქსუდან* ბიძა მოსულა 13 წლის ბიჭის/ძმიშვილის უკან წასაყვანად, მაგრამ ის არ გაყოლია. მისი წინაპრები ფაცამდე გემით მოსულან. თუმცა ხელისუფლებას ისინი ჯერ **ერზინჯანში** (ერზრუმთან ახლოს) დაუსახლებია. აქ ორი წელიწადი გაუძვლიათ. შემდეგ ზღვის პირი მოუთხოვიათ, აქ სიცივეაო (მთხრობელი *აჰმედ ჰასანის ძე გუენაკაია*. ქართული გვარი – *ბეჟანიძე*).

ეთნიკური ქართველები მკვიდრობენ სოფელ **ქაბაქდალში**. სოფელში თითქმის ყველას ახსოვს ქართული გვარი.

ქართველები მნიშვნელოვანი როლდენობით არიან **სამსუნის** ვილაეთის ქალაქ **ჩარშანბაში** და **სალიფაზარსა** და მისი რაიონის 9 სოფელში; ეს სოფლებია: **ქესტანფინარი, ქარადერე, მუსლუბი, ენიღუა, უშჩუაზი, ბიჩმე, აიაზმა, ყარაბაში, ფილენჯიკი**. ინგა ლუტიძის მასალებით სალიფაზარის რაიონში სხვა ქართული სოფლებიცაა: **ალან იენქინი, იენი დოლანი** და კიდევ რამდენიმე უბანი (**ქუშჩუაზი, სოიუქი, მერკეზი**). საერთო ჯამში აქ ეთნიკური ქართველების რაოდენობას 6.000-დან 7.000-მდე ითვლიან: „ამ სოფლებში მთლად ქართველები ცხოვრობენ. 3-4 ოჯახი იქნება თურქი; სუფთა ქართველები ვართ“. მოსულობას ამბობენ *ორთაბათუმიდან*, მაჭახლის სოფელ *ზედვაკიდან*. მუჰაჯირების ეს ნაკადი ისეთივე ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოს ეძებდა დასასახლებლად, როგორც დანარჩენები: „თავდაპირველად ზღვის პირზე დასახლებულან, მაგრამ კოლოს გამო, მთებში, ტყეში ასულან. ერთ ადგილზე 10-15 კომლზე მეტს არ ასახლებდნენ. ხუთი იქა, ექვსი – იქა, ათი – იქა. ბევრს ერთად ცხოვრების უფლებას არ აძლევდნენ“.

სალიფაზარის რაიონის სოფელ **აიაზმაში** მცხოვრები მთხრობლის *ომერ იღმაზის (ვაშლამიძე)* „ბაბაის დედე – რისმანაღა“ ორთაბათუმიდან მოსულა. „მუსლიმანობა უწუწვიან, ჩვენ მუსლიმები ვართ, აქ ვერ დავდგებითო. არ ალოცვინებდნენ რუსები. ორი ძმა იქ დარჩენილა, სამი – წამოსულა. მემრე გედავალ, გადმოვიყვანო (საქართველოში დარჩენილ ძმებზეა საუბარი), მემრე კი კარები დაუკლიტიათ და მემრე ვერ გადმოსულან. **ღირექ ჩარშანბაზე** მოსულან. იქაურობა არ მოსწონებიათ, [დასალევი] წყალი, ტყე არ ყოფილა. მუძლები ყოფილან. ჩვენ სოფელში წყალმა უნდა იდინოსო და აქ ამოსულან“. **აიაზმელი** მუჰაჯირები დროდადრო აჭარას სტუმრობდნენ, ნათესავ-მოკეთებთან ურთიერთობას აგრძელებდნენ. ამ მისვლა-მოსვლის დროს ხილის ნერგები მოუტანიათ: „ჩვენი დედე აქედან წასულა და ბათუმიდან ხუთი ძირი ნერგი მოუტანია; ნერგები ცხენზე დაუკრავს, ისე მოუტანია და გაუმენებია შავი ყურძენი, მსხალი, კაკალი, ვაშლი, ტყემალი, ლეღვი“. „როცა მოვიდნენ ათი აქა, ხუთი იქით სოფელში დამდგარა. დადინულან, მთის ალაგს ეძებდნენ, მთის ავას იყვნენ მიჩვეული. სერში ამოსულან. ქვემოთ იაზიებში ცხენს წყალი რომ არა დაუღევი, აქ როგორ უნდა ვიყოთო და ზემოთ ამოსულან. ჩვენებურები უკან არ

წასულან, ართვინიდან მოსულები კი უკან წასულან“. სოფელში დღეს 300 სახლი დგას. დღეისათვის სოფლის მკვიდრთა ძირითადი ნაწილი ზამთარში *სალიფაზარში* ჩადის, ადგილზე მხოლოდ ას სახლში რჩებიან, დანარჩენები, როგორც აღნიშნავენ, მიდი-მოდის. გარდა სალიბაზარისა, მიდი-მოდის აგრეთვე *სამსუნსა* და *შარჩანბაში*. მთხრობელის მამას 18 შვილი ყოლია, 8 ბიჭი და 10 – გოგო. მრავალშვილიანობა მუჰაჯირ მუსლიმ ქართველებში ჩვეულებრივი მოვლენა იყო. სწორედ ამის შედეგია ეთნიკურ ქართველთა დიდი რაოდენობა თანამედროვე თურქეთის სახელმწიფოში (დაახლოებით ორი მილიონი, ვისაც ეთნიკური ცნობიერება გააჩნია).

სამსუნის ვილაეთის *ჩარშანბას* რაიონის სოფელი *ჩათადში* ექსპედიციას მასპინძლობას უწევდა ქალაქ სამსუნის მერის მოადგილის, ეთნიკური ქართველის *ახმედ ილმაზის* (რომლემაც ორი დღის განმავლობაში ნამდვილი ქართული ტრადიციებით გვიმასპინძლა) სიმამრი: „აქ მთლად ყველა გურჯია. ამ სოფელში 300 კომლია“. 75 წლის *ჯავით გენჯის* აღნიშვნით, მისი ქართული გვარია *ბერიძე*, ლაღაბი – *იხტიაროღლი*. ეთნოგრაფიული მონაცემებით, *ქესტანეფინარში* 350 ქართველის სახლი დგას, *ქესტანეფინარ იუქარეში* – 320, *ყარადერეში* – 200. უმეტესობა მაჭახლიდანაა მიგრირებული: „ჩვენი ძველები გურჯისტანიდან სოფელ *ზედვაკედან* მოვიდნენ, მაჭახლიდან. მთლად იქიდან მოსული არიან, ზოგი *ქვედავაკედან*. ასი და ათი წელია რაც მოვიდნენ. *ჩოლალოღლები* ქვეით ცხოვრობენ, ისინი *მინდიეთიდან* მოსულან“. ამ ეთნოგრაფიული მასალით ჩანს, რომ მუჰაჯირების მოსვლა შემდეგაც გრძელდებოდა. მთხრობელის წინაპარი XX საუკუნის დასაწყისშია მოსული. ის ზესიძედ მოსულა: „იქაურ დიდს უთქვამს: ვინცხას გინდათ, წადითო, ვინცხას არ გინდათ წასვლა, აქ იყავითო. სამი ძმა ყოფილა იქიდან წამოსული. აქ დასახლდნენ, მაგრამ შვილები (ვაჟები) არ ეყოლათ. იქ ერთი ძმა დარჩენილა; იმის სახელი არ ვიცით. აქ რომ მოვიდნენ იმათ ერქვათ *იბილაი*, *მაირი* და *შაღბანაი*. აქ რომ მოვიდნენ, დარიგდნენ. დედ-მამა იქ დარჩენილა. *აბდიოღლების* ოჯახზე მოსულა ემინაი, შაბანაიც – მეორე ძმაც დაასახლა. მაირი *ჩოლალოღლებთან* მივიდა. იმათ ქალზე მივიდა, ოჯახზე მივიდა. იმათ გოგოები ყავდათ. ჩემი დედები რომ მოვიდნენ, ვისთანაც დასახლდნენ, ისინი 20 წლის დასახლებულები იყვნენ. ერთმა-

ნეთი მოყვადათ, მიდიოდნენ და მოდიოდნენ. აქ ადგილი ბევრი იყო“. მოყვანილი ეთნოგრაფიული მასალა, არაპირდაპირ მაგრამ მაინც გვაფიქრებინებს, რომ მუჰაჯირობის მიზეზი არა მხოლოდ რელიგიური ფაქტორი იყო („რუსებმა უთხრეს: ჩვენ რჯულზე თუ გადმოტრიადლებით, აქ იყავით, თუა არა და წადითო“). „აქ ბევრი ადგილი იყო“ – პირდაპირ მიუთითებს, რომ სამხრეთ საქართველოს მთიან ადგილებში ადგილი ცოტა იყო. ეს ქართული მხარეები გადამეტსახლებული იყო, რაც, თავისთავად ცხადია, მუსლიმი ქართველების მიგრაციას ხელს უწყობდა. მაშინდელი ოფიციალური რუსული მონაცემებით, ჭოროხის აუზიდან ქართველი მაჰმადიანების ერთი მესამედი გადასახლდა (დაახლოებით 38.000 კაცი). აღნიშნულ რეგიონებში ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალებით (არაპირდაპირი მონაცემებით), **მუჰაჯირობის მიზეზი იყო არა მხოლოდ რელიგია, არამედ ეკონომიკური და დემოგრაფიული ფაქტორები. რეგიონი იყო გადამეტსახლებული. სახნავ-სათესი მიწის ნაკლებობამ და იმ ფაქტმა, რომ თურქეთის ხელისუფლება მათ დიდი რაოდენობით მიწას ურიგებდა, მიგრაციას მასობრივი ხასიათი მისცა. მაშინდელ ერთერთ რუს ავტორს აღნიშნული აქვს, რომ მუჰაჯირობა ნაკლებად მოხდა სახნავი მიწებით შედარებით მდიდარი მხარეებიდან**¹²⁷. მუჰაჯირობის შემდეგაც განიცდიდნენ მიწის დეფიციტს ადგილობრივი ქართველები. იგივე ავტორი წერდა, რომ „მუშახელი პროპორციულად დიდია, ვიდრე დასამუშავებელი მიწის ფართობი“¹²⁸. ისევე როგორც სხვაგან, ზემოთ დასახელებულ სოფელ *ჩათალშიც* ეთნიკური ქართველები ტრადიციებს არ ივიწყებდნენ: „ჩვენი დედეი იქიდან მოსულა, მოტეხილობებს უწყობდა, იმისაგან ბაბამ ისწავლა, ბაბამ მე დამასწავლა. ჩემ დედემ იცოდა თოფის გაკეთება, მაუზერს აკეთებდა“.

სამსუნის ვილაეთში შედის ქალაქი **ბაფრა**, სამსუნის სინობისაკენ მიმავალ გზაზე. ქალაქის ირგვლივ ქართული სოფლებია: **დიქენჯიკი, ორმანოსი და კუშკაიასი**¹²⁹.

¹²⁷ ვ. ლისოვსკი. ჭოროხის მხარე, ბათუმი, 2015, გვ. 52.

¹²⁸ ვ. ლისოვსკი. ჭოროხის მხარე, ბათუმი, 2015, გვ. 102.

¹²⁹ ი. ლუტიძე. ქართველები თურქეთში – ენობრივი ვითარება, გვ. 138.

დიდი რაოდენობით არიან ეთნიკური ქართველები დასახლებული ქალაქ **სინოპსა** და **სინოპის ვილაეთში**. ბატონ **ტუფან ლომინაძის** მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ამ გეოგრაფიულ რეგიონში 59 ქართული სოფელია. **მერკეზის** ილჩეს ქართული სოფლებია: **აბალი, აჰმეტიერი, ალოგლუ, ავდანი, დემირჩიკოი, დიბეკლი, ერიკლი, ფირენქოიუ, გოლუ, ჰაჯიოღლუ, კაბალი, კარაპინარი, ყაზიმავა, ქილიჩლი, კირენჩუკურუ, ლალა, ლომანიე, მელექსაჰი, მუსაქოი, სინეჯანი, ტანგალი, ტაშმანლი, თავუქჩუკოი, თოსუნბეი, უზუნგურგენ, იუვალი. აიანჩიკის** ილჩეში ოთხი ქართული სოფელია: **ბელპინარი, ჩაიბაში, მესტანი** და **საჰარაბაში**. **ერფელეკის** ილჩეში ქართველები შემდეგ სოფლებში მკვიდრობენ: **აბდურაჰმანფაშა, აქჩაჩამი, ატბავი, დალუიერი, დელირმენჯილი, გოქჩებელი, ჰამიდიე, ჰასანდერე, ინჯემედიანი, ინჯეებინარი, ქანადა, შერეფიე, თექქე, ვეისელი, იენჩაბი. გერზეს** ილჩეში: **აქირაჩი, გურჩუვეთი, ჰიზარჩაი, სარნიჩი, იაკადიბი** და **იაქილი**. **თურქელის** ილჩეში ქართველები 8 სოფელში ცხოვრობენ: **დემირქაფი, გოქჩეალან, ჰასანდალი, ქოსელეტაში, ქუზქოი, მანტარლიკი, საზქიშლა** და **ღუზლერი**.

ქალაქ სინოპში ქართველთა საზოგადოების თავმჯდომარის წინაპრები ბორჩხის სოფელ **ახალშენიდან** მოსულან, ხოლო მისი ნენა ძირად **ჭადვეთიდან** ყოფილა. საზოგადოების თავმჯდომარე **სელამითინ აიღინის** ბაბუა და ბებია, ორივე ბათუმში ცხოვრობდა. დასახლებულან სინოპიდან 15 კილომეტრში, სოფელ **ქილიჩლიში**. სოფელში დღესაც 15 კომლი ქართველი ცხოვრობს. თხუთმეტივე კომლს სახლი სინოპშიც აქვთ. მისივე ინფორმაციით, სინოპის სოფლებში ქართველების რაოდენობა 40 ათასზე მეტია. **ქალაქ სინოპში 350 ათასი მცხოვრებია, აქედან ქართველები 35% არიან.**

სოფელ **ნუმანიაში (იუვალში)** მცხოვრები რეზში **ქიას** მიერ მოწოდებული მასალებით, მისი დედე 8 წლის იყო თურქეთში – სინოპის მხარეში რომ მოვიდა. ის მაჭახლიდან მიგრირებულა. მეორე მთხრობელის – **საბრი ილმაზერის** გადმოცემით, მისი ქართული გვარია **შარაშიძე**, მისი წინაპარი კი აქ **ჩურუქსუდან (ქობულეთიდან)** იყო მუჰაჯირად მოსული.

სოფელი **ლალა** ქართველებითაა დასახლებული (100 ოჯახიდან 90 ქართულია და 10 – თურქული). ლალა რამდენიმე მაჰა-

ლესაგან (უბნისაგან) შედგება: **ფრენკ მაჰალე, თაუხჩუ მაჰალე, ალთუნოღლუ, ხარაგულოღლუ**. მთხრობელის *ნეკზათ ქურუკის* (ქართული გვარი – *პატარაბიჭები*) მოწოდებული მასალით მისი წინაპრები აქ ართვინის სოფელ *ნაჯეიადან (ფისტიხლი)* გადმოსახლებულან. „ართვინიდან შვიდი კილომეტრია. ამ სოფლის მეორე მხარეს სოფელი *სინქოთია*. გადმოსახლდნენ 1878 წელს“.

სოფელ ლალას *თაუხჩი მაჰალეს* მკვიდრი *საბრი ექიჯის* წინაპრები ბორჩხის სოფელ *კოძირიდან* არიან მიგრირებული. სინოპის სოფლებში ბორჩხის სოფლებიდან ბევრი არიან გადმოსახლებული. აქვე არიან მაჭახლელები, ჩურუქსუელები, მურულუელები.

სინეჯანში ქართველები ძირითადად ბორჩხის მხარედან არიან მოსული. 72 წლის **შაჰინ გული (აფხანიძის)** თქმით, მისი წინაპრები აქ *ხეზადან* გადმოსახლებულან: „ხეზადან ვართ მონასული. რუსებს გამოექცენ“⁴. სინეჯანის მეზობელ სოფელ **ავღანშიც** (სინოპიდან ავღანამდე 33 კილომეტრია) მუჰაჯირები მკვიდრობენ. აქ ისინი ჩერქეზებთან ერთად თანაცხოვრობენ (40 კომლი „ჩვენებური“ და 30 კომლი – ჩერქეზი).

სინოპის სოფელ **იუვალი ქოიში** მაჭახლიდან გადმოსახლებული **მალაყმაძეები** ცხოვრობენ. 78 წლის მთხრობელის **ქადირ დორუს** გადმოცემით, მისი ბაბას ბაბოი მოსულა: „სამი მოძმე (ძმა) მოსულა, ერთი ემრე გადაცვლილა. ორი მოძმე გაბევრებულა. ერთი მოძმეც იქ დარჩენილა, თურქეთის მხარეს ხერთვისში. მაჭახლიდან ჯერ სტამბოლში წასულან, ადგილი არ მოსწონებიათ და ბოლოს სინოპში დამკვიდრებულან. ისევე როგორც სხვა მაჭახლელებს, მათაც მოუტანიათ აქ თოფების კეთების ტრადიცია.

სოფელი **დეირმეჯილის ინჯემიდას მაჰალეში** (სინოპის *ერფელეკის* ილჩე). **მუსტაფა ოზგენჯანის (ბრეგვაძე)** წინაპრები გურჯისტანიდან, **ქლასკურის** ხეობიდან 1893 წელს გადმოსახლებულან. სამი ძმა – **ქურუკა, ქესკინაა და გენჯაა** – აყრილა ქლასკურიდან. ისინი ცალ-ცალკე დასახლებულან. „ქლასკურიდან ბევრი წამოსულა, მთელი ქლასკური, დევსქელი, მაჭახელი ერთად მოსულან“⁵. სოფელში 40 კომლია. აქ ერთმანეთში შერეულად ცხოვრობენ დევსქელები, ქლასკურელები და მაჭახლელები. სინოპის *ერფელეკის* რაიონში შედის სოფელი **იენიჩამი**. ამ სოფლის მკვიდრის **შავექთ აქილოღლარის (ჭკვიანიშვილის)** ინფორმაციით, მისი

მუჰაჯირი წინაპრები აქ აჭარის სოფელ *ტივნარიდან* მოსულან. მართალია, მთხრობელი აჭარაზე საუბრობს, მაგრამ, როგორც ირკვევა, სინამდვილეში მისი ძველები კლარჯეთის სოფელ *ქლასკურიდან* არიან: „სამი ძმა მოსულან. რუსები რომ ოსმალებს ართვიანს ართმევდნენ, მაშინ სინაპს გადმოსულან. სამი ძმიდან ერთი დაკარგულა. გევიგენი, რომ ერთი დაკარგული ბაბუას ძმა იზმითს არისო. ქლასკურის სოფელში დასახლებულა ზოგი ჭკვიანიშვილი. ართვინიდან, ბორჩხადან სინოპამდე ფეხით მოსულან. ჩემი დედეს ნენეი (დედა) გზაში მომკვდარა. იქ ჩეუფლიან – ისე გევიგონეთ. თან საქონელი, ცხვარი, თხა წამოუყვანიათ. ერთი სინაპს დარჩენილა, დანარჩენი უკან გატრიალებულან ქლასკურში. ჩემს სოფელში ასი ოჯახი ქართველი ცხოვრობს“.

სინოპის ვილაეთის ქალაქ *აიანჯიკშიც* ცხოვრობენ ეთნიკური ქართველები. მის სიახლოვეს სამი ქართული სოფელია. სამივე სოფელში დაახლოებით 150 კომლი ქართველი ცხოვრობს. *სახარაბაშეში, მესტანში* და *ქირანჰარმანში* მარადიდელი და მაჭახლევი მუჰაჯირები არიან.

კასთამონის ვილაეთშიც მკვიდრობენ ეთნიკური ქართველები. ვილაეთის ქალაქ *ჩათალზეითში* მცხოვრები *რეჯეფ დემირის* (ქართული გვარი *ბარაქოლი*) ძველები შუახევის რაიონის სოფელ *ჭარნალიდან* აყრილან. 130 წლის წინ მთხრობელის დედე და მისი ორი ძმა მოსულა. ისინი ჯერ მარმარილოს ზღვის რევიონში, ქალაქ *ადაფაზარში* მისულან. აქ ადგილი არ მოსწონებიათ და ქალაქ *თურქელის* სოფელ *ქოსელში* გადასულან. ადაფაზარიდან ქოსელში 10 კომლი წამოსულა. სოფელ ქოსელში 40 კომლი ყოფილა და ყველა მათგანი „გურჯი“ ყოფილა. ახლა მათი ნახევარი აქედან მიგრირებულია და სოფელში 20 კომლია ცხოვრობს. ზამთარში კი მხოლოდ 3-4 კომლი რჩება. თურქელის რაიონში სხვა ქართული სოფლებიცაა: *საზაქი, ჰასანდადი, სულურქუერი*. თითოეულ მათგანში მხოლოდ 15-20 კომლი ცხოვრობს. აქვეა სოფელი *ჰამიდიე*, რომელიც ოთხი მაჰალეს ერთობლიობას წარმოადგენს. დღეს აქაური ქართველების დიდი ნაწილი სტამბოლში, სინოპში, იზმირში, ანკარაშია საცხოვრებლად წასული. *რეჯეფ დემირის* წინაპრები როცა მოსულან, სოფლის ადგილზე ტყე ყოფილა. ტყე გაუკაფავთ და 20 ოჯახი დასახლებულა. საყურადღებოა, რომ

სოფლის თავზე იაილაც ჰქონდათ და იაილაზე შუამთობის დღე-სასწაულსაც აწყობდნენ.

ქალაქ **ჩათალ ზეთიდან** (რაიონული ცენტრიდან) სოფელ **ჰამი-დიეში** (**კასტამონის** ვილაეთი) გადაინაცვლა ექსპედიციამ. ჩვენებურების მოსვლისას აქ არავის უცხოვრიათ. მიგრაციის თარიღად 1877 წელს ასახელებენ ჯერ **ინებოლში** მისულან. აქედან კი – **ჩათალ ზეთში**. ამ სოფლის მკვიდრები იმერხეველები არიან. სოფელი ოთხი მაჰალესაგან შედგება. **ჰამიდიეს** მახლობლად კიდევ ორი სოფელია, რომელშიც იმერხევიდან მიგრირებულები ცხოვრობენ. აჭარელი მუჰაჯირები **ათმეიდანში** არიან. **ჩათმინთ მაჰალეში** – იმერხეველები, **ყაბლახშიც** იმერხეველები (ერთ მაჰალეში აჭარელები არიან, სამში – იმერხეველები). **ჩათმინთ** მაჰალეში იმერხევის სოფელ **ივეთიდან** მიგრირებულები ცხოვრობენ. სოფელში 75 სახლია და ზამთარში მხოლოდ ოთხი ოჯახიღა რჩება. „ათი კაცი რომ მოსულა, დანარჩენი 20 წელიწადს მერე მოსულან“.

ქალაქ **ერფელექის** (125 ათასი მცხოვრები) 45% ეთნიკური ქართველია. აქ დასახლებულან 1877-1878 წლებში. ერფელექის მერის სიტყვით, რომელიც ეთნიკური ქართველია, „ჩვენი რაიონის ექვსი სოფელი ქართულია და სალაპარაკო ენაც ქართული აქვთ“.

ერფელექის რაიონის სოფელი **აბდურამანფაშაში** (მაჰალე **ათბაა**) მცხოვრები **სელაჰადინ ოზხაიას** (88 წლის) მოწოდებული ინფორმაციით, დედე **ქლასკურიდან** გადმოსახლებულა. „რუსებს უთქვამთ ჩვენებისათვის, არ ილოცოთო, ამდგარან და წამოსულან. ჩემი ბაბოს ბაბოი (დედე) წამოსულა. სამი ძმა წამოსულა: **აჰმედი**, **მაჰუდი** და **ასანი**. აქ დაქორწინებულან. ჯერ **აბდურამანფაშაში** მოსულან (ახლოსაა ეს სოფელი). აქ რომ დამჯდარან, იქ თურქები გურჯებს საქონელს პარავდნენ. მერე ამ სოფელში ყანა მოუციათ და აქ დამდგარან. აჩუქეს ეს ადგილი“. მთხრობელისავე სიტყვით, მისი წინაპრები ბორჩხადან ფეხით მოსვლას 40 დღე მოსდომებიან. ერფელექლის ილჩეს სოფელ **ვეისელში** მურღულელი მუჰაჯირები ცხოვრობენ, **ენიქოში** – მაჭახლელები. აქვე სოფელ **ღეირმენჯილშიც** ეთნიკური ქართველები ცხოვრობენ. ამ სოფლის მკვიდრის **ჰიქმეთ ეშილოღლის** („80-დან 2 ქვეა“, ე. ი. 78 წლის) ინფორმაციით, ბათუმის სოფლიდან ჯერ ბორჩხის სოფელ **თიკანრაში** მოსულა და შემდეგ – თურქეთში: „ქლასკური სოფელია

იქიდან მოსული ვართ“. მიგრირებული არიან 1877 წელს. ორი მიგრირებული ძმიდან მეორე უკან წასულა: „80 კომლი იქიდან მოსულან. როცა გამოიქცნენ, ჩვენ ენ დიდ ბაბოს გენჯაა რქმევია. იმას ოთხი შვილი ყოლია. ოთხი შვილიდან ეხლა 225 ვართ. აქედან ისტამბულს არიან, ალმანიას, ფრანსას, ბურსას არიან, საფანჯას არიან. იქიდან რომ მოვსულვართ, აქურმა თურქებმა დემიბლვირეს. ბევრი ბიჭები ყავდათ, შეეშინდათ. თურქები გოუბუძენია (გაუყვრია). აქ ხუთი თანე თურქი ყოფილა. ჩვენები მოვიდნენ, ისინი წასულან“. ქლასკურის ხეობიდან მიგრირებულებს წინაპართა საცხოვრისში დარჩენილ ნათესავებთან მისვლა-მოსვლა და ურთიერთობა გააჩნიათ“. ერფელექის რაიონის ქართული სოფლებიდან შეიძლება კიდევ დავასახელოთ: *ბაშარანი, თექქე, იენიჩამი* (ცხოვრობენ სხვა ეთნოსებიც), *ჰამიდე*¹³⁰...

თურქეთის ქართველებთან კონტაქტის შედეგად გაირკვა, რომ ქართველთა ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე გადმოსახლება მხოლოდ 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ არ დაწყებულა. **1828 წელს სამცხე-ჯავახეთიდან მოსული მუჰაჯირების 12 სოფელი ბალისეჭირისა და ბურსას ვილაეთების საზღვარზეა. მესხებს აქ უწოდებენ „აქალიან გურჯისუნ“.**

სინოპის ვილაეთის *თურქელის* რაიონის სოფელ *ქოსელეთაში* დასახლებულ აჭარლებსა და მაჭახლელებს ჩხუბი მოსვლიათ. მას შემდეგ აქედან აჭარლები წასულან *აღაფაზარში, გეივეში, ბოლუში* (თურქმენებით დასახლებული პროვინციაა). **ბოლუში ორ ქართულ სოფელს მიუთითებენ.** რაც შეეხება *ქოსელეთაში* მცხოვრებ გურჯებს, *ისინი თავის თავს აჭარელს არ უწოდებენ, ხაზს უსვამენ, რომ ქეთქეთელები ვართო.* ქართველები ცხოვრობენ ქურთისტანშიც. **დიარბექირში, ტუფან ლომინადის ინფორმაციით 5 ქართული სოფელია.** „ვეენერბახჩეს“ საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტი დიარბექირელი ქართველია; ის ქართულად საუბრობს. ქართველების ძირითადი ნაწილი აქ გათურქებულა. მხოლოდ რამდენიმე კაცმაღა იცის რომ ქართველები არიან. სტამბოლთან ახლოს არის ქალაქი *შილე* შავ ზღვაზე. ესენი ბერთელი ქართველები

¹³⁰გ. ჩოხარაძე. კლარჯ მუჰაჯირთა სოფლები. – კლარჯეთი, გვ. 270-271.

არიან; რუსეთის შემოსვლის დროს გადმოსახლებულან. შილელმა ქართველებმა ქართული არ იციან. შილეს მეზობელი ქალაქია ალვა. ამ ქალაქში კი ლაზები მკვიდრობენ. რუსეთი რომ შემოსულა **შავშეთელები მუშში, ადანაში, მერსიში გადასახლებულან.**

სინოპიდან 20 კილომეტრში მდებარეობს სოფელი **აჰმედერი.** ის ქართველების ცენტრალურ სოფლად მიიჩნევა. ამ სოფელში მცხოვრები ლომინაძეები 1908 წელს მოსულან ციხისძირიდან.

სინოპის სოფელ **სინეჯანის** მაჰალე **ქითაბის ქოიში** ქართველი **წიგნაძეები** მკვიდრობენ. ისინი ხებადან მიგრირებულან. ხუთი ძმა ყოფილა: **ასანა, ოსმანა, აჰმედა, ემინი** და **ჰუსეინა.** ამ ხუთი ძმის მამას (ბაბოს) **დურსუნა** რქმევია. დურსუნა **ხებაში** დარჩენილა, მას მიუღია ისლამი. წიგნაძეების მიგრაცია მუჰაჯირობას არ უკავშირდება. მათ წინაპარს **ბორჩხაში** ხალხი დაუხოცია და მათთვის ფაშას უთქვამს, აქედან გადადიოთ. ეს მუჰაჯირობამდე 20 წლით ადრე მომხდარა, ე. ი. 1857 წელს. ამ მასალის მოხმობა უფრო იმიტომ მივიჩნიეთ საჭიროდ, რომ გვეჩვენებინა, თუ რაოდენ გვიან მიიღო ქართველთა ნაწილმა ისტორიულ კლარჯეთში მაჰმადიანობა. სინოპის რაიონში ხებადან მუჰაჯირად მოსული ხუთი ძმის შთამომავლები დღეს სხვადასხვა ქალაქში მკვიდრობენ და ისინი 150 ოჯახს წარმოადგენენ. მარტო სტამბოლის უბან **შიშლიში** წიგნაძეების 50 ოჯახი ცხოვრობს. აქ ისინი სულ 30 წლის დასახლებული არიან და ყველა ქორწილში ერთად იყრიან თავს. ირკვევა, რომ წიგნაძეები ხშირად მიზეზს ეძებენ, რომ ერთად იყვნენ.

სტამბოლიდან აეროპორტის გზაზე დასახლებულ ჰუნქტში – **შირინველერის** უბანში კომპაქტურად ცხოვრობენ მაჭახლელები. აქ მაჭახლელების 3.000 ოჯახს ითვლიან. სტამბოლის **სეფაქის** უბანში ცხოვრობენ აგრეთვე ქართველები კომპაქტურად – აქ ძირითადად იმერხეველი და სინოპელი ქართველები მკვიდრობენ.

კასტამონის ვილაეთში **ჰამიდიეს** სოფლები ქართულია. თურქეთში ქართველთა ხუთ სოფელს **ჰამიდიე** ჰქვია. ესენია: **გირესუნში, გოლჯუკში, რიზეში, ჩათალზეითინში (კასტამონის)** და **გემლიკში.** ქართველი მუჰაჯირები ბათუმიდან გემით წამოსულან, რომელსაც „ჰამიდიე“ ერქვა და სხვადასხვა ადგილებზე დასახლებულბმა თავიანთ სოფლებს „ჰამიდიე“ დაარქვეს.

ეთნიკური ქართველები ცხოვრობენ *იზმითის* სოფელ *შირინ სუნიკიეში*, რომელსაც ადრე *გურჯუქი* ერქვა. აქ მიგრირებული არიან ბორჩხის სოფელ *ადაგულიდან*.

ქართულის კარგი მცოდნის *ორჰან ბერიძის* სოფელია *ვირესუნის ვილაეთის ბულანჯახის* რაიონის სოფელი *დამუდერე* (ახლოსაა ქართველთა სოფელ *თეფექისთან*). *ორჰან ბერიძის* წინაპარი დამუდარეში ქედის რაიონის სოფელ *წონიარისიდან* მოსულა. „შვიდი ძმაკაცი (=ძმა) წამოსულა აჭარიდან. სამი ჩვენს სოფელში დასახლებულა, ოთხი — ორდუში. დამუდარედან სამ სოფელს უბარტყია. ამ სოფლებში ერთად 300 კომლია.

ქალაქ *თოქათში* ცხოვრობდა *ორჰან ალბაირაქი* (51 წლის). დღეს ის სტამბოლში მკვიდრობს. მისი წინაპრები *ხებადან* არიან მიგრირებულნი: „ხებას ყოფილან ჩემი წინაპრები. *კავაზოღლი (კავაზაშვილი)* მეტყვიან. ჩემი ხისიძეები ბათუმს არიან, *ნაკაშიძეები*. რუსებმა რომ გამოსულან, ერმენლის სახლები მიუციათ ქალაქ *თოქათში*, რუსეთ-ოსმალეთის ომის პერიოდში. ერთი *სინოპში* წამოსულა. ჩემი ემიშვილები თოქათში ცხოვრობენ. ხებას უბანს, საიდანაც წამოვედი, *გორგავი* ერქვა. ჩვენი სოფელი მთელი ქართველი არიან. გაღმაი სოფელში ლაზები არიან“.

მარმარილოს ზღვის რეგიონის *იზმითის* რაიონის სოფელ *გილდაკში* ქართველები ცხოვრობენ. მთხრობელის *სეზან (სალომე) გონანჩანის (ბაირამოღლუ, ბარამიძე)* წინაპრები *მურღულის* ხეობის სოფელ *ტრაპენიდან* არიან მოსულები. „ერთი სოფელი ბაირამოღლუ იყო და წამოსულან. ტრაპენიდან რომ წამოვიდნენ პირდაპირ ცენტრალურ ადგილებში მოსულან. მემრე არ მოეწონათ და მაღალი ადგილები იპოვეს. აქ სოფელში *ბაირამოღლები* 50 ოჯახი ვართ“.

აჭარიდან მოსული მუჰაჯირი ქართველები *ხოფაშიც* ცხოვრობენ. *ზეკი ოსმან ალა ოღლუს* გადმოცემით, „იქიდან (საქართველოდან) ჩამოსულა *ოსმანოღლუ*. სოფელი არ ვიცი, მხოლოდ ბათუმში და აჭარა ვიცი. ოსმალეთ-რუსეთის ომის შემდეგ წამოსულან. მე ხოფიდან ვარ. ბევრნი ვართ, ხოფის ცენტრში ვცხოვრობთ. ხოფიდან ბაბუა სამსუნში გადმოსულა, იმიტომ, რომ მასწავლებლები და სახელმწიფო მოხელეები იყვნენ“.

სტამბოლში, როგორც აღინიშნა, ქართველები დიდი რაოდენობით არიან. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია სტამბოლის **ბეიკოზის რაიონი**. ბეიკოზში ეთნიკურ ქართველებს საზოგადოებაც აქვთ შექმნილი. *ბეიკოზში* მცხოვრები ქართველები მუჰაჯირობის დროს არ არიან დასახლებული. როგორც ერთ-ერთი სამრეწველო რაიონი – „ბეიკოზი“ თურქეთის სხვადასხვა სოფლიდან უყრიდა თავს მოსახლეობას. ქართველებიც აქ სხვადასხვა სოფლიდან არიან თავმოყრილი. „ბეიკოზში ყოველ დროს სტამბოლის რაიონი იყო და ყველა მუჰაჯირები მოდიოდნენ. აქ სამი ცნობილი ქარხანა იყო. ანატოლიიდან ჩამოსული ხალხი იმ ქარხანაში მუშაობდა. მერე აქ გამრავლდნენ. ხო იცი ქართველის ხასიათი, თვითონ მოვიდა, და მერე თავის ნათესავები მოიყვანა. აქ ერთი სოფელია – **აქსაბა (ბეიკოზის უბანია) – სულ ქართველები არიან**. და მერე გავაკეთეთ საზოგადოება, რომ ორგანიზებული ვიყოთ. ბეიკოზში მოსახლეობის 80% შავი ზღვის ხალხია, წარმოშობით ქართველები და ლაზები“. „ჩვენ ვიცით, ტალღა, რომელიც წამოვიდა საქართველოდან, ხულოელები დასახლდნენ *ვირესუნის ბულანჯაკის* რაიონში (აქ რვა სოფელია). როცა გადმოსახლდნენ მიუთითეს ზღვისპირეთი, მაგრამ ავიდნენ მთებში. შავიზღვისპირეთში *შილეშიც* არიან ქართველები (ისტამბულის რაიონი). 1957 წელს ბეიკოზში პირველი ქართული ოჯახი ჩამოსახლდა *ბულანჯაკიდან*. ბიძაჩემმა მამაჩემი ჩამოიყვანა. დაიწყეს ცხოვრება, ფაბრიკაში მუშაობა. დეიდაჩემის სახლში 20 კაცს ეძინა ქართველებს, როდესაც აქ დაიწყეს ჩამოსახლება და ფაბრიკაში მუშაობა. საარჩევნო სიებს თუ გადავხედავთ *ბულანჯაკიდან 3.000 ქართველი იყო გადმოსახლებული*. აქ მეორე ნაკადი მოვიდა *სამსუნიდან, ორდუდან, ართვინიდან*. ბულანჯაკიდან ვინც ჩამოვიდა, ვიცით, ისინი ყველა ქართველია, რადგან ვიცით რომელი სოფლიდანაა ჩამოსული. *შილეში იმდენივე ქართველია, რამდენიც ბეიკოზშია*. ბეიკოზში ქართველები 15% ვართ. *ქართველები სტამბოლში არიან სეფაქიისა და ბაქირქიის უბნებში*. *შილე* ახალციხიდან ჩამოსული კათოლიკე ქართველების ცენტრი იყო“. *ტუფან ლომინაძის* ინფორმაციით, სტამბოლელი ქართველი კათოლიკეების უმრავლესობას შემდეგში მაჰმადიანობა მიუღია.

ბეიკოზში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალაც, რომელიც ქართველების მუჰაჯირობას ეხება, სხვაგან ჩაწერილი მასალის

ანალოგიურია: „იქაურობა მაშინ იჩიქნიან, ბათუმი მაშინ რუსისათვის მიუცემია ფადიშაჰს და ჩვენი დედები შეწუხებულან და უთქვიათ: თურქეთში დაჯექითო. იქიდან წამოსულან. ამ სოფელში – **დეფორანში** – თხუთმეტი გვარია ახლა. „ზოგი ფეხით წამოსულან, *ახმედოღლები*. ჩემი ახმედა დედე ამასიაში წამოსულა. ასკერი ყოფილა. ისინი რომ წამობარგულან, დედესი ქალი ქუჩუბანოღლებიდან არის – ესენი *დუზჯეში* წასულან“.

ეთნიკური ქართველები ცხოვრობენ **თოკათის რაიონის სოფელ ერბაში, სოფელ ზოდალიჩუქურში**. მთხრობელის თემის *ჯანერის (ხაჯიშვილის)* ინფორმაციით, „სოფელში სულ გურჯები არიან. ლაპარაკობენ ძველ ქართულ კილოზე. მოსული არიან აჭარის სოფელ *ცხემლარიდან*. ამ სოფელში ახლა 15 სახლია, ძველად 50 სახლი იყო. გადასულან სტამბოლში, იზმითში, სხვა დიდ ქალაქებში (ამ ქალაქების რაიონებში). მაგალითად, ბევრი არიან *გებზეში*, თოკათში – *ერბას* და *ნიქსარის* რაიონებში. არიან ქალაქ **თურქელში**. ესენი ცხოვრობენ შავი ზღვის სანაპიროზე, შიგნით მთებში. იქ არიან კიდევ აჭარლები ზემოდან, მაჭახლები. *თხილნარადან* ჩამოსული ხალხია ოთხ სოფელში. **ვიჩეში, რიზეს რაიონში ორი მეგრული სოფელია**. ისინი **ნამდვილი მეგრელები არიან**. **ფაცაში სულ სამ სოფელში არიან**“. საყურადღებოა, რომ შემდეგ ამ ახალგაზრდა მთხრობელმა აჭარიდან წარმომავლობა უარყო და აღნიშნა, რომ მაჭახლის სოფლებიდან: *ვეფრატიდან* და *ზედვაკედან* არიან მოსული.

როგორც აღინიშნა, **ამასიაში ხუთი ქართული** სოფელია. იმერხევში დაბადებული *აიჰან იზიკის* (ახლა ცხოვრობს სტამბოლში) გადმოცემით, აქ ქართველები 1901 წელსაც დასახლებულან იმერხევიდან, მაგალითად, ამ წელს აქ მისი *დიობნელი* „ბიძეები“ დამკვიდრებულან, აგრეთვე *თოკათში* და *ჩორუქში*.

ორდუს ვილაეთის **კოლქოის** რაიონში სამ ქართულ სოფელს მიუთითებენ: **ქაშქინარი, იუაფინარი** და **ჯიხაღიე**. პირველ ორ სოფელში იმერხევიდან გადმოსახლებულები ცხოვრობენ, მესამეში – მაჭახლელები.

ქართველი რესპოდენტები მიუთითებენ კიდევ არაერთ სოფელზე, სადაც ეთნიკური ქართველები ან ქართული წარმომავლობისანი მკვიდრობენ. მურღულელი მთხრობელის *იეუფ უზუნის* (53

წლის, „ნახევარ საუკუნეს სამი წელი გაიარა“. გაზრდილია ქალაქ ართვინში), ინფორმაციით, რუსეთ-თურქეთის ომის დროს, მისი წინაპრები *სინოპში* გადმოსახლებულან, შემდეგ – *იზმითში, ბურსაში*, „ყარსის ხელშეკრულების შემდეგ ნაწილი უკან დაბრუნებულა. სამი-ოთხი წლის შემდეგაც დაბრუნებულან უკან“. მისივე ინფორმაციით, ბურსაში მურღულელები ცხოვრობენ სოფლებში: **ალაჩა, ბაიდენ, ორჰანიე** და **ოსმანი**. **ორჰანიესა** და **სეიდაბადს** ხატელას ხეობიდან არიან მოსული. „სეიდაბადი და საერთოდ 4 სოფელი ბურსის ცენტრის სოფლებია. ბურსაში კიდევ არიან იუსუფელიდან მოსული. ბურსაში ქართველები რომ არიან, მათ ნახევარმა ქართული ენა იციან“.

ამრიგად, ასეთია შავი ზღვის რეგიონში განსახლებულ ქართველთა გეოგრაფია, აქ მათი დასახლების ისტორია. წინასწარი მონაცემებით **ეთნიკურ ქართველები თურქეთის ამ გეოგრაფიულ არეალში, როგორც აღინიშნა, ორასზე მეტ სოფელში არიან განსახლებული**. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ არანაკლები რაოდენობით არიან ისინი მარმარილოს ზღვის რეგიონში (მარტო ბურსის ვილაიეთში სამოცდაათი ქართული სოფელია), სხვა რეგიონების დიდ ქალაქებში, და, რაც მთავარია, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში (შავშეთ-იმერხევი, კლარჯეთი, ტაო), მაშინ ცხადი გახდება რა დიდ ეთნიკურ ჯგუფთან გვაქვს საქმე, რომელთა დიდ ნაწილს დღეს ქართული ეთნიკური ცნობიერება შენარჩუნებული აქვს.

შავიზღვისპირეთის სამხრეთში მცხოვრებ ქართველთა ეთნიკური იდენტობის პრობლემები

თანამედროვე ქართული საზოგადოებისათვის ერთ-ერთი აქტუალური საკითხი საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ქართველების იდენტობის, ეთნიკური ცნობიერების პრობლემაა. ეთნიკური ქართველები საზღვარგარეთ თურქეთის სახელმწიფოში მნიშვნელოვანი რაოდენობით არიან. თუმცა, ხაზი უნდა გავესვათ იმას, რომ ზუსტი სტატისტიკური მონაცემები თურქეთში, მცხოვრები ქართველების შესახებ არ გავაჩნია; არ გავაჩნია მონაცემები მათი ეთნიკური სტრუქტურის შესახებ, რადგან ამ მნიშვნელოვანი საკითხისადმი ქართულ მეცნიერებაში ინტერესი ჯერ არ გაჩენილა. ბუნებრივია, ჩვენ აქ უბრალო მოქალაქეების ცნობისმოყვარეობას არ ვგულისხმობთ. არადა, უცხოეთში მკვიდრი ქართველების ეთნიკური ცნობიერების საკითხების კვლევით სერიოზულ ქვეყანაში მკვლევართა მთელი ჯგუფი უნდა იყოს დაინტერესებული.

ისტორიულად ოსმალეთის იმპერია და შემდეგ თურქეთის რესპუბლიკა ეთნიკური სიჭრელით გამოირჩეოდა და გამოირჩევა შეიძლება მთელი კატეგორიულობით ითქვას, რომ ეთნიკურ თურქებს ოსმალეთის იმპერიაში ბევრად ჭარბობდნენ სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები. იმასაც უნდა გაეგვას ხაზი, რომ ოსმალეთში, ფაქტობრივად, ეთნიკურობის გაგება არც ყოფილა. სამართლიანად შენიშნავენ, რომ ოსმალეთის იმპერიაში ნაციონალისტურ პერიოდადღე საერთოდ არ ყოფილა ნაციის თანამედროვე კონცეფციები. ისევე როგორც წინამორბედ ბიზანტიის იმპერიაში, საზოგადოების ორგანიზაცია რელიგიით განისაზღვრებოდა. ბერძნები, სომხები, ებრაელები არასოდეს არ ყოფილან მეორეხარისხოვანი მოქალაქეები. მართალია, ოსმალეთის იმპერიის სახელმწიფო ენა ოსმალური იყო, მაგრამ ის იმპერიის სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ჯგუფების ასიმილაციას ხელს არ უწყობდა.

მიუხედავად აღნიშნულისა, ოსმალეთის იმპერიაში არათურქული ეთნიკური ერთობების ასიმილაცია მაინც მიმდინარეობდა და ეს ასიმილაცია, ვიმეორებთ, იყო არა ეთნიკური, არამედ რელიგიური. ქართველთა მთელმა ჯგუფებმა ოსმალეთის იმპერიაში ისლამი მიიღეს და ეს პროცესი დასრულდა XVIII-XIX საუკუნეების მიჯ-

ნაზე. ასიმილაცია, ბუნებრივია, მიმდინარეობდა. ენისა და ეთნიკურობის შეცვლის ფაქტებიც იყო, მაგრამ გვიან პერიოდამდე მას მასობრივი ხასიათი არ ჰქონია. თურქული ენის გავრცელება მხოლოდ მამაკაცებში ხდებოდა, რომლებიც არმიაში მსახურობდნენ. ქალს თურქულის ენის შესწავლა საერთოდ არ შეეხებია. და ამიტომაც იყო, რომ ეთნიკურ ქართველთა ძირითად ნაწილში ენა შენარჩუნდა – დედა შვილებს ქართულ ენაზე ელაპარაკებოდა. მხოლოდ XX საუკუნიდან გამოცხადდა თურქეთის სახელმწიფოს ყველა მოქალაქე თურქად, მისი ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად. ჩვენ ამჯერად ეთნიკური ქართველების მდგომარეობა გვინტერესებს თანამედროვე თურქეთის სახელმწიფოში.

მიუხედავად XX საუკუნის 20-იანი წლებიდან არსებული სახელმწიფო პოლიტიკისა, თურქეთის სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრებმა სხვადასხვა ეთნიკურმა ერთობებმა, და, მათ შორის, ქართველებმაც, ეთნიკურობა და ენა შეინარჩუნეს. ეთნოგრაფიული მონაცემებით აშკარაა, რომ თურქეთის სახელმწიფოში მცხოვრებ ქართველების დიდ ნაწილს, ენასთან ერთად, ეთნიკური ცნობიერებაც შენარჩუნებული ჰქონდა.

ამჯერად ჩვენს ინტერესს არ შეადგენს იმ ჯგუფების შესწავლა, რომლებმაც ენა და ეთნიკური ცნობიერება დაკარგეს. ასეთ ჯგუფებს ადრინდელი ქართველობის შესახებ მხოლოდ მასსოვრობაა აქვს შენარჩუნებული. დანარჩენი ქართველები პირობითად შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: 1. იდენტურობა შენარჩუნებულნი და ენადაკარგულნი, 2. ეთნიკური ქართველები, რომლებსაც ენაც შენარჩუნებული აქვთ.

როგორც აღინიშნა, შავი ზღვის რეგიონში ეთნიკური ქართველები საკმაოდ დიდი რაოდენობით მკვიდრობენ. მიემართოთ სათანადო ეთნოგრაფიულ მასალებს. მაგრამ, რადგან ეთნიკური ცნობიერების პრობლემას ენასთან მიმართებაშიც განვიხილავთ, ამიტომ მასალები ხშირად ერთ კონტექსტში იქნება წარმოდგენილი. უნდა ითქვას, რომ დღეისათვის თურქეთის შავი ზღვის რეგიონში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველთა შორის ქართული ენა არასახარბიელო მდგომარეობაშია: ქართულ ენას ახალგაზრდობის დიდი ნაწილი უკვე ვეღარ ფლობს. *ვირესუნის* ვილაეთის *ბულანჯიკის* ილჩეს სოფელ *თეფექოიში* (ფირაზის რაიონი) მცხოვრები მთხრობე-

ლი გადმოგვცემს: „სახლში ჩვენებურად, გურჯულად ვლაპარაკობ ქალთან. მაგრამ პატარებმა ქართული ენა კარგად არ იციან. ახლა ვეუბნები ყველას, დაისწავლეთ ქართული. შვილებმა იციან ქართული. სამი შვილი და ერთი გოგო მყავს. შვილებმა იციან ქართული. ბადიშებმა არ იციან, პაწა კი იციან. წინ-წინ სოფლის ბაღანებმა თურქია არ იცოდნენ. პირადობაში თურქი მიწერია, გურჯი ვარ. ჩვენთვის ქართველობა არის სიამაყე, ამპარტავნებაც კი. მუსლიმანიც ვარ, მაგრამ ქართველიც ვარ. დიდი ნენე რომ გაბრაზდებოდა, შე ქართველიშვილო, გვეტყოდა. **15 წლის შვილიშვილს რომ კითხოთ: ვინ ხარ? გეტყვით, გურჯი ვარო. ჩემგან დეისწავლა, რომ გურჯია“.** ტუფან ლომინაძე: „ქართველმა თუ თურქი დაპატიჟა სახლში, მემრე ეს თურქი ამყობს, რომ ქართველის სახლში ვიყავი. ქართველები ამყობენ, რომ ქართველები არიან. სხვებს ამუშავებდნენ და თვითონ ყომარბაზობდნენ“. მოყვანილი ეთნოგრაფიული მასალა მიუთითებს: 1) ქართული ენის არასახარბიელო მდგომარეობაზე – უფროსი თაობა ქართულ ენას ფლობს, ხოლო ახალგაზრდები და ბავშვები – არა; უფროსი თაობა მოუწოდებს ახალგაზრდებს, რომ ქართული ენა ისწავლონ; 2) მართალია, ოფიციალურ იურდიულ დოკუმენტში ეთნიკურ ქართველს თურქი უწერია, მაგრამ თავს ის ქართველად მიიჩნევს; 3) მუსლიმობა მას ხელს არ უშლის იმაში, რომ ქართველად გაიაზროს თავი; 4) ეთნიკურ ქართველს სიამაყის გრძნობა აქვს თავისი ქართველობის გამო; უცხო ეთნიკურ და რელიგიურ გარემოში ეთნონიმი ქართველი გაქრა, რადგან შუასაუკუნეობრივი სტერეოტიპების გამო, ეთნონიმი „ქართველი“ ქრისტიანთან ასოცირდებოდა; 5) მიუხედავად იმისა, რომ 15 წლის ახალგაზრდამ ქართული არ იცის, ის მაინც თავს ქართველად გაიცნობიერებს, რაშიც მნიშვნელოვანი როლი პაპას მიუძღვის. ერთი მთხრობელი პირდაპირ აცხადებს, რომ ქართული ენის უცოდინრობა ქართველობის დაკარგვას არ ნიშნავს: **„გურჯიჯა თურქს ბოლოკს ვეტყვით. გურჯიჯა რომ არ იციან, ახლები ბოლოკი ვერ გახდებიან“.**

ქართული ეთნიკური ცნობიერების მკვეთრი გამომხატველია შემდეგი ეთნოგრაფიული მასალა: **„რძალი თურქი მოვიყვანე და ბაზარში ქალები მეჩხუბნენ, რატომ მოვიყვანე თურქიო“.** 20-30 წლის წინ ასეთ ფრახას ვერავინ იტყოდა, რადგან, პრაქტიკულად

შერეული ქორწინებები არ ხდებოდა. ისინი მხოლოდ ეთნიკური ჯგუფის შიგნით ქორწინდებოდნენ. საქორწინო ურთიერთობა რომ ქართული ეთნოსის შესანარჩუნებლად მნიშვნელოვანი ფაქტორია ეთნიკურ ქართველებს გასიგრძეგანებული აქვთ. ამასიაში მცხოვრები ორი ქართველი ძმა სპეციალურად ჩამოვიდა უნივერსიტეტში, რომ ქართველი ქალი შეერთოთ ცოლად, რადგან სადაც დაიბადნენ შესაბამისი საქორწინო პარტნიორი – ქართველი საცოლვე ვერ მოძებნეს: „ჩემთვის სულერთი არაა ვის შეირთავ. სახლში ვსაუბრობთ იმაზე, რომ სასურველია ქართველი რძალი გვყავდეს, მაგრამ ვერ დავაძალგებ მანც. მე თვითონ აქ ქართველი ქალის მოსაძებნად წამოვიდი“. მეორე მთხრობელმა კი ნათქვამს დაამატა: „უმცროს ძმას შეყვარებული ყავს, ქართველი არ არის, მამაჩემი კი ამბობს რომ ქართველი უნდა იყოს“. „ჩემმა ბიძამ თურქის ქალი რომ ითხოვა, გავშორდით, არ მოგვეწონა თურქი რომ მოიყვანა“ (აიშან წიგნაძე).

კიდევ ერთი ეთნოგრაფიული მასალა საქორწინო ურთიერთობების შესახებ: „ეხლა შვიდში ქორწილია ერთი მურღულელი ახალგაზრდის. ძალიან პატრიოტია. აზრზე რომ მოვიდა, ეს გავაკეთოთ, ის გავაკეთოთ, ძლივს ვაკაკებდი, ძალიან პატრიოტი გახდა. მერე არაქართველი (მგონი არნაუტი) გოგო უნდა შეერთო. მე ვუთხარი, რას შვრები, არაქართველს რატომ ირთავ მეთქი და დაანება თავი. ახლა ქუთაისელ თამრიკოს ირთავს“. უნივერსიტეტის სოფელ ქუსჩაში 82 წლის აჰმედ ქუინჯუ (დევაძე) კითხვაზე: ქართველები ერთი გვარისანი ერთმანეთში ქორწინდებიან? ასეთ პასუხს იძლევა: „რომ ჩამოვიდნენ, მაშინ ერთ გვარში დაქორწინება არ იყო, მერე დაიწყეს, თურქებზე რომ არ დაქორწინებულიყვნენ“.

გამოკვეთილი მდგომარეობა დაიკავეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის. ეს პოლიტიკურად დამუხტული ქართველი იმასაც აღნიშნავს, რომ „ქართველებს გარკვეული წონა და გავლენა აქვთ, რომ არჩვენებში მათთვის სასურველი კანდიდატი გაიყვანონ და ხმა მისცენ. ერთ-ერთ დებუტატობის კანდიდატს მხარს ვუჭერდით, რადგან ვიცოდით, რომ ქართველი იყო“. ასეთი შემთხვევა ქართველების მიერ ეთნიკური ქართველებისათვის მხარის დაჭერისა არაერთი გვაქვს დადასტურებული. არის ბევრი ფაქტი, როდესაც ქართველები ბიზნესში პარტნიორობას ქართველ-

თან არჩევენ. ამის გამოა, რომ უნიეში ბიზნესის 60-70% ქართველების ხელშია. აგრეთვე: მუჰაჯირობის შემდეგვე ქართველების შეკავშირებულობის მაჩვენებელია ის ფაქტებიც, რომ „ყაჩაღობის დროს ქართველების მოკვლას და ძარცვას ყველა ერიდებოდა. ქართველები არავის მკვლელობას არ შეარჩენდნენ. ასე რომ არ მოვქცეულიყავით, ვერ შევინარჩუნებდით ქართველობას“. ესაა უცხო ეთნიკურ გარემოში ქართველთა შეკავშირების გამოხატულება, რაც დამახასიათებელი იყო ქართული ხასიათისათვის.

უნიელი ქართველები შეკითხვაზე: რელიგია ხელს არ გიშველით ქართველობაში? რა არის ქართველობა? – ასეთი პასუხი მივიღეთ: „როგორც თქვენ გრძნობთ ქართველობას, ისე ჩვენ ვგრძნობთ. რელიგიას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. როგორც შენ ახსნი, რომ ქართველი ხარ, ისე მე. ძნელი ასახსნელია, რატომ ვარ ქართველი“. მიგვაჩნია, რომ ამ სიტყვებს არავითარი კომენტარი არ სჭირდება. თავის დროზე მათი წინაპრები რელიგიის გამო მოწყდნენ ქართულ ეთნიკურ ერთობას. მაგრამ დღეს მუჰაჯირთა შთამომავლები სრულიად განსხვავებულად აზროვნებენ; მთავარია, მათ საზღვრების გახსნის შემდეგ თავიანთი მეორე ნახევარი იპოვეს. ისინი დღეს, ყოველ შემთხვევაში დიდი ნაწილი, რელიგიურ განსხვავებულობას არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებს. დაკვირვებული მთხრობელი ისე რომ შეკითხვა არ დასმულა, კომენტარს აგრძელებს: „სცადეს, რომ რელიგიის გამო საქართველოსაგან, ქართველობისაგან გამოვეყავით, მაგრამ ჩვენ ამას პრობლემად არ მივიჩნევთ. ზოგმა აქაურმა ქართველმა ისიც თქვა, ვის რაში სჭირდება ეს საზოგადოებაო, მაგრამ ასეთი ხალხი ცოტაა, რომლებიც ქართველობას აგდებით უყურებს. ჩვენ რომ საზოგადოება დავაარსეთ, ესეც მიუთითებს, რომ ქართული ეთნიკური ცნობიერება გვაქვს. საქართველოშიც ზომ არის ხალხი, რომლებსაც ამერიკელობა და ევროპელობა ურჩევნიათ ქართველობას“. იგივე ინფორმატორი იმასაც აღნიშნავს, რომ „იძულებული ვიყავით თურქებისათვის გაგვეგებინებინა, რომ ჩვენ სომხებისაგან განვსხვავდებით. თავი რომ დაგვემკვიდრებინა, თურქებზე უფრო თურქები გავხდით“. ე. ი. ამკარაა, რომ ეთნიკურმა ქართველებმა თურქეთის სახელმწიფოში ინტეგრაცია მოახერხეს. სხვანაირად, ისინი განწირული იქნებოდნენ დასალუპავად. სხვა მეთოდებით ეთნიკურობი-

სათვის ბრძოლას, დაპირისპირებას აზრი რომ არ ჰქონდა, ამას კარგად მიხვდნენ. ამის გამოძახილია რამდენიმე ქართველის ნათქვამი: **„ჩვენ ქართველები ვართ, მაგრამ თურქეთის მოქალაქეები“**. ეს ორმაგ ეთნიკურ ცნობიერებას სრულიადაც არ ნიშნავს. აქ მოქალაქეობა და ეთნიკურობა ერთმანეთთან მშვიდობიან თანაარსებობაშია. უნიეს საზოგადოებაში ჩაწერილი მასალა: „მართალია თურქებმა მიგვიღეს, მიწა მოგვცეს, მაგრამ **130 წელია თურქი ვერ გავხდი, ვერც გავხდები. მე თურქი არ ვარ, თურქეთის მოქალაქე ვარ, გურჯი ვარ. ახალგაზრდობის დროს, ქართულ ლაპარაკს რომ ვისმენდით, ქართული ლაპარაკი ყოფილაო, გვიხაროდა“**.

უნიას რაიონის სოფელ *იუჯელურის* 87 წლის მკვიდრი ოსმან ღურანი (ნაგერავაძე): „*ნეტა ერთ ქვეყანაში ვყოფილიყავით“!*

უნიას რაიონის სოფელ *ქუსჩის* სასაფლაოზე განისვენებს 1990-იან წლებში თურქეთის სოფლის მეურნეობის მინისტრი და ვიცე-პრემიერი *რაფაილი შაჰინი (ლორთქიფანიძე)*. მისი საფლავის ქვაზე დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებია ამოკვეთილი: 1939-2013. ანდერძის თანახმად მიცვალებულს საქართველოდან ჩამოტანილი ქვით გაუკეთეს საფლავი და მიწა საქართველოდან, აჭარის სოფელ ვიოდან ჩამოტანილი დააყარეს და დაკრძალეს საქართველოში დაბადებული ბებიისა და ბაბუას გვერდით. ეს ფაქტიც თურქეთის პილიტიკური მოღვაწის მაღალი ქართული ეთნიკური ცნობიერების დამადასტურებელია.

აღინიშნა, რომ ქართველები ამაყნი არიან და, როგორც ირაკვევა, ეს სიამაყე გარკვეულწილად მათ შორის არსებულმა კულტურულმა სხვაობამაც შექმნა. შეფარულად ეს ჩანს შემდეგ ეთნოგრაფიულ მასალებში: „ჩვენებმა რომ სახლი გააკეთეს, დაბეჩდნენ ყაზახები, ეზო არ იცოდნენ. თურქების მამასახლისი ეუბნებოდა თავისიანებს: თუ სახლს ააშენებთ, მიდით და ნახეთ და ქართველებისნაირი სახლები ააშენეთო“. „თურქებს ისეთი საჭმელები არა აქვთ, რაც ჩვენ გვაქვს. მათ ქართული ყაურმა არ იციან. ივინი მოდიან ქართული ყაურმა ვჭამოთო. ივინი ყაურმას ნიგოზს, ზაფრანას, ქინძს... არ უშვრებიან. ივინი მოხარშავენ ყაურმას და ფლავზე დააყრიან. ჩვენ საჭმელს ვაკეთებთ, მაგათ საჭმელი არ იციან, მცენარეებს არ უშვრებიან“ (*ფაცას* რაიონი, სოფელი *ქაბახ-ღალი*). [ახმედ ჰასანის ძე გუიეკაია (ბეჟანიძე): „30 წლის წინ

ჩვენებური თურქის ქალს არ ითხოვდა. ახლა თურქებმა ჩვენგან საქმე დღისწავლეს, იგინი სახლებს ფანჯრები არ ჰქონია“]. იგივე მოხრობელი კითხვაზე: ევროპაში თქვენს თავზე რას იტყვით, ვინა ხარ, ქართველი, თუ თურქი“? მყისიერ პასუხს იძლევა: **„ევროპაში რომ წავიდე მკითხონ, ვინ ხარ, ვიტყვი ქართველი ვარო. ჩვენი ბაღნებიც ჩვენებურად აინში არიან, ისინიც ქართველს იტყვიან“**.

ეთნიკურ ქართველს სიამაყის გრძნობას თავისი გარეგნობაც უვითარებს. საუბრისას, როდესაც ქალებს კომპლიმენტი უთხრეს, რომ ლამაზები ხართ, პასუხი იყო მოკლე და მოსწრებული: **„გურჯი ვარ და!“**

ქართველებს თურქების მიმართ გარკვეული სტერეოტიპი ჰქონდათ შექმნილი, ისინი მათ გარკვეული ეპიტეტებითაც მოიხსენიებენ: ჩვენ თურქებს ქალს არ ვაძლევდით; თურქებს *ბოლოკებს* და *კუდიანებს* ვეძახდით. ჩვენებურები არ უყვარდათ; ჩვენებურები მაგარი კაცები იყვნენ.“

„თურქები მაშინ სიძინდს ვერ მარგლიდნენ, ჩვენებურებმა დაასწავლეს. კუდიანებმა არ იცოდნენ სიძინდის გაფხეკა, მარგვლა. რიგებში სიძინდს არ თესდნენ. 10 ყაბახს იღებდნენ და მარგვლა რომ დაისწავლეს 100 ყაბახი მიიღეს. ჩვენებურებმა დასწავლეს სახლების კეთება, ოთახებად დაყოფა. ჯამეებიც არ იცოდნენ, ჩვენებურებმა დაასწავლეს ხის ჯამეების გაკეთება. სახლში ლოცულობდნენ, მაშინ ფუხარა იყვნენ მეტი“.

ცნობილია, რომ ეთნიკური ცნობიერება პირდაპირ კავშირშია რელიგიასა და ენასთან. ზემოთ მოყვანილი მასალა პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ **თურქეთში მცხოვრებ ქართველებს მყარ ეთნიკურ ცნობიერებაში რელიგია ხელს არ უშლით**. საყურადღებოა, რომ ერთ-ერთი ეთნოგრაფიული მასალით, სინოპელ მუსლიმ ქართველებს კუდიანები (=თურქები) *გააურებს* უწოდებდნენ. ალბათ იმიტომაც, რომ **„ქრისტიანები ბევრი მიყვარს, მაჰმადიანები არ მიყვარს, ბაბოისაც არ უყვარდა მაჰმადიანები, აგინებდა. ქართველებმა ერთად მოვიყარეთ თავი, ამაზე გემრიელი რა არის“** (აიშან წიგნაძე). იგივე შეიძლება ითქვას ენის შესახებაც. ბევრი ახალგაზრდა, დედისა და მამისაგან, ბაბუისა და ბებუისაგან განსხვავებით, ქართულად ვეღარ ლაპარაკობს, მაგრამ ეს მათ ქართულ ეთნიკურ ცნობიერებას არ არღვევს. როგორც ჩანს, ოჯახი ამ შემ-

თხვევაში გარკვეულ გავლენას ახდენს ბავშვის, ახალგაზრდის ეთნიკურ მენტალობაზე. ამის პირდაპირი პასუხია ერთი ინფორმატორის მოკლედ ნათქვამი: **„ენა რომ დაიკარგება, გურჯობა დარჩება“**. **„რომ მკითხონ, ვეტყვი გურჯი ვარო. გურჯის ენა რომ არ იციან, მაინც იტყვიან, გურჯი ვარო“** (სელაჰადინ ოზხაია, 88 წლის, *ერ-ფელეკის* რაიონი, სოფელი *აფთურამანფაშა*, მაჰალე *ათაბაა*). იმერხევში დაბადებულის და სტამბოლში გაზრდილის *აიჰან იზიკის* სიტყვებით კი **„ვინც ქართული ენა არ იცის, ისინიც ქართველად მიიჩნევენ თავს“**. უფროსი თაობა ცდილობს ახალგაზრდა ქართველები ერთმანეთთან დაახლოვოს, გააცნონ ერთმანეთს.

ქართველთა გარკვეული ნაწილი, ახალგაზრდობა ცდილობს ქართული ენის დასწავლას, რადგან ის მათ პრაქტიკული თვალსაზრისითაც სჭირდებათ, საქართველოსთან მისვლა-მოსვლის ინტენსიური პროცესის გამო. **„ბიჭი დავაქორწინე, გელინი ქართველია. სხვასთან საქმე არა ვვაქვს, ვოვოს ქმარიც ქართველია. ჩემმა ბიჭებმა ქართული არ იციან. მე არ დაველაპარაკე. ახლა ეძებენ, ცდილობენ დეისწავლონ. ახლა უნდოილარ. წინდაწინ არავინ მოვიდოდა, არც აქედან წვევიდოდა, ახლა დაგჭირდა“**.

სინოპელი ქართველების ეთნიკურობის გარკვეული გამოხატულება განვლდათ ისლამისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება, ღვინისა და არყის სმა: „ქორწილი სამი დღე იცოდნენ. დიდი მოზვერი დაკლა ბაბომა. დუგუნში დალევდნენ რახს, ბირას და შარაფს. ბრინჯისაგან ვაკეთებდით რახს, ყარფუზიდან, ყურძნიდან. ყურძნიდან შარაფს ვაკეთებდით. ბირას ქერისაგან ვაკეთებდით. მოლას დუგუნში არ მოუშვებდით“. **„ჩემი დედე ყურძნიდან რახს აკეთებდა. დეითრო და რა ქენიო? — ლამაზი წვენიაო და ვსვიო, გემრიელიაო. სამი წლის წინ სინოპის სოფელში ჩემმა ნათესავებმა ორი მინიბუსი ღვინო გათავეს“**. **„ჩვენებური დუგუნი გვქონდა. ახლა გადავარდა ქართული დუგუნი. ორ დღეს წინ-წინ დევიწყებდით ფაციას მოყვანამდე. დუგუნში (ქორწილში — რ. თ.) ზოგი სვამდა შარაფს. ახლაც სმენ, ტყუილს ვერ ვიტყვი“**.

ქართველთა ეთნიკური ცნობიერების შენარჩუნებაში ფრად მნიშვნელოვანია ნათესაური ურთიერთობების შენარჩუნება. ახლა ქართული სოფლები ძირითადად დაცლილია მოსახლეობისაგან, მათი ძირითადი ნაწილი თურქეთის სხვადასხვა დიდ ქალაქში ცხოვ-

რობს. მაგრამ ყველა ცდილობს ზაფხული სოფელში გაატაროს. სწორედ ამ დროს იხდიან სოფლებში ქართველები ქორწილებს და აქ ისტუმრებენ ერთმანეთის ვალდებულებას, ეცნობიან ახალ ნათესავებს. ამ წესის დაწესების გამო, ქართველები არა მხოლოდ ნათესაურ კავშირს ინარჩუნებენ, არამედ ეთნიკურ ცნობიერებასაც იმყარებენ, ქორწილები არც იმის საშუალებას იძლევა, რომ ქართველებმა ქართული ცეკვები დაივიწყონ: „ხორონები სულ არის ქორწილებში. ხორონი რომ არ იცოდეს, ისეთი ქართველი არ არის“.

ქართული ეთნიკური ცნობიერების მაღალ გამონახტულებად უნდა მივიჩნიოთ შემდეგი ეთნოგრაფიული მასალა: „სამი ძმა გადასახლებულა *სინოპში*. შემდეგ მხოლოდ ერთი ძმა დარჩენილა *სინოპში*, ორი უკან წასულა *ქლასკურში*, მაშინ თურქეთმა რომ უკან დაიბრუნა ბორჩხა – 1921 წელს. **ართვინში 8 მარტს ართვინის უკან დაბრუნებას აღნიშნავენ. იმ დღესასწაულზე არ მივდივარ; ჩვენ არ ვზეიმობთ. თქვენ დევინახეთ ბევრი გამიხარდა; ერთი სისხლი გვაქვს“** (*შევექეთ აქილოლლარი-ჭკვიანიშვილი*, 54 წლის). არ ზეიმობს ქართველთა გარკვეული ნაწილი საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ისევ თურქეთის შემადგენლობაში დაბრუნებას. მათ არ ეზეიმებათ ქვეყნის ტერიტორიული რღვევა, საქართველოდან მიწის ჩამოშორება. ამ ინფორმატორისათვის ეთნიკურობის განსაზღვრაში მთავარია არა რელიგია, არამედ საერთო წარმომავლობა.

საქართველოში ქართულ საზოგადოებას ბევრი დაფიქრება მართებს თურქეთში მცხოვრებ ქართველებთან დამოკიდებულებაში, ისინი არ უნდა გრძნობდნენ ოდნავ ალმაცურ დამოკიდებულებასაც კი მათ მიმართ. არადა, როგორც ჩანს, ასეთი დამოკიდებულება ზოგიერთ ქრისტიან ქართველს არაქრისტიანების მიმართ აქვს: „საქართველოში თურქეთის ქართველებს ნამდვილად არ უყურებენ, თქვენ კარგი, ნამდვილი ქართველი არ ხართო. ჩვენ შუაში დავრჩით, აქაც გვეუბნებიან თურქები არ ხართო. მე არ ვიცი ქრისტიანი, მუსლიმი, ჩვენ ერთი ხალხი ვართ“.

ნიშანდობლივია ერთი მასალაც, რომელიც სტამბოლში *სეზან-სალომე გონანჩისაგან* (*ბარამიძე*) ჩავიწერეთ: „ერთ პიკნიკზე ვიყავით, სადაც აღმოვაჩინეთ, რომ ქურთი ბავშვები ქურთულად ლაპარაკობდნენ. ჩემი ბავშვები დაინტერესდნენ ამით. მე ავუხსენი, რომ

ისინი თავიანთ ენაზე ლაპარაკობენ. მას შემდეგ ჩემთან ქართულად ლაპარაკი დაიწყო. დედაჩემი, ბებია მათ ქართულად ელაპარაკება და ბავშვებმა უფრო მეტი ქართული იციან, ვიდრე მე. დედაჩემი ეტყვის ხოლმე: „გარგანი (არგანი-ჯონი) გინდათ (ე. ი. საცემი ხართო). ჩემი შვილები არნაუტები არიან, ქმარი არნაუტი მყავს. მაგრამ უფრო ქართველობენ. ბევშვებს ბებია ზრდის, მე კიდევ ყველაფერი ქართული მაინტერესებს და უფრო ამის გამო ქართველობენ, ალბანურს კი არაფერს ზედავენ“.

დღეს თურქეთში, სადაც კი ასე თუ ისე ქართველთა კომპაქტური დასახლებები არსებობს, თითქმის ყველგან შექმნილია ქართული საზოგადოებები, რომელთა გაცხადებული მთავარი მიზანი ქართული კულტურული ურთიერთობების გაღრმავებაა. თავდაპირველად, ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებამდე, ერთ-ერთ პირველ საზოგადოებას „კავკასიური საზოგადოება“ დაარქვეს ინეგოლში მცხოვრებმა ქართველებმა, ე. ი. ოდესაღაც საზოგადოებაში ქართველები ერიდებოდნენ თავიანთი ეთნიკურობის გამჟღავნებას. ახლა პირიქითი პროცესია. *კასტამონის* ვილაეთის სოფელ *ჰამიდეში* დაბადებული *დაუთ კაპტანი (ომერიძე)* გვიამბობს: „ბორჩხის სოფელ *ადაგულიდან* ვარ. სკოლაში წავედი მე თურქული არ ვიცოდი. მასწავლებელმა სახლში ქართულად არ ილაპარაკოთო. ქართულად თუ დავილაპარაკებდი, დამაბეზღებდნენ და თხილის ჯოსს გვაჭმევდნენ. დიდმა ნენემ თქვა, თურქულად ლაპარაკი რომ დევიწყე, ნახე, დიდი კაცი გახდა, თურქულად ლაპარაკობსო. მასწავლებელი გავხდი და ჩემი ისტორია და კულტურა არ ვიცოდი. იქაურებმა (საზღვრისპირა დასახლებებში მცხოვრებმა ქართველებმა. დევსქელი აქვთ კონკრეტულად მხედველობაში – რ. თ.) მხოლოდ რუსები იციან. და რუსი ქალი რატომ მოიყვანეო, ქართველზე მითხრეს. **გერმანიაში რომ წავედი მერე მოვედი აზრზე, ჩემი ისტორია და კულტურა არ ვიცი-მეთქი. ცოლი გარდამეცვალა და ვთქვი, ქართველი უნდა მოვიყვანო“.** *ვირესუნის* ვილაეთის *ბულანჯაკის* რაიონის სოფელ *დამუდერეში* დაბადებული *ორჰან ბერიძე*: „მამა სულ ქართულად საუბრობდა მეზობლებთან, ნათესავებთან. რაიონებში რომ მივდიოდით, ვმაღავდით, რომ ქართველი ვართო. როგორც ირკვევა, თავის დროზე „ქართველებს ეთნიკური დაჩაგრულობის განცდა ჰქონდათ“. ეს განცდა, ამკარად

მაშინ უფრო გაჩნდა, როდესაც სკოლებში მისულებს ქართულ ლაპარაკს უკრძალავდნენ. ჩვენი ბაბუები ამბობდნენ, რომ საქართველო არსებობს, მაგრამ ისიც ვიცოდით, რომ სარფის იქით რუსეთია. როცა საზღვარი გაიხსნა, დევინახეთ, ცხვირი, ნიკაპი... თქვენც ქართული გაქვთ. ჩემი ბავშვობის დროს, ჩვენს სოფელში „ქართველი ვარო“ არ ამბობდნენ. „ქართველი არ ვარ“ იმას არ ნიშნავდა, რომ გურჯი არ ვარ“.

ზემოთ მოყვანილი ორი ეთნოგრაფიული მასალა მრავალმხრივად საყურადღებო: 1) ორი ქვეყნის – თურქეთისა და საბჭოთა კავშირის – მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგად, ქართველები არა მხოლოდ ტერიტორიულად იყვნენ ერთმანეთისაგან გათიშული. ეს გათიშვა და ისტორიის არ სწავლება ეთნიკური ქართველების ცნობიერებას გარკვეულ დაღს ასვამდა; 2) ეთნიკურ ქართველებს, რომელთა დიდმა ნაწილმა ოსმალეთის იმპერიაში ცხოვრებისას ენა და ეთნიკურობა შეინარჩუნა, XX საუკუნის თურქეთში ენას ართმევდნენ, სკოლაში და სახლში ქართულ ენაზე ლაპარაკს უშლიდნენ და ამისათვის „ჯოხს აჭმევდნენ“, 3) საზღვრების გახსნის შემდეგ მათ საკუთარი ფესვების შესახებ ბევრი რამ გაიგეს, ზოგმა ეს უფრო ადრე გერმანიაში სამუშაოდ წასვლის შემდეგ გაიგო, რომ საზღვრის იქით არა რუსეთია, არამედ საქართველოა, რომ მეორე მხარეზე არა რუსები, არამედ ქართველები ცხოვრობენ, რომლებიც ანთროპოლოგიურად მათი ერთგვაროვანი არიან, 4) თურქეთში მცხოვრებმა ქართველებმა ეთნონიმი ქართველი დაივიწყეს, უფრო სწორედ მასზე თავად თქვეს უარი, რადგან შუა საუკუნეობრივი აზროვნებით, „ქართველი“ და „ქრისტიანი“ თანაბარმნიშვნელოვანი ცნებები იყო. მაგრამ ამით „ქართველობაზე“ ანუ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, „გურჯობაზე“ უარი არ უთქვამთ. ეს რაც შეეხება ეგზოთნონიმს/გარესახელწოდებას. სამაგიეროდ თვისახელწოდებათ/ენდოეთნონიმად ახალი ტერმინი „ჩვენებური“ გამოიყენეს.

ზემოხსენებული *ორხან ბერიძის* ქართული ცნობიერების გამოხატულება ისიცაა, რომ მან ზეპირად დაისწავლა „ვეფხისტყაოსანი“ და ქართველ პოეტთა სხვა ლექსები და ამასვე ასწავლის თავის ჯერ კიდევ პატარა ვაჟს, რომელსაც დედა თურქი ჰყავს. და კიდევ: შეხვედრიდან რამდენიმე დღეში *ორხან ბერიძე* აღმოჩნ-

ნდა რა თურქეთის ერთ-ერთ ქალაქში და გაიგო რა, რომ იმ ქალაქში ქართველები ქურდობენ, აღშფოთებული ყვებოდა ტელეფონში, თუ როგორ ჭრიან ქართველები ასეთი საქციელით თავს და საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ მე მეცნიერს რაღაც უნდა მელონა, რომ კრიმინალ ქართველებს თავის საქმიანობაზე უარი ეთქვათ.

ახლა განათლებული ქართველის, მხატვარ *ქამილ ოლგუნის* (*თავადიდის*) (72 წლის) მონათხრობს შემოგთავაზებთ: „მუსლიმები რომ იყვნენ და რუსები რომ იყვნენ და რუსები რომ ჩამოვიდნენ და ერთმანეთს უძახიან, აჰა, გიაურები მოდიან. იმათ ისე გონიბდნენ, ქრისტიანები, გიაურები მოკლიან, მოიპარვიან. კავკასიიდან ბევრი ჩამოვიდნენ. მე ვყოფილიყავი იმ დროს, არ წამოვიდოდი. ... აქაური ხალხმა იციან ჩვენებური, მაგრამ არ იციან, ვინ არიან. მაშინ მთავარი განსხვავება იყო მუსლიმობა და ქრისტიანობა. ახლა ხალხი გასინათლდნენ და გაიგეს ვინ არიან, რომ ქართველები არიან. ჯერ პატარები ვიყავით, თერთმეტი წლისანი, მოვიყარეთ გურჯის ბავშვებმა თავი და ვთქვით: გავიგოთ ვინ ვართ გურჯები და სინოპის ბიბლიოთეკაში წავედით. რაღაც წიგნი ვნახეთ სოციალ-დემოკრატებზე. ეწერა, რომ გურჯისტანში რუსებმა სოციალ-დემოკრატები ჩამხეს. მას შემდეგ 26 მაისს მევიყაროდით ჩემ სახლში. მე სურათი დავხატე, რომ ქართველი ხალხი დატყვევებულია და ციხეში არიან. 26 მაისს 12-13 წლისანი ღვინოს დავლევდით საქართველოს თავისუფლების. ვთქვით, საქართველოში წერილი დაუწეროთ, რომ ვინ ვართ; საქართველოშიც ხომ არის ლიცეი და წერილი მათ დაუწერეთ და ქართული წიგნები და ჟურნალები გამოგვიგზავნეთ. კონვერტს დავაწერეთ: გურჯისტან, თიფლის, ლიცეი. ფოსტაში მივედით, რომ გაგვეგზავნა. არც გამკითხეს, რატომ ასე წერავ? დავათუთხლეთ და ჩავაგდეთ საფოსტო ყუთში. ორი თვე ვუცადეთ პასუხს, რომ ტფილისიდან მოგვწერენ, თბილისიდან არა, მაგრამ პოლიციიდან მოვიდნენ. ერთი ქართველი კაცი იყო, მითხრა შენ ასე გიქნიაო, რატომ დოუწერეთო. იქ ვინმეს ცნობილობოთ? სახლში ხანდახან რისთვის იყრებითო? ხანდახან არა, 26 მაისს ვიყრებით-მეთქი. რა არის 26 მაისიო. ის საქართველოს გამარჯვების დღეა-მეთქი. ნახატი რომ გავაკეთე, საქართველო ჯაჭვში მოვაქციე. წადი და ის ნახატი დახიეო. უთხარი, დავ-

ფხრიწავ-მეთქი. წავედი სახლში, წავაფარე, არ დაეფხრიწე. ის წერილი ტიფლისში არ წასულა. ჩვენ 13-15 წლის ბავშვები ვართ. ამხანაგის მამა ცნობილი მოსამართლე იყო და არაფერი არ გვიქნეს, დაგვაშინეს. ეს მოხდა *ახმედ მელაშვილზე* 10 წლით ადრე. ახმედ მელაშვილი გაგვეცნო, ჩავეხუტე, იმაზე ვოცნებობდით. **სულ ხუთი-ექვსი ამხანაგი ვიყავით**. *ქაბ თაყაღიდის* ნათქვამს, *ტუფან ლომინაძის*, რომელმაც ქართული გვარი სასამართლოთი დაიბრუნა, ნათქვამს დაუმატებთ: „1965 წელს ქართველები 5-6 ბავშვი ერთად დავევლებოდით. **დედ-მამა სულ გვეუბნებოდნენ, იცოდეთ, ქართველები ხართო. ეს ბავშვები სულ ერთად ვიყავით კლასშიც და გარეთაც. სანამ ახმედ მელაშვილი გვასწავლეს, უკვე ვიცოდით ყველაფერი. ამათმა გვასწავლეს ქართველობა**“. იგივე ქართველი კიდევ აღნიშნავს: „ბავშობისას ისტორიის წიგნში რომ წავიკითხე თურქებმა ქართველი მეფე *ლიპარიტი* დეიკავეს და ქართველებმა ომი წააგეს, მაშინ გული ძალიან გამიტყდა“.

რა კომენტარი უნდა გაუკეთოთ ზემოთ მოხმობილ ეთნოგრაფიულ მასალას? ქართველი ბავშვების გარკვეული ნაწილი ცდილობდა გაერკვია თავიანთი ფესვების შესახებ ყველაფერი, დიდი სურვილი საქართველოში ქართველებთან დაკავშირებისა, რომ ამ გზით ქართველთა წარსულის შესახებ ყველაფერი გაეგოთ. კიდევ ერთი, გარკვეული ნაწილისათვის მთავარი იყო არა რელიგიური იდენტობა, არამედ ეთნიკური იდენტობა. ერთ-ერთი მთხრობელის სიტყვით, „**სინოპში და ართვინში ქართველები არასდროს არ მალავდნენ თავის ქართველობას. ქართველობის დაკარგვა ადვილი არაა. დღევანდელ დღეში ყველამ ყველაფერი იცის. ყველა ერთნაირად იცვამს... ქართული ხასიათი მაგარია და ქართველობა შემორჩება თურქეთში**“.

ეთნოგრაფიული მასალებით აშკარაა თურქეთის დიდ სახელმწიფოში ქართველები ერთმანათს ეცნობოდნენ, ერთმანეთს ეძებდნენ: „უნივერსიტეტში სწავლისას სუფრაზე შორს დავინახე კაცი და ვიფიქრე, ქართველია, ისიც მიყურებდა და მერე გავიცანით ერთმანეთი და დავახლოვდით“ (ტუფან ლომინაძე).

თანამედროვე თურქეთში ქართველებმა ერთმანეთის მოძებნისა და გაცნობის ორიგინალურ ხერხს მიმართეს. ისინი მობილური ტელეფონით პოულობენ ერთმანეთს. ადამიანს ტრანსპორტში, ქუ-

ჩაში და სხვაგან თუ დაინახავენ და მას ქართველად მიიჩნევენ, ამოიღებენ ტელეფონს და ვითომ ქართულ ენაზე ლაპარაკობენ. პირველი ფრაზა ასეთია: როგორ ხარ, ჭო? ერთ-ერთ ქართველს, რომელმაც ეს ინფორმაცია მოგვაწოდა ამ ხერხით 50-ზე მეტი ქართველი ყავს გაცნობილი.

ქართული ეთნიკური ცნობიერების/იდენტობის კონტექსტში უნდა იქნეს განხილული მორწმუნე მუსლიმი ქართველების თურქეთის არქივებით დაინტერესება და ქართული საბუთების მოძიება, ქართველ მუჰაჯირთა 1884 წლის აღწერის გამოსაცემად მომზადება პარალელური ქართული ტექსტით, დოკუმენტური ფილმის გადაღება ქართველთა ოსმალეთის იმპერიაში გადახასხალების შესახებ. ამ კონტექსტში ვერ განვიხილავთ „ყურანის“ ქართულად თარგმნასა და გამოცემას, რადგან თურქეთის მოქალაქე მორწმუნე ქართველებმა ყველამ შესანიშნავად იცის თურქული ენა და აგრეთვე ის, რომ იქაურ ქართველებს მისი ქართულ ენაზე გაგება ფრიად გაუჭირდება და ქარ-თული წერა-კითხვის მცოდნენი თანამედროვე თურქეთში მცირე რაოდენობით არიან.

ეთნიკური ქართველებისათვის დღესაც სიამაყის საფუძველია თამარ მეფე. სტამბოლში მცხოვრები მურღულელი ინფორმატორი შემდეგს გადმოგვცემს: „ჩემს ბავშობაში სოფელში ერთი გიჟი იყო. დედას რომ ვუთხარი, რატომაა გიჟიო? – იმიტომ, რომ მურღულში თამარ მეფის საფლავი ნახაო და იმიტომ გახდა გიჟიო. ასე ამბობენო, ჩვენს მხარეში თამარ დედოფლის შვიდი საფლავი ყოფილაო და ერთი მურღულში ყოფილაო“.

ანატოლიაში მცხოვრები ეთნიკური ქართველები დარწმუნებული არიან, რომ ისინი ქართულ იდენტობას/ცნობიერებას არ დაკარგავენ. ზემოთ მოხმობილი ეთნოგრაფიული მასალები, ვფიქრობთ, ამის დამადასტურებელია. მათი საზრუნავი ახლა ქართული ენაა. ერთ-ერთი ინფორმატორის სიტყვები – „მე მეტი არაფერი მაინტერესებს, ენა ქართული არ დაიკარგოს“ – ამის დამადასტურებელია.

ჩქარი ტემპით იკარგება ქართული ენა. 20-30 წლის წინ ისეთივე ვითარება იყო, როგორც XX საუკუნის დასაწყისში. ისიც უნდა ითქვას, რომ ენის დაკარგვის პარალელური პროცესი არაა ეთნიკურობის დაკარგვა. ასეთ ვითარებაში ეთნიკური ქართველები

რამდენ ხანს, რამდენი თაობის განმავლობაში შეინარჩუნებენ ეთნიკურ ცნობიერებას, გაურკვეველია. ერთგვარ სირთულეს ის გარემოება ქმნის, რომ ქართველები საკუთარი სასოფლო დასახლებებიდან მასობრივად გადადიან სამუშაოდ და საცხოვრებლად დიდ ქალაქებში. სოფელს მოწყვეტილ ეთნიკურ ქართველებში ქართული ენის სწრაფი დაკარგვის პროცესი მიმდინარეობს. ასეთ შემთხვევაში ენის დაკარგვიდან ეთნიკურობის დაკარგვამდე პროცესი ჩვეულებრივ ორი-სამი თაობის გასვლის შემდეგ მთავრდებოდა. მაგრამ რამდენიმე ფაქტორი იმის იმედს იძლევა, რომ ქართული ეთნიკური ცნობიერება შეიძლება დიდ-ხანს შეინარჩუნდეს.

შავი ზღვის რეგიონში განსახლებულ ქართველთა გვარები

ქართველი ხალხისათვის მემკვიდრეობითი სახელი/გვარსახელი ოდითგანვე დამახასიათებელი მოვლენა იყო; ზემოთ ვნახეთ, რომ მუსლიმ ქართველებში ანთროპონიმებმა ღრმა ცვლილებები განიცადა, ქრისტიანულ პიროვნულ სახელებს მაჰმადიანურ სამყაროში გავრცელებული სახელები ჩაენაცვლა. დღესაც, თურქეთში ქართველ მუსლიმებში, ბუნებრივია, თურქული/მუსლიმური სახელებია გავრცელებული. ქართველი მუჰაჯირები, იმის გამო, რომ თურქული ენობრივი და ეთნიკური სამყაროსათვის გვარსახელი უცნობი იყო, ოფიციალურ დოკუმენტებში მხოლოდ სახელებითა და მამის სახელებით მოიხსენიებოდნენ, ერთი შეხედვით მაჰმადიან ეთნიკურ ქართველებში გვარი ანუ მემკვიდრეობითი სახელი უფუნქციო იყო. ეს მხოლოდ სახელმწიფოსა და გარეშე მყოფთათვის. თურქეთში მცხოვრები ქართველთა მნიშვნელოვანი ნაწილისათვის მემკვიდრეობითი სახელები/გვარსახელები კვლავ განაგრძობდნენ არსებობას. ზოგჯერ გვარი მივიწყებულიც იყო, მაგრამ ახალი ნათესაური ურთიერთობის დამადასტურებელი ტერმინები – **ლაღაბი**, **ლაქაფი** – კვლავ არსებობდა, რითაც ხაზი ესმებოდა ერთი კაცის, ერთი წინაპრის მემკვიდრეობას. მხოლოდ ისინი არსად არ ფიქსირდებოდა, ის მუსლიმი ქართველების თავებში იყო. ბევრი სანათესაო გართიანება კი მხოლოდ და მხოლოდ ოსმალთა ბატონობის პერიოდში იყო წარმოქმნილი, რასაც მისი თურქული ფორმაც ადასტურებს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ისინი თურქული „ოდლით“ ბოლოვდებოდა და ბოლოვდება, რაც სხვა არაფერი იყო, თუ არა ქართული „ძე“-სა და „შვილი“-ს პირდაპირი თარგმანი. ეს ითქმის როგორც მარმარილოს ზღვის რეგიონში, ისე შავი ზღვის რეგიონში დასახლებულ მუჰაჯირ ქართველთა შესახებ.

პიროვნული სახელები მუჰაჯირ ქართველებს ყველას მუსლიმური აქვთ. თუმცა დღეს აქ-იქ შეიმჩნევა ტენდენცია ქართული სახელების დარქმევაც; მაგალითად, სეზან-სალომე... ბუნებრივია, ეს ქართული სახელები მეორე სახელებია და ისინი არაოფიციალურია.

მუჰაჯირი ქართველების ნაწილმა გადმოცემით იცის თავისი წინაპრების ქართული გვარი. მაგალითად, *გირესუნის* ვილეთის *ფირაზის* ილჩეს სოფელ *თეფეჯოში* მკვიდრობენ *მიდელიძეები* (*მიდელაშვილები*), *ჩხაკოლები* (*ჩხაკოძეები*), *მედლოძეები*, *კანბუროძეები* (ძირად დავითაძეები), *ჰათოღლები*, *ზელზელოღლები*, *აილოშვილები*, *ბაირახტარები*. ფიქსირდება *კორკოტაშვილის* თუ *კორკოტაძის* გვარი, რადგან თავის დროზე ეთნიკური ქართველები გვარს თურქული ფორმით – *კორკოტოღლი* – გამოთქვამდნენ.

უნიის რაიონის სოფელ *ეჩინჯუკში* მკვიდრობენ *ხახუტაშვილები/ხოხოტაშვილები*, რომლებიც წარმომავლობით *ქობულეთიდან* არიან. *თათლიფინარიში* ცხოვრობენ *ბეჟანძეები*, *ნინიძეები*, *ბერიძეები*, *მჟავანაძეები*, *ბასილიძეები*, *შუბალიძეები*, *კილაძეები*, *მეგრელიძეები*, *საფილიძეები*, *ინაიშვილები*. ყველა ეს გვარი *ქობულეთიდან*, *ციხისძირიდან*, *ხუცუბნიდან* ყოფილა გადმოსახლებული. სოფელში ახლა *ბეჟანძეების* ათი ოჯახია.

უნიას რაიონის სოფელ *მიტარბოლში/იუჯეელერში* ქართველები ცხოვრობენ. 87 წლის მთხრობელის *ოსმან დურანის* ინფორმაციით, მისი მამა-პაპის ქართული გვარია *ნაგურვაძე*. ამავე რაიონის სოფელ *ქუსჩაში* მცხოვრებ ქართველებს ახსოვთ თავიანთი გვარები: *ლორთქიფანიძე*, *ღევაძე*, *ჩიკვაიძე*, *ჭელიძე*, *ბერიძე*, *პარსელიძე*. ამავე სოფელში ცხოვრობენ *ღენიოღლები* (*ღენიშვილი? ღენიძე?*).

ფაცას რაიონის სოფელ *ქაბაქდაღში* *კენჭიოღლები* ცხოვრობენ. ინფორმატორი ქართულად თავის გვარს *კენჭიშვილად* გადმოგვცემს. შესაძლებელია მისი წინაპრები *კენჭაძეები* იყვნენ. ამავე სოფლის მკვიდრთაგან შეიძლება დავასახელოთ კიდევ *ღიასამიძეები*, *გოვიტიძეები*, *ოქროპირიძეები*, *გოლომანიძეები*, *გორგაძეები*, *ჯინჭარაძეები*, *ცივაძეები*, *ლორთქიფანიძეები*, *ქათამაძეები*, *ბაჯელიძეები*, *ცეცხლაძეები*, *მეგრელიძეები*, *მანარაძეები*, *შუბლაძეები*, *მესხიძეები*, *ხუტაძეები*, *ხაბაძეები*, *მოწყობილები*, *ელიაძეები*, *ინაიშვილები*, *კაკალაძეები*, *დადიანები* („დადიანები არიან ქლაქში, პაწია არიან. ჩვენებთან ერთად მოსულან“). ინფორმატორის მითითებით სოფელში სულ 38 ქართული გვარია. ამავე სოფლის მკვიდრი გვარად *ბეჟანძე* გადმოგვცემს: „ჩვენა აქ *ბეჟოღლის* გვეუბნებიან. ბაბუებმა თქვეს: ბეჟან ღიასამიძისაგან მოდის ბეჟანძის გვარი. თამარ მეფეს უთქვამს, ვინ დარჩაო (გადარჩაო). უპასუხიათ, *ღიასა-*

მიძე ბეჟანის ძეო და დღეიდან ბეჟანიძე იქნებიო“. ქაბაქდალში ფიქსირდება აგრეთვე *უიშვილის* გვარიც. საქართველოში ასეთი გვარი დღეს არ არის. როგორც ჩანს, *ევნატე ნინოშვილს უიშვილის* გვარი არ გამოუგონია, ის მწერლის ფანტაზიის მიერ არაა შექმნილი. მუჰაჯირობამდე ქობულეთის მხარეში (ქვემო გურიაში) *იუშვილები* ნამდვილად მკვიდრობდნენ.

სამსუნის ვილაეთის *სალიფაზარის* რაიონის სოფელ *ქესტენაფინარში* დაფიქსირდა გვარსახელები *ცენტერაძე, ვაშალომიძე, ჯაფარიძე, ფუტყარაძე, ჯინჭაროლი, პილნიძე, გოგიტიძე*. მთხრობელი გადმოგვცემს: „ვაშალომიძე ვარ და აქ, სოფელში ისე გვეძახიან *ჰაჯიოღლაღ*. ჰაჯიზე წასულან და გახდა *ჰაჯიოღლი*“. ამრიგად, ქართულ გვართან ერთად, მუჰაჯირი ქართველები მეორე მემკვიდრეობით სახელსაც ატარებენ, რომელიც ოსმალების შემოსვლის შემდეგ წარმოიქმნა. ის იგივე მამიშვილობაა ან გვარის მეტსახელია, რომლებიც ადგილობრივები ტერმინ „ლაღაბით“ მოიხსენიებენ. ასეთი ლაღაბები ძალიან ბევრი დასტურდება მარმარილოს ზღვის რეგიონში მცხოვრებ მუჰაჯირ ქართველებშიც.

სალიფაზარის რაიონის სოფელ *აიაზმაშიც* მოხერხდა ეთნოგრაფიული მასალების ჩაწერა. აქ *ვაშალომიძის* გვარი დასტურდება. ჩარშანბას რაიონის სოფელ *ჩათალში ბერიძეები* და *ჯაფარიძეები* ცხოვრობენ. ასახელებენ კიდევ: *ჰაჯიოღლუს, შიშანოღლუს, ჩოლალოღლის, საითოშვილს, თემინდრიშვილს, ქოსოლარს* და *ალვერალს*.

სინოპის ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარე გვარად *ფრანგიშვილია*. ამ გვარის წარმომადგენლები *ბორჩხის* სოფელ *ახალშენიდან* არიან გადმოსახლებულნი. *სინოპის* სოფელ *იუვალში* დადასტურდა გვარსახელები *ჩელები/ჩელებაძე, ბაირახტაროღლები* იგივე *წიგნაძეები, მემორიღები/მემიძეები, შარაშიძეები, კომახიძეები, პატარაბიჭები* (კლარჯეთის სოფელ *ნაჯვიადან* არიან მოსული). სოფელ *ლაღაში თავაძეები* მკვიდრობენ. ჩამოთვლილთაგან ყურადღებას იქცევს „პატარაბიჭები“. ეს ქართული ანთროპონიმი ყურადღებას იქცევს იმით, რომ ის შერქმეული მეტსახელია, უფრო სწორედ გვარის მეტსახელია. ამკარაა, ძველი, ადრინდელი გვარი დაიკარგა და გვარის მეტსახელი დარჩა თავისი ქართული უღერადობით. არც ისაა გამორიცხული, რომ „პატარაბიჭები“ თავ-

დაპირველად რომელიმე გვარის მამიშვილობა/გვარის დანაყოფი ყოფილიყო. სინოპში *პიპინაშვილების/პეპინაშვილებისა და შალი-კაშვილების* გვარებიც დასტურდება. ორივე გვარი ცალ-ცალკე სოფელში მკვიდრობს. ამ უკანასკნელთ ცალკე სასაფლაოც გააჩნიათ. როგორც ჩანს, ისინი გადმოსახლებული არიან ჭკოროხის ხეობის მარცხენა ნაპირზე მდებარე სოფელ *თხილაზურიდან* (ქართლას მეზობელი სოფელია), სადაც მიუთითებენ, რომ ამ სოფელში არის ცალკე მაჰალე (უბანი) – *შალიკები*. *შალიკები* ანუ იგივე *შალი-კაშვილები* თხილაზურიდან მუჰაჯირობის დროს მთლიანად აყრილან.

სინოპის სოფელ *სინეჯანში* დასტურდება *აფხანდიის* გვარი, რომლებიც *ხებადან* არიან მოსული. „სოფელში ახლა აფხანდიები ორმოცი სახლია“. ამავე სოფელში მკვიდრობენ *მელიქიშვილები, მუხტაროღლები*. *მუხტაროღლებიც* *ხებადან* მიგრირებულან. ძირითადად ცხოვრობენ *სინოპის* სოფელ *ადანაშო*.

სოფელ *ლალას* მაჰალე *თაუჩიში* მოსახლე *ადულოღლები* ნაჯვიადან გადმოსახლებულან. სოფელ *იაქაბში* *მალაყმაძეები* დიდი რაოდენობით მკვიდრობენ. მოსული არიან მაჭახლიდან. მალაყმაძეები *იუვალი ქოიშიც* ბევრნი არიან.

სინოპის სოფელ *დეირმენჯილის* მაჰალე *ინჯეშში* (*ერფელეკის* ილჩე) *ქლასკურის* ხეობიდან გადმოსახლებული *ბრეგვაძეები* მკვიდრობენ („დედედან გევიგნევით ეს გვარი“). *ბრეგვაძეების* წინაპრები სამი ძმა – გენჯოი, ქესკანაი და ქურუკა – წამოსულა. მიგრირებულების სახელებმა *ბრეგვაძეების* გვარში ახალ მამიშვილობებს/ლაღაბებს ჩაუყარეს საფუძველი. მთხრობელი ხაზგასმით აღნიშნავდა: „ჩვენი ლაქაფია გენჯაა. ამავე სოფელში დასტურდება აგრეთვე *ხაილოღლი, ჯელათოღლი*. ესენი უდავოდ ოსმალობის პერიოდში წარმოქმნილი ლაღაბებია. მთხრობელმა აღნიშნა, რომ „უწინდელი გვარები მაგათი არ ვიცით“.

კასტამონის ვილაეთში ქალაქ *ჩათაღხეთინში* ცხოვრობენ *ბარაქოღლები*, რომელიც სოფელ *ქოსელედანაა* გადმოსული. მთხრობელის გადმოცემით *ქოსელეში* მკვიდრობენ აგრეთვე *მამალოღლები* იგივე *მამლაძეები, ჰაითოღლები, გოროხოღლები (გოროხაძეები), პაწიოღლები (პაწიძეები), ეთიმოღლები, ალიბაირაზტაროღლები*.

ჩამოთვლილ ანთროპონიმებს იქაური ქართველები „ლაქაფებს“ უწოდებენ.

კასტამონის ვილაეთის სოფელ *ჰამიდიეში* (მაჰალე – *მეიდან-ჩიკი*) სულ ქართველები ცხოვრობენ. „აქ სულ გურჯები ვართ. ჩვენ ვართ *ესქერიენთი, ავჯიენთი, ჰურიენთი, მამადიენთი, ყასლიენთი, ზოჰრეთი, ზრობეთი*“. ამ მეგვიდრეობითი სახელების სუფიქსი *-ენთი* პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ მუჰაჯირები იმერხევიდან არიან მოსული. ეს სუფიქსი იმერხევეში გვარების მაწარმოებელი ყველაზე გავრცელებული სუფიქსია.

ერფელეკის რაიონის სოფელ *აფთურამანფაშაში* (მაჰალე: *ათაბაა*) ქლასკურელი მუჰაჯირების შთამომავლები მკვიდრობენ: *კუკულოღლი/კუკულაძე* („ჩვენ *კუკულაძე* ვართ, *კუკულეები*. ესენი ლაქაფია“), *ჩავდროღლი, ჭიათოღლი, დოდოროღლი, ოდიშოღლი*. დიდი დაკვირვება არ სჭირდება იმას, რომ ამ ოღლებით ნაწარმოები გვარები ოსმალობამდეა შექმნილი; *კუკულაძე კუკულოღლად* იქცა, *ჭიათაძე – ჭიათოღლად, გოდორაძე – გოდოროღლად, ოდიშელიძე – ოდიშოღლად*. იმავე რაიონის სოფელ *დეირმენჯიღში დეიკიძეები* ცხოვრობენ. *დეიკიძის* გვარის მატარებელი აღნიშნავს, რომ „აქ ლაღაბი გვაქვს *ემილოღლი*“. ეს ერთ-ერთი იშვიათი შემთხვევაა, როდესაც ქართველ მუჰაჯირებს გვარიც ახსოვთ და ლაღაბიც (გვარის მეტსახელი თუ მამიშვილობა) აქვთ. აქვე ცხოვრობენ აგრეთვე *ძელაბიძეები* და *აზნაურიძეები*. სოფელ *ვეისელში ბოლქვაძეები* ცხოვრობენ.

საფანჯაში მკვიდრობენ: *ასანიძე, ნადირაძე, ასმანიძე*. მიუთითებენ, რომ ამ სამ გვარს საერთო წარმომავლობა აქვს და ისინი *ხებადან* გადმოსახლებულან. ამავე სოფელის მკვიდრი *ჭროლაშვილები* 1828 წელს სამცხედან მუჰაჯირად წამოსულთა შთამომავლები არიან. *ჭროლაშვილებს* ლაღაბიც ჰქონიათ – *ჩაქიროღლი*. აქვე არიან *კახაბერიძეები* სოფელ *კახაბერიდან, გორგოშაძეები – მარადიდიდან*. ამ უკანასკნელთ ლაღაბიც – *სარდალ-ოღლი* – გააჩნიათ. *საფანჯაში* არის სხვა ლაღაბებიც: *ფარტალ-ოღლი* და *ჯებეჯი-ოღლი*.

სინოპის სოფელ *სინეჯანში* (მაჰალე *ქითაბსის ქოი*) *წიგნაძეები* ცხოვრობენ. მიგრილებული არიან *ხებადანი*. სოფლიდან *წიგნაძეები* ფართოდ არიან განსახლებული თურქეთის ქალაქებში, გან-

საკულებით *სტამბოლში*. წიგნაძეებს დაკრძალვის ქართული ტრადიცია შეუნარჩუნებიათ, მათ სასაფლაო ცალკე აქვთ მოწყობილი. იმავე სოფელში *ვოდორაძე/ვოდორაშვილები*ც მკვიდრობენ. სხვათა შორის, *თავაძეებსა* და *ვოდორაძეებს* შორის მესისხლეობა ყოფილა, რაც მათ ხებადან გადმოყოლიათ. ხებადან (უბანი – *გორგავი*) წამოსულან მუჰაჯირად *კავაზოლები*, რომლებიც ქალაქ *თოკათში* არიან დასახლებული. მთხრობელის *ოჰან ალბაირაქის* (51 წლის) თქმით, „ჩემი ხისიმები ბათუმს არიან *ნაკაშიძეები*“. გორგავში *ლომინოლებსა* (*ლომინაძე*) და *ტალახაძეებსაც* უცხოვრობიათ.

კასტამონის ვილაეთის სოფელ *ჰამიდეთში* *ომერიძეები* სახლობენ. მიგრირებულან ბორჩხის სოფელ *ადავულიდან*.

ვირესუნის ვილაეთის *ბულანჯახანის* რაიონში აჭარიდან მუჰაჯირად მოსული *ბერიძეები* ცხოვრობენ. ამავე სოფელში არიან *ჭუმბურ-ოღლები* (იგივე *ჭუმბურიძე*), *ოღაბაშ-ოღლები*, *გეჩი-ოღლები*, *ჰარმან-ოღლები*.

სინოპის ერფელეკის რაიონის სოფელ *იენიჩამში* *ჭკვიანიშვილები* ცხოვრობენ. ეთნოგრაფიული მონაცემებით, ამ გვარის წარმომადგენლები ეხლაც ცხოვრობენ *ქლასკურის* ხეობაში. იენიჩამში შემდეგ ლაღაბებს ასახელებენ: *თალიბოღლი*, *იაილოღლი*, *ყირათოღლი*, *იზლოღლი*...

სამსუნის ვილაეთის *ჩარშანბას* რაიონის სოფელ *ქესთანაფინარში* დასტურდება გვარები: *უსტიოღლუ* (*უსტიაშვილი*), *მელოღლი*, *შირინოღლი*, *აბდიოღლუ*, *სალიხოღლუ*, *დემრაოღლი*, *თათუნოღლი*, *სემიზოღლი*, *უზბაშოღლი*, *ქოსოღლი*, *სოფუოღლი*, *ჩელოღლი*.

სტამბოლის ბეიკოზის უბანში 34 წლის ახალგაზრდა *ჯემილი იუმსელნი* აღნიშნავს: „*ნაკაშიძე*, *ჰაპიშვილი*, *ზამზოღლი* ერთი გვარები ვართ. ერთი მხარე იცის *ნაკაშიძე*, მეორემ იცის – *ჰაპიშვილი*. ბებია *მოლოღლი იყო*“. სოფელ *დეფორანში* თხუთმეტ გვარს ასახელებენ, მათ შორის, *ველიოღლის*, *გინოღლის*, *ჭოკიოღლის*, *თოფალოღლის*, *ელიბოღლის*, *კობალოღლის*, *თორანოღლის*, *ჰაპიოღლის*... ძნელი არაა თურქული სუფიქსით გაფორმებულ მემკვიდრეობით სახელებში ქართული ძირები რომ ამოვიკითხოთ: *ჭოკიოღლი* უდავოდ *ჭოკიძე* იყო, *ელიბოღლი* – *ელიბოძე*, *კობალოღლი* – *კობალაძე*, *ჰაპიოღლი* – *ჰაპიძე*... ველიოღლების ძველი ქართუ-

ლი გვარი დავითაძე ყოფილა. თოკათის რაიონის სოფელ ერბააში ეთნიკური ქართველები ცხოვრობენ. სოფელში მიუთითებენ *ქავთარაძეების, ზაჯიშვილებისა და ბოლქვაძეების* გვარებზე.

სინოპელი *ქაძილ ოლეგუნი* აღნიშნავს, რომ მისი „ქრისტიანის დროის გვარი იყო *თავადიძე*. მუსლიმობისას გავხდით *თავბადიშვილი*. გურიიდან წამოვსულვართ. ჩემი მამა ხშირად *ქობულეთზე* საუბრობდა“.

სტამბოლში მცხოვრები მურღულელის მითითებით მისი ქართული გვარია *გრძელოსმანიშვილი*. უდავოა ეს გვარი მურღულში ოსმალების გაბატონების შემდეგ უნდა წარმოქმნილიყო. *იუფ უზუნ-გრძელოსმანიშვილის* დედის გვარი კი *როინ-ოღლი (როინიძე)* ყოფილა. ეს გვარი კი დევსქელის ხეობიდანაა.

შავიზღვისპირეთის მუჰაჯირ ქართველებში შემორჩენილია მეტსახელები და ეს მეტსახელები უმეტესწილად ქართული გახლავთ. მამაკაცს, რომელსაც ჰასანი რქმევია, ზედმეტი სახელი *დედულაი* ჰქონდა. ერთ-ერთი მთხრობლის თქმით: „ჩემი დედის სახელი იყო *ბათუმელა*. სოფელში ასე ეძახდნენ. ოფიციალური სახელი კი ფატმა ერქვა“. სოფელ ლალაში ერთ-ერთი ქალის მეტსახელი იყო *შუბნელაი*: „სოფელ შაუბნიდან იყო გათხივილი და იმიტომ“. ბატონ *ტუფან ლომინაძის* დიდ ბებიას კი *თუთია* ერქვა. ტოპონიმიდან ნაწარმოები ქალის სახელები, რომლებიც -ელა სუფიქსით ბოლოვდებოდა საქართველოს სხვა მხარეებისათვისაც იყო დამახასიათებელი. ასეთ სახელებს განსაკუთრებით გათხოვილი ქალები ატარებდნენ. აგრეთვე, ამკარაა, რომ ქართული სახელები მხოლოდ მეტსახელის სახით იყო შემორჩენილი.

სანათესაო წრის აღმნიშვნელ ტერმინად გვხვდება „ლალაბიც“. ეს ტერმინი ძალიან გავრცელებულია მარმარილოს ზღვის რეგიონში. „ლალაბი“ ზოგჯერ ტერმინ გვარს ენაცვლება, უმეტეს შემთხვევაში კი გვარის დანაყოფის აღმნიშვნელი ტერმინია ან გვარის გაქრობის შემდეგ მუსლიმობის მიღების შემდეგ წარმოქმნილი ახალი სანათესაო გაერთიანების აღმნიშვნელი ტერმინი. ამ ლალაბების უმრავლესობა ქართველმა მუსლიმებმა ახალ საცხოვრისში თან წაიღეს, არ დაკარგეს. ეს იმ დროს, როდესაც თურქებს არავითარი მემკვიდრეობითი სახელი არ ჰქონიათ. თუმცა მუჰაჯირი ქართველების ნაწილმა გადმოცემით იცის თავისი წინაპრების ქართუ-

ლი გვარი. ქართულ სოფლებში დაფიქსირებული ეს გვარები ზემოთ დასახელებული გვქონდა. ის კი არა, ზოგიერთ ასეთ გვარში შემორჩენილია გადმოცემა აღრინდელი გვარის შესახებ. მაგალითად, *ბეჟანიძეებში* დაცული გადმოცემით, მათი აღრინდელი გვარი იყო *დიასაძიძე*.

მუსლიმი ქართველების გვარები ხშირ შემთხვევაში თურქული -ოღლუთი იწარმოებოდა, რაც ქართული -ძე და -შვილი სუფიქსების თარგმანი იყო. ქართული სუფიქსების თურქულით ჩანაცვლება გადასახლებაზე მომხდარა. ხშირ შემთხვევაში კი -ოღლის წინ ქართული გამჭვირვალე ძირები იკითხება.

საყურადღებოა, რომ მუჰაჯირი ქართველების მეტყველებაში ძალიან ხშირად ქართულ სუფიქსს -ძე მრავლობითობის, კრებითობის აღმნიშვნელი -ებ სუფიქსი ენაცვლება. საამისო მაგალითები არაერთი გვაქვს მოხმობლი მარმარილოს ზღვის რეგიონიდან. შავიზღვისპირეთიდან კი „პატარაბიჭების“ მაგალითის დასახელებაც საკმარისია.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრებ ქართველების უმეტესობას მემკვიდრეობითი სახელები მუდმივად ჰქონდათ, მიუხედავად იმისა, რომ ოსმალურ სამყაროში ისინი არ არსებობდნენ. იმერხევსა და სხვა რეგიონებში გვარების საწარმოებლად ხალხურ მეტყველებაში გამოიყენებდნენ უძველეს ქართულ ფორმანტს -ეთ. ზოგჯერ ქართულ სუფიქსებს თურქული ენაცვლებოდა. მაგალითად, *ჭუმბურიძე* *ჭუმბურ-ოღლად* იქცა და ა. შ. ქართული გვარის თურქული ფორმით შეცვლის შემდეგ, ძველმა ქართულმა გვარმა თავი კი შეინარჩუნა, მაგრამ ის მეტსახელად ანუ ლაღაბად იქცა. აგრეთვე ქართველები, მაჰმადიანობის მიუხედავად, არა მხოლოდ გვარს, არამედ ეგზოგამიურობასაც ინარჩუნებდნენ, რაც მუსლიმ ქართველებში გვარის შენარჩუნების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იყო.

ქართველთა განსახლების არეალი მარმარილოს ზღვის რეგიონში

თურქეთის სახელმწიფოში ეთნიკური ქართველების კომპაქტური განსახლების ერთ-ერთი არეალია მარმარილოს ზღვის რეგიონი. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ცხოვრობენ ეთნიკური ქართველები *ბურსას, საქარიას, ქოჯაელის* ვილაიეთების სხვადასხვა ილჩებში/რაიონებში. მაგალითად, ბურსის პროვინციაში ინფორმატორები 70-მდე ქართულ სოფელს ასახელებენ. წარმოდგენილი მონაკვეთი სრულყოფილი ვერ იქნება, რადგან ის ეყრდნობა აღნიშნულ რეგიონში ეთნოგრაფიულ მასალების მოძიების ორკვირიან პერიოდს 2013 წლის აგვისტოს თვეში. მიუხედავად ამისა, გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის დასახელებული რეგიონის ქართულ მოსახლეობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველთა განსახლების არეალის შესახებ ფაქტობრივად სამეცნიერო ლიტერატურა არ გაგვაჩნია. ერთადერთი გამონაკლისი მხოლოდ *ინგა ლუტიძის* ახლახან გამოცემული ქართველების ენობრივი ვითარებისადმი მიძღვნილი მონოგრაფიაა¹³¹, რომელთანაც ერთად, როგორც შავშეთ-იმერხევში, კლარჯეთში-ნიგალში, ტაოს პარხლის ხეობაში, ისე მარმარილოს და შავი ზღვის რეგიონებში ვკრებდით მასალებს.

ბურსას ვილაიეთის ქართული სოფლები რაიონების მიხედვით შემდეგია:

ა) *ქესტელის* რაიონი: *სეიდაბადი, ორჰანიე* (გადმოსახლებული არიან ხატილას ხეობიდან), *ოსმანიე, საიფიე* (ორივე ამ სოფელში მოსული არიან მურღულის სოფლებიდან), *ალაჩაბი* (მურღულიდან მოსულები), *ბურჰანიე* (ამ სოფელში მაჰმადიანი მესხები ცხოვრობენ). მალხაზ ჩოხარაძეს სოფელი სეიდაბადი ქესთელის ილჩეს ქართული სოფლების ცხრილში შეყვანილი არა აქვს, რადგან როგორც აღნიშნავს, ამ სოფელში მელიოდან, ხოლიდან და ჭიმჭიმიდან გადმოსახლებულებმა ქართული ენა აღარ იციან, „თუმცა ქართველობის და ქართულის ხსოვნა ვერაც არსებობს“¹³².

¹³¹ ი. ლუტიძე. ქართველები თურქეთში, თბ., 2016.

¹³² მ. ჩოხარაძე. კლარჯე მუჰაჯირთა სოფლები. — კლარჯეთი, გვ. 255.

ბ) ბურსას ვილაიეთის *გემლიკის* რაიონის ქართული სოფლებია: *ჰამიდიე, ჰაიდარიე, ფეკზიე, ადლიე და შუქრიე*.

გ) *ოსმანგაზის* რაიონი: *ქაირაისლაჰი, სოულფინარი, სულეიმანე* (აქაც მესხები მკვიდრობენ). ამავე რაიონში ადრე ყოფილა კიდევ ერთი სოფელი — *სულთანი*. ჰესის აშენების გამო, სოფელი გაუქმდა. მთხრობელის სიტყვებით, „სულთანი იყო სოფელი, ჰესი გაკეთდა და ააყენეს. ქალაქში ჩავიდნენ“;

დ) *ორჰანლის* რაიონი: *აქჩაი* (მესხები). ისევე როგორც დანარჩენი ქართველები, სამცხიდან მაჰმადიანი მოსახლეობა აქ მუჰაჯირობის დროს მოსულა;

ე) *ქემალფაშას* რაიონი: *ქარაფინარი, ქომურჯუქადი*;

ვ) *ქარაჯაბეის* რაიონი: *ბოლაზქოი; ინეგოლის* რაიონში ეთნიკურ ქართველთა 18 სოფელია. იალოვას ვილაიეთის *გოქჩედერეს* რაიონში „მთელი ქართველები და ლაზები არიან“.

საქარიას პროვინციაში ქართველები მკვიდრობენ *ჰენდეკის, საფანჯას, გეივეს, ქოჯაალის, აქიაზის, ქარაფურჩეჩის, ქარასუს* და *საქარიას* რაიონებში. ყველაზე მეტი ქართველი *ჰენდეკისა* და *საფანჯას* რაიონებში ცხოვრობს — ჰენდეკში ოცამდე ქართულ სოფელს ითვლიან, საფანჯაში — თხუთმეტს; პირველი მათგანის ქართული სოფლებია: *ბალიქლიიჰსანიე, ბიჩქიატეი, გულდობი, გუნდოლანი, ესენტეფე, თექერლექსულეიმანიე, იქრამიე, კარაჩოკეი, კიზანლიკი, მურადიე, ნუზჰეთიე, ნურიე, სერვეთიე, შეკვეთიე, ჰამითლი, ჰიჯარიე, ჰუსეინშეიხი*. ეს ჩამონათვალი *მალხაზ ჩოხარაძეს* მონაცემებით შეიძლება შევავსოთ: *იეშილვადი, იქბალიე, ლუთფიე-ქოშეი, სულეიმანიე, ფინარლი, ქარვალითენიქოი, ქიზანლიქი* (მის ცხრილში არაა *კარაჩოკეი, კიზანლიკი* და *ნუზჰეთიე*)¹³³. აქვე ლაზების სოფლებიცაა (*კაფანჯიკი* და *აკოვა*).

დღეს ჰენდეკელ ქართველთა უმეტესობა ქალაქებშია გადასახლებული. სოფლები მოხუცების ამარაა. ეთნოგრაფიული მონაცემებით, ჰენდეკში ქართველები ძირითადად მთიანი აჭარადან, *ხულადან* მიგრირებულან — ესენი იყვნენ მუჰაჯირები, რომელთა აჭარადან აყრა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრებისთანავე მოხდა. გარდა ამისა, *ჰენდეკში მურღულის* ხეობიდანაც

¹³³ მ. ჩოხარაძე. კლარჯ მუჰაჯირთა სოფლები. — კლარჯეთი, გვ. 259.

მოსულან მუჰაჯირი ქართველები. როგორც ირკვევა, მურღულიდან მიგრირებულებს თან თავიანთი სოფლების სახელებიც მოუტანიათ: ავანა, ტრაპენი, ორჯი. აჭარიდან მიგრირაციის დამადასტურებელია სოფლის სახელწოდება ჩაქვი, ხოლო კლარჯეთიდან – სოფელი ხატილა. ამ სოფლებშიც დღეს ისეთივე დემოგრაფიული ვითარებაა, როგორც ჰენდეკში. მათი მკვიდრნიც ძირითადად დიდ ქალაქებში არიან საცხოვრებლად წასული, თუმცა სოფელს არ კარგავენ და „მოდან თხილის ალების დროს“. ამ სოფლების მკვიდრებს შექმნილი აქვთ „ბათუმის მუჰაჯირების სათვისტომო“. ერთ-ერთმა ინფორმატორმა თავისი წინაპრების თავდაპირველ საცხოვრისად ჩურუქ-სუ, ე. ი. ქობულეთი დაასახელა.

სოფელ ლუთფიექოშქში მოპოვებული ეთნოგრაფიული მონაცემებით, „ჩვენი დიდვანები მოვიდნენ ბათუმიდან – ოთხი ოჯახი, ართვინიდან. გადმოცემით, ბათუმიდან და ართვინიდან ტრაპიზონამდე და სამსონამდე ფეხით მოსულან. სოფელ ლუთფიე კოშქშიც ძირითადად დიდვანები არიან დარჩენილნი. „უწინ ერთ სახლში თუ 9-10 კაცი იყო, დღეს მხოლოდ 3-4 კაცია“.

ირკვევა, რომ მუჰაჯირი ქართველები საცხოვრებელ ადგილად ეძებდნენ ანალოგიურ ლანდშაფტს, ისეთსავე როგორც საქართველოში – განსახლების თავდაპირველ არეალში (აჭარაში, ქობულეთში, შავშეთ-იმერხეში, კლარჯეთ-ლიგანში) ჰქონდათ. მათი სოფლები უპირატესად მთიან ადგილებშია გაშენებული. უმეტეს შემთხვევაში მათ სოფლის გასაშენებლად ტყის გაკაფვა უხდებოდათ. მიგრაცია ერთდროული აქტი არ იყო. ისტორიული სამხრეთ საქართველოდან მაჰმადიან ქართველთა გადასახლება შემდეგაც გრძელდებოდა. სოფელ ლუთფიექოშქში მცხოვრები ერთ-ერთი მთხრობელის აღნიშვნით, რუსისა და ალემანიის ომის დროსაც მოსულან აჭარიდან: „საზღვარი ჩაკეტილი იყო, მაგრამ ჭოროხიდან გადმოცურდებოდნენ“. „აქ ქართლაც არის სოფელი (ქართლა ჭოროხის ხეობის მარცხენა მხარეს, კლარჯეთშია – რ. თ.), ახლა ბიჩკათი ჰქვია. არხვაცაა (არხვა მურღულის ხეობაშია – რ. თ.), ახლა სერვეთიე ჰქვია. ავანა არხვას ახლოსაა. შეცვლილი სახელია იქბალიე. ხატილა არის ორითანა. ზემო ხატილას ახლა გუნდოვანი დაარქვეს“. სოფელ ლუთფიექოშქიდან სოფელ ქართლამდე 15 კილომეტრს მიუთითებენ. „ჰენდეკში გურჯი მაჰალე ორია. 100

ოჯახი იქნება. 13 უბანია ჰენდეკში და სამ უბანში ქართველები ცხოვრობენ. 1878 წელს ზოგი პირდაპირ ჰენდეკის ცენტრში დასახლდა. მუჰაჯირები ჯერ *იზმითში* ჩასულან და შემდეგ იქაურ გამგეობას დაუფანტია. რუსებსა და ოსმალებს შორის შეთანხმება იყო, ან წაიყვანეთ, ან ჩვენ გავაგდებთო. ან ესენი წაიყვანეთ, ან სტამბოლში შემოვალთო“.

საქარიაში ქართველები ცხოვრობენ ქალაქ *ქარასუსა* და მის რაიონშიც. ქარასუს ერთი უბანი მთლიანად ქართველებითაა დასახლებული. მათი მუჰაჯირი წინაპრები *ქარასუსში* აჭარიდან – თანამედროვე *ხელვაჩაურის* რაიონის სოფელ *გვარადან*, აგრეთვე *ქედქე-დიდან*, *ურენიდან* მიგრირებულან. ქარასუს *აზიზიეს* უბანში (ქუჩაზე) 5 ათასამდე ქართველი ცხოვრობს. „რუსების შეგვემინდა და ამიტომ წამოვიდნენ ჩვენი დედები. აქედან ბევრი მიტრიალებულა ქედქედში“. *ქარასუსში* მოსვლამდე ამ ქალაქის მუჰაჯირები ჯერ *სამსუნში* მისულან, შემდეგ – *ხენდეკში* და *ხენდეკიდან* აქ „წყალი და ტყე უძებნიათ და სადაც დაუნახიათ წყალი და ტყე იქ დასახლებულან. *ქოჯაალის* რაიონში კიდევ ოთხი ქართული სოფელია. სამი წელიწადი მოუნდნენ აქ მოსვლას. რუსებს გამოექცნენ. სროლები რომ იყო, შეეშინდათ და გამოიქცნენ. ერთი უფროსი კაცი ყოფილა, რომელიც თავის ხალხს ეუბნებოდა, არ წახვიდეთო და ამის გამო, ის რუსებს დაუჭერთათ“.

ქართული სოფელია *მელენებირი* (ქოჯაალის რაიონი) შავი ზღვის სანაპიროზე. სოფლიდან სტამბოლამდე 200 კილომეტრია. ამ სოფელში მაცხოვრებელნი მუჰაჯირად არიან მოსული *ქვემო მაჭახლიდან*. ასახელებენ სოფლებს: *სიმონეთს*, *თხილნარას*, *მირეთს...* ქართველთა რაოდენობას 250 კომლამდე ითვლიან. ეს სოფელიც ახალგაზრდებისაგან, ფაქტობრივად, დაცლილია. მთხრობლის თქმით, „დედე და ორი ძმა მოსულა. ჩემი დედე მაშინ 4 წლის იყო. აქაური აინი მოწონებით, ჩვენს სოფელს ჰგავსო. აქ თურქები ყოფილან, ისინი, თურქები გოუდევნიათ“.

ქოჯაალის რაიონის ქართული სოფლებია კიდევ *დემირაჩმა*, *ბეზირვანი*, *გოქლუქი* და *გურჯიქი* (იგივე *ქოიერი*). დემირაჩმელი ინფორმატორი მიუთითებს, რომ მისი წინაპრები აქ აჭარიდან, *მირვეთიდან* ჩამოსულან. მიგრირებულები არიან *მარადიდიდანაც*. „ათი წლით ადრე მოსულან აბაზები. აბაზებს დაუნახვებიათ ტერი-

ტორია, აქ დავექითო“. „ჩვენ თავზე ვიტყოდით, მუჰაჯირი ვართო. ამ სოფლიდან ვინც ადგება და სხვაგან წავა, მუჰაჯირია. დემირამელი ქართველებიც ქალაქებში არიან საცხოვრებლად გასული: „მე იზმითს ვზივარ და ესლა თხილისათვის მოველ, იქ ვსაქმობ.“

გურჯაქოი არაოფიციალური სახელია. ადრე ამ სოფელში ბერძნებს უცხოვრიათ. მთხრობელის თქმით, „ადრე რუმები ცხოვრობდნენ. რუმები ათათურქმა ააყენა და მერე გურჯები მოვიდნენ“. სამსუნშიც უცხოვრიათ ჩვენს დედებს, ზოგი იქ დარჩენილა *სამსუნს*, *სინოპს*. ინფორმატორის მიერ მოწოდებული მასალით, მათი წინაპრების სოფელს საქართველოში *სხალაძეები* ჰქვიათ. ამ სოფლიდან 35 კომლი მოსულა. „გიაურს გამოურეკია, მუსლიმები წამოსულან. რუსებს გურჯები ზღვაში ჩაუყრია. რუსებს ჩვალები (ტომრები) ჩაუცმევით და ისე გამოუშვიათ“.

ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ *არიფეას* რაიონშიც. მათი ერთ-ერთი სოფელი *იენიქოის* (იგივე *ყიჩლაჩაი*) სახელს ატარებს. იენიქოელები გადმოსახლებულან *ხებადან* (*ზედუბანი*), *შუბანიდან*, *კინჩხეთიდან*, *კატაფხიდან*, *კაბანიდან*. მდინარე საქარიისთვის მუჰაჯირ ქართველებს *ჭორუხი* დაურქმევით: „წყალისფერი რომ ერთია დაურქმევიათ ჭორუხი“. *იენიქოიში* დღეს 150 კომლი ცხოვრობს. „ზაფხულში დასაჯდომელ ადგილს ვერ ნახავ. წავლენ ადაბაზარში. 150 ოჯახია და 150 პენსიაზე გამოსული ხალხია. აქ ათი წლით ადრე ყოფილან აბაზები/აფხაზები. ქართველებს აფხაზებისათვის ფული მიუციათ და ისინი ქალაქ *დუზჯეში* გაუშვიათ“. ქართველი მუჰაჯირები გადმოსახლების შემდეგ მიზეზს ასახელებენ: „ბათუმიდან აქ წამოსულან რუსეთთან ომის გამო. ბევრი მუსლიმანობა ხელში ჰქონებია, ისინი გამოქცეულან. დანარჩენები დარჩენილან. მუსლიმანობა დაიკარგებაო და წამოვიდნენ. ამ სოფელში ბევრია და გარეთაც არიან. ააქ მოვიდნენ 60 ოჯახი. აახლა ასი და ნახევარი გავხდით. ბევრი დიდ ქალაქებში არიან. სხვა სოფლებშიც არიან. აქ ჩერქეზებიც არიან. მეზობელ ჩერქეზულ სოფელ ჩინარდიბში 15 ოჯახი ქართველიც ცხოვრობს. აფხაზის სოფელში 20 ოჯახია ქართველი. აქურობაში სულ ხუთი ქართველი სოფელია. 200 [კომლი] *ყარაჩამშა*, ჭოროხის გაღმა. *ბიჩხი დერეს* ვეტყვით, იქაც არიან. იმაზე ახლოს *სარაის* ვეტყვით, აქ 60 არის. *დოვანჩაიში* არიან ჰასანოღლები. ესენიც მარადილიდან, ზედობნიდან არიან მოსული“.

ამავე ინფორმატორის თქმით, ქართველები ცხოვრობენ აგრეთვე სოფელ *ილიმბეგში*, ხოლო *საფანჯაში* ისინი ჭანებთან ერთად ცხოვრობენ. „საქარიას პროვინციაში 200 ათასი ქართველია. ჭანები და ქართველები ერთად მოვიდნენ, 140 წლის წინ მოვიდნენ. ჭანებიც რუსებს გამოექცნენ ბორჩხიდან. ზამთარში მარტო ბერები რჩებიან. 70 ოჯახი არის ზამთარში, ზაფხულში 150 ოჯახი. ახალგაზრდები კითხულობენ და საქმობენ“. იენიქოელი მთხრობელები ხაზს უსვამენ, რომ მათ სოფელში მხოლოდ ქართველები ცხოვრობენ და ისინი აქ სხვებს არ უშვებენ.

შემდეგი სოფელი, რომელშიც მუშაობის საშუალება მოგვეცა, ესაა *აქნაი*. თავდაპირველად ამ სოფელში ჩერქეზებს უცხოვრიათ. მთხრობლის *მულასინ პილიჩის* წინაპრები *აქნაიში მარადიდ*იდან მოსულან. სოფელში დღეს 230 სახლი დგას და უმეტესობა (150 კომლი) ქართველია, „დანარჩენი 80 სხვადასხვაა (აფხაზები, ჩერქეზები, ჭანები). ცოტა მოსულან და მერე დაშენებული არიან. რუსეთთან რომ ომი იქნა, მაშინ წამოსულან. *იზმითს* იქითაც არიან ჩვენები. ზემოთ კაპანზე დამჯდარან, ვაკეში არ დამჯდარან. იქ გაჩვეულნი ყოფილან ზედან. როგორც მარადიდში იყვნენ, აქაც ისე დამჯდარან. ჩვენები ამასაც ჭოროხს ეტყვიან“.

როგორც აღვნიშნეთ, ქართველები ცხოვრობენ საქარიას პროვინციის *საფანჯას* ილჩეშიც. საფანჯის ცენტრში ისინი *იენი მაპალეში*, *ჯამი ჯელითის მაპალესა* და *ქირქეინარში* მკვიდრობენ. რაიონში კი ოთხი ქართული სოფელია: *გულდიბი*, *ერდეძლი*, *მაპმუდიე* და *მურადიე*. *მალხაზ ჩოხარიძეს* ამ რაიონის ქართულ სოფელთა ცხრილში კიდევ დასახელებული აქვს: *აქნაი*, *იანიქი*, *ქალიფინარი*.¹³⁴ *მაპმუდიეში* მუჰაჯირი ქართველები მარადიდ-ბათუმიდან მიგრირებულან. მურადიეს მეზობლი ქართულია სოფელი *გულდიბიც*. ამ უკანასკნელ სოფელში 250 კომლი ქართველი ცხოვრობს: „მთელი გურჯები ვართ, 250 სახლი. **რუსი რომ შამოვიდა, ჩვენები აქეთ წამოსულან კირნათიდან და კობალეთიდან, კახაბერიდან. რუსის ასკერებს ჩვენს დედების ქალებზე გონჯი თვალით შეუხედავთ. ჩვენები სიბირიაში წაუყვანიათ.** ტყე იყო აქაურობა და ტყეში დასხდომილან. სოფელ *გულდიბს* სხვა სოფლების ბედი არ გა-

¹³⁴ მ. ჩოხარაძე. კლარჯ მუჰაჯირთა სოფლები. — კლარჯეთი, გვ. 260.

უზიარებია და არ დაცლილა მოსახლეობისაგან, რადგან ის ქალაქთან ახლოსაა. „ქალაქი ახლოსაა, ფაბრიკებია, საქმობენ და მერე სახლში მოდიან“.

გვივეს ილჩეში ქართული სოფელია *ნურუოსმანიე* (200 კომლი). აქ მარადიდიდან მოსულები ბინადრობენ. მ. ჩოხარაძე ამ რაიონის კიდევ ოთხ სოფელს ასახელებს: *დოღანჩაი* (10 კომლი) და *ილეშბეი* (100 კომლი), *ქარაჩაბი* (100 კომლი) და *შერიფეი* (60 კომლი).

ქართველები მკვიდრობენ *საქარიას* ვილაიეთის *აქიაზის* რაიონის სოფელ *რეშადიეში*. რეშადიელი მოხრობელის სიტყვით, სოფელი 1877 წელსაა დარსებული. „ბათუმიდან წამოვედი. სოფელი არ ვიცით. ჩემს დედეს დაბადების პასპორტში ბათუმი ეწერა. წყლის ძებნაში მიაგნეს ამ ადგილს. წყარო უნახავთ და იქ დამდგარან“. სოფელი მთელი ხალხი ქართულია. 150 ოჯახია ქართველი“. ირკვევა, რომ აჭარიდან წამოსულები ჯერ *მურღულის* ხეობაში მისულან და შემდეგ – მარმარილოს ზღვის რეგიონში. ზოგიერთი აჭარიდან აყრილი ჯერ *ხატილას წყალზე* დამკვიდრებულა, მაგრამ რუსების სამხრეთისაკენ სვლას ქართველ მაჰმადიანთა ხატილა-მურღულიდან აყრაც მოჰყოლია. აქვე სოფელ *შერიფეიში* მკვიდრი ქართველები (250 ოჯახი) კი *იმერხევიდან* მოსვლას ამბობენ. ამ სოფლებში დამკვიდრებამდე მუჰაჯირებს კარგა ხანი უხეტიალიათ და 8-9 წლის შემდეგ უპოვიათ სასურველი ადგილი. *რეშადიე* მუჰაჯირთა მოსვლისას ტყიანი ადგილი ყოფილა. როგორც აღნიშნავენ, იმ დროს მოსული ქართველების რაოდენობა მხოლოდ შვიდი ოჯახი ყოფილა. „შვიდი ოჯახიდან 150 ოჯახი გამხდარა“. რეშადიეში ქართველების რაოდენობა მეორე მსოფლიო ომის დროს 20 კომლით გაზრდილა. *ხატილას* ხეობიდან მიგრირებული ქართველების ერთი სოფელი არის *ბურსას* ვილაიეთში – *ორჰანიე* („ქალაქის სოფელია“). გარდა ამისა, *ხატილადან* მოსულები ცხოვრობენ აგრეთვე *იმანიესა* და *იქრამიეში*. ორივე ეს სოფელი *ჭენდეკს* მიეკუთვნება. „ჩემი ბაბუა იტყოდა: ხატილაში 300 ოჯახი ყოფილა. აქ ხუთი სოფელი გამხდარა ხატილიდან მოსული ხალხი“. *ხატილელების* აყრის მიზეზი *ერმენლები (სომხები)* ყოფილან: „იქიდან სომხები მოსულან. სოფელში 2-3 ბერი მუკლავთ. დამეში ყელები დაუჭრიათ. ეს 1860-იან წლებში მომხარა.

ძროხები წაუყვანიათ. ამაზე აღრე ყოფილა ეს ამბავი. ერმენლები სხვა სოფლებშიც იგივეს აკეთებდნენ. ახალგაზრდები ომში ყოფილან და იმიტომ მოერივნენ“. *რეზალიეში* ქართველთა ერთი ნაწილი რუსეთ-ალემანიის ომის დროსაც მიგრირებულა (40 ოჯახი).

ეთნიკური ქართველებითაა დასახლებული სოფელი *აჰმედოე*. აჰმედოელი ქართველები ჯერ *ადაბაზარში* დასახლებულან, იქიდან კი აქ გადმოსულან. „ამოსულან აქა ამ სოფელში, კაი მიწა ყოფილა. დასასვენებელი ალაგი ეს უნახავთ. მაშინ ადაბაზარი სოფელი ყოფილა. მიუციათ აქაურობა, დაჯექითო. ჩემი დედე შუახევიდან წამოსულა, ბათუმის მხრიდან. *ართვინს შავშეთს* ვეტყვით. მოკრეფილი არიან აქ სხვადასხვა სოფლები. *ტომაშეთს* იტყოდნენ, *კობალთა, დაჩიეთი...* იტყოდნენ ამ სოფლებიდან ვართო. ზოგი *ინეგოლ* არ დაჯდა. ახლა 60 სახლია. ბევრი გურჯია, გაერივნენ. ჩხუბზე აღრე წამოვიდნენ, როცა ბათუმი თურქეთის ხელში იყო. აქ რომ მოსულან ჩვენები, მაშინ რუმები ყოფილან. ათათურქმა გაწყვიტა ისინი. იონიაში გაიქცნენ. რუმებმა თურქული იცოდნენ. მათი ძველი ქვეყანა აქაურობა იყო და გაყარ-გამოყარეს. ჯერ *დემირანმაში* დამჯდარან, მერე აქ. ბათუმიდან გემით მოსულან. ეს სოფელი *აქიაზის* რაიონს ეკუთვნის – *რეზალიე, შერაფიე. ქურუჯეკეში* ნახევარი ჩვენები არიან“. ამ მთხრობელთან შემოსულმა მეზობელმა აღნიშნა, რომ მათი წინაპარი *ქუთაურიდან* (შუახევის რაიონი) გამოსულა.

ქართველები ცხოვრობენ საქარიას ვილაიეთის *ქარაფურჩეყის* რაიონის სოფლებში *მეჯიდიე* და *ყანლიჩაი*. *მეჯიდიე* საკმაოდ დიდი სოფელია, ის მთლიანად ქართველებითაა დასახლებული. მეჯიდიელთა მუჰაჯირი წინაპრები შუახევისა და ხულოს რაიონების სოფლებიდან არიან მიგრირებული... ნაწილობრივ ქართველები ცხოვრობენ სოფელ *მესუდიეშიც*. ამასთანავე, ქარაფურჩეყისა და აქიაზის რაიონებში ბოლო 50 წლის განმავლობაში შავიზღვისპირა რაიონებიდან, განსაკუთრებით *ვირესუნის* პროვინციის *ბულანჯაკის* და *ფირაზიზის* სოფლებიდან ბევრი ქართველია მიგრირებული.

ბურსის პროვინციის *ინეგოლის* გარშემო 18 ქართული სოფელია; ეს სოფლებია: *ბახჩეკაი, გულბახჩე, ელმაჩაი, თუფეჩჩიყინალი, მურათბეი, სულპიე, ფევზიე, ყარაყადი, ჩაილიჯა, ჩიფთლიქი, ჰაირიე, ჰამიდიე, ჰასანფაშა, ჰილმიე...* ამ რაიონის ზოგიერთ სო-

ფელში ქართველები შერეულად სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებთან (აბაზები, ჩერქეზები, ბოსნიელები, პომაკები...) ერთად ცხოვრობენ: ბაჰარიე, ერიქლი, იენიჯი (ქართველები ყველაზე მეტნი – ას კომლამდე აქ ცხოვრობენ), ფინდიკლი, ქესთანე, ყარაჯაყაი, ჰაჯიყარა¹³⁵. ქალაქ ინეგოლსა და მის სოფლებში მცხოვრები ქართველები თავს ერთმანეთისაგან ერთგვარად განასხვავებენ იმის მიხედვით, თუ საიდან არიან აქ მათი წინაპრები მოსული: აჭარელი, ჩაქველი, მაჭახელი¹³⁶.

სოფელ *დერეჩაშში* 60 კომლი ცხოვრობს; ისინი *ჩაქვიდან* ყოფილან გადმოსახლებული. სოფელ *ჭეირიეში* ძირითადად *ქვემო მაჭახლელები* არიან დასახლებულნი. სოფელში ქართველთა 130 კომლს ითვლიან. *ინეგოლის* ერთ-ერთი ქართული სოფელია *ჰამიდიე* (ძველად გახელი). ქართველები აქ 50 კომლის რაოდენობით არიან. ამ სოფლის მკვიდრმა *აბდულა თათაროღლმა* წინაპარ მუჰაჯირთა აჭარიდან აყრის შესახებ წიგნი დაწერა. *აბდულა თათაროღლუს* დიდი ინტერესი გააჩნია ისტორიის მიმართ და წინაპართა გადმოცემულს ყველაფერს აფიქსირებდა: „ჩვენი დედიები, დიდვანები იქიდან მოვსულვართ. 1878 წელს ოსმალეთისა და თურქეთის ომის დროს აჭარის ხალხი ომში ჩხუბობდა ოსმალების მხარეზე. ჩვენ *ღორჯომის* სოფელ *მეკეიძეებიდან* ვართ, *ხულაზე* ახლოა. ყველაზე მეტნი *მეკეიძეებიდანაა* მოსული. აქაური ხალხი ბევრი უფრო *ღორჯომიდანაა*. სანამ აქ მოსულან ორ-სამ ადგილზე დამჯდარან. სოფლიდან პირველ მსოფლიო ომში ოსმალეთის მხარეზე 72 კაცი წასულა და მხოლოდ 4 დაბრუნებულა“. ირკვევა, რომ *ჭეირიეში* ფოცხოვიდან გადმოსახლებულებიც ცხოვრობენ: „ისინი ორი-სამი კომლი ყოფილან ფოცხოველები. ჩვენ ხალხს შეუცოდებიათ და მიუღიათ“. ფოცხოველები ამ ქართულ სოფელში 1910-1911 წლებში მოსულან. საერთოდ ფოცხოველები ქალაქ ინეგოლში მნიშვნელოვანი რაოდენობით არიან. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ რუსეთის იმპერიის მიერ შეერთებული ქართული მიწა-წყლიდან ოსმალეთის იმპერიაში ქართველთა მიგრაცია არ შეწყვეტილა. ცნობილია, რომ ფოცხოველებმა ქართული ენა აღარ

¹³⁵ შდრ.: ი. ლუტიძე. ქართველები თურქეთში, გვ. 213-214.

¹³⁶ ი. ლუტიძე. ქართველები თურქეთში, გვ. 216.

იცოდნენ. ინეგოლის რამდენიმე სოფელში დასახლების შემდეგ კი მათ ქართული ენა ისწავლეს¹³⁷.

ინეგოლში ერთ-ერთი ქართული სოფელია *სულჰიე/მეზითი*. ქართველებთან ერთად სოფელში ლაზები და აფხაზებიც ცხოვრობენ. ისინი ცალკე უბნებად არიან განსახლებული.

ქართულია სოფელი *ჰილმიე*. ჰილმიელი მთხრობელის თქმით, „უკვე მეშვიდე თაობა ჩნდება, რაც ბათუმიდან გამოქცეულან. მთხრობელის სიტყვით, მისი ბაბოი-დედები *ჩანჩხალოს* სოფლიდან მოსულან (*ჭვანას ხეობა*). მთხრობელის *ნიზამეთინ მაილის* წინაპრები თავდაპირველად *ვირესუნში* მისულან. შვიდ წელიწად ნახევარი ვირესუნში დარჩენილან. დედეს დიდი შვილი ვირესუნში შესრულებულა 20 წლის. დიდი ღარჭი ვირესუნში დარჩენილა. დანარჩენები კი ბურსას მოსულან და იაილებზე დამდგარან“.

ინეგოლის სოფელ *ჰასანფაშაში* (*საადეთ ქუი*) არა აჭარადან, არამედ იმერხევიდან გადმოსახლებული ქართველები არიან. მთხრობელის *მუსა შაჰინის* წინაპრები მოსული არიან იმერხევის სოფელ *ხოხლევიდან*. მათთვის ჰასან-ფაშას ვაკეში მიუცია ადგილი დასახლებლად. მაგრამ მიგრანტებს ადგილი არ მოსწონებიათ, „მთა არაა, წყალი არაა, სიცხეა და აქ ვერ ვიმუშავებთ. მთაში დაჯდომილან“. ამ ადგილას მაშინ მოვიდნენ, როდესაც 1877 წელს მუჰაჯირები დასახლდნენ. მუჰაჯირები შუახევის სოფელ *ჭალას სოფლიდან* მოსულან. მოსული არიან სოფელ *ქვეშიდანაც*. *ჭალას-სოფელში* სამი ძმა ყოფილანო, ორი ძმა მოსულა აქა, ერთი – საქართველოში დარჩენილა. აღნიშნულ სოფელში ქართველები 40 კომლის რაოდენობით იყვნენ. ახლა კი 30 კომლამდე არიან შემცირებული. ინეგოლის სოფელ *თუფექჩიყონაღში* სოფელ *ოლადაურადან* გადმოსახლებულები მკვიდრობენ. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ინეგოლში – ქართველთა განსახლების ამ მნიშვნელოვან რეგიონში თავს იყრიან იმერხევის სოფლებიდან გადმოსახლებული ქართველები. ერთ-ერთი მთხრობელის აღნიშვნით, იმერხევის სოფელ *ხოხლევიდან* მისი ოჯახი გადასახლებულა. მათ შემდეგ დანარჩენები მოყოლიან: „პირველად მხოლოდ ჩვენი ოჯახი წამოვიდა, მერე სხვებიც მოვიდნენ – *ინეგოლს, ბურსას, ანკარას*. ჩემი

¹³⁷ ი. ლუტიძე. ქართველები თურქეთში – ენობრივი ვითარება, გვ. 221.

ემის სიმაპრი *ბაჭერიეთიდან* მოვიდა. აქ მკვიდრობენ აგრეთვე იმერხევის სოფლებიდან *ჭვარებიდან, მანატბიდან, მაჩხატეთიდან...* მოსულები, რომელთა მიგრაცია ინეგოლის რეგიონში 50-55 წლის წინ დაიწყო. რა თქმა უნდა, XX საუკუნის მეორე ნახევარში იმერხევიდან მარმარილოს რეგიონში მიგრირებულები მუჰაჯირები არ არიან. იმერხეველთა მუჰაჯირ ქართველთა შორის დასახლების ეს ფაქტი სხვა კონტექსტშია განსახილველი – ქართველები ქართველებს შორის დასახლებას ანიჭებდნენ უპირატესობას.

ინეგოლის რეგიონში ქართული სოფლებია აგრეთვე *ოილათი* (სოფელი-კურორტი), *ბაღჩეკაია* და *მესრულიე*. ერთ-ერთი მთხრობელის სიტყვით, ისინი *ბაღჩეკაიაში მაწვეალთდან* არიან მოსული. იქვე მკვიდრობენ მუჰაჯირები *შუახევიდან, ხულოდან, დღვანადან, ნინიადან*. „ომი რომ გავარდნილა, ოსმალოს დროს იმაზე წამოსულან. რუსები წართმევდნენ მუსლიმობას. იმაზე შეეშინდათ და წამოვიდნენ. ჯერ *ინეგოლში* იყვნენ. მათი ბიძაშვილები *იზნიკში* დარჩენილან“. ამ სოფლებშიც ზამთრში მოსახლეობის რაოდენობა მცირდება. ზაფხულის 50 კომლი ზამთარში 25 კომლად იქცევა.

ბურსის ვილაიეთში შედის ქალაქი *გემლიქი*. გემლიქი მარმარილოს ზღვის სანაპიროზე მდებარეობს. ქართველები გემლიქის რაიონის რამდენიმე სოფელში ცხოვრობენ. ერთ-ერთი ასეთი სოფელია *ჰამიდიე*. ერთი ჰამიდიელი მთხრობელის ინფორმაციით, მისი წინაპრები ქედის რაიონის *ვაშლის სოფლიდან* არიან მოსული. *ჰამიდიეში* 80 სახლია და ყველა მათგანში ქართველები მკვიდრობენ. მთხრობელები წინაპრების გადმოსახლების თარიღად 1877 წელს ასახელებენ. დიდი ნაწილი ართვინის სოფელ *ადაგულიდან* (მურღულის ხეობა) არიან მოსული. მის წინაპარ მუჰაჯირს გემლიქის მაჰალე არ მოსწონებია. დედეს მთავრობის კაცისათვის უთქვამს, გემლიქში ბუხები არიანო. *ჰამიდიეს* ადგილას ტყე ყოფილა. ის უკან ართვინში დაბრუნებულა და ათი უსტა წამოუყვანია. მათ აქ 15-20 კომლის სახლები გაუკეთებიათ. ისინი ყოფილან *ხებადან, წითურეთიდან, ებრიკადან, ნაჯვიადან, ადაგულიდან, ყასიმეთიდან* (ყველაზე მეტნი არიან ადაგულიდან და ნაჯვიადან). ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა თითოეული სოფლიდან რამდენი კომლი იყო მოსული: *ხებადან* – 3 კომლი, *წითურეთიდან* – 4 კომლი, *ებრიკადან* – 3 კომლი, *ნაჯვიადან* (ნიგარადან) – 7 კომლი, *სამი-*

გოლოვ-სოფლიდან – 3 კომლი, ადაგულიდან – 17 კომლი, ყაზიმეთ სოფლიდან – 1 კომლი, არავეთ სოფლიდან – 3 კომლი, ბორჩხაიდან – 1 კომლი, ართვინიდან – 1 კომლი, აგრეთვე ზემო მაჭახელიდან. მაჭახლელები ცხოვრობენ აგრეთვე სოფელ ჰაიდარიეში (გემლიკის ზემოთ). გემლიკის რაიონში ქართველები ცხოვრობენ აგრეთვე ჰაირიესა და სელიმიეში. გემლიკში ჭანების სოფელია შუქრია. ჭანები ქართველებს „ჭოროხმელს“ უწოდებენ.

ქართველები მკვიდრობენ სოფელ ჰაიდარიეში. ეთნოგრაფიული მონაცემებით, სოფელში 120 („ასი და ოცი“) სახლია. ეს რაოდენობა შემცირებულია, რადგან მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი გემლიქსა და სხვა ქალაქებშია საცხოვრებლად წასული. ამ სოფლის მოსახლეობა მახინჯაურიდან, ჩაქვიდან, ჩაქვის თელიდან და მაჭახელიდან მოსულა. ჰაიდარიელი მთხრობელის სიყვით, „ართვინი ჩვენი ყოფილა უწინ. ბურსაში, იზმითში, იზნიკში, ინეგოლში, ადაბაზარში ვართ გურჯები. უფრო ბევრი იქნებოდა, მაგრამ ისტამბულსა და ბურსას წავიდნენ“. როგორც ირკვევა, მუჰაჯირად მოსულ ქართველებს ჰაიდარიედან „თათრები“ გაუღვევიათ. მუჰაჯირად წამოსვლის მიზეზად მუსლიმობას ასახელებენ: „მუსლიმი რომ ვიყავით, აქნა გამოვედით. ვინცხას ფული ჰქონებია, ის გამოქცეულა. ზოგი უკან წასულა. სოფელი ჰაირიე ართვინიდან გამოსულა. ასი მოსახლე წამოსულა ერთად. ახლა კი აქედან დარიგდნენ სტამბოლში, ბურსაში. ჩემი ბიძაშვილები მთელი სტამბოლშია“.

გემლიქის რაიონის სოფელ ჰაირიეში ლივანიდან/ლივანადან მოსული ქართველები ცხოვრობენ: „ჰაირიე, სელიმიე ლივანადან მოვსულვართ. ბორჩხას ყოფილა ჩვენი დედე სოფელ სენათისს“. აქ გარდა აღნიშნული სოფლისა მიგრირებულან აგრეთვე ადაგულიდან, ართვინიდან, ვალაშიდან, დევსქელიდან, სიკოთიდან, ახალდაბიდან. „რუსი მოსულა ოსმალნის და წამოსულან. მუსლიმანები აქეთ წამოსულან. გემლიქში დამდგარან. გემით მოსულან. აქაც არ ვიჯექით. ზევით სელიმიე და ჰაირიე ერთად იყვნენ ადგილ ობაზ“. ისევე როგორც სხვა სოფლების მკვიდრნი, ჰაირიელი და სელიმიელი ქართველების უმეტესობა დიდ ქალაქებშია გადასახლებული. „აქ ზამთარში 20 რჩება. მე ისტამბოლს ვარ, ეს ბურსასაა, სხვე-

ბი გემლიქში არიან“. სოფელ *ზანდანში* მაჭახელიდან მიგრირებულები ცხოვრობენ.

ბურსის ვილაიეთის იზნიკის/ნიკეას რაიონში რამდენიმე ქართული სოფელია: *ელმალი, სარისუ, სილიჯჰისარი, უზუნ ჩიარი, ფაშაპინარი, ქირინთი, ქურთლუჯა, ჩამლი ბოლაზი, ჯაჯიოსმანი*. ქართული სოფელია *ემალიე*. *ემალიე* ტიპური მთიანი აჭარის სოფელია. აქ მკვიდრობენ *ღორჯომიდან, ტაკიძეებიდან, აგარადან, ჭვანადან, აღმაჩიდან* მიგრირებული ქართველები. სოფელში 150 კომლი ცხოვრობს. „ახალგაზრდები წასული არიან. დიდგანები აქ ცხოვრობენ. „ბურსაში ერთი ქუჩაა. აქ სულ *ჩურუქსუდან* მოსული ხალხი ცხოვრობს. სოფელი ყოფილა და ქუჩად იქცა. ბურსის *ქესტელის* რაიონშიც არიან ქართველები. აქ *იზნიკის* რაიონში კი 6 ქართული სოფელია, 2 – მეგრელ-ლაზის, გემლიკს ლაზის 2 სოფელია. იზნიკის ქართული სოფლებია: *ელმალი, ჯანდარლი, ქირინთი, ქითლუჯა, ჰაჯი, ოსმანი, ჰისარდერე, მეჯიდიე* (ლაზი), *ელმაჩუქერი* (ლაზი)“.

ბევრი ეთნიკური ქართველი ცხოვრობს *ქოჯაელის* ვილაიეთის ქალაქ *ვოლჯუკა* და მის ილჩეში; ეს სოფლებია: *ესქიფერჰადიე, იენი ფერჰადიე, იჯადიე, ირშადიე, ლუთფიე, მამურიე, ნიმეთიე, ნუსრეთიე, სირეთიე, შევექეთიე, ჰასანიე, ჰამიდიე*. სხვებთან ერთად ცხოვრობენ ამავე რიონის სხვა სოფლებშიც: *აივაზპინარი, უშიე* (ორივე სოფელში ნახევარი ლაზები არიან), *აჰსანიე, მესრურიე* (აქ მხოლოდ ლაზები მკვიდრობენ). ჩამონათვალს *მალხაზ ჩოხარაძის* მიერ შედგენილი ცხრილიდან ემატება: *სელიმიე, სოფულარი, ფანაიერი...*

ჰამიდიე ქალაქ *იზმითის* მახლობლად მდებარეობს, რომელშიც 350 კომლი მკვიდრობს. ზამთარში ბევრი ქალაქში გადადის საცხოვრებლად. *ჰამიდიეს ბორჩხა* რქმევია, რადგან მისი მკვიდრები ართვინ-ბორჩხადან მოსულან: „ბორჩხას შიგნიდან მოვიდნენ. სოფელი უკვე დამდგარი იყო და რამდენიმე ოჯახი მერე მოვიდა, ცოტა გვიან. *ჰასან ფეიში ფაშამ* გაუკეთა ორგანიზება და დაასახლა აქ ქართველები. ნათესავებმა ერთმანეთს გააგებინეს, ვინ სად მიდიოდა. ამიტომ ცენტრი სოფელი გახდა *ჰამიდიე*. ბათუმი რუსიას რომ მისცეს იმიტომ წამოვიდნენ, გამოიქცა ხალხი. მალაკნები რომ მოვიდნენ ხილის ბაღებში ღორები გაუშვეს და ადგილები

უწმინდური გახდა და იქიდან მოსული ხილის, ხორბლის ჭამა არ შეიძლებოდა. ბორჩხიდან ბათუმამდე ფეხით მივიდნენ, მერე გემით – იზმითამდე. იმ დროს პორტი იყო იზმითი. *ჰასან ზუბოლლი* ადგილობრივი ჯვარის გმირი იყო. მუჰაჯირი ქართველების სოფლები აქედან იალოვამდე მან დასვა“. 71 წლის *კედათ სირმენის (გურჯიოლის)* ინფორმაციით, მისი „დედე *ჰამიდეში* რომ მოსულა ათი და ოთხი წლის ყოფილა“. სოფელში პირველივე დასახლებისას ქართველებს 250 სახლი აუშენებიათ. მუჰაჯირთა რამდენიმე კომლი უკან დაბრუნებულა. მთხრობელები იმასაც აღნიშნავენ, რომ „ვისაც ადგილი არ ეყო, ზოგიერთი *ბალიქისირში* (ვილაიეთი, რაიონი) წავიდა“.

გოლჯუკის რაიონში დასახლებულებს თავდაპირველად სოფლებისათვის სხვა სახელები უწოდებიათ: *საჩმალი* (ქართველებმა დაარქვეს *შევექეთი*), *სირეთი* (იგივე *მურლული*), *მაშურიე* (იგივე *მურკეთი*). ჭოროხის ხეობაში *კატაფხიას* სიახლოვესაა. მუჰაჯირებმა თავიანთი სოფლის სახელი თან მოიტანეს), *იჯადიე* (იგივე *ალიმეხერი*), *ირშადიე* (იგივე *ბეილული*), *ფერადიე* (იგივე *ჩაიდალი*), *ნუსკეთიე* (იგივე *დიდი დოშემე*), *საქარბიჰი* (იგივე *ჰაწაი დოშემე*), *ჰასანიე* (იგივე *ცოცხობა*. ცოცხობა ჭოროხის ხეობაში ხებასა და მარადიდს შორისაა. მუჰაჯირებმა თავიანთი სოფლის სახელი თან მოიტანეს), *შირინქოი* (იგივე *დამლარი*). ლაზებთან (მოხტი ლაზებთან) ერთად ქართველები ცხოვრობენ სოფელ *ლუტკიეში*, *უმიეში* (იგივე *კამფარა*) და *ჩატალში*. საერთო ჯამში გოლჯუკში 19 და სამ შერეულ ქართულ სოფელს ითვლიან. *გოლჯუკის* მოსახლეობას 200 ათასს მიუთითებენ. სოფელ *შევექეთეში/საჩმალში* მურლულის ხეობიდან და ბორჩხიდან არიან მიგრირებულნი. სოფელში თავდაპირველად 50 სახლი მოსულა. შემდეგ ნახევარი *ცოცხობაში* გადასულან. მურლულის ხეობის სოფლებიდან (ჯანსული, კორდეთი, ოზმალი, ლომიკეთი, ბაგები) არიან მიგრირებული სოფელ *დოშემეში* (ახლა *ნუსრეთიე*) მცხოვრები ქართველები. ამ სოფელში 300 სახლი დგას და ზამთარში მხოლოდ ამის ნახევარშია მოსახლეობა. ქართველების აღნიშვნით, გოლჯუკის მკვიდრთა 80% ეთნიკური ქართველია, ხოლო იზმითისა – 60%.

ქოჯაელის პროვინციის *ქართეფეს* რაიონის ქართული სოფლებია: *ბალაბანი* (ცხოვრობენ სხვა ეთნოსებთან ერთად), *ეშშეაჰმე-*

დიე და შირინსულჰიე. მალხაზ ჩოხარაძის ცხრილის მიხედვით აქ 600 კომლი ქართველი ცხოვრობს, რომლებიც მარადიდის სოფლებიდან არიან მოსული.

ქართველები ცხოვრობენ აგრეთვე *ბალიქესირის* პროვინციის გონენის რაიონის რამდენიმე სოფელში. ეს სოფლებია: *ბალჯიდუდე, ჩიფთლიქლანი, ექშიდერე, ქოჩბაირი, ფეჰლივან ჰოჯა...* ამავე პროვინციის *მანიასის* რაიონში ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების სოფელია *ჯუძურეთი*, *ბალიას* რაიონში – *იენიქვაქი*. ბალიქესირის რაიონში ეთნიკური ქართველები ცხოვრობენ *არშუთალანში* (200 ოჯახი)¹³⁸.

ასეთია ეთნოგრაფიული მონაცემები თურქეთის მარმარილოს ზღვის რეგიონში ქართველთა განსახლების არეალის შესახებ. საერთო ჯამში მუჰაჯირ ქართველებს თურქეთის აღნიშნულ რეგიონში 125 სოფელი ჰქონდათ შექმნილი. რა თქმა უნდა, მოყვანილ მონაცემებს სისრულის პრეტენზია არა აქვს. ამ თვალსაზრისით ადგილზე მუშაობა დარწმუნებული ვართ ახალ მასალებს მომავალშიც გამოავლენს. თქმულს აუცილებლად უნდა დავამატოთ ის, რომ მუსლიმ ქართველთა მიგრაცია მარმარილოს ზღვის რეგიონში მხოლოდ რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის დამთავრების შემდგომ სამწლიან პერიოდს არ მოიცავს, როდესაც ხდებოდა ჯგუფური მიგრაცია. ქართველთა ინდივიდუალური მიგრაციები მომდევნო ხანგრძლივ პერიოდშიც მიმდინარეობდა საბჭოთა პერიოდის ჩათვლით, მანამ, სანამ საბჭოთა-კავშირისა და თურქეთის საზღვარზე მავთულხლართებს გააბამდნენ. ინფორმატორთა მითითებით, საკმაო რაოდენობით გადასულან მარმარილოს ზღვის რეგიონში ქართველები 1923, 1931, 1939, 1941 წლებში, დამამთავრებელ ეტაპად კი 1942 წელს ასახელებენ. სამართლიანია იმავე ინფორმატორთა სიტყვები რომ მუჰაჯირობის დროს „წამოსვლა იყო, გამოქცევა არ იყო“. XX საუკუნის 20-30-იან წლებში მომხდარ გადმოსახლებას კი ისინი „გამოქცევას“ უწოდებენ¹³⁹. ეს გაქცევა კი საბჭოთა ხელისუფლებისაგან ხდებოდა.

¹³⁸ მ. ჩოხარაძე. კლარჯ მუჰაჯირთა სოფლები. – კლარჯეთი, გვ. 254.

¹³⁹ ი. ლუტიძე. ქართველები თურქეთში – ენობრივი ვითარება, გვ. 214.

ქართველთა ეთნიკური იდენტობის პრობლემები მარმარილოს ზღვის რეგიონში

თურქეთის სახელმწიფო ეთნიკურად ჯრელი იყო. თავდაპირველად ეთნიკურ თურქებს ბევრად სჭარბობდნენ არათურქები. თურქებს პრიორიტეტი ჰქონდათ იმ მხრივ, რომ სახელმწიფო მათი იყო. აქედან გამომდინარე თურქეთის სახელმწიფოს არმიის ენა თურქული იყო. ისლამიზაციის პარალელურად ეს ფაქტორი სხვა ეთნოსებს არათანაბარ პირობებში აყენებდა და ის ხელს უწყობდა მათ ასიმილაციას, გათურქებას. ბუნებრივია, ქართველებიც ვერ გადაურჩნენ ამ პროცესს და ბევრმა მათგანმა ენა და ეთნიკური ცნობიერება შეიცვალა. ეს პროცესი თურქეთში დღესაც არაა დასრულებული. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის მთელი მოსახლეობა თურქად გაიაზრებს თავს, ბევრ ჯგუფს კიდევ აქვს შენარჩუნებული ეთნიკური თავისთავადობა. შეიძლება დავასახელოთ ჩერქეზები, აბაზები/აფხაზები, ბოშნაკები/ბოსნიელები, არნაუტები/ალბანელები და ბევრი სხვა. მათ შორის არიან ქართველები.

წინამდებარე თავი მარმარილოს ზღვის რეგიონში მცხოვრებ ქართველებს ეხება, რომელთა ძირითადი ნაწილი, როგორც აღინიშნა, მუჰაჯირობის დროს რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ არიან მიგრირებული.

დასაწყისიდანვე საზგასმით უნდა ითქვას, რომ ეთნიკური იდენტობის საკითხი ქართველთა შორის სრულიად სხვაგვარი იყო 20-30 წლის წინ და სხვაგვარია ახლა. ეს პროცესი ქართველთა სასარგებლოდ როდი მიმდინარეობს. ჩქარი ტემპით იკარგება ქართული ენა. 20-30 წლის წინ ისეთივე ვითარება იყო, როგორც XX საუკუნის დასაწყისში. ისიც უნდა ითქვას, რომ ენის დაკარგვის პარალელური პროცესი არაა ეთნიკურობის დაკარგვა. ასეთ ვითარებაში ეთნიკური ქართველები რამდენ ხანს, რამდენი თაობის განმავლობაში შეინარჩუნებენ ეთნიკურ ცნობიერებას, გაურკვეველია. ერთგვარ სირთულეს ის გარემოება ქმნის, რომ ქართველები საკუთარი სასოფლო დასახლებებიდან მასობრივად გადადიან საშუალოდ და საცხოვრებლად დიდ ქალაქებში. სოფელს მოწყვეტილ ეთნიკურ ქართველებში ქართული ენის სწრაფი დაკარგვის პროცესი მიმდინარეობს. ასეთ შემთხვევაში ენის დაკარგვიდან ეთნიკურო-

ბის დაკარგვამდე პროცესი ჩვეულებრივ ორი-სამი თაობის გასვლის შემდეგ მთავრდებოდა. მაგრამ რამდენიმე ფაქტორი იმის იმედს იძლევა, რომ ქართული ეთნიკური ცნობიერება შეიძლება დიდხანს შენარჩუნდეს.

მივმართოთ სათანადო ეთნოგრაფიულ მონაცემებს. ერთ-ერთი ინფორმატორის სიტყვით, ის „მოქალაქე თურქია, სისხლი აქვს გურჯის“. ეს მთხრობელი იმასაც აღნიშნავდა, რომ მისი შვილები ამბობენ, რომ გურჯები არიან, მაგრამ ენა არ იციან. „ჩვენც (გულისხმობდა თავისი თაობის ხალხს – რ. თ.) ნახევრად თურქულად ვლაპარაკობთ, ნახევრად ქართულად. როცა ღარჭი ვიყავი გურჯულად ვლაპარაკობდი, მე დევილაპარაკე თურქულად ცხრა წლის რომ ვიყავი მაშინ. მე ასლა ჩემ ბაბოს თურქულად ვერ დავლაპარაკებდი, შემრცხვება. ღარჭებთან თურქულად ვლაპარაკობ“. იზმითის სოფელ *ჰამიდეთში* ჩაწერილი მასალა: „ჩვენ ღარჭობაში თურქულად თუ დავილაპარაკებდით, ნუ იპრანჭები, ჩვენებურად ილაპარაკეთო. თქვენ ჩვენებური ხართ. ჩვენ თავს გურჯს ვუწოდებთ. სიტყვა „ქართული“ არ ვიცოდით, მერე ვისწავლეთ“.

ზოგიერთი მთხრობელი ასიმილაციასა და ენის დაკარგვას ერთმანეთთან აკავშირებს: „ჩვენ ასიმილაცია განვიცადეთ. ნელ-ნელა რომ ლაპარაკობენ ტელევიზორში, ვიგნებთ. სამი შვილი მყავს. არც ერთმა ქართული არ იცის“. სხვა მთხრობელი კი აღნიშნავს, რომ „უფროსმა ვაჟმა იცის ქართული. მე ვიტყვი ბათუმი რომ დავინახე“. ამ შემთხვევაში წინაპართა სამშობლოს დანახვაზე ცრემლი თურქეთელი ქართველის ეთნიკური იდენტობის მნიშვნელოვანი გამოხატულებაა. კიდევ ერთი ამონარიდი: „შევარდნამქვს რომ დავინახავდი, საგარეო საქმეთა მინისტრი რომ იყო, ჩემი კაცი იყო, მომწონდა და მიყვარდა. მე ნამდვილი ქართველი ვარ. ქართველს რამე რომ დავმართოს, აქ ვტყვი. ასლა მისვლა-მოსვლაა და ეს ინტერესს ბადებს ქართული ენის შესასწავლის. ენა არ იციან, მაგრამ გულში ქართველები არიან“. ვფიქრობთ, ამ სიტყვებს კომენტარი არ სჭირდება.

ქართველთა შორის სულ რაღაც 20-25 წლის წინ დომინირებდა ეთნიკური ენდოგამია – ისინი მხოლოდ ქართველებზე ქორწინდებოდნენ, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ენისა და ეთნიკურობის შესანარჩუნებლად. დიდ ქალაქებში საცხოვრებლად გა-

დასვლამ შიდაეთნიკურ ქორწინებებს წყალი შეუყენა. სხვადასხვა მონაცემებით, სხვა ეთნოსის წარმომადგენლებზე ქორწინების პროცენტი 20-სა და 25-ს შორის მერყეობს. ერთ-ერთი მთხრობელის სიტყვით, „ამის (მიუთითა გვერდზე მჯდომ მამაკაცზე – რ. თ.) ქალი და ჩემი ქალი თურქია და ამიტომ აღარ იციან შვილებმა ქართული“. თუმცა ისეთი ფაქტებიც არაერთია, როდესაც ბავშვებს დედაც ქართველი ჰყავთ და მაინც არ იციან და არ ლაპარაკობენ ქართულად. სოფელ *დემირაჩმაში* ასეთი მასალა დაფიქსირდა: „ჩემი ცოლი ქართველია, მაგრამ ბაღნებთან ქართულად არ ლაპარაკობს. მალე გურჯი არ დარჩება, დევიკარგებით“. რატომ არ ელაპარაკება ეთნიკური ქართველების უმეტესობა თავიანთ შვილებს ქართულად? პასუხს ინფორმატორები თავადვე იძლევიან: „ოქულში (ე. ი. სკოლაში) გურჯიჯა არ ილაპარაკოთო, გვირტყამდნენ. წინდელმა ბერიკაცებმა თურქული ცოტა იცოდნენ, ბერიქალებმა საერთოდ არ იცოდნენ თურქა. მე ოქულში დევისწავლე თურქული“. სხვა სოფელში, სხვა მთხრობელისაგან ჩაწერილი მასალა: „მექეთებში წასვლამდე მთელი ქართველური იყო. აქ თურქა არ იცოდნენ. მექეთებში მირტყამდნენ, ქართველურად ნუ ლაპარაკობო“. „33 ვიყავით პირველ კლასში. არცერთმა თურქული არ ვიცოდით. ახლანდელმა ახალგაზრდებმა ცოტამ იცის ქართული. ოჯახში დაცოტავდა ქართული ლაპარაკი, რძლები, ტელევიზორი“. სოფელი სულჰიე: „ჯოხის ჭამით დევისწავლე თურქული. მე ბევრი ჯოხი ვჭამე, შენი არ ვიცი“. ანალოგიური მასალა ათეულობითა დაფიქსირებული 40-50 წლის მამაკაცებთან. აშკარაა, ეთნიკურ ქართველებში თურქული ენის შესწავლა ძირითადად სკოლებში მოხდა. იმის გამო, რომ ქართულად მოლაპარაკე ბავშვებს თურქი მასწავლებლები ცემდნენ, მათ მასობრივად შეაქციეს ქართულ ენას ზურგი და შვილებს არა დედაენაზე, არამედ თურქულ ენაზე ზრდიან. ეს მომდევნო თაობაში უკვე ქართული ენის რეალური გაქრობის საშიშროებას იწვევს. მაგრამ, კვლავ უნდა მივმართო ზემოხსენებულ მთხრობელს: „ჩემი დარჯი ამბობს, გურჯი ვარ, რატომ არ დამასწავლეთ გურჯიჯაო“. მშობლისადმი შვილის მიერ გამოთქმული საყვედური აშკარად მიუთითებს ახალგაზრდის ეთნიკურ ცნობიერებაზე, ქართული ენის უცოდინრობის მიუხედავად, მას ქართული იდენტობა გააჩნია (სოფელი *ჰაირიე*: „ლაპარაკი დევივიწყეთ,

მაგრამ გურჯობა არ დევივიწყეთ“). საკვლევი, რამ ჩამოუყალიბა „ღარჯს“ ქართული ცნობიერება. როგორც ჩანს, ოჯახურმა გარემომ და წინასწარ უნდა ვთქვათ, კიდევ სხვა ფაქტორებმაც, რომელთა შორის, უმთავარესად სხვა ეთნოსების მიმართ არსებული გარკვეული სტერეოტიპები გვესახება.

სოფელ *იენეჯოში* დაფიქსირებული მასალა: ჩვენს კითხვაზე: ახალგაზრდები ლაპარაკობენ ქართულად? ასეთი პასუხი მივიღე: „ის არ მკითხო. ოთხი ბიჭი მყავს და ორი გოგო. ქართველს მივეცი და ქართველს ავართვი (ე. ი. ქართველზე გავათხოვე და ქართველისაგან ვითხოვე) რძლები. ბულგარისტანიდან მოსული არ ვითხოვე, ქართველი ვითხოვე. ჩემი შვილები ჩემს ლაპარაკს გააგნებენ“. მთხრობელის სიტყვებში აშკარად სინანული ჩანს იმის გამო, რომ მისი შვილები მის ლაპარაკს მხოლოდ „გააგნებენ“, ე. ი. გაიგებენ. ეთნიკური ცნობიერების შენარჩუნებაში კი ჯერჯერობით იმ ფაქტს აქვს მნიშვნელობა, რომ შვილების საქორწინო პარტნიორების ბედს ამ შემთხვევაში კვლავ მამა წყვეტს – მისი შვილები ქართველებზე ქორწინდებიან.

ქართული ეთნიკური ცნობიერების შესანარჩუნებლად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქორწინო ურთიერთობებს. თურქეთის მარმარილოს ზღვის რეგიონში ზოგიერთ ქართულ სოფელთან ახლოსაა აფხაზების (აბაზების) სოფელი. სოფელ *იენეჯოში* ასეთი მასალა დაფიქსირდა: „ჩერქეზები და აბაზები, ფული თუ გქონდა, ქალს მოგცემდნენ. ქართველები ქალს არ ყიდულობდნენ. იშვიათად, მაგრამ მაინც ხდებოდა ქართველებისა და აბაზების დაქორწინება. **მას მერე, რაც ქართულ-აფხაზური ომი დაიწყო, ქალის გათხოვება აღარ ხდება**“. სოფელ *ჰამიდიეს* მკვიდრი ინფორმატორი: „**აბაზებთან კარგად ვიყავით, მაგრამ იქ (ე. ი. საქართველოში) რომ ეიშალნენ, ვლაპარაკობთ, მაგრამ მეგობარი არ ვართ. მეგობრობა იმით არ უნდთ. ჩერქეზები ჯობია**“.

მარმარილოს ზღვის რეგიონში მცხოვრები ქართველები ცდილობენ ქართულ სოფლებში სხვა ეთნოსის წარმომადგენელი არ შეუშვან: „ქართველის მეტი არავინაა აქა. ფულს მოგცემთო, მაგრამ არ ავიყვანთ. მხოლოდ ქართველებს მივცემთ, სხვას არ მოუშვებთ აქ“. სოფელ *რეშადიეში* მოპოვებული მასალა: „150 ოჯა-

ნი ქართულია. სხვებს არ უშვებენ აქა. როცა დასახლდნენ, კანონი დაუდიათ: გარედან სხვა არ უნდა შემოეშვათ. აქ გოგოს სოფელში სიძე ვერ დაჯდება“. „ქართველი უნდა ყოფილიყო ქალი. სირცხვილი იყო თურქზე დაქორწინება“. სოფელ *ჰამიდიეში* მოპოვებული მასალა: „ერთი კაცი მოვიდა, შავი. დიდ ფულს მაძლევდა მიწაში. მერე დავეჭვდი, ვინ იყო. სტამბოლიდან იყო, ქურთი და აღარ მივეც. ერთი ქურთი მერე ბევრს მოიყვანდა“. სოფელ *დოშეშეში* ჩაწერილი მასალა: „აქ სხვას არ ვუშვებთ. თუ მოვუშვებთ, ჩვენ აგყაყენებენ“.

ქართველთა ეთნიკური ცნობიერების შერყევაში ქართველები მიზეზად სოფლების დაცლას და ქალაქებში მოსახლეობის მიგრაციას ასახელებენ, რაც სრულ ჭეშმარიტებას წარმოადგენს. ჰამიდიელი მთხრობელის ნაამბობი გამოგვადგება საილუსტრაციოდ: „ილევა გურჯები. აქ ვერ ვაკითხებთ ბავშვებს. აქედან წავიდნენ, თურქული დეისწავლეს, იქ დაქორწინდნენ. აღარ იცის ქართული. ვინც აქ დარჩა, იმათ იციან“. „ქართველები ერთმანეთს ეხმარებიან. უძუშევარი თუ არიან ერთმანეთს ასაქმებენ“.

სოფელ *სელჰიეში* ჩაწერილი მასალა: „უკან დაბრუნება მინდა, ცოლით, ბავშვებით. მოქალაქეობა მინდა. რატომ ეშინიათ ჩვენი უკან დაბრუნების? მე მინდა იქ ჩავიფლა მიწაში, საიდანაც ჩემი წინაპრები მოვიდნენ. მე აქ სტუმარი ვარ. ჩემი მიწა არაა. მოქალაქეობაზე განცხადება შეტანილი არა მაქვს. უარი რომ მითხრან გული გამისკდება“.

„ჩვენ თათრებს კუდიანს ვეტყვით, გვძულდა და იმიტომ. აქედან გავდევნეთ, მათი იყო ეს სოფელი. თათრებს ეშინიათ, გურჯი მომკლავსო. თურქები ბეჩდებიან ჩვენთან“. გარკვეული სტერეოტიპები არა მხოლოდ თურქების მიმართ ჰქონდათ შექმნილი. *დოშეშეში* ჩაწერილი მასალით უარყოფითი სტერეოტიპი ჰქონდათ სომხების მიმართაც: „გონჯობას თუ ვიზამდით, დედეები გვეტყოდნენ: აი, შე სომხის შვილოო“. ასეთი სტერეოტიპები ეთნიკური იდენტობის შენარჩუნებას გარკვეულწილად ხელს უწყობდა და უწყობს.

საყურადღებოა, რომ ქართველები ცდილობენ ეთნიკური თავისთავადობა გარეგნული ფორმითაც გამოხატონ, იმდერონ და იცეკვონ. ინეგოლელ ქართველებს უკვე დიდი ხანია ქართული

ცეკვის მასწავლებელი ჰყავთ მიწვეული. ერთ-ერთმა ქართველმა გერმანიის ქალაქ *ბრემენშიც* კი შექმნა ქართული ცეკვის ანსამბლი. ცდილობენ სადღესასწაულო დღეებში ქართული ეროვნული სამოსით შეიმოსონ. მაგალითად, *იზნიკის* რაიონის სოფელ *სელიძის* მკვიდრმა, რომელიც ახლა ბურსაში მკვიდრობს და მორწმუნე მაჰმადიანია, სუნეთის (წინდაცვეთის) დროს თავის ვაჟსა და სხვებსაც ჩოხა-ახალუხი ჩააცვა. ამრიგად, ამ ადამიანისათვის ჩოხა-ახალუხი ქართული ეთნიკური იდენტობის გამოხატულებაა. იგივე მთხრობელი შემდეგსაც აღნიშნავს: „**ქართველები ლამაზები ვართ, მაგრამ ცუდ საქმეს რომ გააკეთებენ, ვრცხვენულობ**“. მისთვის მთავარია არა სარწმუნოება, არამედ წარმომავლობით ქართველობა: „ქართველი ქართველია, სისხლია მთავარი. შიამ, მუსლიმი, თუ ქრისტიანი, რა მნიშვნელობა აქვს. თბილისში ტაქსის მძღოლმა რომ მითხრა, რა სარწმუნოების ხარო, მუსლიმი რომ ვუთხარი, აბა, რა ქართველი ხარო. ქართველები საერთოდ ამბობენ: მუსლიმი ხართ, რა ქართველები ხართო. რელიგიური ეროვნება არ შეიძლება, სისხლით ეროვნება უნდა იყოს“.

მარმარილოს ზღვის რეგიონში ქართველთა ეთნიკური იდენტობის გამოხატულებაა ისიც, რომ აქ მრავლად აქვთ შექმნილი სათვისტომოები. ქართველები ცდილობენ დეპუტატებად, ქალაქის მერებად ქართველები გაიყვანონ და ხშირად ამ მიზანს აღწევენ კიდევაც. ქართველობის გადარჩენის ერთ-ერთი მიზეზი სხვა ხალხების მიმართ ჩამოყალიბებული გარკვეული სტერეოტიპია. მათ ეს სტერეოტიპი უცხო გარემოში ცხოვრებამ ჩამოუყალიბა, რაც თავის გადარჩენის ერთ-ერთი საშუალება იყო. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართველები, რომლებიც თავის სამშობლოში გათითოკაცებულნი, ინდივიდუალისტები არიან, უცხო ეთნიკურ გარემოში იშვითი შეკავშირებულობით გამოირჩევიან. ეს სტერეოტიპი მათი გადარჩენის ერთ-ერთი ფაქტორია.

მარმარილოს ზღვის რეგიონში მცხოვრებთა ქართული გვარები

ქართველი ხალხისათვის მემკვიდრეობითი სახელი/გვარსახელი ოდითგანვე დამახასიათებელი მოვლენა იყო; ორიგინალური გახლდათ ქართული პიროვნული სახელები. მუსლიმ ქართველებში ანთროპონიმებმა, ბუნებრივია, ღრმა ცვლილებები განიცადა, ქრისტიანულ პიროვნულ სახელებს მაჰმადიანურ სამყაროში გავრცელებული პიროვნული სახელები ჩაენაცვლა. იმის გამო, რომ თურქული ენობრივი და ეთნიკური სამყაროსათვის გვარსახელი უცნობი იყო, ისინი ოფიციალურ იურიდიულ დოკუმენტებში მხოლოდ სახელებითა და მამის სახელებით მოიხსენიებოდნენ, მაჰმადიან ეთნიკურ ქართველებში გვარმა/მემკვიდრეობითმა სახელმა ფუნქცია დაკარგა. მიუხედავად ამისა, როგორც ზემოთ ვნახეთ, ტრადიციით, გადმოცემებით მემკვიდრეობითი სახელები კვლავ განაგრძობდნენ არსებობას. მხოლოდ ისინი არსად არ ფიქსირდებოდა.

პიროვნული სახელები მუჰაჯირ ქართველებთან შთამომავლებს მუსლიმური აქვთ. თუმცა დღეს აქ შეიმჩნევა ტენდენცია ქართული სახელების დარქმევისაც; ბუნებრივია, ეს ქართული სახელები მეორე სახელებია და ისინი არაოფიციალურია. მაგალითად, სულჰიელი 32 წლის ახალგაზრდა სიამაყით ამბობს, რომ „გუშუშოლი ვყოფილვარ. პასპორტში ილქერ მქვია, ქართულად კი – ლაშა“.

სხვათა შორის, მარმარილოს ზღვის რეგიონში მცხოვრებ ქართველებში შემორჩენილია მეტსახელები და ეს მეტსახელები უმეტესწილად ქართული გახლავთ. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ სოფელ *გურჯიქოში* ჩაწერილი მეტსახელები: *ზოზოლა, წოწოლაი, პაწისანი, ჩაქურაი, ალაფანდოლი...* რაც მთავარია, მუჰაჯირებში შემორჩენილია მეტსახელის ადგილობრივი ტერმინი – „კილი“. ასეთი ტერმინი მეტსახელის აღსანიშნავად საქართველოს სხვა მხარეებშიც გვხვდებოდა, მაგალითად, სამეგრელოში მას „კილი“ ეწოდებოდა¹⁴⁰. ქვემო მარადიდრიდან გადმოსახლებულ ქართველებში შემორჩენილია მეტსახელის აღმნიშვნელი სხვა ქართული

¹⁴⁰ ი. გაბელაია. აბაშის ხეობის გვარსახელების ეთნოისტორიული საკითხები. – ქართველური მემკვიდრეობა. ქუთაისი, 1996, გვ. 56.

სიტყვა; ესაა „ძერგლი“. მთხრობელის სიტყვით, „**ძერგლს აქ ეს-
ლა აღარ არქმევენ. დასაცინი სახელი – ძერგლი უწინდელგმა
იცოდნენ**“. სანათესაო წრის აღმნიშვნელ ტერმინად გვხვდება „ლა-
ლაბიც“. სოფელ *ჭილძიეში* მცხოვრებ *უნიზამეთითინ მაილი* აღნიშ-
ნავს, რომ „ჩვენი ლადაბი *ასანოღლი* იყო“. მარმარილოს ზღვის
ნაპირზე, *გემლიკის* რაიონის ქართულ სოფლებშიც გამოიყენებენ
ტერმინ *ლადაბს*. „სოიადი (= გვარი) არ ყოფილა (მთხრობელი
თურქულ გვარს გულისხმობს, რომელსაც ახლა ატარებენ, ე. ი.
თურქული გვარები არ გვქონდაო), *ლაყაბი* გვქონდა: *დურსუნოღ-
ლი, ლემოღლი, მაძუღოღლი, ჰაჯოღლი, ბარახტაროღლი, ავეწი-
ნოღლი*.“

მუჰაჯირი ქართველების ნაწილმა გადმოცემით იცის თავისი
წინაპრების ქართული გვარი. მაგალითად, *საქარიას* რაიონის სო-
ფელ *ჭენდეკში*, სადაც ძირითადად მურღულიდან მოსულები ცხოვ-
რობენ, ასახელებენ ისეთ ქართულ გვარებს, როგორებიცაა *აბაშიძე,
ლორთქიფანიძე, კირვალიძე, ინაიშვილი, ცისკარიშვილი...* ერთ-ერთი
მთხრობელის სიტყვით, ის გვარად *ათაბეგია* და მისი წინაპრე-
ბი მარმარილოს ზღვის რეგიონში ჩურუქ-სუდან ანუ ქობულეთი-
დან არიან მოსული. დანარჩენებს თავიანთი აღრინდელი ქართული
გვარების შესახებ ამ სოფელში გადმოცემა არ შემორჩენიათ.

ქალაქ *ქარახუში* ქართველების ერთი უბანია. მისი მკვიდრნი
აჭარადან არიან მოსული. აქ დაფიქსირდა შემდეგი ქართული გვა-
რები: *სხალაძე, ცინცაძე, ავეჯიშვილი...* ამ გვარის წარმომადგენლე-
ბი *კირნათიდან* გადმოსახლებულან.

შავი ზღვის სანაპიროზე სტამბოლიდან აღმოსავლეთით ქარ-
თველები ცხოვრობენ სოფელ *მენენიპირში*. ერთ-ერთი ინფორმატო-
რის თქმით „ჩვენი სოადინი (=გვარი) *თოფალოღლია*. მირვეთიდან
ვართ მოსული“. ეს გვარი, რა თქმა უნდა, მუჰაჯირებმა სამშობო-
დან მოიყოლეს თან. აჭარაში უკვე ქართველ მაჰმადიანებს სასაუბ-
რო ენაში გვარის ქართული სუფიქსები თურქული სუფიქსით
ჰქონდათ შეცვლილი. ასე რომ, თოფალოღლების თავდაპირველი
ქართული გვარსახელი *თოფალიძე/თოფალიშვილი* იყო.

ქართული გვარსახელების ხსოვნა შემორჩენილია სოფელ *დე-
მირაჩმაში*. „აჭარის სოფელ *მირვეთიდან* ჩამოსულან. ჩვენი ქართუ-
ლი გვარია *ლონკროძე. ლონკროები* აქ ბევრნი ვართ. იქ (ე. ი.

მირვეთში) ასეთი გვარი ვერ ვნახეთ. როგორც ჩანს *ლონკროძე-ბი/ლონკროები* მთლიანად აიყარნენ მირვეთიდან, სოფელში მათი გვარისა აღარავინ დარჩა. საყურადღებოა, რომ სანათესაო ერთეულის ანუ გვარსახელის ხსენებისას, მუჰაჯირი ქართველები ორ სუფიქსს გამოიყენებენ: -ძე და მრავლობითობის აღმნიშვნელ -ებ ფორმანტს. გვარსახელებში სუფიქსების მონაცვლეობა მათ სამშობლოდან აქვთ მოტანილი. ანალოგიური ვითრება საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებშიც დასტურდება, მათ შორის, თურქეთის შემაღვენლობაში შემაგალ პროვინციებში, მაგალითად, იმერხეში. დემირაჩმელი ქართველები სხვა ქართულ გვარებსაც ასახელებენ, რომელთა ნაწილი ქართული სუფიქსითაა ნაწარმოები და ნაწილი – თურქულით: *ბაქარაძე, დევაძე, ბაკურიძე, პარცვაძე, კავაზოლი, დერმიშოლი, კარასანოლი, ხალოლი...*

სოფელ *გურჯიქოში* სხალაძეები მკვიდრობენ. აჭარაში მათი წინაპრების სოფელსაც *სხალაძეები* ერქვა. ინფორმატორის, თქმით, რომელიც გვარად სხალაძეა სოფელში ცხოვრობენ კიდევ *ჭახიძე-ლები, ბეგოლები, ბერბეროლები, ლაშქროლი, მურადოლი* და *გულაები*. „ოღობით“ მოსხენიებულ გვარებს თურქულ ენობრივ გარემოში ქართული სუფიქსები თურქული სუფიქსით აქვთ ჩანაცვლებული. თუმცა კატეგორიულად ამის მტკიცება ყველა შემთხვევაში არ შეიძლება, რადგან გამორიცხული არაა აჭარის მოსახლეობაში ოსმალთა მმართველობის დროს ახალი გვარებიც წარმოქმნილიყო.

არიფეას რაიონის სოფელ *იენიქოში* ფიქსირდება ასეთი მემკვიდრეობითი სახელები: *ჰასანოლი, კამიშოლი* (მოსული არიან *კატაფხიდან*), *ჩოთუროლი* (იგივე ჩოთრაძე)... სხვათა შორის, ქართველებმა მეზობელ სოფელში მცხოვრები აფხაზების გვარებიც იციან, კერძოდ ისინი ასახელებენ ასეთ აფხაზურ გვარსახელებს: *ბიჟნოვა, ავრბა, ანქვაბი, აიქბა, მიფაჩ, ქაფშ, ლაფშ, ეუზბა, აჟონბა, ხ(ქ)რფს, მარშან, აგუნბა, ათიბა...*

სოფელ *აქჩაიში* მკვიდრობენ: *კალიანჯოლები, მამიოლები, ფონოები...* სოფელ *მაკჰუდიეში* დაფიქსირდა *არაბოლები, შაინოლების* და *ერსოის* გვარები.

მუჰაჯირთა ერთ სოფელში ტერმინი „*მენგლი*“ მეტსახელს („დასაცინ სახელს“) აღნიშნავს, სხვა სოფელში, კერძოდ, *გულ-*

დობში მას გვარის აღმნიშვნელი გაგება აქვს. ურდიბელი მოხრობელი აღნიშნავს: „კირნათიდან, კობალეთიდან (ეს კირნათის ზევიდანაა) და კახაბერიდან ვართ მოსული. იქაური ძენგლი *კახაბერიძეა*. მეორეს ძენგლია *გორგალაძე*, მესამესი – *ძოლოვინაძე*, მეოთხესი – *წითლიძე*“ (მიუთითებდა გვერდით მსხლომ თანასოფლელებზე).

სოფელ *რეშადიეში* დადასტურდა გვარსახელები **ჭიშკაროღლი, სალაური, კოტომოღლი, ბოსტანაშვილი (ბოსტანჯიოღლი), ხოჯაშვილი**; აჰმედიეში – *დავითაძე, ქაჯარაძე* (მოსული არიან მახინჯაურიდან), ჰამიდიეში – ღორჯომიდან მოსული *თათაროღლები, მამალ-ოღლები, ქურდოღლები, ლეზვიოღლები, მეკეიძეები...* (ფურტიოდან) *ეთიმოღლები*, (ნივაზეულიდან) *დარჩიძეები, ჯინეზოღლები, ბოლოკო, კვეტერო, მესხოღლები, აჩიო*. სოფელ სულჰიეში მცხოვრები ახალგაზრდა აღნიშნავს, რომ ის გვარად *გუშუშოღლია*. ინეგოლის სოფელ *ჰაზარდაში* ასახელებენ *ყაზანჯიოღლებს, არიფოღლებს, აზიროღლებს, ბუქოღლებს...*

მართალია ინეგოლის სოფლებში ძირითადად აჭარიდან მიგრირებული მუჰაჯირები ცხოვრობენ, მაგრამ ზოგიერთ სოფელში იმერხევიდან მოსულებიც დამატებიან. სოფელ *თუფექში ქონაქში* იმერხევის სოფელ ხონლევიდან მიგრირებულები დამატებიან. ხონლევიდან 53 წლის წინ მოსულთა ქართული გვარებია: *მესხიძე, ჯენიგელი, გორგაძე*. სოფელ *საადეთში ცეცხლაძეები* მკვიდრობენ, რომელთა წინაპრებიც შუახევიდამ მოსულან. სოფელ *ბაღჩიკაიაში* მესა მესრულიეს დიდვანებიც შუახევიდან მიგრირებულან, რომელთა გვარი *ჯინოღლი* ყოფილა. ეს მოხრობელი იმასაც აღნიშნავს, რომ „აჭარაში *აბდიაშვილებს* გვიძახდნენ“. სოფელ *ბაღჩიკაიაში* მცხოვრები *ჰასან აიღინი* კი იქაურ გვარად *დელიაღაოღლის* მიუთითებს.

გემლიკის რაიონს სოფელ *ჰაიდარიეში* დადასტურდა ქართული გვარები: *ჯიჯავაძე, ახვლოღიანი/ახვლეღიანი, ბექიროღლი, კირისიროღლი, მარკოღლი, პატიკოღლი*. „*ბექიროღლები კონხოდე* ვყოფილვართ (მოხრობელმა შემოსწრებულს მიმართა: „თქვენ *ქონხოდე/კონხოდე* ხართ“), *მუხამედები აფაქიძეებიდან* არიან“. ასახელებენ აგრეთვე *ლამპარიძეს, გორვილაძეს, ჩიჯავაძეს*. ამ სოფლის მკვიდრნი *მახინჯაურიდან* არიან მიგრირებული. გემლიკის *ჰაირიეში* დადასტურდა გვარი *ლახანოღლი*.

იზნიკის რაიონის სოფელ ელმალში ცხოვრობენ: *რაშიოღლე-ბი, ჭვანელოღლები, ელმოლოები, ტაკიძეები, ბეჭიროღლები, მარიოღლები, დელიჯოღლები, დემირჩიოღლები, თათაროღლები, ლეზვიოღლები, ჭყარტიოღლები, მეკლუღოღლები, ზულელოღლები, ჭინკალოღლები, დელომეღოღლები, ისმეილოღლები, მემიოღლები, მამალიოღლები, კოთხოღლები.*

გოლჯუკის რაიონის სოფელ ჰამიდიეში ძირითადად ბორჩხისა და მისი მიმდებარე სოფლებიდან გადმოსახლებულები ცხოვრობენ. მუჰაჯირ ქართველებს თავიანთი სოფლისათვის *ბორჩხაც* უწოდებიათ. ამ სოფელში მკვიდრი ქართველები თავიანთ ქართულ გვარებს ასახელებენ: *ზუბოღლი, იგივე აბდულაოღლი, ჯელათოღლი, ყადიოღლი, გურჯოღლი* (თავდაპირველად *დარაბიძეები* ყოფილან), *გამლოღლი* (*მუსტოღლი*), *ბალასანოღლი, სოუკოღლი, ხაჯიოღლი, დემირჯიოღლი, იაზიჯიოღლი, ომეროღლი, შინანოღლი, ალიოზიოღლი, ბატალოღლი, აბანოზოღლი, კვენოღლი, ქერაბოღლი* (ქართულად საუბარში ეს გვარი *ქერაბიძე*-დ და *ქერაბიძედ* წარმოთქვებს). ასახელებენ აგრეთვე *მინაძეს, ორჭელებს, ჯელეთოღლს, ჩ(ჭ)იღლოსანოღლის, ლაზაძედებს, ჭანოძერებს, კერაბოღლებს/კერაბიძეს*. როგორც ჩანს, *კერაბიძეებს ფაზოღლები* გამოყოფიან („ფაზოღლები კერაბიძეების შიგნით არიან“). ამ „ქართულ“ გვარებს დღეს აღარავინ არ ატარებს. ჰამიდიეში ლაღაბი ანუ მეტსახელებიც აქვთ. მათი უმეტესობა კი ქართულია. დაფიქსირდა შემდეგი ლაღაბი სახელები: *ჯაყვა, ცუცურა, იაშარი, პუი...*

გოლჯუკის რაიონის სოფელია *შეგქეთი/საჩმაღლი*. პირველი ახალი სახელია, მეორე – ძველი. ამ სოფელში მცხოვრები ინფორმატორის თქმით, „ახლა *ჩავდაროღლი* ვართ, ადრე *კულალოღლი* ვიყავით. კულალოღლი ლაღაბი ყოფილა“. ამ გვარის ხალხი ბორჩხის მიდამოებიდან მოსულა. ამ მასალაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ოსმალეთის იმპერიაში ქართველთა საკუთარმა სახელებმა (გვარსახელებმა) მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა: *კულაღლიძე* ჯერ *კულალოღლი*-ად იქცა, ქართული გვარსახელის სუფიქსს თურქული სუფიქსი ჩაენაცვლა, შემდეგ ადგილზევე მუჰაჯირობამდე ქართულძირიანი გვარები თურქულძირიანი გვარებით შეიცვალა. ეს მაჩვენებელია იმისა, რომ ოსმალეთის იმპერიაში ქართველები მემკვიდრეობით სახელებს ვერ ელეოდნენ, მიუხე-

დავად იმისა, რომ ოსმალურ სამყაროში ისინი არ არსებობდნენ. კიდევ ერთი ტრანსფორმაციული პროცესი მოხდა ანთროპონიმებთან დაკავშირებით. ქართული გვარის თურქული ფორმით შეცვლის შემდეგ, ძველმა ქართულმა გვარმა თავი კი შეინარჩუნა, მაგრამ ის მეტსახელად ანუ ლაღაბად იქცა. ამას იმავე სოფელში სხვა მთხრობელისაგან ჩაწერილი მასალაც ადასტურებს: „ჩვენები მურკვეითიდან, მოსულან, ლაყაბი *მურკვეაძეა*“. *მურკვეითი* 1886 წლის საოჯახო სიებით *კატაფხიის* სასოფლო საზოგადოებაში შედიოდა. ის ანთროპოტოპონიმია და *მურკვეითი* იმიტომ ერქვა, რომ მასში *მურკვეაძეები* ცხოვრობდნენ. აქ კი მუჰაჯირობის შემდეგ (შესაძლოა იქაც) მას შემდეგ, რაც ახალი თურქული ფორმის მემკვიდრეობითი სახელები მიიღეს, წმინდა ქართული გვარსახელი ლაყაბად ანუ მეტსახელად იქცა. ამავე სოფელში დასტურდება გვარსახელი *უზნაძე*. „აქ ყველაზე მეტი ადამიანის გვარია *უზუნარი* (*უზნაძეები*). ჩვენი ერთმანეთში დაქორწინება არ შეიძლება. ყველა გვარებში *უზუნარების* გოგო არის რძლად“. ამ მასალაში მნიშვნელოვანი ის გარემოება, რომ ქართველები, მაჰმადიანობის მიუხედავად, არა მხოლოდ გვარს, არამედ გვარის შიგნით ეგზოგამიასაც ინარჩუნებდნენ. ამ მასალის შემდეგ შეიძლება კითხვაც გაჩნდეს: ეგზოგამიურობის ტრადიცია ხომ არ იყო მუსლიმ ქართველებში გვარის შენარჩუნების მთავარი ფაქტორი? ვფიქრობთ, რომ ამ კითხვას დადებითი პასუხი უნდა გაეცეს.

კოლჯუჯის რაიონის ერთ-ერთი ქართული სოფელია *დომეძე* (იგივე *ნუზრეთი*). საყურადრებოა, რომ ამ სოფლის 300 ოჯახში რამდენიმე ოჯახია, რომლებიც ხოფიდან და რიხედან არიან მოსული. ქართველები მურღულის ხეობის სხვადასხვა სოფლიდან (*ჯანსული, კორდელი, ოზმალი, ლომიკეთი, ბაგები*) მიგრირებულან. თავდაპირველად 63 კომლი დასახლებულა და რომ გამრავლებულან შემდეგ სხვა სოფლებიც „გაუკეთებიათ“. მთხრობელის სიტყვით, „ჭანები გურჯები გახდნენ“. დომეძეში შემდეგი გვარები დადასტურდა: *ჩიტოლლი (ჩიტიანი), წუწისანი, ყანჩლოლლი (ყანჩლისანი), სერთოლლი (ხალიბევისანი), თათაროლლი (თათრიძე, იგივე ბაირახტარისანი), სეიფოლლი, აღჯანოლლი* (ყველაზე მეტნი არიან), *ქესეროლლი*.

დასკვნა: მარმარილოს ზღვის რეგიონში მიგრირებულმა ქართველების დიდმა ნაწილმა ქართული მემკვიდრეობითი სახელები/გვარები შეინარჩუნა. მახსოვრობას შემორჩა როგორც -ძე, ისე -შვილი სუფიქსიანი გვარები. ბევრ შემთხვევაში ამ ქართულ სუფიქსებს თურქული სუფიქსი -ოლი ჩაენაცვლა. ბუნებრივია ლაშქაროღლის, ჩიტოღლის, ჭიშკაროღლის, კვეწინოღლის, კოტოშოღლის, მამლოღლის, მარკოიღლის... თავდაპირველი ქართული გვარები იყო: ლაშქარაძე ან ლაშქარაშვილი, ჩიტაძე/ჩიტაძე, ჭიშკარიძე, კვეწინიძე, კოტოშიძე, მამლაძე, მარკოიძე.. ამასთანავე, ოსმალთა მმართველობის დროს წარმოიქმნა ახალი გვარსახელები თუ მეორე მემკვიდრეობითი სახელები (გვარის დანაყოფები, ბაბუიშვიელობები), რომლებსაც ფუძე თურქული აქვს: აღჯანოღლი, ალიოზიოღლი, ისბეილოღლები, მამუდოღლი და ა. შ. -ოლით გაფორმებული გვარსახელი თავდაპირველად სხვა ქართულ ფორმანტს რომ ირთავდა ეს კოლექტიურ მენსიერებას კარგად აქვს შემორჩენილი. ასეთი ქართული სუფიქსები კი კიდევ იყო: -სან-ი, -ებ-ი, -ან-ი: *ყანჩელოღლი* და *ყანჩელისანი* (არის კიდევ გვარები: *პაწი-სან-ი*, *წუწი-სან-ი*), *ლონკროძე* და *ლონკროები* (დადასტურდა აგრეთვე გვარსახელები: *ფონო-ებ-ი*, *ჭანომერ-ებ-ი*), *ჩიტოღლი* და *ჩიტაიანი*... *უზუნაძის* გვარში -არ სუფიქსაც ანაცვლებენ: *უზნაძე* და *უზუნარი*.

მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლების ენის, რელიგიისა და ეთნიკური ცნობიერების ურთიერთმიმართების პრობლემა*

თურქეთში ეთნიკური ქართველების ზუსტი რაოდენობის დადგენა გაძნელებულია. თურქეთში მცხოვრები ქართველების ვარაუდით, მათი რაოდენობა 2 მილიონამდეა.

ტერიტორიული პრინციპით თურქეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველები ორ ჯგუფად იყოფიან: 1. საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველები და 2. ანატოლიაში მცხოვრები ქართველები, რომლებიც აქ გადმოსახლებული არიან ძველი ქართული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებიდან (აჭარა, კლარჯეთი, ტაო, შავშეთ-იმერხევი). მიგრირებულებიც ორ ჯგუფად არიან წარმოდგენილი: მუჰაჯირები, რომლებიც ანატოლიაში ძირითადად რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის დროს დასახლდნენ და მიგრანტები, რომლებმაც უკანასკნელი 20-30 წლის განმავლობაში დატოვეს საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები (თანამედროვე ართვინის ვილაიეთი). წიგნში ზემოთ ნათქვამს კვლავ გავიმეორებთ: თურქეთში მუჰაჯირი ქართველების შთამომავალი – ეთნიკური ქართველები – კომპაქტურად ძირითადად ორ რეგიონში (მარმარილოს ზღვის მხარეს და შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე) არიან განსახლებული. დაზუსტებული ინფორმაციით ქართველთა ხუთი სოფელი დიარბექირის მხარესაცაა. ფაქტობრივად ასიმილირებული არიან სამცხე-ჯავახეთიდან 1830 წელს აყრილი ქართველ მაჰმადიანთა შთამომავლები, თუმცა ამ ჯგუფის დაძებნა თანამედროვე თურქეთის სახელმწიფოში შესაძლებელია. იგივე ბედი გაიზიარეს მდინარე მტკვრის ზემო წელში (ისტორიული პროვინციები – კოლა და -----

- წიგნის მონაკვეთში მეორდება წინა მონაკვეთებში წარმოდგენილი ზოგიერთი ეთნოგრაფიული მასალა და დასკვნა.

არტანდი) მცხოვრებმა ეთნიკურმა ქართველებმა. ისინიც რუსეთის შესვლის შემდეგ თურქეთის სხვადასხვა პროვინციებში გაიფანტნენ. აქ ქართული მოსახლეობა ფაქტობრივად აღარაა.

მთელი ტაო-კლარჯეთი XVI საუკუნის ბოლოს მთლიანად ქართველებით იყო დასახლებული. მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობით ცხოვრობდნენ აქ სომხები და თურქები. ამის დამადასტურებელია ოსმალების მიერ ჩატარებული 1595 წლის აღწერა¹⁴¹. ქართული პროვინციების დეეთნიზაცია ხანგრძლივი პროცესი იყო – ის ძირითადად რელიგიური ფაქტორით იყო განპირობებული. ცნობილია, რომ ოსმალეთის ხელისუფლება, ისევე როგორც სხვა ქვეყნების ხელისუფალი, შუა საუკუნეებში ეთნიკურობას ყურადღებას ნაკლებად აქცევდა; მათთვის მთავარი იყო რელიგიური ფაქტორი. ოსმალეთი დაინტერესებული იყო ქვეყნის ქრისტიან მოსახლეობას მაჰმადიაობა მიეღო. ისლამის მიმდევრები გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდნენ, რადგან მართლმადიდებლებს ბევრად მეტი გადასახადი ჰქონდათ შეწერილი. ეკონომიკური ფაქტორიდან გამომდინარე ქართველი მართლმადიდებელი ქრისტიანები ნელ-ნელა იღებდნენ ისლამს. ისლამი ჯერ ქართველმა ფეოდალურმა ზედაფენამ მიიღო. ფეოდალთა მიერ ასეთი ნაბიჯის გადადგმაც სამეურნეო-ეკონომიკური მიზეზებით და სოციალური პრივილეგიების შენარჩუნებით იყო განპირობებული. მათ სხვანაირად არც შეეძლოთ, რადგან მიწასა და ყმა-გლეხებზე არსებულ მემკვიდრეობას სხვანაირად ვერ შეინარჩუნებდნენ. პირველად სწორედ მათ შორის გავრცელდა თურქული ენა, რაც ოსმალეთის იმპერიაში ინტეგრაციის აუცილებელი წინაპირობა იყო. მწარმოებელი მოსახლეობა კი ეთნიკურობას მე-18 საუკუნეშიც ინარჩუნებდა, რადგან მხარის მასობრივი ისლამიზაცია ჯერ დაწყებული არ იყო. ბუნებრივია, ქართველებს ენა, კულტურა და ეთნიკურობა კვლავ შენარჩუნებული ჰქონდათ. ყოველივე ეს კარგად აქვს აღწერილი XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიკოსს ვახუშტი ბაგრატიონს: „...ხოლო აწ მთავარნი და წარჩინებულნი არიან მოჰმადიანნი, და გლეხნი ქრისტიანენი... გარნა ვინანცა არიან ქრისტიანენი, ივინცა უმწყემსელნი არიან, ვინათგან არღარა მორჩილებენ ქართლის კათალიკოზსა, და ბერძენთ არა სცალის მათთვის ... ენა საკუთარი აქუსთ იგივე ქართული. გარნა წარჩინებულნი ნადიმთა და კრებუ-

¹⁴¹ გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, თბ., 1941.

ლთა შინა აწ უბნობენ თათრულსა და თვისთა სახლებთა ანუ ურთიერთის მეგობრობათა შინა იტყვიან ქართულსავე¹⁴².

ოსმალეთის იმპერიაში მოქცეულ ქართულ პროვინციებში ეთნიკურ ქართველთა მასობრივი ისლამიზაცია XVIII საუკუნის შუა ხანებიდან იწყება. ეს პროცესი უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობდა. სამეურნეო-ეკონომიკური ფაქტორების გამო ქართველთა მნიშვნელოვანი ნაწილი თუ ნებაყოფლობით იღებდა ახალ რელიგიას, გარკვეული ჯგუფები მაინც ერთგულნი რჩებოდნენ მართლმადიდებლური ქრისტიანობისა. XIX საუკუნეში დაფიქსირებული გადმოცემების თანახმად ხდებოდა ძალადობრივი ისლამიზაციაც. ჩვენს მიერ ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალებით, ეთნიკური ქართველების გარკვეულ ნაწილს მუჰაჯირობის დროს 1878 წელს სულ ორი თაობის მიღებული ჰქონდათ მაჰმადიანობა. ეს განსაკუთრებით ითქმის ლივანის ხეობაში მცხოვრები ქართველების მიმართ. ასეა თუ ისე, XIX საუკუნის 30-იან წლების დასაწყისიდან ოსმალეთის იმპერიაში შემავლი საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების მოსახლეობას ისლამი უკვე გათავისებული ჰქონდა, რამაც განაპირობა კიდევაც რუსეთის იმპერიის მიერ ისტორიული ქართული პროვინციების დაკავების შემდეგ ადგილობრივი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მუჰაჯირობა და შავი და მარმარილოს ზღვების რეგიონებში გადასახლება. მუჰაჯირები დარწმუნებული იყვნენ, რომ „გაიურები“ (ქრისტიანი რუსები) მათ დაზოცავდნენ.

ცნობილია, რომ ენასთან და კულტურასთან (იგულისხმება ეთნიკური, ხალხური, გლეხური კულტურა) ერთად ეთნიკურობის ერთ-ერთი მარკერი ეთნონიმიცაა. მას შემდეგ რაც ოსმალეთის იმპერიაში ქართველებმა ისლამი მიიღეს, მათ ენდოეთნონიმი/ავტოეთნონიმი „ქართველიც“ დაკარგეს. ეს იყო პირველი, მაგრამ არა მთავარი ნიშანი დეთნიზაციისა. შევნიშნავთ, რომ ერთიანი ეთნონიმი მსოფლიოში არსებულ ეთნოსებს თავდაპირველად არ ჰქონდათ. საერთო სახელწოდება პოლიტიკური თანაცხოვრებს შედეგად ჩნდებოდა. პრიორიტეტი კი ლოკალურ/ტერიტორიულ სახელწოდებებს ჰქონდა¹⁴³. ამრიგად, ეთნოსი ხანგრძლივი პერიოდის განმავ-

¹⁴² ქართლის ცხოვრება. ტომი IV, თბ., 1973 660-661.

¹⁴³ რ. თოფჩიშვილი. ევროპის ეთნოლოგია, თბ., 2009, გვ. 25-26.

ლობაში არსებობდა და ის ერთიანი თვითსახელწოდების გარეშე იყო. დეეთნიზაციის პროცესის დაწყებისთანავე პირველი ეთნიკური ნიშანი, რომელსაც ეთნიკური ერთობა კარგავს ენდოეთნონიმია/ავტოეთნონიმია. ხაზს ვუსვამთ, ეთნიკურმა ქართველებმა პირველი რაც დაკარგეს თვითსახელწოდება იყო. მიზეზი ადვილად ამოსაცნობია: შუა საუკუნეების სტერეოტიპით ეთნიკურიობა და რელიგიურობა სინონიმური ცნებები იყო. ქართველის მაშინდელი შეგნებით, ქართველი იყო ის, ვინც მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო, ყველა მუსლიმი ეთნიკურობის მიუხედავად, თათრად მიიჩნეოდა, კათოლიკე – ფრანგად, მონოფიზიტი – სომხად. ამრიგად, დღიდან ისლამის მიღებისა, ეთნიკურ ქართველებში ცნება „ქართველი“ გაქრა. თუმცა, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, მაჰმადიანი ქართველები თათრად/თურქად არ გაიაზრებდნენ თავს. ენისა და კულტურის შენარჩუნების გამოცნობით მათ არაქართული ცნობიერება ფაქტობრივად არ ჩამოუყალიბდათ. არ ჩამოუყალიბდათ იმიტომ, რომ გარშემომყოფნი მათგან განსხვავებულნი იყვნენ აბსოლიტურად სხვა ენითა და კულტურით. კულტურის საკითხს ქვემოთ კვლავ დავუბრუნდებით. აქ მხოლოდ შემდეგს აღვნიშნავთ: მუსლიმმა ქართველებმა ახალი თვითსახელწოდება შექმნეს – „ჩვენებური“. ხოლო გარშემომყოფი თურქებისათვის ისინი „გურჯები“ იყვნენ. ასე რომ, ენისა და განსხვავებული კულტურის გამო, მათ არც თურქული მოსახლეობა გაითავისებდა, მიუხედავად იმისა, რომ ქართველები მათ სარწმუნოებაზე (ისლამზე) იყვნენ გადასული.

რაც შეეხება ეთნონიმს „ქართველი“, ის მთლად არ ამოვარდნილა მუსლიმი ქარველების ლექსიკონიდან. ოღონდ ამ ლექსიკურმა ერთეულმა ნეგატიური შინაარსი შეიძინა. ზოგიერთ სოფელში იცოდნენ სიტყვა „ქართველიშვილი“, რომელსაც იმ დროს გამოიყენებდნენ, როდესაც ბავშვი რამეს დააშავებდა და ბებია დაუცაცხანებდა და გაკიცხვის მიზნით ასე მიმართავდა: „აი, შე ქართველიშვილო!“ იგივე შინაარსი ჰქონდა ტერმინს – „სომხიშვილი“ მარმარლოს ზღვის რეგიონში. სოფელ დოშემეში ჩაწერილი მასალით, „გონჯობას თუ ვიზამდით, დედები გვეტყოდნენ: „აი, შე სომხის შვილო“. ასეთი სტერეოტიპები ეთნიკური იდენტობის შენარჩუნებას გარკვეულწილად ხელს უწყობდა.

ეთნიკურ ქართველებს თურქული ცნობიერებაზე გადასვლაში კიდევ ერთი ფაქტორი, თუმცა არა მნიშვნელოვანი, უშლიდა ხელს – ესაა გვარსახელი ანუ მემკვიდრეობითი სახელი. ცნობილია, რომ ოსმალეთის იმპერიაში თურქებს მემკვიდრეობითი სახელი არ გააჩნდათ. დოკუმენტებში ყველა მოქალაქე მხოლოდ სახელითა და მამის სახელით ფიქსირდებოდა. მიუხედავად ამისა, მუსლიმი ქართველების უმეტესობა მაინც ინარჩუნებდა მემკვიდრეობით სახელს და ზეპირი გზით ის თაობიდან თაობას გადაეცემოდა. უფრო მეტი, არაერთი ფაქტი დასტურდება როდესაც ისინი ახალ მემკვიდრეობით სახელს/სანათესაო წრის სახელს/გვარის დანაყოფის სახელს ქმნიდნენ, რომელთა ფუძესაც ამჯერად უკვე მუსლიმური სახელი წარმოადგენდა.

ახლა მარმარილოსა და შავი ზღვის რეგიონებში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებს დავუბრუნდეთ, რომელთა წინაპრები 135 წლის წინ რუსეთის მიერ ოსმალეთის დამარცხებისა და საქართველოს ისტორიული მხარეების შემოერთების შედეგად აღმოჩნდნენ გადასახლებული. მუჰაჯირ ქართველთა მიწა-წყლიდან აყრის მიზეზი მხარის რუსეთის იმპერიაში შესვლა და იმის შიში იყო, რომ რუსები მუსლიმ ქართველებს კვლავ ქრისტიანობაზე მოაქცევდნენ და აგიტაცია იმის შესახებ, რომ „გიაურები“ (რუსები) მათ დახოცავდნენ.

თურქეთში 25-30 წლის წინ არაასიმილირებული, ეთნიკური ქართველების თითქმის აბსოლიტური უმრავლესობა ქართულ ენაზე ლაპარაკობდა. 45 წლის და მეტი ასაკის ადამიანებისაგან ინფორმაციის ჩაწერა ძირითადად ქართულ ენაზე ხდება. ამ ასაკის ადამიანები აღნიშნავენ, რომ სკოლაში მისვლამდე მხოლოდ „ჩვენებურების“ ენაზე ანუ „გურჯიჯა“ ლაპარაკობდნენ. ახალგაზრდებში კი ამ თვალსაზრისით ვითარება რადიკალურად შეცვლილია. წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ენის დაკარგვა და თურქულ ენაზე გადასვლა მთელი რიგი ობიექტური მიზეზებით არის განპირობებული. ამ მიზეზთაგან შეიძლება დავასახელოთ:

1. ქართველთა მიერ სასოფლო დასახლებების მასობრივი მიტოვება და დიდ ქალაქებში საცხოვრებლად გადასვლა. ქალაქი დეეთნიზაციის ყველანაირ წინაპირობას ჰქმნის. ჰამიდიელი მთხრობელის ნაამბობი გამოგვაღებება საილუსტრაციოდ: „ილევა გურჯები.

აქ ვერ ვაკითხებთ (ე. ი. ვასწავლით – რ. თ.) ბავშვებს. აქედან წავიდნენ ქალაქებში, თურქული დეისწავლეს, იქ დაქორწინდნენ. აღარ იციან ქართული. ვინც აქ დარჩა, იმათ იციან“.

2. სასკოლო განათლების მიღების აუცილებლობა. ეთნიკურ ქართველებს, რომელთა დიდმა ნაწილმა ოსმალეთის იმპერიაში ცხოვრებისას ენა და ეთნიკურობა შეინარჩუნა, XX საუკუნის მეორე ნახევრიდან თურქეთში ენას ართმევდნენ, სკოლაში და სახლში ქართულ ენაზე ლაპარაკს უშლიდნენ და ამისათვის „ჯოხის აჭმევდნენ“: სოფელ თხილაზურში მცხოვრები აჭმედ **თაფლიძის** (46 წლის, 2013 წ.) ინფორმაციით, „სკოლაში რომ წავედი, მარტო ქართული ვიცოდი. გურჯებმა არავინ იცოდა თურქული. ბლარჯებმა თურქული რომ არ იცოდნენ, მასწავლებელი ბლავდა (=უყვიროდა). ზარი რომ დაირეკებოდა ოქულში, მაშინ ბავშვები ქართულად ვლაპარაკობდით. ახლა ქალთან გურჯულად ვლაპარაკობ, ბავშვებთან – თურქულად“. ბუნებრივია, ეს მასალა პირდაპირ მიუთითებს თურქეთის ამ რეგიონში ქართული ენის სავალალო მდგომარეობაზე. ენის დაკარგვიდან ეთნიკური ცნობიერების დაკარგვამდე არც თუ ისე დიდი მანძილია.

სოფელ დემირაჩმაში ასეთი მასალა დაფიქსირდა: „ჩემი ცოლი ქართველია, მაგრამ ბაღნებთან ქართულად არ ლაპარაკობს. მალე გურჯი არ დარჩება, დევიკარგებით“. რატომ არ ელაპარაკება ეთნიკური ქართველების უმეტესობა თავიანთ შვილებს ქართულად? პასუხს ინფორმატორები თავადვე იძლევიან: „ოქულში (ე. ი. სკოლაში) გურჯიჯა არ ილაპარაკოთო, გვირტყამდნენ. წინდელმა ბერიკაცებმა თურქული ცოტა იცოდნენ, ბერიქალებმა საერთოდ არ იცოდნენ თურქა. მე ოქულში (=სკოლაში) დევისწავლე თურქული“. სხვა სოფელში, სხვა მთხრობელისაგან ჩაწერილი მასალა: „მექთებში წასვლამდე მთელი ქართველური იყო. აქ თურქა არ იცოდნენ. მექთებში მირტყამდნენ, ქართველურად ნუ ლაპარაკობ“. „33 ვიყავით პირველ კლასში. არცერთმა თურქული არ ვიცოდით. ახლანდელმა ახალგაზრდებმა ცოტამ იცის ქართული. ოჯახში დაცოტავდა ქართული ლაპარაკი, რძლები, ტელევიზორი...“ სოფელი სულჰი: „ჯოხის ჭამით დევისწავლე თურქული. მე ბევრი ჯოხი ვჭამე“. ანალოგიური მასალა ათეულობითა დაფიქსირებული 40-50 წლის მამაკაცებთან. ამკარაა, თურქეთელ ეთნიკურ ქართველებში

თურქული ენის შესწავლა ძირითადად სკოლებში მოხდა. იმის გამო, რომ ქართულად მოლაპარაკე ბავშვებს თურქი მასწავლებლები ცემდნენ, მათ მასობრივად შეაქციეს ქართულ ენას ზურგი და შვილებს არა დედაენაზე, არამედ თურქულ ენაზე ზრდიან. ეს მომდევნო თაობაში უკვე ქართული ენის რეალური გაქრობის საშიშროებას იწვევს. მოქმედებდა გარკვეული ფსიქოლოგიური ფაქტორი (ახლანდელ მშობელს სცემდნენ თურქული ენის უცოდინარობის გამო, მას აღარ უნდა შვილი იგივე ვითარებაში აღმოჩნდეს). ეთნოგენეტიკურ პროცესებში ფსიქოლოგიური ფაქტორის როლი რომ საკმაოდ მნიშვნელოვანია იმავე თურქეთელი ქართველების სხვა მაგალითიც მოწმობს. ცნობილია, რომ არტანუჯის მოსახლეობის უმრავლესობას ქართული ენა შენარჩუნებული ჰქონდა და როგორც ქართველები სასაზღვრო ზოლიდან თურქეთის ხელისუფლებამ ბურსის ვილაეთში გადაასახლა 1946 წელს. გადასახლებიდან თითქმის 70 წლის შემდეგ, ისინი თავიანთ თავს მართალია თურქად არ მიიჩნევენ, მაგრამ „გურჯობას“ უარყოფენ და ლოკალურ-ტერიტორიული ტიპის ახალი თვითსახელწოდება შექმნეს – „არტანუჯელი“¹⁴⁴. იმის გამო, რომ ისინი ქართველობის გამო დაისაჯნენ, მომავალში ახალი სირთულეების თავიდან აცილების მიზნით, დღეს ქართულ წარმომავლობასაც კი უარყოფენ.

3. ქართული ენიდან თურქულ ენაზე გადასვლაში არანაკლები როლი ჰქონდა პოლიტიკურ ფაქტორსაც. ზემოთ მოყვანილი არტანუჯელი ქართველების დეეთნიზაცია, რა თქმა უნდა, ამ ჯგუფშიც თავსდება. ორი ქვეყნის – თურქეთისა და საბჭოთა კავშირის – მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგად, ქართველები არა მხოლოდ ტერიტორიულად იყვნენ ერთმანეთისაგან გათიშული. ეს გათიშვა და ისტორიის არ სწავლება ეთნიკური ქართველების ცნობიერებას გარკვეულ დალს ასვამდა. ამ თვალსაზრისით ერთგვარად დადებითი როლი ითამაშა საზღვრის გახსნამ, რის შემდეგაც მათ საკუთარი ფესვების შესახებ ბევრი რამ გაიგეს. ზოგმა ეს უფრო ადრე გერმანიაში სამუშაოდ წასვლის შემდეგ გაიგო, რომ საზღვრის იქით არა რუსეთია, არამედ საქართველოა, რომ მეორე მხარეზე არა

¹⁴⁴ ი. ლუტიძე. არტანუჯის ტოპონიმები – ისტორიული რეალობის მოწმენი. – კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული, XIII, თბ., 107-124.

რუსები, არამედ მათი თანამემამულენი – ქართველები ცხოვრობენ, რომლებიც ანთროპოლოგიურად მათი ერთგვაროვანი არიან. ამრიგად, დღეისათვის ქართული ცნობიერებისა და ქართული ენის შენარჩუნებაში გარკვეული როლი თურქეთთან საზღვრის გახსნამაც და ერთმანეთთან მიმოსვლამაც შეასრულა. ერთ-ერთი მთხრობელის თქმით, „ჩემმა ბლარჭებმა ქართული არ იცოდნენ, კარი გაიხსნა, იმის მემრე დეისწავლეს“. მეორე მთხრობელი სოფელ ქლასკურიდან ასევე აღნიშნავს, რომ „ჩვენც დავიწყებული გვქონდა ქართული, საზღვარი რომ არ გახსნილიყო.“

4. ქართული ენის დაკარგვაში დიდ როლს თამაშობს ელექტრონული საინფორმაციო საშუალებები, განსაკუთრებით, ტელევიზია. დღეს თურქეთელ ქართველთა დიდ ნაწილს ქართული ტელევიზიებიც აინტერესებს. 4-5 ქართული არხის მიღების საშუალება აქვთ კიდევაც. მაგრამ ალტერნატიულ ქართულ არხებს უმეტესობა მაინც ვერ უყურებს. ამ შემთხვევაში ქართულის მცოდნეებს მაინც ენობრივი ბარიერი უშლით ხელს. ეს „ენობრივი ბარიერი“ მათვის არის ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტს შორის გარკვეული განსხვავება და ქართველ ტელეწამყვანთა მეტისმეტად სწრაფი („ფიცხელი“) საუბარი.

5. საქორწინო ურთიერთობები. დღემდე ქართული ენისა და ეთნიკური ცნობიერების შენარჩუნებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს საქორწინო ურთიერთობები წარმოადგენდა, რადგან სასოფლო დასახლებებში ქართველი მხოლოდ ქართველზე ქორწინდებოდა. თურქეთელ ქართველებს შორის სულ რაღაც 20-25 წლის წინ დომინირებდა ეთნიკური ენდოგამია – ქართველი მხოლოდ ქართველზე ქორწინდებოდა. დიდ ქალაქებში საცხოვრებლად გადასვლამ შიდაეთნიკურ ქორწინებებს წყალი შეუყენა. სხვადასხვა მონაცემებით სხვა ეთნოსის წარმომადგენლებზე ქორწინების პროცენტი 20-სა და 25-ს შორის მერყეობს. ერთ-ერთი მთხრობელის სიტყვით, „ამის (მიუთითა გვერდზე მჯდომ მამაკაცზე) ქალი და ჩემი ქალი თურქია და ამიტომ აღარ იციან შვილებმა ქართული“. თუმცა ისეთი ფაქტებიც არეართია, როდესაც ბავშვებს დედაც ქართველი ჰყავთ და მაინც არ იციან და არ ლაპარაკობენ ქართულად. სოფელ დემირაჩმაში ასეთი მასალა დაფიქსირდა: „ჩემი ცოლი ქართველია, მაგრამ ბაღნებთან ქართულად არ ლაპარაკობს.

მალე გურჯი არ დარჩება, დევიკარგებით“. სოფელ იენიქოიში დაფიქსირებული მასალა: ჩვენს კითხვაზე: ახალგაზრდები ლაპარაკობენ ქართულად? ასეთი პასუხი მივიღე: „ის არ მკითხო. ოთხი ბიჭი მყავს და ორი გოგო. ქართველს მივეცი და ქართველს ავართვი (ე. ი. ქართველზე გავათხოვე და ქართველისაგან ვითხოვე) რძლები. ბულგარისტანიდან მოსული არ ვითხოვე, ქართველი ვითხოვე. ჩემი შვილები ჩემს ლაპარაკს გააგნებენ“. სოფელ რემადიეში მოპოვებული მასალა: „150 ოჯახი ქართულია. სხვებს არ უშვებენ აქა. როცა დასახლდნენ, კანონი დაუდათ: გარედან სხვა არ უნდა შემოეშვათ. აქ გოგოს სოფელში სიძე ვერ დაჯდება (ე. ი. ზესიძედ ვერავინ მოვა – რ. თ.). „ქართველი უნდა ყოფილიყო ქალი. სირცხვილი იყო თურქზე დაქორწინება“.

ისმის კითხვა: თურქეთელ ქართველებში ქართული ენის დაკარგვა და მასობრივად თურქულ ენაზე გადასვლა რა მიმართებაშია ქართველთა ეთნიკურ ცნობიერებასთან? წინასწარ უნდა ითქვას, რომ ეთნიკურობის დაკარგვა ენის დაკარგვის პარალელური პროცესი არაა. ასეთ ვითარებაში ეთნიკური ქართველები რამდენ ხანს, რამდენი თაობის განმავლობაში შეინარჩუნებენ ეთნიკურ ცნობიერებას, გაურკვეველია. მანამ, სანამ აღნიშნული პრობლემის შესახებ ეთნოგრაფიულ მონაცემებს დავიმოწმებთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ უწინ არაქართულ ენაზე საუბარი სირცხვილად მიიჩნეოდა. დღეს კი ეს სტერეოტიპი შეცვლილია. ერთ-ერთი ინფორმატორის სიტყვით, ის „მოქალაქე თურქია, სისხლი აქვს გურჯის“. ეს მთხრობელი იმასაც აღნიშნავდა, რომ მისი შვილები ამბობენ, რომ გურჯები არიან, მაგრამ ენა არ იციან. „ჩვენც (გულისხმობდა თავისი თაობის ხალხს) ნახევრად თურქულად ვლაპარაკობთ, ნახევრად ქართულად. როცა ღარჭი ვიყავი გურჯულად ვლაპარაკობდი, მე დევილაპარაკე თურქულად ცხრა წლის რომ ვიყავი მაშინ. მე ახლა ჩემ ბაბოს თურქულად ვერ დაველაპარაკები, შემოცხვება. ღარჭებთან თურქულად ვლაპარაკობ“. იზმითის სოფელ ჰამიდიეში ჩაწერილი მასალა: „ჩვენ ღარჭობაში თურქულად თუ დავილაპარაკებდით, ნუ იპრანჭები, ჩვენებურად ილაპარაკეთო. თქვენ ჩვენებური ხართ. ჩვენ თავს გურჯს ვუწოდებთ. სიტყვა „ქართული“ არ ვიცოდით, მერე ვისწავლეთ“.

ახლა რამდენიმე მასალას მოვიყვანთ ენისა და ეთნიკური ცნობიერების ურთიერთმიმართების პრობლემაზე. ბუნებრივია, უმეტეს შემთხვევაში, ენის დაკარგვა თანდათან ეთნიკურობის დაკარგვასთანაა დაკავშირებული, ის ეთნიკურობის შეცვლის წინაპირობაა. მოვიხმოთ ეთნოგრაფიული მასალა. ზოგიერთი მთხრობელი ასიმილაციასა და ენის დაკარგვას ერთმანეთთან აკავშირებს: „ჩვენ ასიმილაცია განვიცადეთ. ნელ-ნელა რომ ლაპარაკობენ ტელევიზორში, ვიგნებთ. სამი შვილი მყავს. არცერთმა ქართული არ იცის“. „ჩემი ღარჭი ამბობს, გურჯი ვარ, რატომ არ დამასწავლეთ გურჯიჯაო“. მშობლისადმი შვილის მიერ გამოთქმული საყვედური აშკარად მიუთითებს ახალგაზრდის ეთნიკურ ცნობიერებაზე, ქართული ენის უცოდინრობის მიუხედავად, მას ქართული ცნობიერება გააჩნია (სოფელი ჰაირიე: **„ლაპარაკი დევივიწყეთ, მაგრამ გურჯობა არ დევივიწყეთ“**). ბერი ახალგაზრდა, დედისა და მამისაგან, ბაბუისა და ბებიისაგან განსხვავებით, ქართულად ვეღარ ლაპარაკობს, მაგრამ ეს მათ ქართულ ეთნიკურ ცნობიერებას არ არღვევს. როგორც ჩანს, ოჯახი ამ შემთხვევაში გარკვეულ გავლენას ახდენს ბავშვის, ახალგაზრდის ეთნიკურ მენტალობაზე. ამის პირდაპირი პასუხია ერთი ინფორმატორის მოკლე პასუხი: **„ენა რომ დაიკარგება, გურჯობა დარჩება“**. **„რომ მკითხონ, ვეტყვი გურჯი ვარო. გურჯის ენა რომ არ იციან, მაინც იტყვიან, გურჯი ვარო“** (სელაჰადინ ოზხაია, 88 წლის, ერფელეკის რაიონი, სოფელი *აფთურამანფაშა*, მაჰალე *ათაბაა*). **„ვინც ქართული ენა არ იცის, ისინიც ქართველად მიიჩნევენ თავს“**.

საკვლევაია: ენისა და კულტურის ელემენტების დაკარგვის შემთხვევაში „ღარჭს“ რა უფალობებს ქართული ცნობიერებას? როგორც ჩანს, გადამწყვეტი მაინც ოჯახური გარემოა. თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია სხვა ფაქტორებიც, რომელთა შორის, უმთავარესი სხვა ეთნოსების მიმართ არსებული გარკვეული სტერეოტიპებია. ამ პრობლემას დაწვრილებით ქვემოთ შევხვებით. **„ჩვენ თათრებს კუდიანს ვეტყვით, გვძულდა და იმიტომ. აქედან გავდევნეთ, მათი იყო ეს სოფელი. თათრებს ეშინიათ, გურჯი მომკლავსო. თურქები ბეჩდებიან ჩვენთან“**. გარკვეული სტერეოტიპები არა მხოლოდ თურქების მიმართ ჰქონდათ შექმნილი. ღოშემეში ჩაწერილი მასალით უარყოფითი სტერეოტიპი ჰქონდათ სომხების მი-

მართაც: „გონჯობას თუ ვიზამდით, დედები (ე. ი. პაპები) გვეტყოდნენ: „აი, შე სომხის შვილო“. ასეთი სტერეოტიპები ეთნიკური იდენტობის შენარჩუნებას გარკვეულწილად ხელს უწყობდა და უწყობს. ქართველები იმითაც განასხვავებენ თავს სხვებისაგან, რომ ისინი თავს უბრალოდ არავის დააჩავგრინებენ: „ჩვენ აქაური მამალი ვართ. მამალი იმას ნიშნავს, რომ თავს არავის დაუდებთ. კულზე თუ დამადგა ფეხი, მორჩა საქმე!“ ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთი მასალა უნდა გავიხსენოთ. დევსქელისა და ქლასკურის ხეობებში ადგილობრივებს როდესაც ვკითხვით: 1946 წელს თურქეთის ხელისუფლებამ არტანუჯელი ქართველები ბურსაში გადაასახლა, იმის გამო, რომ საზღვართან ახლოს ცხოვრობდნენ. თქვენ უფრო ახლოს ცხოვრობთ საზღვართან. როგორ გადარჩით? პასუხი ასეთი იყო: „ჩვენ, ქართველები ყველანი შეიარაღებულ ვიყავით. თითოეულს ხუთი იარაღი მინც გვქონდა. ახლაც ასეა. ჩვენს გასახლებასაც აპირებდნენ, მაგრამ ყველანი ტყეში გავედით. ჯარი გვესროდა და ჩვენც ტყიდან ვესროდით. სამი თვე ვერაფერს გახდნენ და თავი დაგვანებეს“. რატომ და როდიდან შეიარაღდნენ ეთნიკური ქართველები? პასუხი ძალიან მარტივია: საქართველოს დამლისა და ოსმალეთის იმპერიაში მოქცევის შემდეგ, ბუნებრივია, დამპყრობლისაგან თავის დაცვის ინსტიქტი მათ ამისაგან უბიძგებდა. როდესაც სახელმწიფო ვერ იცავს, ადამიანების ჯგუფი თავად იცავს თავს. ამაში მათ ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო, ლანშაფტიც ეხმარებოდა. კიდევ ერთი მასალა: „დედ-მამა სულ გვეუბნებოდნენ, იცოდეთ, ქართველები ხართო. ეს ბავშვები სულ ერთად ვიყავით კლასშიც და გარეთაც. სანამ ახმედ მელაშვილი გვასწავლეს, უკვე ვიცოდით ყველაფერი. ამათმა გვასწავლეს ქართველობა“.

ეთნიკურ ქართველს სიამაყის გრძნობას თავისი გარეგნობაც უვითარებს. საუბრისას, როდესაც ქალებს ექსპედიციის წევრმა ქალებმა კომპლიმენტი უთხრეს, რომ ლამაზები ხართ, პასუხი იყო მოკლე და მოსწრებული: „გურჯი ვარ და!“

ქართველებს თურქების მიმართ გარკვეული სტერეოტიპი ჰქონდათ შექმნილი, ისინი მათ გარკვეული ეპიტეტებითაც მოიხსენიებენ: „ჩვენ თურქებს ქალს არ ვაძლევდით; თურქებს ბოლოკაებს და კუდიანებს ვეძახდით. ჩვენებურები არ უყვარდათ; ჩვენებურები მაგარი კაცები იყვნენ“.

„თურქები მაშინ სიმინდს ვერ მარგლიდნენ, ჩვენებურებმა დაასწავლეს. კუდიანებმა არ იცოდნენ სიმინდის გაფხეკა, მარგვლა. რიგებში სიმინდს არ თესდნენ. 10 ყაბახს იღებდნენ და მარგვლა რომ დაისწავლეს 100 ყაბახი მიიღეს. ჩვენებურებმა დაასწავლეს სახლების კეთება, ოთახებად დაყოფა. ჯამეებიც არ იცოდნენ, ჩვენებურებმა დაასწავლეს ხის ჯამეების გაკეთება. სახლში ლოცულობდნენ, მაშინ ფუსარა იყვნენ მეტი“. უნიას რაიონის სოფელ ქუსჩის სასაფლაოზე განისვენებს 1990-იან წლებში თურქეთის სოფლის მეურნეობის მინისტრი და ვიცე-პრემიერი *რაფაიდინ შაჰინი (ლორთქიფანიძე)*. მისი საფლავის ქვაზე დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებია ამოკვეთილი: 1939-2013. ანდერძის თანახმად მიცვალებულს საქართველოდან ჩამოტანილი ქვით გაუკეთეს საფლავი და მიწა საქართველოდან, აჭარის სოფელ ვიაოდან ჩამოტანილი დააყარეს და დაკრძალეს საქართველოში დაბადებული ბებიისა და ბაბუას გვერდით. ეს ფაქტიც თურქეთის პოლიტიკური მოღვაწის მაღალი ქართული ეთნიკური ცნობიერების დამადასტურებელია.

აღინიშნა, რომ **ქართველები ამყინ არიან და, როგორც ირკვევა, ეს სიამაყე გარკვეულწილად ადგილობრივთაგან განსხვავებულმა კულტურულმა ვითარებამაც შექმნა.** შეფარულად ეს ჩანს შემდეგ ეთნოგრაფიულ მასალებში: „ჩვენებმა რომ სახლი გააკეთეს, დაბეჩდნენ ყაზახები, ეზო არ იცოდნენ. თურქების მამასახლისისი ეუბნებოდა თავისიანებს: თუ სახლს ააშენებთ, მიდით და ნახეთ და ქართველებისნაირი სახლები ააშენეთ“. „თურქებს ისეთი საჭმელები არა აქვთ, რაც ჩვენ გვაქვს. მათ ქართული ყაურმა არ იციან. ივინი მოდიან ქართული ყაურმა ვჭამოთო. ივინი ყაურმას ნიგოზს, ზაფრანას, ქინძს... არ უშვრებიან. ივინი მოხარშავენ ყაურმას და ფლავზე დააყრიან. ჩვენ საჭმელს ვაკეთებთ, მაგათ საჭმელი არ იციან, მცენარეებს არ უშვრებიან“ (ფაცას რაიონი, სოფელი ქაბაქდალი). [ანხედ ჰასანის ძე ბეჟანიძე: „30 წლის წინ ჩვენებური თურქის ქალს არ ითხოვდა. ახლა თურქებმა ჩვენგან საქმე დეისწავლეს, ივინის სახლებს ფანჯრები არ ჰქონია“]. იგივე მოხრობელი კითხვაზე: ევროპაში თქვენს თავზე რას იტყვით, ვინა ხარ, ქართველი, თუ თურქი“? მყისიერ პასუხს იძლევა: „ევროპაში

რომ წავიდე მკითხონ, ვინ ხარ, ვიტყვი ქართველი ვარო. ჩვენი ბაღნებიც ჩვენებურად აინში არიან, ისინიც ქართველს იტყვიან“.

ცნობილია, რომ ეთნიკური ცნობიერება პირდაპირ კავშირშია რელიგიასა და ენასთან. ზემოთ მოყვანილი მასალა პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ **თურქეთში მცხოვრებ ქართველებს მყარ ეთნიკურ ცნობიერებაში რელიგია ხელს არ უშლის.** საყურადღებოა, რომ ერთ-ერთი ეთნოგრაფიული მასალით, სინოპელ მუსლიმ ქართველებს კუდიანები (=თურქები) გიაურებს უწოდებდნენ. ალბათ იმიტომაც, რომ **„ქრისტიანები ბევრი მიყვარს, მაჰმადიანები არ მიყვარს, ბაბოისაც არ უყვარდა მაჰმადიანები, აგინებდა. ქართველებმა ერთად მოვიყარეთ თავი, ამაზე გემრიელი რა არის“** (აიშან წიგნაძე). იგივე შეიძლება ითქვას ენის შესახებაც. ბევრი ახალგაზრდა, დედისა და მამისაგან, ბაბუისა და ბებუისაგან განსხვავებით, ქართულად ვეღარ ლაპარაკობს, მაგრამ ეს მათ ქართულ ეთნიკურ ცნობიერებას არ არღვევს. როგორც ჩანს, ოჯახი ამ შემთხვევაში გარკვეულ გავლენას ახდენს ბავშვის, ახალგაზრდის ეთნიკურ მენტალობაზე. დღეისათვის ქალაქებში ცხოვრების პირობებში უფროსი თაობა ცდილობს ახალგაზრდა ქართველები ერთმანეთთან დაახლოვოს, გააცნონ ერთმანეთს. მნიშვნელოვანია სოციალური ქსელის როლიც. ეთნიკურმა ქართველებმა ერთმანეთის გაცნობის ორიგინალური ხერხიც გამოიხატეს – ქუჩაში, ტრანსპორტში ყოფნისას, თუ მიიჩნიეს, რომ ახლოს მდგომი ადამიანი ეთნიკური ქართველია, მობილური ტელეფონით ხმამაღლა „ტყუილ“ საუბარს მიმართავენ, მაგალითად, ასეთს: „როგორ ხარ, ჯოო!“ და ა. შ. ერთ-ერთ ჩვენს ინფორმატორს ამ გზით 50-მდე თანამემამულეს ყავს გაცნობილი.

სინოპელი ქართველების ეთნიკურობის გარკვეული გამოხატულება გახლდათ ისლამისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება, ღვინისა და არყის სმა: „ქორწილი სამი დღე იცოდნენ. დიდი მოზვერი დაკლა ბაბომა. ღუგუნში დალევდნენ რახს, ბირას და შარაფს. ბრინჯისაგან ვაკეთებდით რახს, ყარფუზიდან, ყურძნიდან. ყურძნიდან შარაფს ვაკეთებდით. ბირას ქერისაგან ვაკეთებდით. მოლას ღუგუნში არ მოუშვებდით“. „ჩემი დედე ყურძნიდან რახს აკეთებდა. დეითრო და რა ქენიო? – ლამაზი წვენიო და ვსვიო, გემრიელიო. სამი წლის წინ სინოპის სოფელში ჩემმა ნათესავებმა

ორი მინიბუსი ღვინო გაათავეს“. „ჩვენბური ღუგუნი გვქონდა. ახლა გადავარდა ქართული ღუგუნი. ორ დღეს წინ-წინ დევიწყებდით მზადებას ფაცვიას (=პატარძლის) მოყვანამდე. ღუგუნში (ქორწილში – რ. თ.) ზოგი სვამდა შარავს. ახლაც სმენ, ტყუილს ვერ ვიტყვი“.

ქართველთა ეთნიკური ცნობიერების შენარჩუნებაში ფრად მნიშვნელოვანია ტრადიციული ნათესაური ურთიერთობების სიმყარე. ახლა ქართული სოფლები ძირითადად დაცლილია მოსახლეობისაგან, მათი ძირითადი ნაწილი თურქეთის სხვადასხვა დიდ ქალაქში ცხოვრობს. მაგრამ ყველა ცდილობს ზაფხული სოფელში გაატაროს. სწორედ ამ დროს იხდიან სოფლებში ქართველები ქორწილებს და აქ ისტუმრებენ ერთმანეთის ვალდებულებას, ეცნობიან ახალ ნათესავეს. ამ წესის დაწესების გამო, ქართველები არა მხოლოდ ნათესაურ კავშირს ინარჩუნებენ, არამედ ეთნიკურ ცნობიერებასაც იმყარებენ, ქორწილები არც იმის საშუალებას იძლევა, რომ ქართველებმა ქართული ცეკვები დაივიწყონ: „ხორონები (=ხორუმი) სულ არის ქორწილებში. ხორონი რომ არ იცოდეს, ისეთი ქართველი არ არის“.

ქართული ეთნიკური ცნობიერების მაღალ გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ შემდეგი ეთნოგრაფიული მასალა: „თურქეთმა რომ უკან დაიბრუნა ბორჩხა – 1921 წელს. ართვინში 7 მარტს ართვინის უკან დაბრუნებას აღნიშნავენ. იმ დღესასწაულზე არ მივდივარ; ჩვენ არ ვზეიმობთ. თქვენ დეგინახეთ ბევრი გამინარდა; ერთი სისხლი გვაქვს“ (შევქეთ ჭკვიანიშვილი, 54 წლის). არ ზეიმობს ქართველთა გარკვეული ნაწილი საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ისევ თურქეთის შემადგენლობაში დაბრუნებას. მათ არ ეზეიმებათ ქვეყნის ტერიტორიული რღვევა, საქართველოდან მიწის, ისტორიული ტერიტორიის ჩამოშორება. ამ ინფორმატორისათვის ეთნიკურობის განსაზღვრაში მთავარია არა რელიგია, არამედ საერთო წარმომავლობა.

ქართველთა იდენტურობის შენარჩუნებაში მნიშვნელოვანი იყო ტრადიციები, ის ტრადიციები, რაც მხოლოდ მათ ჰქონდათ და რითაც ისინი სხვებისაგან განსხვავდებოდნენ. მაგალითად, ცეკვა „ფერხული“ შეიძლება დასახელდეს. განსაკუთრებული ჰქონდათ ქართველებს ახალი წლის ტრადიციაც.

საყურადღებოა, რომ ქართველები ცდილობენ ეთნიკური თავისთავადობა გარეგნული ფორმითაც გამოხატონ, იმღერონ და იცეკვონ. ცდილობენ სადღესასწაულო დღეებში ქართული ეროვნული სამოსით შეიმოსონ. ამ ადამიანისათვის ჩოხა-ახალუხი ქართული ეთნიკური იდენტობის გამოხატულებაა.

ზემოთ აღინიშნა, რომ ქართველობის გადარჩენის ერთ-ერთი მიზეზი სხვა ხალხების მიმართ ჩამოყალიბებული გარკვეული სტერეოტიპია. მათ ეს სტერეოტიპი უცხო გარემოში ცხოვრებამ ჩამოუყალიბა, რაც თავის გადარჩენის ერთ-ერთი საშუალება იყო. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართველები, რომლებიც თავის სამშობლოში გათითოკაცებულნი, ინდივიდუალისტები არიან, უცხო ეთნიკურ გარემოში იშვიათი შეკავშირებულობით გამოირჩევიან. ეს სტერეოტიპი მათი გადარჩენის ერთ-ერთი ფაქტორია.

ზემო მოყვანილი ეთნოგრაფიული მასალა მიუთითებს: 1) ქართული ენის არასახარბიელო მდგომარეობაზე – უფროსი თაობა ქართულ ენას ფლობს, ხოლო ახალგაზრდები და ბავშვები – არა; უფროსი თაობა მოუწოდებს ახალგაზრდებს, რომ ქართული ენა ისწავლონ; 2) მართალია, ოფიციალურ იურიდიულ დოკუმენტში ეთნიკურ ქართველს თურქი უწერია, მაგრამ თავს ის ქართველად მიიჩნევს; 3) მუსლიმობა მას ხელს არ უშლის იმაში, რომ ქართველად გაიაზროს თავი; 4) ეთნიკურ ქართველს სიამაყის გრძნობა აქვს თავისი ქართველობის გამო; 5) მიუხედავად იმისა, რომ 15 წლის ახალგაზრდამ ქართული არ იცის, ის მაინც თავს ქართველად გაიცნობიერებს, რაშიც მნიშვნელოვანი როლი პაპის ქმედებამ იმოქმედა. ერთი მთხრობელი პირდაპირ აცხადებს, რომ ქართული ენის უცოდინრობა ქართველობის დაკარგვას არ ნიშნავს: **„თურქს ბოლოკს და კუდიანს ვეტყვი. გურჯიჯა რომ არ იციან, ახლები ბოლოკი და კუდიანი ვერ გახდებიან“.**

უნიელი ქართველები შეკითხვაზე: რელიგია ხელს არ გიშლით ქართველობაში? რა არის ქართველობა? – ასეთი პასუხი მივიღეთ: **„როგორც თქვენ გრძნობთ ქართველობას, ისე ჩვენ ვგრძნობთ. რელიგიას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. როგორც შენ ახსნი, რომ ქართველი ხარ, ისე მე. ძნელი ასახსნელია, რატომ ვარ ქართველი“.** ამ სიტყვებს არავითარი კომენტარი არ სჭირდება. თავის დროზე მათი წინაპრები რელიგიის გამო მოწ-

ყდნენ ქართულ ეთნიკურ ერთობას. მაგრამ დღეს მუჰაჯირთა შთამომავლები სრულიად განსხვავებულად აზროვნებენ; მთავარია ის, რომ მათ საზღვრების გახსნის შემდეგ თავიანთი ძირი იპოვეს. ისინი დღეს, ყოველ შემთხვევაში, დიდი ნაწილი, რელიგიურ განსხვავებულობას არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებენ. აშკარაა, რომ ეთნიკურმა ქართველებმა თურქეთის სახელმწიფოში ინტეგრაცია მოახერხეს. სხვანაირად, ისინი განწირული იქნებოდნენ დასაღუპავად. სხვა მეთოდებით ეთნიკურობისათვის ბრძოლას, დაპირისპირებას აზრი რომ არ ჰქონდა, ამას კარგად მიხვდნენ. ამის გამოძახილია რამდენიმე ქართველის ნათქვამი: **„ჩვენ ქართველები ვართ, მაგრამ თურქეთის მოქალაქეები“**. ეს ორმავე ეთნიკურ ცნობიერებას სრულიადაც არ ნიშნავს. აქ მოქალაქეობა და ეთნიკურობა ერთმანეთთან მშვიდობიან თანაარსებობაშია. უნიეს საზოგადოებაში ჩაწერილი მასალა: „მართალია თურქებმა მიგვიღეს, მიწა მოგვცეს, მაგრამ **130 წელია თურქი ვერ გავხდი, ვერც გავხდები. მე თურქი არ ვარ, თურქეთის მოქალაქე ვარ, გურჯი ვარ. ახალგაზრდობის დროს, ქართულ ლაპარაკს რომ ვისმენდით, ქართული ლაპარაკი ყოფილაო, გვიხაროდა“**.

ერთ-ერთი ინფორმატორი აღნიშნავდა: „მე ვიტირე ბათუმი რომ დავინახე“. ამ შემთხვევაში წინაპართა სამშობლოს დანახვაზე ცრემლი თურქეთელი ქართველის ეთნიკური იდენტობის მნიშვნელოვანი გამოხატულებაა. კიდევ ერთი ამონარიდი: „შევიარდნამქს რომ დავინახავდი, საგარეო საქმეთა მინისტრი რომ იყო, ჩემი კაცი იყო, მომწონდა და მიყვარდა. მე ნამდვილი ქართველი ვარ. ქართველს რამე რომ დაემართოს, აქ ვტირი. ახლა მისვლა-მოსვლაა და ეს ინტერესს ბადებს ქართული ენის შესასწავლის. **ენა არ იციან, მაგრამ გულში ქართველები არიან“**. ვფიქრობთ, ამ სიტყვებს კომენტარი არ სჭირდება. ცრემლს კიდევ უნდა დავუბრუნდე. 2014 წელს სინოპის ერთ-ერთ ქართულ სოფელში ეთნოგრაფიული მასალების ჩაწერის შემდეგ, როდესაც 75 წლის ინფორმატორი გვემშვიდობებოდა, მას ცრემლები წამოუვიდა და მხოლოდ იმის თქმალა მოახერხა: „რაღაი მეშველება ახლა მე!“

ამრიგად, თურქეთში მცხოვრებ ქართველებს ეთნიკურ იდენტობაში, ქართველად თავის გააზრებაში რელიგია (მაჰმადიანობა) და ქართული ენის უცოდინარობა ხელს არ უშლის. დღეს არსებუ-

ლი მდგომარეობით თურქეთში ქართულ ცნობიერებას საფრთხე არ ემუქრება. ამ ცნობიერებას მთელი რიგი მიზეზები განაპირობებს, რომელთა შესახებაც ზემოთ გვკონდა საუბარი და რომლებსაც კიდევ ერთი ისტორიის მახსოვრობა – უნდა მიემატოს. ამ ისტორიაში კი მთავარი ფიგურა თამარ მეფეა¹⁴⁵.

¹⁴⁵რ. გუჯეჯიანი. ქართული ტრადიციული კულტურის მოტივები ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. – საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, როლანდ თოფჩიშვილის საერთო რედაქციით, თბ., 2010, გვ. 178-182.

სარჩევი

შესავალი-----	3
ეთნოგრაფიული შავშეთ-იმერხევი-----	9
გვარები შავშეთ-იმერხევიში-----	30
ეთნოგრაფიული კლარჯეთი-----	44
ეთნიკური ქართველების განსახლების არეალი კლარჯეთში-----	65
ქართული გვარები კლარჯეთში-----	79
ეთნიკური იდენტობის საკითხები კლარჯეთის ქართულ მოსახლეობაში-----	86
ეთნოგრაფიული ტაო-----	90
ქართველების განსახლების არეალი ისტორიულ ტაოში (პარხლისწყლის ხეობა)-----	102
ტაოელ ქართველთა ეთნიკური იდენტობის პრობლემა-----	105
ტაოელთა ქართული გვარები-----	109
ერუშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე-----	114
არტაანისა და პალაკაციოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები-----	116
კოლას ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე-----	123
ქართველთა განსახლების არეალი შავი ზღვის სამხრეთში-----	126
შავიზღვისპირეთის რეგიონში მცხოვრებ ქართველთა ეთნიკური ცნობიერების პრობლემები-----	145
შავი ზღვის რეგიონში განსახლებულ ქართველთა გვარები-----	160
ქართველთა განსახლების არეალი მარმარილოს ზღვის რეგიონში-----	168
ქართველთა ეთნიკური იდენტობის პრობლემები მარმარილოს ზღვის რეგიონში-----	183
მარმარილოს ზღვის რეგიონში მცხოვრებთა ქართული გვარები-----	189
მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლების ენის, რელიგიისა და ეთნიკური ცნობიერების ურთიერთმიმართების პრობლემა-----	196

Roland Topçışvili

**Tarihsel-Etnoğrafik Güney
Gürcistan ve Türkiye Gürcüleri**



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის ბაზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge; universal505@ymail.com

კონანდ
თოფჩიანი

ისტორიულ-ეთნოგრაფიული
სახსრები საქართველო და
ქართველები თურქეთში

ISBN 978-9941-22-974-9



ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახსრები საქართველო და ქართველები თურქეთში